

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE UNIVERSITY



სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი IV, №1

Volume IV, No 1

2023

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 16 დეკემბერს ჩატარებულ მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში).

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the The Thirteenth International Scientific Conference “Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges and Perspectives for Development”, held by Gori State University on December 16, 2020. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State University History and Archeology Center.

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიცკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიეშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი);
- ჯემალ მაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- Giorgi Sosiashvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzaganian (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

TECHNICAL EDITOR:

Giorgi Kazishvili, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

- ნოდარ მირაზანაშვილი - უნივერსიტეტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ურთიერთკავშირი მასწავლებლის პროფესიული პრაქტიკის მომზადების საქმეში – 5
- თამარ რემიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტუდენტის როლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში – 9
- პაატა ქურდაძე - პიროვნების ინიციაციის პრობლემატიკა „ვეფხისტყაოსანში“ – 15
- ნელი ჭამპურიძე - სასკოლო კურიკულუმის თემატური მატრიცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში – 21
- ნათელა ხინჩიგაშვილი - საქართველოს კულტურული სივრცე ქართველ მოსწავლეთათვის რუსული ენის სწავლების პრაქტიკაში (რუსულ ენაზე) – 27

ფილოლოგია

- ვიანორ ახალაია - უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება ქართულსა და ზანურში (კოლხურში) – 30
- დავით ახლოური - სოფელ ქენქაანის ტოპონიმები – 34
- მაია ბოლაშვილი, მარინე ცერცვაძე - ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის იმპლიციტური მნიშვნელობა (დ.პ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით) – 39
- თამარ გოგოლაძე - უცხოელი მოაზროვნენი და ილია ჭავჭავაძე – 43
- ნინო ვახანია - ალექსანდრე ორბელიანის ლექსები – 47
- თამარ ვეფხვაძე - ტრავმული მეხსიერება პოსტკოლონიურ ლიტერატურაში - გოდერძი ჩოხელის - „მღვდლის ცოდვა“ – 52
- იგორ კეკელია - უფლისციხის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმიდან – 59
- მარიამ კობერიძე - ვითარების აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში – 70
- კოტე ლომიძე - სულხან-საბა ორბელიანის ერთი არაკის რეცეფციისათვის – 79
- მაია მელანაშვილი - პიკარესკული ჟანრი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (მ. ჯავახიშვილისა და პ. კაკაბაძის შემოქმედების მაგალითზე) – 82
- ალექსანდრე მღებრიშვილი - საქართველო დამოუკიდებლობის რუბიკონთან და 1918-1921 წლების ქართულ-ოსური ურთიერთობები (პირველ თავყრილობათა ქრონიკები) – 86
- ნიკოლოზ ოთინაშვილი - ქვასთან დაკავშირებული ადგილები (ტოპონიმები) ისტორიული მასალებისა და დღევანდელი ვითარების მიხედვით – 102
- ფერიდე სანაია - ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიმბოლური ასპექტები პაოლო იაშვილის შემოქმედებაში – 106
- ლუარა სორდია - ჰადესის სამყარო ნიკო სამადაშვილის პოეზიაში – 111
- ნესტან სულავა - ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტ ქალთა ცხოვრება-მემკვიდრეობა და გენდერის პრობლემა – 117
- ზურაბ ჩხიკვაძე - ენების ფიჯინიზაცია და მათი ლინგვისტური თავისებურებები – 122

CONTENTS

Education

- Nodar Mirazanashvili** - *The Interconnectivity of Universities and Secondary Schools in Preparation of The Professional Practice for Teachers* – 5
- Tamar Remishvili** - *Quality Assurance System of Higher Education and the Role of Student in the System* – 9
- Paata Kurdadze** - *Problems of Person Initiation in "The Knight in the Panther's Skin"* – 15
- Neli Champuridze** - *Thematic Matrix of the School Curriculum in Georgian Language and Literature* – 21
- Natela Khinchagashvili** - *Cultural Space of Georgia in Practice of Teaching Russian Language to Foreign Students (in Russian)* – 27

Philology

- Vianor Akhalaia** - *Complex Subordinate Clause without Conjunctions in the Georgian and Zanuri Languages* – 30
- Davit Akhlouri** - *Toponyms of the Village Kenkaani* – 34
- Maia Bolashvili, Marine Tsertsvadze** - *Implicit Meaning of the Lexis Denoting of Colour (According to D.H. Lawrence's Short Stories)* – 39
- Tamar Gogoladze** - *Foreign Thinkers and Ilia Chavchavadze* – 43
- Nino Vakhania** - *Alexander Orbeliani's Verses* – 47
- Tamar Vepkhvadze** - *Traumatic Memory in Postcolonial Literature - "The Sin of The Priest" by Goderdzi Chokheli* – 52
- Igor Kekelia** - *From The Historical and Modern Toponymy of Village Uplistsikhe* – 59
- Mariam Koberidze** - *Adverbs of Manner in Shida Kartlian* – 70
- Kote Lomidze** - *For the Reception of One Tale of Sul Khan-Saba Orbeliani* – 79
- Maia Melanashvili** - *Picaresque Genre in the Works of Georgian Writers (Based on the Works of M. Javakhishvili and P. Kakabadze)* – 82
- Aleksandre Mghebrishvili** - *Georgia at the Rubicon of Independence and the Georgian-Ossetian Relations in 1918-1921 (Chronicles of the First Gatherings)* – 86
- Nikoloz Otinashvili** - *Locations Connected to Stones According to Historical Documents and Today's Circumstances* – 102
- Pheride Sanaia** - *Symbolic Aspects of Colour Indicating Vocabulary and Phraseology in Paulo Iashvili Works* – 106
- Luara Sordia** - *The World of Hades in Niko Samadashvili's Poetry* – 111
- Nestan Sulava** - *The Life and Activities of Poet Women From Vani Monastery by Perspective of Gender* – 117
- Zurab Chkhikvadze** - *Pidginization of Languages and Their Linguistic Features* – 122

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა Education

*ნოდარ მირაზანაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

უნივერსიტეტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ურთიერთკავშირი მასწავლებლის პროფესიული პრაქტიკის მომზადების საქმეში

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, პრაქტიკა.

ჩვენს დროში ძალიან ბევრი პრობლემა არის აქტუალური, თუმცა მათგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სერიოზული განსჯის საგანი არის სწორედ განათლების პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები. განათლება ესაა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლებაში, აგრეთვე, იგულისხმება შედეგი – ცოდნის სახით. განათლების მიღების ძირითადი გზა კი როგორც მოგვეხსენება სწავლაა. დღეს, 21-ე საუკუნეში განათლების მნიშვნელობა უმთავრესია საზოგადოებისათვის, რამეთუ ცოდნა არის ძალა, რომელიც საუკეთესო გზაა თავის დამკვიდრებისათვის და თვითრეალიზაციისათვის, რათა იყო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი. სწავლისა და ცოდნის გარეშე, კომპიუტერულ ეპოქაში გზის გაგნება და ორიენტაცია შეუძლებელია.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის (საქართველოს მთავრობა, 2004).

ბოლო წლების განმავლობაში, განათლების სისტემაში არაერთხელ გატარდა რეფორმები, რომლებსაც წესით ძირეულად უნდა შეეცვალა საქართველოში არსებული დრომოჭმული საგანმანათლებლო სისტემა და დაენერგა ევროპული სტანდარტები. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ ყველაფერს რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო, როგორც გამოკითხვა-კვლევებიდან ჩანს, მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში განათლების დონით, ისევ რიგით ბოლო პოზიციებს იკავებს. მაინც ქართულ საგანმანათლებლო პრობლემებს ვაწყდებით სწავლის ყველა დონეზე, რამეთუ რეფორმათაგან ბევრი რამ არის მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობა, იქნეს მხოლოდ ფასადურ შინაარსს.

ოცდამეერთე საუკუნისათვის დამახასიათებელმა ცხოვრების კომპლექსურობამ და მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა უდავოდ დიდი გავლენა იქონია მასწავლებლის პროფესიულ როლზე. (თერნზული, 2009, გვ. 30)

განათლების საკითხებში სპეციალისტების აზრით, ქართულ სასკოლო სისტემაში მთავარი პრობლემა ის არის, რომ საზოგადოების საუკეთესო ინტელექტუალური ნაწილი სკოლის მიღმა დგას. მათი თქმით, სახელმწიფო არ ზრუნავს, რომ ყველაზე საჭირო ადამიანებმა სკოლისკენ გამოიხედონ, რის გამოც მოტივაცია დაბალია. ამის გამო კი მწირია მოქმედი მასწავლებლების დიდი ნაწილის პროფესიული კომპეტენცია, რის დასტურადაც სპეციალისტებს მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის შედეგები მოჰყავთ.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყანაში პედაგოგთა კადრების მომზადებაში დაშვებულმა შეცდომებმა არანორმალური ვითარება შექმნა და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. კერძოდ 2005 წლიდან არცერთი უნივერსიტეტი აღარ ამზადებდა საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლებს, რამაც განაპირობა არასპეციალისტთა საგრძნობი ნაწილის მუშაობა სკოლებში. მხოლოდ 2019 წელს გახდა შესაძლებელი უნივერსიტეტებს დაეწყოთ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების მომზადება, ამოქმედდა მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო 300 კრედიტიანი პროგრამები. მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებით უდაოდ მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა სწორედ კვალიფიციური პედაგოგთა და ეს საკითხი, საბოლოო ჯამში, მომავალი თაობის განათლებას ეხება.

დღეს დარგობრივი მახასიათებლების სახით უკვე არსებობს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნა პროგრამები. რეალურად, ეს ის სავალდებულო

მინიმუმია, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პედაგოგის განათლების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა და ის შედეგები, რომელზეც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაიყვანონ მათ მიერ მომზადებული მასწავლებლები. სწორედ დარგობრივმა მახასიათებელმა მისცა საშუალება უნივერსიტეტებს დიდი ადგილი დაეთმოთ პროგრამებში პრაქტიკის კვლევისა და პროფესიულ პრაქტიკისათვის.

თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების განვითარება წარმოუდგენელია პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ნებისმიერი თეორიული საკითხის აკარგვიანობის შესახებ მსჯელობა მხოლოდ პრაქტიკაში მისი გამოცდისა და შედეგების კრიტიკულად გაანალიზების საფუძველზეა შესაძლებელი. თეორიის პრაქტიკასთან კავშირს და კერძოდ პედაგოგიური მეცნიერების თეორიული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას არაერთი გამოკვლევა მიემდგვნა, არაერთხელ გაშუქდა ეს საკითხი მონოგრაფიულ გამოკვლევებსა, თუ პედაგოგიური პრესის ფურცლებზე.

განსაკუთრებით აქტუალურად დგას პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძირეული გარდაქმნის თანამედროვე პირობებში სკოლის რეფორმის წარმატებით განხორციელება, სკოლის აყვანა თვისობრივად ახალ დონეზე შეუძლებელია პედაგოგიური მეცნიერების მიღწევების, სწავლებისა და აღზრდის პროგრესული ფორმების და მეთოდების გარეშე.

პროფესიული პრაქტიკა ემსახურება კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაიზიარონ და შეისწავლონ სწავლა-სწავლების მიმართულებით წარმატებული სკოლის პრაქტიკა და გამოცდილება. ნახონ თუ რა ფაქტორები განაპირობებს წარმატებას, დასვან შეკითხვები, შეისწავლონ სწავლების ეფექტური სტრატეგიები.

პრაქტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები), კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი. პრაქტიკა ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზნები და მოსალოდნელი სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და გასაგებია ყველა დაინტერესებული მხარისათვის (სტუდენტი, დამსაქმებელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი).

პრაქტიკის მნიშვნელობა სტუდენტისათვის – აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; – ჩართვა იმ პროცესებში, რომლებიც არაა იოლად მისაღწევი უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები); – სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება და ახალი კომპეტენციების გამომუშავება; – პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის. პრაქტიკის მნიშვნელობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის – კონტაქტების გაღრმავება შრომის ბაზართან და საგანმანათლებლო პროგრამის განახლება, მისი მოდიფიცირება და მოდერნიზაცია საზოგადოების სწრაფცვალეზადი მოთხოვნებიდან გამომდინარე; – კვლევის პოტენციური სფეროების გაფართოება; – კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმებისთვის ხელშეწყობა. პრაქტიკის მნიშვნელობა საწარმოს/ორგანიზაციისათვის – ახალი იდეების მიღება მოტივირებული სტუდენტებისაგან; – მოქნილობა დასაქმების საკითხებში (უკეთ მომზადებული და მოტივირებული სამუშაო ძალა); – კარგი საზოგადოებრივი ურთიერთობები; – საგანმანათლებლო პროგრამაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; – მოტივირებული ადამიანების დასაქმების შედარებით იაფი გზა.

სტუდენტის პრაქტიკული მომზადების ბაზა სკოლაა, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კვლავ ბრუნდება სამუშაოდ. ასეთი ურთიერთობის გამო უნივერსიტეტი ვალდებულია მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს სკოლასთან, რაც აამაღლებს იმ მეთოდისტიკის პასუხისმგებლობას, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკოლებში სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკას. როგორც წესი, მეთოდისტი თვით უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი, უნდა მუშაობდეს სკოლაში მასწავლებლად და სრულყოფდეს თავის ოსტატობას; მან პირადი მაგალითით, სწავლების პროგრესული მეთოდებით, მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებით და მოქმედებით სტუდენტებს უნდა ჩამოუყალიბოს მასწავლებლისა და აღმზრდელისათვის საჭირო თვისებები. კერძოდ:

- სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;
- გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება;
- სასწავლო პროცესში სწავლების საშუალებათა შერჩევა, მომზადება და საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურად გამოყენება;

- მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიების და აქტივობების ეფექტიანად შერჩევა და მათი გამოყენება;

- კლასგარეშე მუშაობა (საკლუბო, საწრეო და სხვ.), სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა და ეფექტურად წარმართვა.

- მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება; შეფასების სქემების და რუბრიკების შედგენა.

- მოსწავლეზე დაკვირვება და სრული ფსიქოლოგიური დახასიათება.

ამასთან ერთად, სკოლაში მეთოდისტ-მასწავლებელს შეუძლია ისეთი მასალისა და საშუალებების გამოყენება, რომელთა გაცნობაც შეუძლებელია ლექციებზე.

ახალბედა მასწავლებელს ხშირად სჭირდება დახმარება საგაკვეთილო პროცესის მართვასა და სწავლების უნარების გაუმჯობესებაში. გამოცდილ პედაგოგს შეუძლია მიაწოდოს მათ რჩევა და დაეხმაროს პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში (სასწავლო და პროფესიული გარემო, 2008, გვ. 155)

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტთა სკოლასთან დაახლოება პედაგოგიური პრაქტიკის დროს ხდება. პედაგოგიურ პრაქტიკას, მიუხედავად მრავალი დადებითისა, ის ნაკლი აქვს, რომ მომავალი მასწავლებლებისათვის სრულყოფილად ვერ ხერხდება საჭირო თვისებების ჩამოყალიბება. პრაქტიკანტმა კონტაქტი უნდა დაამყაროს ბავშვებთან, გაანალიზოს რთული პედაგოგიური სიტუაციები, გამოიმუშაოს ორგანიზატორობის უნარი და ა.შ. პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსი კი გულისხმობს ამ უნარების გამოიმუშავებას, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პედაგოგიური პრაქტიკა სკოლაში ძირითადად შემოიფარგლება ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის შესწავლით. ძირითადად გაკვეთილების ჩატარებით. ამ დროს სკოლის ადმინისტრაციის მუშაობა უყურადღებოდ რჩება, რის გამოც ორგანიზაციული საქმიანობა შეუსწავლელია.

2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გორის უნივერსიტეტის 23 სტუდენტმა გაიარა პედაგოგიური პრაქტიკა გორის პირველ და მეორე საჯარო სკოლებში. სტუდენტთა მიერ პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში წარმოდგენილ პორტფოლიოებიდან ჩანს, რომ მათ შესანიშნავად ჩაატარეს გაკვეთილები, რაზეც მეტყველებს მეთოდისტების შეფასებები, მაგრამ სტუდენტთა 70 პროცენტს გაუჭირდა საკლასო ღონისძიებების ჩატარება, „არადა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, მის მთლიანობაში, საკლასო-საგაკვეთილო სისტემის აუცილებელი დანამატია, იგი ითვალისწინებს, ერწყმის და ავსებს მას“ (მალაზონია, 2001, გვ. 339) არ ჩანს, რომ მონაწილეობა მიიღეს კათედრების სხდომებში, გაეცნენ დამრიგებლის, მანდატურის ან თუნდაც სკოლის დირექტორის ან მოადგილის ფუნქციებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლები ზერელედ ეკიდებიან პედაგოგიურ პრაქტიკას. ეს გამოწვეულია იმით, რომ სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებას შორის არ არის მყარი ურთიერთკავშირი. ხშირად სკოლა უნივერსიტეტს საყვედურობს, რომ ვერ იღებს კარგად მომზადებულ ახალგაზრდა კადრს, რომ განათლების სპეციალობის კურსდამთვრებული უმტკივნეულოდ ვერ ეგუება მისთვის ახალ გარემოს, სკოლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სტუდენტი საქმიანობდეს სკოლაში. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად ვეცადეთ სტუდენტთა პრაქტიკები ისე დაგვეგეგმა, რომ კვირაში ერთი-ორი დღე მაინც დაეთმოს პრაქტიკას სკოლაში. კერძოდ - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 30 კრედიტს. პროფესიულ პრაქტიკაში, აქედან 15 კრედიტი აქვს დათმობილი ჩამოთვალულ პედაგოგიურ პრაქტიკას 6 სასწავლო დისციპლინაში, რამეთუ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის მომავალი მასწავლებლების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად კონვერტირების უზრუნველყოფა.

სტუდენტებს ახლა უკვე მესამე კურსიდანვე აქვთ ურთიერთობა სკოლასთან, რაც მისცემს საშუალებას სტუდენტს უფრო მეტად დაუახლოვდეს სკოლას.

დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ერთობლივ მუშაობას. აქ ვგულისხმობთ თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის, ახალგაზრდა დამწყები მასწავლებლების დახმარებისა და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას.

პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილებიდან ჩანს, რომ სტუდენტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ურთიერთკავშირი შესაძლებელია სასწავლო წრეების, სასკოლო ღონისძიებების საშუალებით. დადებით შედეგებს გამოიღებს აგრეთვე სტუდენტთა შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსკლასელებთან (სადამოები, ლაშქრობები, ექსკურსიები და ა.შ.)

უნივერსიტეტები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, სანამ სტუდენტები მჭიდროდ არ დაუკავშირდებიან სკოლას, სადაც საჭირო პირობა არ ექმნებათ

პრაქტიკისათვის, მანამ მიუღწველი იქნება სასურველი ურთიერთკავშირი სკოლასა და უმაღლეს დაწესებულებას შორის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებას ხელს უწყობენ საბაზო სკოლები. საბაზო სკოლების მიზანდასახულად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ვაქციოთ მომავალი მასწავლებლების პრაქტიკული მომზადების, პედაგოგიკასა და მეთოდოლოგიაში მიღწეულ სიახლეთა დანერგვის ბაზად.

ბიბლიოგრაფია:

თერნბული, ჯ. (2009). *პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

მალაზონია, შ. (2001). *პედაგოგიკა*. თბილისი.

სასწავლო და პროფესიული გარემო. (2008). (ნაწ. III). თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

საქართველოს მთავრობა. (2004 წლის 18 ოქტომბერი). *საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ*. (#84). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

Nodar Mirazanashvili

Gori State University

THE INTERCONNECTIVITY OF UNIVERSITIES AND SECONDARY SCHOOLS IN PREPARATION OF THE PROFESSIONAL PRACTICE FOR TEACHERS RESUME

Development of the Modern Pedagogy cannot be achieved without the professional practice. The efficiency of any theoretical issue can only be concluded after its practice and critical analysis of the results.

The professional practice serves for the knowledge and skills development of the students that allows obtaining a successful practice and experience of both teaching and learning at the school. Students learn about the factors leading to success and effective strategies of teaching.

The professional practice is one of the most important aspects of the high education program. It allows students to practice in a real-life the competencies gained in the academic environment as well as to advance and develop knowledge and skills.

School is the base of the students' practice where graduates return for teaching purposes. Universities are responsible to have close contacts with schools. This will support to increase the responsibility of the Methodists who lead the professional practice of the students at the school as well.

Both university and school should serve the same goal, create the proper conditions for the practice, and support students to establish connections with the school. This will be impossible to achieve unless the interrelation of the university and the school is efficiently collaborative and strong.

Keywords: University, General education school, Practice.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტუდენტის როლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, ხარისხის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება და განვითარება, სტანდარტები, სტუდენტი, გამოკითხვები.

შესავალი

„ხარისხი“ არის კონცეფცია, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის და განათლების სისტემაში დღეს წარმოადგენს ინტენსიური განხილვის თემას. არსებობს ლოგიკური კავშირი უმაღლესი განათლების კონცეფციასა და ხარისხის სხვადასხვა მიდგომებს შორის. ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ და იგულისხმება სიტყვაში „ხარისხი“ უმაღლესი განათლების კონტექსტში, უკავშირდება ჩვენს ღირებულებებს და ფუნდამენტურ მიზნებს უმაღლესი განათლების მიმართ. ჩვენ არ შეგვიძლია შევიმუშაოთ სპეციფიკური მიდგომა ხარისხისადმი, თუ არ ჩამოვაყალიბებთ გარკვეულ ნორმებს იმის შესახებ, თუ რა შედეგი უნდა ჰქონდეს უმაღლეს განათლებას. თავის მხრივ, ის, რასაც ჩვენ დავადგენთ უმაღლესი განათლებისთვის გავლენას მოახდენს იმაზე თუ როგორ გვესმის ხარისხი, როგორ მივაღწევთ მას, როგორ ვაფასებთ ჩვენს წარმატებას მის მიღწევაში და როგორ გავაუმჯობესებთ მას.

მეთოდოლოგია - ავტორის მიერ გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვა, რაც რელევანტურია მოცემული საკითხის კვლევისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

უმაღლესი განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის კატეგორიული მოთხოვნა წამოვიდა ბაზრისა და ხელისუფლების მოთხოვნებიდან (Houston, 2008), მეოცე საუკუნის ბოლოს კი ის გადაიქცა ცალკე კვლევის ობიექტად. ბევრი ავტორი იყო ჩართული ხარისხის განსაზღვრის პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მეტად ციტირებული სტატია უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ არის 1993 წელს ლ. ჰარვი და დ. გრინის მიერ გამოქვეყნებული სათაურით „ხარისხის განმარტება“ (Harvey & Green, 1993, pp. 9-34). ავტორების მიერ შემუშავებული ხარისხის განსაზღვრება ფართოდ გავრცელდა ხარისხის კონცეფციის ანალიზში, მათ მიერ შექმნილი სტრუქტურა ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ ხარისხის განსხვავებული ცონცეფციის გავლენაზე, როგორც მნიშვნელოვან სტანდარტებზე და ხარისხის შეფასებაზე, ასევე ამ განსხვავებული კონცეფციების გაგების მნიშვნელობაზე, რათა ხელი შეუწყონ მათი უპირატესობების გარკვევას ხარისხის საკითხებთან მიმართებაში. ჰარვი და გრინი ამტკიცებენ, რომ „ეს არ არის განსხვავებული თვალსაზრისი ერთსა და იმავე საკითხებზე, არამედ სხვადასხვა შეხედულებები ერთი და იგივე ნიშის ქვეშ მდგომ სხვადასხვა საკითხებზე“. (Harvey & Green, 1993, p. 10) ხარისხის კონცეფციაზე მუშაობისას მათ განასხვავეს ხარისხის ხუთი ფორმა: ხარისხი როგორც გამორჩეულობა, ხარისხი როგორც სრულყოფილება, ხარისხი როგორც მიზანთან შესაბამისობა, ხარისხი როგორც ფასეულობა ფულისთვის და ხარისხი როგორც ტრანსფორმაცია.

ლიტერატურაში არსებობს „ხარისხის უზრუნველყოფის“ მრავალი განმარტება. ტერმინი „ხარისხის უზრუნველყოფა“ გულისხმობს სისტემურ, სტრუქტურირებულ და უწყვეტ ყურადღებას ხარისხის მიმართ ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. (Kis, 2005)

გ. ჰერმანი ვარაუდობს, რომ არსებითად ხარისხის უზრუნველყოფა ეხება სისტემურ მენეჯმენტს და შეფასების პროცედურებს, რომლებიც მიღებულია განსაზღვრული ხარისხის ან გაუმჯობესებული ხარისხის მიღწევის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა ენდნონ ხარისხის მართვასა და მიღწეულ შედეგებს (Harman, 1998).

ლ. ჰარვის და ბ. ასკლინგის აზრით, ხარისხი ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევების აშკარა და ბუნებრივი ელემენტი და ლექტორ-მასწავლებლებისთვის პროფესიული პასუხისმგებლობების ნაწილი. 90-იან წლებში უნივერსიტეტებს უნდა ეჩვენებინათ თავიანთი საქმიანობის ხარისხი, უნივერსიტეტები მიჩვეულები იყვნენ, რომ წარმატება ან ტრანსფორმაცია დაენახათ, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის საკვანძო

მაჩვენებელი, მაგრამ ახლა უმაღლესი განათლების „ეს საკუთრება“ გადაიქცა კონტროლის მექანიზმად (Harvey & Askling, 2003).

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური პროცედურები და შეფასების გზით მიღებული განვითარების შესაძლებლობა დასავლეთ ევროპაში მოქმედებდა 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან. ხარისხის უზრუნველყოფა ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად ხდება უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი. მრავალი წლის განმავლობაში, უმეტეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდათ შემოწმებისა და შეფასების სხვადასხვა მექანიზმი. ახალი არის ის, რომ უმაღლეს განათლებაში გაჩნდა უფრო სისტემატური და შორსმჭვრეტელი მიდგომები იმის უზრუნველყოფისთვის, რომ დაწესებულებებსა და სისტემებს ჰქონდეთ გადახედვისა და შეფასების, ასევე განახლებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. არსებულ მიდგომებთან შედარებით, ახალი მექანიზმები გაცილებით მეტ აქცენტს აკეთებს შიდა კონტროლზე, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა შეხედულებებით ინტერესდება და სხვადასხვა გზით იძლევა მიღებული შედეგების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. 2007 წელს ნაშრომში “Transforming Quality Evaluation: Moving on” ბ. სტენსაკერი და ლ. ჰარვი ამ პროცესებს ასე აჯამებენ:

- „თავიდან ყურადღება ექცეოდა დიზაინის საკითხებს და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და უმაღლესი განათლების მმართველობას შორის დამოკიდებულებას;
- იყო პერიოდი, როდესაც დიდი ინტერესი ენიჭებოდა მეთოდოლოგიურ საკითხებს;
- შემდეგ დიდი ყურადღება ეთმობოდა ადამიანურ ფაქტორებს;
- იზრდებოდა მმართველობის მიერ წამახალისებელი ინტერესი ხარისხის მიმართ და თანამშრომლებისა და სტუდენტების თანამონაწილეობის სტიმულირების საშუალებები;
- უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ინაწილებენ პასუხისმგებლობას მიღებული შედეგების გამო;

- ამჟამად, უმაღლესი განათლება შედის იმ ხანაში, რომელშიც ყველაზე უფრო დეტალურადაა წარმოსადგენი ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის პროცესების გავრცელების შესაძლებლობები“.

ლ. ჰარვი და ბ. ასკლინგი ამტკიცებენ, რომ თავიდანვე ხარისხის უზრუნველყოფა გამოიყენეს როგორც პოლიტიკის მოთხოვნების გავრცელების საშუალება. მათი აზრით, ხარისხის უზრუნველყოფა მუშაობს, როგორც პოლიტიკით გამოწვეული ცვლილების წახალისების მექანიზმი. ეს უფრო რელევენტურს ხდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აფართოებს წვდომას სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების მიმართ, ზრდის რაოდენობას.

ხარისხის უზრუნველყოფას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი მიზანი: **ანგარიშვალდებულება და განვითარება**. მუდმივი კამათი ანგარიშვალდებულებისა და განვითარების შესახებ ისეთივე ძველია, როგორც ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში. მცნება **ანგარიშვალდებულება** უმაღლეს განათლებაში ფართოდ იქნა გამოყენებული ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან. ანგარიშვალდებულება ეხება ისეთ პროცესებს, რომლებიც აფასებენ თუ როგორ აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან საგანმანათლებლო პროგრამა მინიმალურ სტანდარტებს.

ლ. ჰარვი და ჯ. ნიუტონი ანგარიშვალდებულებას განსაზღვრავენ, როგორც მთავარ საფუძველს, მაგრამ ისინი მსჯელობენ თუ კონკრეტულად რა არის პასუხისმგებლობა, ან რას მოითხოვს ეს სექტორი. ის, თუ როგორ არის იგი დაკავშირებული უმაღლესი განათლების ხარისხთან, მსჯელობაში ნაკლებად ჩანს. მათი აზრით, ყველაზე ხშირად პასუხისმგებლობის ამადლების მიზეზებს მოიცავს ღირებულებები და გავრცელების პოტენციური/შესაძლო პრობლემები (Harvey & Newton, 2007).

ხარისხის განვითარება ორიენტირებულია გაუმჯობესების პროცესებზე. გაუმჯობესება პოტენციურად დამოკიდებულია განმარტებებისა და ინტერვენციების განვითარებაზე, რაც აისახება მიზნობრივ სექტორში მყოფთა ინტერესებსა და პრობლემებზე. მუდმივი განვითარება მიზნად ისახავს დაწესებულების მუდმივ ზრდას სწავლებისა და ადაპტაციის გზით, როგორც დაწესებულების წარმატების მიღწევის მთავარი საშუალებების, რაც ასევე წარმოადგენს ხარისხის მენეჯმენტის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას. ლ. ჰარვი და ბ. ასკლინგი აღნიშნავენ, რომ განვითარება არის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მეორადი თვისება, მიუხედავად უმეტესი შეფასების რეკომენდაციისა, რომ წახალისებული იქნას გაუმჯობესება.

ჯ. ბრენანი და თ. შაპი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომელიც აჯამებს ხარისხის უზრუნველყოფის მოდელებს (ცხრილი 1). ცხრილში მოცემულია **ხარისხის ფასეულობები და იდეები** იმის შესახებ, თუ რა არის უმაღლესი განათლების ხარისხი, განსაზღვრულია მიდგომები ხარისხის მართვისა და შეფასებისკენ.

ტიპი 1 - აკადემიური	საგანზე ფოკუსირებული - ცოდნა და კურიკულუმი; აკადემიური პერსონალი; ინსტიტუციაში არსებული ხარისხის შესახებ ფასეულობები ცვლადია;
ტიპი 2 - მენეჯერული	ინსტიტუციაზე ფოკუსირებული - პოლიტიკის დოკუმენტები და პროცედურები; მმართველობა; ინსტიტუციაში არსებული ხარისხის შესახებ ფასეულობები უცვლელია;
ტიპი 3 - პედაგოგიური	ადამიანებზე ფოკუსირებული - უნარები და კომპეტენცია; თანამშრომლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობა; ინსტიტუციაში არსებული ხარისხის შესახებ ფასეულობები უცვლელია;
ტიპი 4 - დამსაქმებლის პერსპექტივიდან	შედეგზე ფოკუსირებული - კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგები; დამსაქმებლები; როგორც ხარისხის ფასეულობების სტანდარტი, ისე ხარისხის ფასეულობები ცვლადია.

ცხრილი 1: ხარისხის უზრუნველყოფის ტიპები.

მათი ანალიზის თანახმად, ხარისხისადმი მიდგომები და ხარისხის უზრუნველყოფის ფოკუსი, დამოკიდებულია ხარისხის ღირებულებებზე და იმ იდეაზე, თუ რა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მაღალ ხარისხს (Brennan & Shah, 2000).

2005 წელს უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა მიიღეს დოკუმენტი, „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელიც მოამზადა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) ევროპის სტუდენტთა ასოციაციასთან (ESU), ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაციასა (EURASHE) და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA) თანამშრომლობით.

2005 წლის შემდეგ უმაღლეს განათლებაში მნიშვნელოვანი წარმატება განიცადა როგორც ხარისხის უზრუნველყოფამ, ასევე კვალიფიკაციების ჩარჩომ, განათლების აღიარებამ და სწავლის შედეგების გამოყენებამ. ყოველივე ამან თავისი წვლილი შეიტანა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისკენ პარადიგმის ცვლილებაში.

2012-2015 წლებში განხორციელდა დოკუმენტის „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები“ რევიზიის რამდენიმე ციკლი, რომ გაუმჯობესებულიყო მისი გამჭვირვალობა, გამოყენება და გამოსადეგობა, მათ შორის მისი მოქმედების სფეროც. უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2015 წლის მაისში მიიღეს „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015“ (შემდგომში ESG2015) (ლორთქიფანიძე, 2015), რომლის ძირითადი მიზანია „ხელი შეუწყოს სწავლასა და სწავლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან გაგებას როგორც საზღვრებს მიღმა, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის“ (ლორთქიფანიძე, 2015, გვ. 6). ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ გამოიყენება, როგორც რეფერირების დოკუმენტი უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სისტემებისთვის. უფრო მეტიც, მას იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), რომელიც პასუხისმგებელია ESG2015-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრზე.

ESG2015 არის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს იმ სფეროებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმაღლეს განათლებაში წარმატებული სასწავლო გარემოსა და ხარისხიანი საქმიანობისათვის. სახელმძღვანელო ვრცელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე სწავლის ფორმისა და განხორციელების ადგილის მიუხედავად.

დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ცენტრშია ანგარიშვალდებულებისა და განვითარების ორმაგი მიზანი. ამგვარად, ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის განვითარება

ურთიერთკავშირშია. მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ხარისხის კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ყველას: სტუდენტებიდან და აკადემიური პერსონალიდან დაწყებული, უსდ-ს ხელმძღვანელობითა და მენეჯმენტით დამთავრებული.

მთელს მსოფლიოში, სტუდენტები უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, მათ მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების შესახებ უკუკავშირის მიწოდებით და მათი გამოცდილების შესახებ ზოგადი კმაყოფილების გამოხატვით. ამ თემაზე არსებული ლიტერატურის გაანალიზებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ სტუდენტები უფრო და უფრო არიან ჩართული ხარისხის შეფასებაში და საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. სტუდენტების ხმა უფრო და უფრო მეტად ისმის მათგან მიღებული უკუკავშირის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების განვითარებას, გამოიყენება უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვადასხვა გზით წარმოაჩენს სტუდენტების შეხედულებებს.

უკუკავშირის მიცემა არის ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომლის საშუალებითაც სტუდენტები მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაში. უმაღლესი განათლების სულ უფრო კონკურენტული გარემო აიძულებს უნივერსიტეტებს აკონტროლონ სტუდენტების კმაყოფილების დონე. მნიშვნელოვანია თუ როგორ, როდის და რა სახის უკუკავშირის აძლევენ სტუდენტები. როგორც წესი, უკუკავშირის მიღება ხდება ყოველი სასწავლო კურსის შემდეგ, ან ერთხელ მაინც სემესტრში. ითვლება, რომ სტუდენტის უკუკავშირი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტი. სტუდენტთა კმაყოფილება მნიშვნელოვანია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კულტურის განვითარებისთვის. ჯენიფერ როულის სტატიაში „Designing student feedback questionnaires“, რომელიც გამოქვეყნდა 2003 წელს, მოცემულია ოთხი მთავარი მიზეზი, თუ რატომ უნდა მიიღონ უნივერსიტეტებმა სტუდენტებისგან უკუკავშირი: სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გააკეთონ **კომენტარი სასწავლო კურსებზე** და შეგროვდეს ინფორმაცია გაუმჯობესების მიზნით; მოხდეს **სტუდენტთა რეფლექსია** მათი სწავლის შესახებ; ინსტიტუციები შეძლებენ გააკეთონ **ბენჩმარკინგი**¹ და მოიძიონ ის **ინდიკატორები**, რომელიც გაზრდის უნივერსიტეტის რეპუტაციას შრომის ბაზარზე; და სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი **კმაყოფილების დონე** აკადემიური განათლების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში და საქართველოში ჩატარებული სტუდენტთა კვლევები.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტების მოსაზრებები აკადემიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, ძირითადად თავმოყრილია, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგად. ინგლისის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭო (HEFCE) ატარებს სტუდენტთა ეროვნულ გამოკითხვებს, რომ შეაგროვოს **სტუდენტების უკუკავშირი სასწავლო კურსების ხარისხის** შესახებ. სტუდენტთა ეროვნული გამოკითხვა დაიწყო 2005 წელს და მიზნად ისახავდა დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს და აინტერესებდა სტუდენტების შეხედულებები სწავლების, შეფასებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, უნივერსიტეტებსა თუ სასწავლო კურსებში. კვლევაში მოცემულია ასპექტები, რომლებიც ეხება სწავლებას, შეფასებასა და უკუკავშირს, აკადემიურ დახმარებას, ორგანიზაციასა და მენეჯმენტს, სასწავლო რესურსებსა და პირად განვითარებას. შედეგები გამოიყენება მთავრობისა და დაფინანსების ორგანოების მიერ უნივერსიტეტების წარმატებული საქმიანობის დემონსტრირებისთვის. ინგლისის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოს მიერ ჩატარებული სტუდენტთა ეროვნული გამოკითხვა ასახავს სტუდენტების **მზარდ კმაყოფილებას** (Office for Students, n.d.).

ავსტრალიაში სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გამოკითხვა პირველად ჩატარდა 1999 წელს და მოიცვა ყველა ბაკალავრიატის სტუდენტი. შემდგომში გამოკითხვა ტარდებოდა ყოველწლიურად ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. ამ კვლევაში **დასმული კითხვები მოიცავდა სტუდენტური გამოცდილების სხვადასხვა ასპექტს**. გამოკითხვას ადმინისტრირებას უწევდა განათლების შეფასების განვითარების სამსახური, შედეგები კი საჯაროდ იყო განთავსებული, როგორც ინსტიტუციური ხარისხის ინდიკატორების სისტემის ნაწილი. სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გამოკითხვას წინ უძღოდა კვლევა, სადაც მსგავსი კითხვები იქნა დასმული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის და ტარდებოდა 1993 წლიდან. ორივე კვლევას ახორციელებდა საჯარო სააგენტო. კვლევაში **მონაწილეობა იყო სავალდებულოა და კვლევის შედეგები საჯაროდ** იყო წარმოდგენილი (James Cook University, n.d.).

¹ პროცესი, რომლის საშუალებით ინსტიტუცია პერმანენტულად ახორციელებს თავისი მახასიათებლების შედარებას მსოფლიო მასშტაბით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/საგანმანათლებლო პროგრამებთან და ახდენს თვითშეფასებას, რათა მიიღოს საკუთარი მახასიათებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია.

„უმაღლესი განათლების სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა“ 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა. კვლევაში მონაწილეობდა საქართველოში არსებული 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები. კვლევა მოიცავდა სწავლებისა და სწავლის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტის ირგვლივ საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში ინფორმაციის მოძიებას. კვლევაში გამოყენებული იყო როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მონაცემების ინტეგრირებით განხორციელდა სწავლებისა და სწავლის მიმართულებით არსებული ძირითადი პრობლემების გამოყოფა და ასეთი კვლევების სისტემისა და ინსტიტუციის დონეზე გამოყენების მნიშვნელოვნებისა და შეზღუდვების შეფასება.

აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტების აზრით, **მათ ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა ითანამშრომლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, როგორცაა დეკანი, ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო განყოფილება, და სხვ.**, შესაბამისად სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა იმსჯელონ ან გამოხატონ საკუთარი აზრი საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის შესახებ. თუმცა, ამავე კვლევაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე გარკვეული წარმოდგენები და საკუთარი ხედვები გააჩნიათ, რასაც კვლევაში მოყვანილი სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პრობლემები მიუთითებს; ასე მაგალითად, უფრო მეტი კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოები, უცხო ენის სწავლების გაუმჯობესება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და რესურსების უფრო ხშირი გამოყენება, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის - ინტერნეტის, ბიბლიოთეკის, სველი წერტილების - გაუმჯობესება, სტუდენტების თავშეყრის სივრცის არარსებობა და ა.შ.

კვლევის რესპონდენტმა სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს სტუდენტების ნაკლებ მზაობასა და აკადემიური ცხოვრებისთვის მოუმზადებლობას. ეს კი განპირობებულია ზოგადი განათლების მიღების დროს ნაკლები ინფორმაციის მიწოდებით სტუდენტური ცხოვრების შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ „უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის სტუდენტების რაოდენობის შეუსაბამობა ხელმისაწვდომ რესურსებთან და სტუდენტების დაბალი აკადემიური მზაობა. ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ზოგადი განათლების დაბალი ხარისხით აიხსნება. ისინი თვლიან, რომ უმაღლესი განათლებაში არსებული ყველა პრობლემა კომპლექსურად უნდა იქნას განხილული და აისახოს რეფორმის სახით თანმიმდევრულ ნაბიჯებში“ (ანდლულაძე & ბრეგვაძე, 2014).

შედეგები

როგორც ვხედავთ სტუდენტთა ეროვნული კვლევები მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი კომპონენტი. გამოკითხვებში მონაწილეობით სტუდენტები თამაშობენ სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ხარისხის უზრუნველყოფაში. უდავოა, რომ ასეთი კვლევების მეშვეობით სტუდენტი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ძალა ხდება უმაღლესი განათლების ხარისხის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა სწავლა-სწავლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა პროცედურაა, გამოკითხვის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება იძლევა იმის საშუალებას, რომ ინსტიტუციის შიგნით მიმდინარე პროცესები გახდეს ფართო მასშტაბისთვის ხელმისაწვდომი, საზოგადოებას გაუჩნდეს ნდობა უმაღლესი განათლებისადმი და ურთიერთობები განათლების ამ სისტემის აქტორებს შორის ნდობის ფაქტორზე იქნეს დამყარებული. სისტემური და ინსტიტუციური უნდობლობა აფერხებს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიტიურ განვითარებას. სტუდენტური კვლევები მისცემს შესაძლებლობას სტუდენტებს, მათ მშობლებს, დამსაქმებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. ამიტომაცაა, რომ სტუდენტთა გამოკითხვები სულ უფრო სანდო და სასარგებლო ინსტრუმენტი ხდება უმაღლესი განათლების ბაზარზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენჩმარკინგისთვის და უმაღლესი განათლების ხარისხის მონიტორინგისთვის. აქ ასევე საყურადღებოა ნდობის კონკრეტული ზნეობრივი და პროფესიულ-ეთიკური კონოტაციები, კერძოდ პატიოსნება, ობიექტურობა, გულწრფელობა, კეთილსინდისიერება და ა.შ. ამ მიმართებით ნდობის ჩამოსაყალიბებლად ისეთი უნარების ქონაა აუცილებელი, როგორებიცაა: სოლიდარობა, სამართლიანობა, პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა ურთიერთპასუხისმგებლობა (ქეცბაია, 2020, გვ. 537).

ნდობის თეორიის წარმომადგენლები არიან პ. შტომპკა, ნ. ლუმანი, ფ. ფუკუიამა, ს. ლემეში, ს. ზმერლი, ბ. მიშტალი და სხვ. ნდობის თეორიის მიხედვით წარმატებული ის უნივერსიტეტი იქნება, რომელიც ნდობის არა მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუციურ, არამედ ზნეობრივ პოტენციალს მიაქცევს მეტ ყურადღებას. ისტორიულად საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა ნდობის თეორიის პრინციპებზე იყო ორიენტირებული. დღეს საქმე სხვაგვარადაა და, შესაბამისად,

უნივერსიტეტებისადმი ნდობა საზოგადოებაში არც ისე მაღალია. ამას ემატება პროფესორის, ზოგადად მასწავლებლის, სოციალური სტატუსის დევალვაციაც.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ უნივერსიტეტების მიზანი არ არის შეცვალონ სტუდენტების ღირებულებები უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე. თუმცა, სწორად შერჩეული შეფასების ინსტრუმენტებით, უნივერსიტეტებს შეუძლიათ განსაზღვრონ ის სფეროები, სადაც სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესება გაზრდის იმ შანსებს, რითაც სტუდენტები მიაღწევენ საკუთარ საგანმანათლებლო და პირად მიზნებს და შესაბამისად გაიზრდება უნივერსიტეტისადმი მათი ნდობის დონე. ამიტომ, თუ სტუდენტები მართლაც მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის, უმჯობესი იქნება გამოვიკვლიოთ სინამდვილეში რა ახდენს გავლენას მათ სწავლაზე და სინამდვილეში რა წარმოადგენს ხარისხს სტუდენტების თვალსაზრისით, ვიდრე ამგვარი ფართომასშტაბიანი გამოკითხვების ჩატარება. კვლევების ეფექტიანობისთვის გასათვალისწინებელია უნივერსიტეტების იმ თანამშრომლების ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რომლებიც მსგავსი კვლევების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობენ. საქართველოს უნივერსიტეტებში, როგორც წესი, მსგავს კვლევებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები ატარებენ. მათ უმრავლესობას აქვთ აკადემიური უმაღლესი განათლება, თუმცა არ აქვთ მიღებული სპეციალური განათლება ამ მიმართულებით. შესაბამისად, ეს კვლევები შესაძლებელია გამოვიყენოთ უფრო როგორც “case study”¹, რომ გავიგოთ თუ როგორ ესმით სტუდენტებს ხარისხი, რა სახის განათლებაა მათთვის ხელსაყრელი, ან როგორ უნდა მიაღწიონ ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას სტუდენტების სწავლა-სწავლებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტეგრირებით, და ასევე მათი დახმარებით იდენტიფიცირებული და გაანალიზებული უნდა იქნას ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აწყდებიან კვლევების ჩატარების და მათი დამუშავების დროს.

ბიბლიოგრაფია:

- ანდლულაძე, ნ., & ბრეგვაძე, თ. (2014). *უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა: კვლევის ანგარიში*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/Student%20satisfaction%20survey%20-%20ge.pdf>
- ლორთქიფანიძე, თ. (რედ.). (2015). *უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები: ESG 2015*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG_2015.pdf
- ქეცბაია, ვ. (2020). *განათლების სოციოლოგია*. თბილისი: უნივერსალი.
- Brennan, J., & Shah, T. (2000, October). Quality Assessment and Institutional Change: Experiences from 14 Countries. *Higher Education*, 40(3), 331-349. Retrieved from <https://www.jstor.org/stable/3448038?seq=1>
- Harman, G. (1998). Supporting Quality Research in Institutions of Higher Education. *Australian Journal of Education*, 42(3), 285-302. doi: <https://doi.org/10.1177/000494419804200306>
- Harvey, L., & Askling, B. (2003). Quality in Higher Education. In R. Begg (Ed.), *The Dialogue between Higher Education Research and Practice*. Springer. doi: https://doi.org/10.1007/978-0-306-48368-4_6
- Harvey, L., & Green, D. (1993). Defining Quality. *Assessment & Evaluation in Higher Education*, 18(1), 9-34. Retrieved from <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0260293930180102>
- Harvey, L., & Newton, J. (2007). Transforming Quality Evaluation: Moving On. In D. F. Westerheijden, B. Stensaker, & M. J. Rosa (Eds.), *Quality Assurance In Higher Education: Trends in Regulation, Translation and Transformation* (pp. 225–245). Springer.
- Harvey, L., & Stensaker, B. (2008). Quality culture: understandings, boundaries and linkages. *European Journal of Education*, 43(4), 427-442. Retrieved from <https://www.qualityresearchinternational.com/Harvey%20papers/Harvey%20and%20Stensaker.pdf>
- Houston, D. (2008). Rethinking quality and improvement in higher education. *Quality Assurance in Education*, 16(1), 61-79. doi: <https://doi.org/10.1108/09684880810848413>
- James Cook University. (n.d.). *Student Experience Survey (SES)*. Retrieved from <https://www.jcu.edu.au/learning-and-teaching/teaching-evaluation/student-experience-survey>

¹ ქართულად - შემთხვევის ანალიზი

- Kis, V. (2005, August). Quality Assurance in Tertiary Education: Current Practices in OECD Countries and a Literature Review on Potential Effects. Tertiary Review. Retrieved from <https://www.oecd.org/education/skills-beyond-school/38006910.pdf>
- Office for Students. (n.d.). *National Student Survey - NSS*. Retrieved from <https://www.officeforstudents.org.uk/advice-and-guidance/student-information-and-data/national-student-survey-nss/>
- Rowley, J. (2003). Designing student feedback questionnaires. *Quality Assurance in Education*, 11(3). Retrieved from https://www.researchgate.net/publication/41199357_Designing_student_feedback_questionnaires

Tamar Remishvili

Georgian Technical University;

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

**QUALITY ASSURANCE SYSTEM OF HIGHER EDUCATION AND THE ROLE OF STUDENT IN THE SYSTEM
RESUME**

In this paper, the author discusses the purpose and function of Quality Assurance, how to ensure compliance with the basic principles of Higher Education using this mechanism, Quality Assurance models presented by individual researchers and modern standards of Quality Assurance. The author discusses the role of students in the quality assurance system.

The author argues that creating a Quality Culture and making a long-term commitment to continuous development in the academic system by involvement of all stakeholders in the activities of the Higher Education Institution, especially the involvement of external quality assurance evaluators - students - in reference with the feedback getting from them.

According to the author, students involvement in surveys made by Quality Assurance of Georgian Higher Education Institutions will give the public confidence in Higher Education.

It is important to take into the consideration by the institutions the challenges that accompany these surveys.

Keywords: Higher Education, Quality Assurance, Accountability and enhancement, Standards, Student, Surveys.

*პაატა ქურდაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

პიროვნების ინიციაციის პრობლემატიკა „ვეფხისტყაოსანში“

საკვანძო სიტყვები: ინიციაცია, მისტერია, ეზოთერიკა, ხელდასხმა.

როგორც პედაგოგიკის ისტორიიდან და სულიერი მეცნიერებიდან ცნობილია, ტერმინი ინიციაცია ნიშნავს: „საიდუმლებათა შესრულებას, პირველყოფილ საზოგადოებაში: ჭაბუკობის განდობის, დალოცვის ცერემონიას, რის შემდეგ ისინი ითვლებოდნენ დასრულებულ მამაკაცებად; მე-19 საუკუნეში ჯერ კიდევ მისდევდნენ ამ წეს-ჩვეულებას ამერიკელი ინდიელები, აფრიკელები და სხვ. (ვასაძე, 1998, გვ. 7) ასევე ინიციაცია ნიშნავს „საიდუმლოთა და წესთა ერთობლიობას, რომლებიც თან ახლავს ინდივიდს ან პირთა ჯგუფის ერთი ცხოვრებისეული მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლას. პრიმიტიულ ხალხებში აღნიშნავს მომწიფების ასაკიდან ზრდასრულ ადამიანის ცხოვრებაზე გადასვლას, ეზოთერიკულ რელიგიებში – საერო სამყაროდან საღმრთო ცხოვრების წესზე გადასვლას. როგორც წესი, ინიციაცია სამ ეტაპს მოიცავს: 1) კანდიდატის მისი ჩვეული სამყაროდან განცალკევებას; 2) გამოცდას,

რომლის დროსაც კანდიდატმა წინააღმდეგობის გაწევის უნარი უნდა გამოავლინოს; 3) მიღებას, ანუ თვით დადგინების წესს. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) ამრიგად, ინიციატივა ეს არის ძველი სამყაროს აღზრდის სწავლისა და პიროვნების ფორმირების მისტიკური ფორმა.

როგორც ანთროპოლოგიიდან და სულის მეცნიერებებიდან ცნობილია, საღმრთო ცხოვრების წესზე გადასვლა მიიღწევა ზენა სამყაროს შემეცნებით. ასეთი შემეცნების ძირითადად ორგვარი გზა არსებობს. ძველი ლეთარგიული ძილის მდგომარეობა. ეს პროცესი ანუ სწავლება და მზადება გრძელდებოდა წლების მანძილზე, რომლის დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა სპეციალური ბალახებით დამზადებული ძილის მომგვრელი „ბანგით“ მოსწავლის ლეთარგიულ ძილის მდგომარეობაში გადაყვანა (ეს პროცესი შეიძლება მიახლოებით შევადაროთ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობას). ამ დროს მისი ასტრალი გარკვეულად გამოდიოდა ფიზიკური სხეულიდან. ამის შემდეგ მას განსწავლული მოძღვრები, ქურუმები უკითხავდნენ სპეციალურ ტექსტებს სამი დღის განმავლობაში და მერე გამოყავდათ ამ მდგომარეობიდან და მეოთხე დღეს აფხიზლებდნენ. ეს იყო ხელდასხმის ძველი ფორმა, რომელიც მოიცავდა შვიდ საფეხურს, მათ ყველას თავისი სახელწოდება გააჩნდა, ასე მაგალითად, მეხუთე რანგის ხელდასხმის მქონე პიროვნებას ეწოდებოდა თავისი ერის სახელი, ხოლო უმაღლესი მეშვიდე რანგის ხელდასხმულს – „მეუფე“ (შტაინერი, 1993). ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ამონარიდი იოანეს სახარებიდან, როდესაც მაცხოვარი მიუთითებს ნათანაელზე როგორც ჭეშმარიტ ისრაელიანზე: „იესომ რომ დაინახა მისკენ მიმავალი ნათანაელი, თქვა მასზე: „აჰა ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა.“ ნათანაელმა ჰკითხა: საიდან მიცნობ?“ იესომ მიუგო: „ვიდრე ფილიპე დაგიძახებდა, ლედვის ქვეშ მყოფი, დაგინახე.“ ნათანაელმა უპასუხა მას: „რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ ისრაელის მეფე.“ მიუგო იესომ და უთხრა: შენ იმის გამო გწამს, რომ გითხარი, ლედვის ქვეშ დაგინახე-მეთქი? ამაზე მეტს იხილავ.“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 178-179). აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, ნათანაელს უკვე გავლილი ჰქონდა გარკვეული ეტაპი ხელდასხმისა და მან იფიქრა, რომ კაცი, რომელმაც ეს შეამჩნია, მასზე მაღალი რანგის სულიერი განათლების იყო, კერძოდ, უმაღლეს ეტაპზე მყოფი და იმიტომ უწოდა მას მეფე. ხოლო ქრისტემ უპასუხა მას, ის ჩვეულებრივი უმაღლესი ხელდასხმის, ანუ მეუფის რანგის რაბი კი არ არის, არამედ თუ მას გაჰყვებოდა მეტსაც იხილავდა, ანუ ის ღვთის ძეა და, რა თქმა უნდა, ამას ნათანაელი მიხვდა. ამრიგად, ახალ აღთქმაში მოხსენიებულია ძველი ხელდასხმის ანუ სულიერი არაფხიზელი განათლების შესახებ. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ ეტაპობრივად როგორ მიიღწევა ზენა სამყაროს შემეცნება. შემდეგ კი ვნახოთ, თუ როგორ არის ეს წარმოდგენილი შოთა რუსთაველის მიერ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ (რუსთაველი, 1988).

ხელდასხმის საწყის საფეხურს წარმოადგენდა „განწმენდა“, ანუ „კათარზისი“. ამ საფეხურზე ადამიანის არსში წარმოიქმნებოდა ახალი სულიერი სამყაროს შემეცნებისათვის საჭირო ორგანოები. აქ მხოლოდ გარკვეული აზრობრივი სავარჯიშოები არ იგულისხმებოდა. აქ აუცილებელი მომენტი იყო ცხოვრების გარკვეული წესის დაცვა. შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა „გასხივოსნება“ ამ საფეხურზე ადამიანს წინა საფეხურზე განვითარებული ორგანოების საშუალებით ხდებოდა სულიერი სამყაროს სახეების აღქმა დაბალ საფეხურზე ხატ-სახეებში, ანუ ადამიანი ხედავდა არა სულიერ არსებებს, არამედ მათ ხატ-სახეებს. შემდეგ ეტაპზე ხდებოდა ე.წ. სულიერი სმენის განვითარება, „სფეროთა მუსიკის“ აღქმის უნარის შექმნა. ამ ეტაპზე სულიერი სამყაროს არსებები წარმოდგებოდა მოსწავლისათვის, როგორც მუსიკალური ჟღერადობა. ეს არ არის ის მუსიკა, რომელიც ადამიანის ყურით აღიქმება.

ყოველივე ზემოთ თქმულს ცნობილი ქართველი ეზოთერისტი ოთარ ქვრივიშვილი ასეთი შედარებით ხსნის (ქვრივიშვილი, 2006, გვ. 67): წარმოვიდგინოთ, რომ ვდგავართ ფარდასთან და ფარდის უკან რაღაც ხდება. გასხივოსნების პირველ საფეხურზე ჩვენ მხოლოდ რაღაც ჩრდილებს ვხედავთ. ეს ჩრდილები უნდა შეუსაბამოთ ჩვენთვის ნაცნობ საგნებს და არსებებს. ამ დროს ზუსტად ვერ ვხედავთ, რა ხდება ფარდის იქით, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა მაინც გვექმნება იქ მიმდინარე პროცესებზე. გასხივოსნების შემდეგ საფეხურზე ადამიანს უვითარდება უნარი ფარდის მეორე მხრიდან ისმინოს გარკვეული ბგერების ჟღერადობაც. შემდგომ საფეხურზე მოწაფისთვის ფარდა გაიხსნება და იგი უკვე ხედავს უშუალოდ სულიერ არსებებს და იქ მიმდინარე პროცესებს. ამ საფეხურს მისტერიების ენაზე „ცეცხლით გამოცდა“ ეწოდება. ჩვენთვის ცნობილი ხედვისაგან განსხვავებით მოწაფე ხედავს საგნებისა და მოვლენების ნამდვილ სულიერ არსს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს გრძნობადი ფიზიკური სამყაროს საბურველი (ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი ადამისათვის ეს ყველაფერი დაფარულია). აქ მიმდინარე პროცესები ისეთნაირად არის წარმოდგენილი, რომ ის შეესაბამება გარკვეული მიახლოებითი გრძნობადი სამყაროსადმი დამახასიათებელ წარმოდგენებს და მიგვანიშნებს რეალურად მიმდინარე პროცესებზე. ეს იყო გარკვეული შემზადება მოსწავლისთვის, რომელსაც მოსდევდა აუცილებელი მომენტი მოსწავლის მიყვანა ლეთარგიული ძილის, ანუ ნახევრად მკვდარ მდგომარეობამდე. იმიტომ, რომ ზემოთ ნახსენები მომზადება არ იყო საკმარისი სულიერი სამყაროს სრულყოფილი აღქმისათვის. ამისათვის საჭირო იყო სულიერის სახეების აღბეჭკვა ადამიანური არსების უფრო ღრმა შრეებში. ეს

უკანასკნელი კი ძველ მისტერიებში მხოლოდ ლეთარგიული ძილის პირობებში მიიღწეოდა. ლეთარგიული ძილის მდგომარეობა მისტერიების ტერმინოლოგიით განასახიერებდა სიკვდილის სამყაროში შესვლას და ამ ფიზიკურ რეალობაში სიკვდილის გამოცდილებით დაბრუნებას.

ხელდასხმის ეს უძველესი ფორმა ათასწლეულების მანძილზე წინააღმდეგობაში მოვიდა ადამიანში მომხდარი კონსტილაციების ცვლილების შედეგად ადამიანის შესაძლებლობებთან. აღარ იყო ადვილი ლეთარგიული ძილიდან ადამიანის უსაფრთხო გამოყვანა, მათი გარკვეული ნაწილი იღუპებოდა (ამის თვალსაჩინო მაგალითია მოსეს, იგივე ხოზარსიფის მეორე ხელდასხმიდან გამწვანებული გამოყვანა, რომელიც მას ჩაუტარდა ეგვიპტიდან გაქცევის შემდეგ, ახალ გარემოში, თავის სიმამრის გარემოცვაში. ამის შემდეგ მას უწოდეს მოსე ანუ ხსნილი გადარჩენილი, როგორც ამას ცნობილი ფრანგი ეზოთერიკოსი შურე ვარაუდობს (Шуре, 1995, с. 137).

ჩვენი აზრით, სწორედ ინიციაციის ძველ წესს უნდა უკავშირდებოდეს გარკვეულწილად ახალ აღთქმაში ლაზარეს მეოთხე დღეს მაცხოვრის მიერ აღდგინება. გოლგოთის მოვლენების შემდეგ, როდესაც მაცხოვარმა თავის თავზე აიღო ყველა ადამიანის ცოდვა, ეწამა ჩვენთვის, თავად ჩავიდა სიკვდილის სამყაროში და მკვდრეთით აღმდგარი ზეცად ამაღლდა. ამის შემდეგ ხელდასხმის ძველი ლეთარგიული ფორმა ახალი ქრისტიანული ხელდასხმით შეიცვალა. ინიციაციის ეს ახალი ფორმაც სულიერი სამყაროსაკენ საფეხურებრივ ამაღლებას მითხოვს, მაგრამ აქ უფრო მეტადაა წარმოჩინებული ადამიანის თავისუფალი ნება, სადაც სიფხიზლე არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველი, როგორც უდიდესი მოაზროვნე კარგად იცნობდა ამ ორივე გზას. როდესაც რუსთველი ლაპარაკობს მიჯნურობაზე, ეს სწორედ ინიციაციის ქრისტიანული ფორმაა (მიჯნურობაზე ამ შემთხვევაში ღვთისადმი სიყვარული გვაქვს მხედველობაში პირველ რიგში, ანუ მისი სულიერი შინაარსი) (ქვრივიშვილი, 2006, გვ. 48; გამსახურდია, 1991, გვ. 157).

რუსთველი პოემაში ძველ ინიციაციის ფორმებზე აგებს ძირითადად სიუჟეტს და მიუთითებს, რომ ეს ძველი ფორმა და უმჯობესია მის მაგივრად გამოვიყენოთ ახალი ქრისტიანული ინიციაციის გზა. სწორედ ამაზე მეტყველებს ნესტან-დარეჯანის შენიშვნა ტარიელისადმი. ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. მანამდე განვიხილოთ ინიციაციის ძველი ფორმები, თუ როგორ არის წარმოდგენილი პოემა „ვეფხისტყაოსანში“.

საერთოდ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ სიუჟეტი თავიდან ბოლომდე, შეიძლება ითქვას, აგებულია პოემის გმირთა პიროვნული სრულყოფის ევოლუციაზე, რომელიც ამასთანავე სურათხატოვნად წარმოადგენს მათ ინიციაციის გზას სულიერი სამყაროს ზიარებისაკენ. ეს, უკანასკნელი სხვა მკვლევრებისგან განსხვავებით, საფუძვლიანად არის წარმოდგენილი ზვიად გამსახურდიას და ოთარ ქვრივიშვილის კვლევებსა და პუბლიკაციებში (გამსახურდია, 1991; ქვრივიშვილი, 2006). მოცემულ სტატიაში ამ საკითხს განვიხილავთ მხოლოდ პოემის მთავარი გმირის ტარიელის შემთხვევაში. გავიხსენოთ ტარიელის და ინდოეთის მეფის სანადიროდ წასვლის ეპიზოდი, როდესაც მეფე ტარიელს შესთავაზებს ნახონ ნესტან-დარეჯანი (ზ. გამსახურდიას მიხედვით ის, ვინც ამქვეყნიური არ არის, ის ზენასამყაროსეულია) (გამსახურდია, 1991, გვ. 230):

„დღესა ერთსა მე და მეფე მივდიოდით გვენადირა;
მიბრძანა, თუ ქალი ვნახოთ,“ ხელი ხელსა დამიჭირა.“

ნადირობას პოემაში ბევრგან ვხვდებით: როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა, ტარიელმა ფრიდონი ნადირობის დროს ნახა, ავთანდილი ფრიდონის სამეფოში იმ დროს მიდის, როცა მისი ქვეშევრდომნი ნადირობენ. ნადირობის ალეგორია ხელდასხმის პირველ საფეხურს უკავშირდება. აქ მხეცები სიმბოლურად მოიაზრება, როგორც ადამიანის ვნებებისა და ინსტინქტების განსახიერება, ხოლო მათი დახოცვა – როგორც ამ ვნებებზე გამარჯვება. ამიტომაცაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სამივე გმირი საღმრთო ინიციაციის გზას ნადირობით იწყებს.

ადამიანური უარყოფითი ვნებებიდან განთავისუფლება მრავალ მითოლოგიაში გვხვდება. ამის მაგალითია თუნდაც ჰერაკლეს მიერ უდაბნოს ლომის დახრჩობა. ტარიელიც ამარცხებს მხეცებს: ლომებს, ვეფხვებს, დევებს. ავთანდილი კიდევ უფრო წინ მიდის ამ მიმართებით, ორბს მოკლავს და ა.შ. ამ საკითხს რუსთველი პოემაში ორგვარად წარმოადგენს: ერთი – დაბალ გასაგებ ენაზე, როცა გვეუბნება: „რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ და, მეორე, ალეგორიულად სურათ-ხატოვნად მისტერიების ენაზე.

ასევე ინიციაციის პირველი საფეხურის ძირითად მომენტს წარმოადგენს ვალის გადახდა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი მომენტი იყო, როგორც წინაქრისტიანულ რელიგიურ მოძღვრებებში, ასევე ქრისტიანულშიც. გავიხსენოთ ქრისტიანული ლოცვა „მამაო ჩვენო“, რომელშიც მაცხოვარი გვასწავლის, რომ ვალის გადახდა ერთ-ერთი ნაწილია ღვთისკენ მიმავალი გზისა. სწორედ ამაზეა საუბარი პოემის შემდგომ სტროფში, სადაც ტარიელი ამბობს:

„გამოვუხვენ და წავედით ჩემად სადებლად აღისა;

მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა.“

რაც შეეხება საწუთროს ვალის გადახდას, ამ საკითხის გაშლა შესაძლებელია ძალიან ვრცლად. აქ კი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ შეიძლება ეს საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ზვიად გამსახურდიასა და განსაკუთრებით ოთარ ქვრივიშვილის მიხედვით, ზემოთ აღნიშნულ სტროფებში ორი ძირითადი ატრიბუტი „ნადირობა“ და „საწუთროს ვალის“ გადახდა სწორედ ის უმთავრესი არიან ინიციაციის გზაზე, რაც ქალის სურვილის ნახვას უკავშირდება, ანუ არაამქვეყნიურის „სულიერი სამყაროს აღმნიშვნელის ნესტან-დარეჯანის“ ნახვას (გამსახურდია, 1991; ქვრივიშვილი, 2006). სწორედ, რომ ხელდასხმის პროცესს შეეხება ზემოთ მოყვანილი სტროფები, ეს კარგად ჩანს შემდგომ სტროფში:

„ბაღა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა;
ფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლის აბანოსა.
კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.“

აქ აღწერილია, რომ ნესტან-დარეჯანის ბაღი ედემის ყოფის განსახიერებაა“ (გამსახურდია, 1991, გვ. 267).

სწორედ ედემში, ადამიანის სულიერ სამყაროში შეღწევაა ტარიელის მიზანი. ამ მომენტში ჯერ კიდევ არ არის ამისათვის მზად ტარიელი. ედემის ბაღი მისთვის ფარდითაა დაფარული. ის ჯერ ვერ შედის იქ და მას მხოლოდ შორიდან უჭკრეტს. ამის შემდეგ ფარსადანი გარეთ ტოვებს ტარიელს და თვითონ შედის ნესტანთან. აქ უნდა ვთქვათ, რომ ტარიელის მიზანი მარტო ედემის ბაღში შესვლა კი არ არის, არამედ „ნესტან-დარეჯანის“ ხილვა და მასთან ზიარებაა. როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ნესტან-დარეჯანი სულიერ სამყაროსთან ზიარების უზენაესი გამოხატულებაა. სწორედ ამიტომაც ის მზესთან არის შედარებული. ანუ იგი სულიერი სამყაროს მზეა და მისი ნახვა მხოლოდ ინიციაციის გარკვეული საფეხურის გავლის შემდეგ არის შესაძლებელი. ამიტომ ტარიელს ფარდის იქითა მხრიდან იმ საფეხურზე, რომელზეც ის იმ მომენტში იმყოფება, მხოლოდ „სფეროთა ჰარმონიის“ განცდა აქვს (ანუ სულიერი სამყაროს სმენითი აღქმის უნარი) და მხოლოდ ხმები ესმის:

„მე გარე ვდეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედავდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინიციაციის შემდგომ საფეხურზე ეს ფარდა უნდა გაიხსნას:

„ასმათ ფარდაგსა აზიდა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა.“

ტარიელმა იხილა სულიერი მზე – ნესტან-დარეჯანი, რასაც შედეგად მოჰყვა მისი გონების დაკარგვა:

„დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავსა.“

გასაგებია, ამ მომენტში ტარიელი ინიციაციის იმ საფეხურზეა, რომლის შემდგომაც მისი განვითარება და სრულყოფა უნდა მოხდეს ლეთარგიული ძილის პირობებში; ტარიელი გადადის ამ მდგომარეობაში, ნახევრად მკვდარ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა, როგორც უკვე ვიცით, უნდა გაგრძელებულიყო სამი დღე და ამის შემდეგ გამოიღვიძებდა, ძველ მისტიკურ სკოლებში მიღებული წესის მიხედვით. ვნახოთ რას წერს ამის შესახებ შოთა რუსთაველი:

„სამ დღეს ვიყავ უსულოდ, ცეცხლი უშრეტნი მწვიდიან.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინიციაციის ერთ-ერთ საფეხურზე ხდება მოსწავლის ე.წ. „ცეცხლით გამოცდა“. სწორედ ამ მომენტში აღმოჩნდა ტარიელი ამ ეტაპზე. პოემის ტექსტში ისიც არის მითითებული, რომ ტარიელი არ იყო დაავადებული რაიმე სენით:

„აქიმნიცა იკვირებდნენ: „ესე სენი რა გვარია?

სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია.“

ფაქტობრივად ეს მომენტი, ძველ მითოლოგიაში სიკვდილის კარიბჭის გავლით სულიერ სამყაროში შესვლას ნიშნავს. ეს უმეტესი ხალხების ძველ კულტურაში სიმბოლურად წარმოდგენილია, როგორც მდინარეზე გადასვლა. გავიხსენოთ ქართული გამოთქმა, რომელსაც გარდაცვლილზე სიმბოლურად ამბობენ: „გავიდა გაღმა მარილზეო“, ანუ გარდაიცვალაო. ამის მსგავსი მაგალითები საკმაოდ შეძლება მოიძებნოს შუმერულ, ეგვიპტურ, ბერძნულ და სხვა ხალთა რელიგიურ ტექსტებში. რუსთაველმა ეს მომენტი მეტად საინტერესო ალეგორიით გადმოგვცა:

„დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავსა,

რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა:

გარე მომრტომოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა.“

აქ აშკარად ნავში ჩაჯდომის სცენაა წარმოდგენილი. ნავში ჩაჯდომის ცერემონია ცნობილია, რომ რუსთაველის პერიოდისათვის საქართველოში ძალზე პოპულარულ არეოპაგიკულ მისტიკასთან იყო დაკავშირებული.

შემდგომში ტარიელის ინიციატივა ზემოთ ხსენებული სცენარით მიმდინარეობს. იგი ლეთარგიულ ძილის მდგომარეობაში სამ დღეს დაჰყოფს:

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი არ მკვდარი;
მერმე ცნობა მომივიდა, მივხვდი რასმე მიუმხვდარი.“

რაც იმას ნიშნავს, რომ სამდღიანი ლეთარგიული ძილიდან ტარიელი ახალი ინფორმაციით, ახალი ცოდნით ბრუნდება. იგი მიხვდა რაღაცა ისეთს, რაც მანამდე მისთვის არ იყო მისახვედრი. ეს ნიშნავს იმას, რომ მან შეიძინა სულიერი სამყაროს გამოცდილება. აქვე უკვე ტარიელი ავლებს პარალელებს, თუ რა სხვაობაა ფიზიკურ, ნივთიერ სამყაროსა და სულიერ სამყაროს შორის:

„მიმდობნი საწუთროსანი მისთა ნივთაგან რჩებიან,
იმვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან:
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან...“.

ესე იგი ბრძენნი უპირატესობას აძლევენ სულიერ ცხოვრებას და ნივთიერს ეწინააღმდეგებიან. ის მომენტი, რომ ტარიელი ამიერიდან სულიერ ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას, ჩანს შემდეგ ტექსტშიც:

ვთქვი, თუ „ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე,
აქა ყოფა გამამჟღენებს სახლსა ჩემსა მიმაწვინე!“

ტარიელი უფალს სთხოვს ამ ტექსტში ნივთიერი სამყაროსაგან განთავისუფლებას. აქ ნათლად ჩანს ის წინააღმდეგობა, რაც არსებობს სულიერ და ფიზიკურ სამყაროებს შორის. რაც შეეხება საკუთარ სახლს ეზოთერიკაში, ის ხშირად ადამიანის ფიზიკური სხეულის ალგორითაა. ტარიელს სურს ის, რაც მან სულიერ სამყაროში შეიძინა, „ჩამოიტანის“ ფიზიკურ სხეულში. ტარიელის ახალი სულიერი მდგომარეობა დამატებით კიდევ ერთი სიმბოლური სახით არის წარმოდგენილი შემდეგ სტროფში:

„მე მოვახსენე: პატრონო გული აწ უკვე მრთელია;
ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახე წყალნი და ველია.“

მისტიკურ ენაზე ცხენზე ჯდომა ასევე სიმბოლური გამოხატულებაა ინიციაციის გარკვეული საფეხურისა (ქვრივიშვილი, 2006, გვ. 69) თანაც ნიშანდობლივია ის მომენტი, რომ ამის შემდეგ ცხენდაცხენ ტარიელი და ფარსადანი ერთად მიდიან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტარიელი სულიერად გაუთანაბრდა ფარსადანს („ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯექ, მეფე ჩემთან მვლეღია“).

ამ შემთხვევაში ფარსადანი გვევლინება იმ „ქურუმად“, ვინც ახდენს ტარიელის ხელდასხმას. ამ აზრის ჩამოყალიბებაში ფარსადანის სახელის ეტიმოლოგიის შესწავლა გვეხმარება. სიტყვა „ფარსადან“ სპარსულად „ბრძენს“ ნიშნავს (გამსახურდია, 1991, გვ. 226). იგი ტარიელს სახლამდე მიაცილებს, მაგრამ სახლში არ შეჰყვება. ანუ ლეთარგიული ძილიდან ფარსადანმა გამოიყვანა ტარიელი და მისი ადამიანური სიკვდილის გამოცდილების მატარებელი „მე“ მის ფიზიკურ სხეულში დააბრუნა:

„ცხენი მომგვარეს, შე-ცა- ვჯექ, მეფე ჩემთანა მვლეღია.
„გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა;
ჩემსა მივე, დავაბრუნე, მეფე მომეცა სახლთა პირსა“

ესე იგი ფარსადანმა იგი სახლამდე მიაცილა, ანუ მისი ასტრალი დააბრუნა ფიზიკურ სხეულში. (საყოველთაოდ ცნობილია თანამედროვე პარაფსიქოლოგიაში ასეთი ექსპერიმენტები კარგა ხანია მიმდინარეობს, როდესაც ადამიანს ასწავლიან გამოცდილი პარაფსიქოლოგები, როგორ გამოიყვანონ ასტრალური სხეული მისი ფიზიკური სხეულიდან და შემდეგ ეხმარებიან მას ასტრალს ფიზიკურ სხეულში დაბრუნებაში. თუმცა ეს არ ემსახურება ხელდასხმის პროცესს და ამ ექსპერიმენტებს სხვა მიზნები აქვთ).

ოთარ ქვრივიშვილის აზრით: ცხენზე მჯდომი ტარიელი სწორედ „სიბრძნის“ განმასახიერებელი მეფის გვერდით დგება, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ძელი სიბრძნე უკვე აღარ არის საკმარისი ნესტან-დარჯანთან მიახლოებისათვის. ფარსადანი მოხუცი მეფეა, იგი უკვე წარსულია და ტარიელმა უნდა მოძებნოს ახალი გზა სულიერი სამყაროსაკენ – ნესტან-დარეჯანისაკენ (ქვრივიშვილი, 2006, გვ. 75).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შოთა რუსთაველი პოემა „ვეფხისტყაოსანში“ გადმოგვცემს, როგორც ძველ არაფხიზელ მისტიკურულ ინიციაციის გზას, ასევე ახალ ქრისტიანული ინიციაციის საკითხებს და გარკვეულწილად ადარებს ამ ორს ერთმანეთს. სადაც მიუთითებს, რომ უპირატესი ახალი ქრისტიანული გზაა. ეს მომეტი კარგად არის გადმოცემული შემდეგ სტროფში:

„ზნედითი ზნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია!“

ამ ტექსტის გაგება ისე, როგორც მთელი პოემის შინაარსის, შეიძლება ორნაირად. ჩვეულებრივი მკითხველისათვის, ვისთვისაც უცნობია ეზოთერული მოძღვრება, სულიერი მეცნიერებანი და პარაფსიქოლოგიური სწავლებანი. მისთვის ეს ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობად შემეცნებითი აღქმულობის ფარგლებში, ადამიანური სიყვარულის ასპექტებია, მორალურ ზნეობრივ თვალსაზრისით, როგორც წმინდა წრფელი სიყვარული ქალსა და კაცს შორის, სადაც შეყვარებული ქალი თავის სატროფს

ურჩევს თავის დატანჯვას და ბნელით მდგომარეობაში ყოფნას ჯობია შეყვარებულს თავი მოაწონოს საგმირო საქმეებით. სულის მეცნიერების პოზიციებიდან კი ნესტან-დარეჯანი, სულიერი სამყაროს მზე, ურჩევს სულიერების გზაზე შემდგარ მოსწავლეს „ტარიელს“, (ზვიად გამსახურდიას მიხედვით მისტიკის ენაზე „ტარიელი“ უნდა ნიშნავდეს საღვთო გზას, ღვთაებრივ, ზეციურ საწყის (გამსახურდია, 1991, გვ. 244) რომ სულიერი სამყაროსთან შერწყმა ძველი არაფხიზელი, ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში სიკვდილის კარიბჭის გავლის მაგივრად უმჯობესია მოხდინოს ახალი ფხიზელი ქრისტიანული გზით. რადგან მას შემდეგ, რაც ქრისტე ყველა ჩვენთაგანისათვის ეწამა, განმსჭვალა სიკვდილის სამყარო და აღსდგა და ამიერიდან ადამიანებმა, ამ შემთხვევაში ტარიელმა ლოცვით, მარხვით და ქრისტიანული ზიარებით უნდა გაიკვლიოს გზა სულიერი სამყაროსაკენ, ნესტან-დარეჯანისაკენ. ანუ ნესტან-დარეჯანის დამოკიდებულება ძველი მისტიკური ინიციაციის, არაგრძობადი შემეცნებისადმი უარყოფითია. ავტორი აქ ავითარებს იმ აზრს, რომ ინიციაციის პროცესში ბნელითი მოვლენები კაცობრიობისათვის განვლილი ეტაპია. ჭეშმარიტი გზა სულიერი სამყაროსადმი საგმირო საქმეებთან სიმბოლიზირებული, ეს ნათლად ჩანს შემდეგ სტროფში:

„მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნელა ცუდი მძულსა.“

ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან შეიძლება დავასკვნათ: ადამიანის ინიციაცია, როგორც პიროვნების სრულყოფის სულიერი გაგება, ანუ ღმერთისაკენ მისწრაფების გადმოცემა უმთავრესი იდეაა პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. პიროვნული ინიციაციის გადმოცემის ალეგორიულ ფორმად რუსთაველმა მიიჩნია მიჯნურობა, იგივე სიყვარული, ღმერთის სიყვარული, რომლის აღსრულება ასევე სიმბოლიზირებულია საგმირო საქმეებით. ნესტან-დარეჯანის მოსაპოვებლად ტარიელს რთული გამოცდის გავლა უხდება. ამ გამოცდის შემდეგ იგი მაღლდება, გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ, ისეთ სულიერ სიმაღლეზე ადის, რომ მზადაა და ღირსია სულიერი სამყაროს უზუნაეს არსებასთან ზიარებისა. ეს გამოცდა ქაჯეთის ციხის აღებით მთავრდება. ქაჯეთის ციხესაც თავისი ალეგორიული დატვირთვა აქვს. ამასთანავე ინიციაციის სხვადასხვა საფეხურზეა პოემის ყველა გმირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავთანდილსა და ფრიდონის ინიციაციის პრობლემატიკა, რომელსაც შემდგომ კვლევებში განვიხილავთ.

ბიბლიოგრაფია:

- ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1992). სტოკჰოლმი.
გამსახურდია, ზ. (1991). *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბილისი.
ვასაძე, ნ. (რედ.). (1998). *პედაგოგიკის ისტორია*. თბილისი.
რუსთაველი, შ. (1988). *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი: მეცნიერება.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. *ლექსიკონები*. მოძიებულია ვებგვერდიდან:
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/>
ქვრივიშვილი, ო. (2006). *ვეფხისტყაოსნის ძირითადი მოტივები*. თბილისი.
შტაინერი, რ. (1993). *როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?* თბილისი.
Шюре, Э. (1995). *Великие Посвященные*. Москва.

Paata Kurdadze

Gori State University

PROBLEMS OF PERSON INITIATION IN "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" RESUME

The article discusses the ancient form of personality formation "initiation". The stages of spiritual ordination are briefly analyzed. In this respect parallels are drawn with biblical texts from both the Old and New Testaments. The Christian teaching of the "initiation" of spiritual perfection is briefly presented. The author of the article shares the opinion of the famous Rustaveli scholars Zviad Gamsakhurdia and Otar Qvrivishvili on the allegorical understanding of the poem "The Knight in the Panther's Skin" in the issue of personality formation, from the positions of spiritual science. According to the author, all the characters in the poem are at a certain stage of initiation. In this regard, we find an expression of a very interesting and obvious, old mystical ordination in the case of the initiation of the main character of the poem, Tarieli. According to the author, Shota Rustaveli considers the way of the old non-sober initiation as the past stage and prefers the initiation of the new Christian sober mind.

Keywords: Initiation, Mystery, Esoteric, Laying on of hands.

სასკოლო კურიკულუმის თემატური მატრიცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საკვანძო სიტყვები: კომპლექსური დავალებები, მატრიცა, ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, სტრატეგიები.

ლიტერატურას მნიშვნელოვანი როლი აკისრია პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. უილიამ ფოლკნერი ლიტერატურის უდიდესი დანიშნულების გამო წერდა: „ლიტერატურას აქვს დანიშნულება. ლიტერატურის დანიშნულებაა შეახსენოს ადამიანს, რომ იგი ზნეობრივი არსებია. შეახსენოს მას მისივე ყოფილი გმირობა, მისივე ყოფილი თავდადება და შეახსენოს, რომ გული დგუში კი არ არის, რომელიც სისხლს აწვდის, არამედ არის ადგილი, რომელშიც სულიერებაა მოთავსებული და შეახსენოს, რომ ნერვები, ვენები და სხვა სხეულის ნაწილები კი არ არის, სულის ნაწილებია და შეახსენოს, რომ ლიტერატურა არის საყრდენი, რომელსაც დაცემული კაცი უნდა დაეყრდნოს და უნდა გადარჩეს“ (მკითხველთა საზოგადოება, 2014). მხატვრული ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე მეტყველებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საგნის მასწავლებელს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო კურიკულუმში ითვალისწინებს თემატური მატრიცის შექმნას, რომელიც მოიცავს კომპლექსურ დავალებას, საკვანძო შეკითხვას, მკვიდრ წარმოდგენებსა და ცნებებს. ცნება გრძელვადიანი მიზანია, რომლისკენაც მოსწავლე მიდის კომპლექსური დავალების შესრულებისას. ჩვენს ნაშრომში წარმოვადგინეთ საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის თემატური ბლოკის (სამშობლო, მშობლიური სამყარო/სამყაროს შემეცნება, ახლის ძიება) კომპლექსური დავალებები, რომელიც საშუალებას გვაძლევს საგნის სწავლების პროცესში მოსწავლეს აღვუძრათ ინტერესი ახალ-ახალი სამყაროების აღმოჩენისა და შესწავლისადმი.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო კურიკულუმში „ახალი სკოლის მოდელი“ პროექტის ფარგლებში შემუშავდა ქართველი ექსპერტების მიერ და მას საფუძვლად უდევს არა მარტო ქართული, არამედ დასავლური საგანმანათლებლო მიღწევები. ფაქტობრივად, ეს არის ქართულ-უცხოური ნაზავი, რომელიც ამ დროისათვის ყველაზე ეფექტიანი გადარჩენის გზაა ჩვენი განათლების სისტემისთვის. „ახალი სკოლის მოდელი“ ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი უზნაძისა და მსოფლიოში ცნობილი განმანათლებლების პროგრესულ მოსაზრებებს! კონსტრუქტივიზმი არის დღეს ყველა წარმატებული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის წარმატების საფუძველი. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეს გამოუმუშავოს ტექსტის გაგება-განალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი, განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ, ხელი შეუწყოს სხვა კულტურების პატივისცემელი, ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას. საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, ეთიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, კვლევა, შემოქმედებითი აზროვნება.

მეთოდოლოგია

ლიტერატურის კურსი სწავლების დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურის ჩათვლით ისეა გაწერილი, რომ მოსწავლემ გამოიმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად მხატვრული ტექსტის ანალიზი ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრება, რომელიც მოიცავს ნაწარმოების თემის, იდეის, მთავარი სათქმელის, პრობლემატიკის ამოცნობას. პროზაული ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნაწარმოების თემა და იდეა. მხატვრული ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდი გვეხმარება სხვა ეპიზოდებში ასახული მოვლენების ახსნასა და მთავარი იდეის გამოვლენაში. მათი საშუალებით მხატვრულ ნაწარმოებში ასახული მოვლენები გვეხატება ერთმანეთთან

კავშირ-ურთიერთობაში. ამ ჯაჭვში ერთი მოვლენა წარმოიშობა როგორც შედეგი სხვა მოვლენისა და ეს შედეგი თვითონ იქცევა სხვა, მისი მომდევნო მოვლენის მიზეზად.

ლიტერატურულ ნაწარმოებში მოტივი, ჩვეულებრივ, ერთი ან რამდენიმე წინადადებისგან შედგება. მასში გამოხატულია ისეთი ხასიათის მოვლენები ან პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მხატვრული ნაწარმოების შინაარსის განვითარებაზე, მოქმედ პირთა ურთიერთობაზე და, საერთოდ, მათ განწყობილებაზე, მოქმედების გეგმაზე და სხვ. მოტივები ნაწარმოებში გამოხატულ მოვლენებს ერთიმეორესთან მიზეზობრივად აკავშირებენ.

თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევა, რომელიც გულისხმობს აკადემიური თუ პროფესიული ლიტერატურის განხილვას (ხდება სხვა მკვლევართა მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ანალიზი), და დაკვირვებებს, ანალიზი იძლევა პასუხს შეკითხვაზე რატომ? და როგორ?. ემპირიული მიდგომა, დაკვირვება, შეკითხვა, ჰიპოთეზა, ექსპერიმენტი, ანალიზი, დასკვნები და შედეგების გამეორება. დაკვირვების მეთოდებს, გამოცდილების შესწავლას, ექსპერიმენტს, განსხვავებულ კონკრეტულ მეთოდიკებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან პრაქტიკას.

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით: ტექსტის გაგება-განალიზება, ცოდნისა და იდეების გაზიარება ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება, სტრატეგიების გამოყენება. სწავლა-სწავლების პროცესში სტრატეგიების დაუფლების შედეგად მოსწავლეებს უვითარდებათ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარი კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას. სასწავლო თემების დაგეგმვისას, რომელიც სამ ძირითად თემატიკულ ბლოკადაა გაერთიანებული (I. ადამიანი და მისი ცხოვრება, II სამყაროს შემეცნება, ახლის ძიება, III მარადიული ძიებები), გამოიყენება შემდეგი კომპონენტები: სწავლო თემა, ცნებები, ტექსტები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, აქტივობები (კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი), შეფასების ინდიკატორები და მკვიდრი წარმოდგენები (ქართული ენა და ლიტერატურა საბაზო საფეხურის სტანდარტი).

კომპლექსური დავალებები: დავალება 1. პროექტი: „ჩვენი მხარის/რეგიონის ეთნოგრაფია“. დავალება 2. ტექსტის შეცვლა.

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, კლასი: VII საკითხავი ტექსტი/ტექსტები: გოდერძი ჩოხელის „ხუჭუჭულა“, **თემა:** სამშობლო, მშობლიური სამყარო, **(I თემატური ბლოკი:** სამყაროს შემეცნება, ახლის ძიება. **ძირითადი რესურსი/ტექსტები:** გოდერძი ჩოხელი - „ხუჭუჭულა“. **დამატებითი რესურსი:** აკაკი წერეთლის ლექსი „ამირანი“ - საბავშვო ლექსები (აკაკი წერეთელი). ეთნოგრაფიული ჩანახატები - გუდამაყრის ხეობა. ქართული ხალხური ზღაპრები - ამირანი

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

ავტორი სხვადასხვა კუთხით წარმოადგენს ჩემს მშობლიურ ქვეყანას;

ჩემს ქვეყანაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;

იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სამშობლოზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:

➤ რა არის სამშობლო? რატომ და რითია სამშობლო მნიშვნელოვანი/განსაკუთრებული ადამიანისთვის? (/რამდენად და როგორ ზემოქმედებს მშობლიური ქვეყანა ადამიანზე, მის ჩამოყალიბებაზე?)

➤ რითია სამშობლო საინტერესო და ღირსშესანიშნავი?

➤ რას ნიშნავს, იყო სამშობლო ქვეყნის შვილი?

➤ როგორ/რამი ვლინდება სამშობლოს სიყვარული?

➤ რა მსგავსება-განსხვავებაა სამშობლოს თემაზე დაწერილ ტექსტებს შორის/რითია ისინი განპირობებული?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: (10) სტრატეგიები; (7) მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტულობა) (3) ინტერპრეტირება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

➤ ავტორები სხვადასხვა კუთხით წარმოადგენენ ჩემს ქვეყანას;

➤ ჩემს მშობლიურ ქვეყანაზე დაწერილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები;

➤ ჩემს ქვეყანაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაცნობად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;

➤ იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სამშობლოზე, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

(3) ინტერპრეტირება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. (შედეგები: 5, 8, 11, 12)

➤ ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის მნიშვნელობის ახსნას, მის წარმოჩენას ახალი სახით, ფორმით/კუთხით.

➤ ინტერპრეტაციის დროს უნდა დავეყრდნო ტექსტში მოცემულ მინიშნებებს, დავიხმარო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

➤ ინტერპრეტაციის შედეგად შემიძლია ჩავწვდე ავტორის აზრებს, უფრო სიღრმისეულად გავიგო ტექსტი.

➤ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, ტექსტის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.

(7) მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტულობა) (შედეგები: 6, 11, 12)

➤ ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოკვეთა წარმოაჩენს ახალ კონტექსტებს, რაც დამეხმარება ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებაში, შესასწავლი ტექსტის ახლებურად ინტერპრეტირებაში.

➤ კონკრეტული ტექსტის რეალიების - სიუჟეტის, პერსონაჟები - „გამოყენებას“ მეორე ტექსტში.

(10) სტრატეგიები, (შედეგები: 11, 12)

➤ მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.

➤ სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიმწელების გადალახვასა და წინსვლაში.

ქვეცნებები/საკითხები:

10) სტრატეგიები;

კითხვის სტრატეგიები, ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

(7) მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტულობა)

კონკრეტული ტექსტის რეალიების - სიუჟეტის, პერსონაჟების - „გამოყენება“ მეორე ტექსტში.

(3) ინტერპრეტირება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა

(შედეგები: 5, 8, 11, 12)

➤ ტექსტის მნიშვნელობის ახსნას ანდა მისი წარმოჩენას ახალი სახით, ფორმით/კუთხით.

➤ ტექსტში მოცემულ მინიშნებებზე დაკვირვება ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად მრავალმხრივად გააზრება, შესასწავლი ტექსტის ახლებურად ინტერპრეტირება.

კომპლექსური დავალება: დავალება 1. პროექტი: „ჩვენი მხარის/რეგიონის ეთნოგრაფია“.

დავალება 2. ტექსტის შეცვლა.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის პირველი კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

საკვანძო შეკითხვები:

➤ რა ვიცი ჩემი ქვეყნის მრავალფეროვანი რელიგიური რიტუალების შესახებ?

➤ რა არის ეთნოგრაფია?

➤ როგორ ხდება ეთნოგრაფიული მასალების მოძიება?

➤ რა ვიცი პროექტზე მუშაობის შესახებ?

➤ როგორ მოვახდინო პროექტის პრეზენტაცია?

➤ როგორ მეხმარება პროექტის დაგეგმვა, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერებასა და პროექტს წარმატებულად განხორციელებაში?

მოსწავლეებისთვის პროექტის სპეციფიკის გაცნობა,

➤ მოახდინე პროექტის შედგენა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

➤ წარმოადგინე პროექტი წერილობით და ზეპირად;

➤ გამოკვეთე პროექტის მიზანი;

➤ განსაზღვრე განსახორციელებელი ამოცანები;

➤ განსაზღვრე პროექტის შესრულების ვადები;

➤ მიუთითეთ წყაროები;

➤ აღწერე მიღებული შედეგები;

➤ გაიარეთ რეპეტიცია პრეზენტაციაში;

➤ მოამზადეთ ვიზუალური მასალა.

ეტაპი II პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა

მონაცემების მოძიება: გაეცანი ტექსტს,

➤ მონიშნე ტექსტში რელიგიური/სადღესასწაულო რიტუალები; პროექტის მოსამზადებლად მიიღე ინფორმაცია თქვენი რეგიონის რელიგიური რიტუალების შესახებ;

➤ მოიპოვე ფოტო და ვიდეო მასალები;

➤ შედარებითი ანალიზის ჩატარება, დასკვნების გამოტანა: გამოკვეთე მსგავსებები და განსხვავებები მოძიებულ მასალასა და ნაწარმოებში გადმოცემულ რელიგიურ რიტუალებს შორის. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება.

ეტაპი III. შედეგების პრეზენტაცია:

➤ მოახდინე სამუშაო მასალების პრეზენტაცია;

➤ პროექტის პრეზენტაციის შემდეგ: ისაუბრეთ, რა კონკრეტული სტრატეგიები გამოიყენეთ დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. შეაფასეთ მათი მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა.

შედეგი:

➤ მოსწავლეები შეძლებენ წარმოადგინონ მშობლიური მხარის ეთნოგრაფიული მასალები, მოსწავლეებს განუვითარდებათ კვლევის უნარი, და მიღებული შედეგების პრეზენტაციის უნარი; განუვითარდებათ საკუთარი, მშობლიური კუთხის სიყვარული, ტრადიციების პატივისცემა.

➤ მოსწავლეები გაანალიზებენ: რა და როგორ აყალიბებენ ტრადიციები ადამიანის ფსიქოლოგიას, ხასიათს და პიროვნულ თვისებებს.

კომპლექსური დავალების პრეზენტაცია, მკვიდრი წარმოდგენების გამოვლენა

➤ მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა სათანადო დასკვნების გამოტანა. (ქართ. საბ. 6.9.10.11.12.)

➤ მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.აბ.7,9,10,11)

➤ სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება, პრობლემების გადაჭრის გზის დასახვა (ქართ.საბ.12)

კომპლექსური დავალებები და საკვანძო შეკითხვები:

როგორ გამოვიყენო კითხვის სტრატეგიები ტექსტის უკეთ გასაანალიზებლად?

როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?

როგორ/რის საფუძველზე შევძლებ ნაწარმოებთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერირებას?

რაში შეიძლება გამოვლინდეს სამშობლოს სიყვარული?

როგორ/რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული?

დავალება 1. პროექტი: „ჩვენი მხარის/რეგიონის ეთნოგრაფია“

➤ მიიღე ინფორმაცია თქვენი რეგიონის/მხარის უძველესი რელიგიური/ სადღესასწაულო რიტუალების შესახებ;

➤ მოპოვებული ეთნოლოგიური მასალა შეადარე ტექსტში გადმოცემულ რელიგიურ რიტუალებს;

➤ შეადგინე პროექტი, განსაზღვრე ვადები;

➤ წარმოადგინე პროექტი ზეპირი პრეზენტაციის სახით. გამოიყენე ვიზუალური მასალა;

➤ პრეზენტაციის დროს გამოკვეთე მსგავსებები და განსხვავებები მოძიებულ მასალასა და შესასწავლ ნაწარმოებში გადმოცემულ ეთნოლოგიურ მასალებს შორის.

პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:

➤ რითია სამშობლო საინტერესო და ღირსშესანიშნავი?

➤ როგორ/რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული?

➤ რა მსგავსება-განსხვავებაა სამშობლოს თემაზე დაწერილ ტექსტებს შორის/რითია ისინი განპირობებული?

რეფლექსია სწავლის პროცესზე: ისაუბრეთ, რა კონკრეტული სტრატეგიები გამოიყენეთ დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. შეაფასეთ მათი ეფექტიანობა.

საკვანძო შეკითხვა:

✓ როგორ მეხმარება თხრობითი ტექსტის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა?

✓ როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია ნაწარმოების ახალი ფორმით/კუთხით წარმოსადგენად?

✓ როგორ/რის საფუძველზე შევძლებ ნაწარმოებთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერირებას?

✓ როგორ გამოვიყენო ტექსტებს შორის არსებული მიმართებების ცოდნა?

✓ როგორ მეხმარება ტექსტის კონტექსტი ნაწარმოების ღრმად გააზრებასა და ახლის ინტერპრეტაციაში?

✓ როგორ გამოვიყენო კითხვის სტრატეგიები ტექსტის უკეთ გასაანალიზებლად?

დავალება 2. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება. გააგრძელე ტექსტი, შემოიყვანე ახალი პერსონაჟები, წარმოადგინე ტექსტის გაგრძელება ზეპირი და წერიტი ფორმით წარმოადგინე ახალი, თხრობითი ტექსტი ზეპირად და წერილობით.

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის მეორე კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

საკვანძო შეკითხვები:

➤ კითხვის სტრატეგიების გამოყენება: (მართული კითხვა). მასწავლებელი აკეთებს მინიშნებებს ნაწარმოებიდან: როგორია ავტორის განწყობა ნაწარმოების პროლოგში?

➤ რაზე მიმანიშნებს მითიური გმირის გამოჩენა ნაწარმოების ეპილოგში?

➤ ნაწარმოებისთვის როგორ დასასრულს ისურვებდით და რატომ?

➤ რა და როგორ აყალიბებს პერსონაჟის ფსიქოტიპს, მის „გულადობას“?

➤ რა ვიცი მითიური გმირის ამირანის შესახებ?

რაში შეიძლება გამოვლინდეს სამშობლოს სიყვარული?

ეტაპი II პირველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, საკითხების/ქვეცნებების დამუშავება, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა

აქტივობა 1.

➤ გაეცანი ტექსტის ძირითად მახასიათებლებს (ფაქტების/მოვლენების გადმოცემა დროითი თანამიმდევრობით.)

➤ დააკავშირე მულტიმედიური მასალას (მასწ. მიერ მითითებული) ტექსტთან;

➤ გაიხსენე/მოიძიე ინფორმაცია ტექსტის ეპილოგში დასახელებული მითოლოგიური გმირის ამირანის შესახებ, გამოიყენე კითხვის სტრატეგიები პერსონაჟის ფსიქოლოგიური განწყობისა და ნაწარმოებში გადმოცემული ამბისადმი ავტორისეული დამოკიდებულების გასაანალიზებლად: გააგრძელე ტექსტი. გამოხატე შენი დამოკიდებულება. ჯგუფური მუშაობის პრინციპის კიდევ ერთხელ შეხსენება. ჯგუფების დავალების გაცნობა და შემდეგ მოსწავლეთა სურვილის მიხედვით ჯგუფებად დაყოფა. ჯგუფის წევრები ისმენენ მასწავლებლის მინიშნებებს ტექსტიდან მულტიმედიურ მასალას;

➤ ტექსტის გასაგრძელებლად განესაზღვრებათ დრო. ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ მოთხრობის დასასრულს, თხრობის გაგრძელებას წარმოადგენენ ზეპირად და წერილობით;

➤ გაიარეთ რეპეტიცია პრეზენტაციაში და მოამზადეთ ვიზუალური მასალა. ნამუშევრის გასაფორმებლად გამოიყენეთ ილუსტრაციები

ტაპი III. პირველი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია, მკვიდრი წარმოდგენების გამოვლენა

პრეზენტაციის დროს: წარმოადგინე თხრობითი ტექსტი ზეპირად და წერილობით.

იმსჯელეთ რატომ გადაწყვიტეთ თხრობის ასე გაგრძელება?

ისაუბრეთ, რა კონკრეტული სტრატეგიები გამოიყენეთ დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. შეაფასეთ მათი მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა.

კომპლექსური დავალების პრეზენტაცია, მკვიდრი წარმოდგენების გამოვლენა

მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ.7,9,10,11)

მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1.2..3.4.5.7.8.9.10.11.)

მშობლიურ ქვეყანაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 5,6,7,8,9,10,11)

სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება, პრობლემების გადაჭრის გზის დასახვა (ქართ. საბ. 12)

პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ ისაუბრეთ:

✓ რას ნიშნავს, იყო სამშობლო ქვეყნის შვილი?

✓ როგორ/რაში ვლინდება სამშობლოს სიყვარული მოთხრობაში?

✓ როგორაა ნაწარმოებში გადმოცემული პერსონაჟთა სახასიათო თვისებები, ქმედებები და როგორ გადმოეცით ისინი ახალ ტექსტში?

- ✓ რატომ და რითი დაუკავშირე ნაწარმოების პროლოგში ავტორის მიერ შემოყვანილი პერსონაჟი ნაწარმოების მთავარ გმირებს?
 - ✓ როგორ დაგეხმარათ ავტორის ემოციური განწყობა ტექსტის ინტერპრეტაციაში?
- რეფლექსია სწავლის პროცესზე:** ისაუბრეთ, რა კონკრეტული სტრატეგიები გამოიყენეთ დავალების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე და შეაფასეთ მათი ეფექტიანობა.

ბიბლიოგრაფია:

ამირანი: *ქართული ხალხური ზღაპარი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.aura.ge/103-saskolo/8455-amirani.html>

ბერიძე, გ. (რეჟისორი). (1999). *ეთნოგრაფიული ჩანახატები - გუდამაყრის ხეობა* [დოკუმენტური ფილმი]. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.youtube.com/watch?v=Fake8Oi9fno>

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. (თ. გ.). *ქართული ენა და ლიტერატურა: საბაზო საფეხურის სტანდარტი (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით)*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://ncp.ge/>

ლიტკლუბი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://biblioteka.litklubi.ge/>

მკითხველთა საზოგადოება. (2014 წლის 17 მაისი). *ლიტერატურის დანიშნულება*.

ჩოხელი, გ. (თ. გ.). *ხუჭუჭულა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://poetry.ge/poets/goderdzhichokheli/prose/9573.xuchuchula.htm>

ცერაძე, თ., ჭუმბურიძე, რ., & ჯაყელი, თ. (2020). *ქართული რესურსები. კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის შექმნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში*.

წერეთელი, ა. *ამირანი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://kids.ge/poesy-verse?id=80>

Neli Champuridze
Gori State University
**THEMATIC MATRIX OF THE SCHOOL CURRICULUM IN
 GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE
 RESUME**

Considering the third generation of national curriculum, the school curriculum provides the creation of a thematic matrix which includes a complex assignment, a key question, indigenous ideas and concepts. A concept is a long-term goal which a student achieves when completes a complex task. In our paper, we have presented the complex tasks of the thematic block of Georgian language and literature at the basic level (homeland, native world / cognition of the world, search for new), which allows us to arouse the student's interest in discovering and exploring the new world.

Keywords: Complex tasks, Matrix, Concepts and related indigenous ideas, Strategies.

КУЛЬТУРНОЕ ПРОСТРАНСТВО ГРУЗИИ В ПРАКТИКЕ ОБУЧЕНИЯ ГРУЗИНСКИХ УЧАЩИХСЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ

Ключевые слова: Русский язык как иностранный, Культурное пространство, Памятник, Коммуникативные и интерактивные технологии, Межкультурная коммуникация.

Цель нашей работы заключается в разработке лингвометодологической модели обучения грузинских учащихся русскому языку как иностранному. В наше беспокойное время сочетание слов «диалог культур» в методике преподавания иностранных языков употребляют все чаще и чаще, хотя сама технология, в основу которой положены идеи М.М.Бахтина («о культуре как диалоге»), Л.С.Выготского (идея «внутренней речи»), В.С.Библера («философская логика культуры»), В.Н.Вагнера («лингвоориентированная методика») весьма актуальна. Диалог культур как двусторонняя информационная смысловая связь на сегодняшний день уже является важнейшим компонентом в процессе обучения иностранным языкам.

Новая технология обучения РКИ– ориентация на активное соизучение языка и культуры–суть современной методики преподавания иностранных языков. Овладение им предполагает приобщение обучаемого к другой культуре и участие в диалоге культур. В повседневной жизни прямой контакт между обучаемым и носителем изучаемого языка – явление не такое уже и частое. Побывать же «в гостях» у другого народа или принять «в гости», чтобы оценить непохожесть и индивидуальность чужой культуры и языка, вполне возможно. Учесть эту возможность в практике обучения иностранному языку – первостепенная задача современного преподавателя.

Разработанная нами методологическая модель позволяет познакомить грузинских учащихся со становлением и развитием различных видов русской и грузинской художественной культуры: архитектуры, монументальной скульптуры, музеев, географических и природных компонентов города/страны. Культурологическая доминанта является важным и неотъемлемым компонентом предлагаемой нами методологической модели: изучение русского как иностранного языка происходит посредством знакомства русской культуры через осмысление художественно-эстетической значимости достопримечательностей Грузии.

Предложенные учебные материалы выстроены на коммуникативно-интерактивной основе и предполагают активное взаимодействие преподавателя и обучаемых. Оно подразумевает использование монологических текстов (например, текстов информативного характера, текстов экскурсий, письма), диалогов с самыми разными видами заданий к ним, полилогов, блиц-опросов, дискуссий, круглых столов, клубов, конкурсов, ролевых игр. Широкое использование можно Оптимизации учебного процесса может способствовать использование иллюстративного материала: рисунков, схем, фотографий, таблиц. Предлагаем образец практического задания по тексту.

Из истории памятника А.Пушкину в Тбилиси.

Грузия – страна, которая привлекает туристов своими достопримечательностями. Среди них нужно назвать и памятники русским писателям. Мы познакомим вас с историей создания памятника А.С.Пушкину.

Александр Сергеевич приехал в Грузию 26 мая 1829 года для встречи с братом Львом Сергеевичем, который служил в полку, и пробыл тут две недели. Пребывание в Тифлисе вышло интересным и душевным. В честь такого гостя был устроен торжественный вечер в одном из загородных садов на берегу Куры. Не успел поэт появиться в саду, как собравшаяся в нем тифлисская интеллигенция бросилась его бурно приветствовать. После этой душевной встречи со стихами, песнями и плясками, какие случались лишь в Тифлисе, поэт признавался: "Я не помню дня, в который был бы веселее нынешнего, я вижу, как меня любят, понимают и ценят, и как это делает меня счастливым». (Пипия, 2011, стр. 160)

Памятник Александру Сергеевичу появился в 1892 году в сквере у площади Свободы, которая в разное время носила разные имена: Эриванской, Берия, Ленина. Последний раз площадь переименовали после обретения страной независимости. Пушкинская же улица, названная в честь поэта, так и носит до сих пор его имя. Именем поэта называется и сквер, в котором стоит памятник. "Новый сад" – так назывался тогда сквер, был заложен в 1885 году. Бюст поэта установили в месте, где частенько прогуливался поэт. Тут же располагался дом, в котором останавливался Александр Сергеевич.

С предложением открыть памятник Пушкину к городским властям обратился тифлиссский полицеймейстер Россинский. Об отношении Грузии к русскому гению говорит тот факт, что строительство памятника проводилось за счёт жителей Тифлиса: было собрано 2 281 руб.

Автор памятника – Феликс Ходорович – был известным тифлисским художником-скульптором польского происхождения. Он родился в Беларуси, учился в Московском училище живописи, ваяния и зодчества. Закончить учебу Ходорович не смог: за причастность к польскому восстанию 1863 года его исключили из училища и сослали на Кавказ в действующую армию. Ссылка навеки связала его с Грузией.



Здесь Ходорович окончил службу, жил в Тифлисе, был самым известным учителем по рисованию и скульптуре, преподавал в Первой мужской гимназии, был одним из основателей Тифлисской художественной школы. Так Кавказ стал второй родиной художника и местом, где он нашел себя.

Скульптурную модель сделал профессор Витали, лично знавший Пушкина. Отливали памятник на заводе Верфеля в Петербурге. Пьедестал был выполнен из алгетского красного и серого камня в тифлисской мастерской Винченцо Пиладжи.

Открытие памятника в 1892 году стало большим событием для города. Вот как описывался тот знаменательный день в газете «Иверия»: "В день благословения памятника к Пушкинскому саду устремилась огромная масса людей. Люди

заполнили балконы, окна, крыши близлежащих домов. Пушкинский сад был украшен знаменами. Дом, где в 1829 году в течение двух недель жил Пушкин, был украшен гирляндами цветов и флагами". (Пушкин)

Пушкинский сквер и сегодня является любимым местом встреч как местных жителей, так и гостей столицы Грузии Тбилиси.

Рис. 1. Памятник А.С.Пушкину в Тбилиси

Задание I. Перескажите текст

Задание II. Ответьте на вопросы:

1. Чем может привлечь Грузия любителей русской литературы?
2. С какой целью приехал А.С.Пушкин в Грузию?
3. Кто автор памятника А.С.Пушкину?
4. Где установлен памятник поэту?

Задание III. Побеседуем. Представьте, что к вам приехал друг, и вы с ним гуляете по скверу А.Пушкина. Какие вопросы может задать ваш друг, и как ответите на них вы. Составьте диалог.

Задание IV. Посмотрите на фото памятника А.С.Пушкину. Вам понравился сквер, где стоит этот памятник? Опишите его, используя слова и выражения из таблицы 1.

Сквер имени А.Пушкина				
сквер, сад, парк, зеленая зона		какой?		большой/маленький старый/новый уютный зеленый
в парке в саду	есть много мало	находится расположен	где?	на площади в центре города
в сквере	кто? что?	памятник фонтан скамейки памятник	кому?	А.С.Пушкину

табл. 1.

Задание V. Заполните таблицу 2, используя информацию из текста.

даты	события
1829 1863 1892	

табл. 2

Задание VI. Ответьте на вопросы ДА/НЕТ

- | | |
|-----------------------------------------------------------------|--------|
| 1. Брат А.С.Пушкина служил недалеко от Тифлиса | ДА/НЕТ |
| 2. Поэт гостил в Грузии два месяца | ДА/НЕТ |
| 3. Грузия встретила знаменитого русского поэта равнодушно | ДА/НЕТ |
| 4. Автором памятника А.С.Пушкину является итальянский скульптор | ДА/НЕТ |
| 5. Деньги на строительство памятника собирал народ | ДА/НЕТ |
| 6. Площадь, возле которой стоит памятник, называется Польской | ДА/НЕТ |
| 7. Открытие памятника поэту прошло скромно | ДА/НЕТ |
| 8. Сквер, в котором стоит памятник, сейчас переименован | ДА/НЕТ |

Т.о., лингвоориентированная методика обучения русскому языку как иностранному грузинских учащихся определяет общие лингвометодические положения, которые состоят в особой подаче языке нового явления и формирования навыков и умений употребления этого явления.

Разработанная нами модель занятий, на наш взгляд, будет способствовать развитию общей культуры, обогащению знаний в области русского языка, развитию русской речи в условиях иноязычной среды. По-русски освещенная родная культура грузинского учащегося создаст доброжелательную атмосферу между ним и русским собеседником. Удачно подобранный учебный материал поможет грузинским учащимся осмыслить значительный пласт русской культуры и адекватно использовать полученные знания в различных ситуациях межкультурной коммуникации. В процессе приобщения к русской культуре грузинские учащиеся смогут более глубоко оценить культуру своей страны и активизировать навыки общения на русском языке.

Представленные в статье материалы занятия рассчитаны на учащихся, владеющих РКИ в объеме уровня А2. Образец занятия можно использовать для самостоятельного изучения русского языка, и при изучении истории русской литературы как зарубежной.

Библиография:

- Вагнер, В. Н. (2002). *Лингвоориентированная методика преподавания русского языка как иностранного. Традиции и новации в профессиональной деятельности преподавателя русского языка как иностранного.* Москва.
- Пипия, Б. (2011). *Великие в Грузии: от аргонатов до Марадоны.* Тбилиси.
- Пушкин, А. С. (б.д.). *Пушкинские места: Путеводитель. Пушкинские места Грузии.* Получено из <http://pushkin-lit.ru/pushkin/mesta/pushkinskie-mesta-putevoditel/pushkinskie-mesta-gruzii.htm>
- Шадури, В. С. (1966). *Пушкин и грузинская общественность.* Тбилиси: Литература да хеловнеба.

Natela Khinchagashvili

Gori State University

CULTURAL SPACE OF GEORGIA IN PRACTICE OF TEACHING RUSSIAN LANGUAGE TO FOREIGN STUDENTS RESUME

The article is dedicated to the possibility of the usage of the lingvo-oriented method for the Georgia students in the teaching of Russian as a foreign language. The aim of the article is to promote the enrichment of knowledge in the field of the Russian language through a dialogue of cultural meanings. The presented linguo-and methodological culture oriented model of teaching Russian language to foreign students developed and based on communicative and interactive technologies gives the foreign students opportunity to learn about the culture of Tbilisi and to use the acquired knowledge in the process of intercultural communication. The types of interactive exercises discussed in the article can also be used in the study of the history of Russian literature.

Keywords: Russian as a foreign language, Cultural space, Monument, Communicative and interactive technologies, Intercultural communication.

უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება ქართულსა და ზანურში (კოლხურში)

საკვანძო სიტყვები: უკავშირო, პარატაქსი, ჰიპოტაქსი, წინადადება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში რთული წინადადება სინტაქსურ კავშირთა და საერთოდ გრამატიკული მნიშვნელობით ორ სტრუქტურულ ჯგუფად იყოფა – თანაწყობილად და ქვეწყობილად. თანაწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი) წინადადებებში ყველაზე უკეთ წარმოაჩენს დამოუკიდებელი და დაქვემდებარებული გრამატიკული კავშირების საერთო სინტაქსურ ურთიერთობას, რომელიც, პირველ შემთხვევაში აერთიანებს, აკავშირებს გრამატიკულად თანასწორ წინადადებებს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ისეთ წინადადებებს, რომელიც გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ არ არიან თანასწორნი: ერთი გაბატონებულია, მეორე მასზე დაქვემდებარებული.

თანაწყობისას წინადადებების ნაწილების შეერთებისა და მათ შორის გარკვეული მიმართების დამყარების გრამატიკულ საშუალებებს შეადგენს ინტონაცია და მაერთებელი კავშირები (მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი). ინტონაცია და კავშირები ზოგჯერ ერთდროულად იხმარებიან, ერთი ავსებს მეორეს, ხოლო ზოგჯერ ურთიერთმიმართების გამოხატვის ფორმალურ საშუალებად მხოლოდ ინტონაცია გვევლინება.

აქ მოგვყავს ვრცელი ციტატა არნ. ჩიქობავას ერთი ნაშრომიდან „...მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს; როგორც მასალა, ისე სტრუქტურა ორივესი ერთნაირია: ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა ისეთივე აუცილებელი და იმავე დროს საკმარისი პირობაა დამოკიდებული წინადადებებისათვის, როგორც მთავრისათვის; ხოლო მართვა თუ შეთანხმება (თუ მირთვა) ის საფუძველია, რომელზედაც აგებულია როგორც ერთი, ისე მეორე. ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს წინადადება ან წინადადების ეკვივალენტები. ყველა ამ შემთხვევაში დამოკიდებული და მთავარი ნაწილი უკავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით, სადაც ეს არ არის და რთულ წინადადების შესახებ კი მხოლოდ ინტონაციის მიხედვით ვლავარაკობთ (მაგალითად, მე წავალ, შენ დაიცადე!). ჯეროვანია დაისვას საკითხი: არის თუ არა ეს ერთი – რთული წინადადება. გვგონია, რომ აქ ორი წინადადებაა, სრულიად დამოკიდებული აგებულების მიხედვით“.

მართალია ამ 90-ზე მეტი წლის წინ დაწერილის შესახებ ავტორი თვითონვე შენიშნავდა სქოლიოში, რომ „რა თქმა უნდა, ამ შენიშვნებს რთული წინადადების შესახებ მხოლოდ საილუსტრაციო და პრელემინარული ხასიათი აქვს; იგი ქართულს ეხება და მხოლოდ იმ მიმართულებაზე მიგვითითებს, რომელიც შეუძლია მიიღოს საკითხის დასმა-გადაწყვეტამ, და სრულიად მოკლებულია პრეტენზიას – საკითხი გადაწყვეტილად იქნას მიჩნეული“ (ჩიქობავა, 1968, გვ. 125), მაგრამ მაინც უკავშირო რთული წინადადების საკითხი უარყოფითადაა გადაჭრილი: „...აქ ორი წინადადებაა, სრულიად დამოუკიდებელი აგებულების მიხედვით“.

რაც შეეხება რთულ წინადადებას საზოგადოდ, ქვეწყობილს კონკრეტულად, არნ. ჩიქობავა თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ პირდაპირ გამოყოფს ცალკე პარაგრაფს (ზ 50) „რთული წინადადება ჭანურში“, სადაც მეტად შეკუმშულად, მაგრამ ძირითადად მაინც ჭანურის მაქვემდებარებელი კავშირები და ნაწილაკებია გადმოცემული (ჩიქობავა, 1936, გვ. 186) უკავშირო წინადადებებზე კი აქაც არაფერია თქმული. მართალია, მხოლოდ ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით, ა. შანიძე კავშირიან და უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებებს გამოჰყოფს.

მართალია, დაქვემდებარების გრამატიკულ საშუალებად გვევლინება ინტონაცია და მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიხედები, მაგრამ, როგორც პროფ. ა. შანიძე შენიშნავს, „წინადადებათა შეერთება ქვეწყობის წესით მაშინაც არის შესაძლებელი, თუ საგანგებო საკავშირებელ სიტყვებს არ ვიხმართ. ასეთ შემთხვევაში საკავშირებელ

საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება ხშირად „რომ“ და „თუ“ კავშირის გამოტოვებისაგან წარმოდგება ხოლმე, მაგრამ არც თუ იშვიათია, რომ „გამოტოვებული“ არაფერი იყოს, ოღონდ ერთ წინადადებაში მოცემულია მეორის ახსნა-განმარტება, ვთქვათ მიზეზი, შედეგი, მიზანი და სხვა“ (შანიძე, 1949, გვ. 166).

მამასადამე, ა. შანიძე უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებას რეალურად გამოყოფს (ასევე თანწყობილსაც). ესაა გატარებული ლ. კვაჭაძის (კვაჭაძე, 1950, გვ. 82-87; კვაჭაძე, 1988, გვ. 405-409), ა. კიზირიას (კიზირია, 1955, გვ. 10), ნ. ბასილაიას (ბასილაია, 1974) და სხვათა შრომებში.

ის, რაც ითქვა ქართულის რთულ წინადადებათა უკავშირო შეერთებაზე, იგივეა ზანურშიც. აქაც რთული წინადადების შეერთების ორგვარი საშუალებიდან – კავშირების, საკავშირებელი სიტყვებისა და ინტონაციიდან – უკავშირო შეერთებისას ძირითადად რჩება მხოლოდ ინტონაცია.

„ტრადიციულად, როცა რთული წინადადების ნაწილები წარმოდგენილია ერთ მთლიან სინტაქსურ ოდენობად ინტონაციის საშუალებით, კავშირისა და საკავშირებელი სიტყვების დაუნმარებლად, ე.ი. გარეგანი გაფორმების გარეშე, ასეთი წინადადება იწოდება უკავშირო რთულ წინადადებად“ (ახალაია, 1983, გვ. 197).

ბუნებრივია, რომ უკავშირო თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს შორის იყოს სხვაობაც: „რთულ თანწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება მაერთებელი ინტონაცია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი – მაქვემდებარებელი ინტონაცია“ (ბასილაია, 1974, გვ. 13).

ამიტომაცაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ და სამართლიანადაც, რომ „უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ. დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებს, ქმნის რიტმის გამძლიერების, თხრობისა და დამაბულობის შთაბეჭდილებას“ (კვარაცხელია, 1990, გვ. 207).

ასხვაგვება რა ერთმანეთისაგან რთულ უკავშირო წინადადებებს კავშირიანისაგან, ლ. ბულახოვსკი მიუთითებდა, რომ „უკავშირო რთულ წინადადებაში ლოგიკური მიმართების როლს კისრულობს არა სპეციფიკური ინტელექტუალური მომენტები (კავშირები), არამედ ემოციონალურ-ინტელექტუალური (რიტმულ-მელოდიკური) ნიშნები“ (Булаховский, 1948, стр. 271).

„მე წავალ, შენ დაიცადე!“ რიგის ნიმუშებში შეიძლება გაგებული იქნეს როგორც, „თუ მე წავალ, შენ დაიცადე!“, ან „მე წავალ, შენ კ დაიცადე!“ შესაძლოა ასეც: „მე წავალ და შენ დაიცადე!“... ცხადია, წინადადება გარკვეულ კონტექსტში, ქვეწყობილი გარკვეულში კი – თანწყობილიც, განირჩევა ინტონაციით. ასეთივე ვითარებაა ზანურშიც:

მეგრულის მეურს-და, იდას! „მიდის-და, წავიდეს!“ რიგის შემთხვევაში კავშირი და ნაწილაკითაა ცვლილი და წინადადების ეკვივალენტურია ქართ. „თუ მიდის, წავიდეს!“ ტიპის წინადადებისა (ჩიქობავა, 1936, გვ. 205).

ჭანურის „თეფე თეფეს ვარ ნაგენ, კოჩი კოჩის ქონაგენ“ (ხალხური სიბრძნე: მეგრული და ლაზური ანდაზები, 1994, გვ. 216) ნიშნავს „მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს შეხვდება“ (თანწ.), ასევე იგი შეიძლება გადმოიცეს „მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს შეეყრებაო“ (ქვეწყ.) შინაარსითაც.

როგორ უნდა გაირჩეს? ასეთი შემთხვევა ჰქონდა მხედველობაში ლ. კვაჭაძეს, როცა იგი წერდა: „ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წინადადებას ერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და არა მრავალი. ამას კი ხშირად ის სინტაქსური ჯგუფი თუ კონტექსტი განსაზღვრავს, საიდანაც წინადადება ამოღებული. ამიტომ ზოგჯერ იზოლირებულად აღებულ წინადადებაზე დაკვირვება არაა საკმარისი, არამედ საჭიროა კონტექსტის გათვალისწინება“ (კვაჭაძე, 1950, გვ. 83).

ზეპირი (გაბმული) მეტყველებისას მთავარია ინტონაცია, წერისას კი ეს უკანასკნელი მიჩქმალულა, აქ „რომ“ და „თუ“ კავშირების გამოტოვებისას დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა, ზოგჯერ კი - ორწერტილით ან ტირეთი“ (კვაჭაძე, 1950, გვ. 84).

„წერის დროს საკითხს ართულებს ის, რომ სასვენი ნიშნები სავსებით ვერ წარმოგვიდგენენ ინტონაციას, რაც შემთხვევაში ფრაზა შეიძლება წაკითხულ იქნეს სხვადასხვა ინტონაციით და მივიღოთ სხვადასხვა გაგება“ (Гвоздев, 1973, стр. 301), - ნათქვამია რუსული უკავშირო ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს უნივერსალური მოვლენაა, რასაც ქვემოთ მოყვანილი ზანური ენის სათანადო საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს.

აქაც, მაგალითად, ქართულის მსგავსად (კვაჭაძე, 1988, გვ. 406), ქვეწყობილ წინადადებებში ორი ძირითადი შემთხვევა გამოიყოფა:

1. მთავარ წინადადებაში საკორელაციო (მისათითებელი) სიტყვაა, რაც დამოკიდებულ წინადადებებში გარკვეული კავშირისა თუ წევრ-კავშირის სინკოპის მაჩვენებელია, რისი აღდგენაც არაა მნელი:

ჭანურში:

მათი ჰამო უწვი: ვიდათენ ობერგულზე, მოიღვი ბერჯი სკანი! (კარტოზია, 1972, გვ. 232¹¹⁻¹³) „მეც ასე ვუთხარი, წავიდეთ სათოხნელად, გაიდე შენი თოხი!“ (–ქე: უწვი–ქი: „ვუთხარი, რომ“...).

ემუსთი...ქმე მჭიმა მოხვადუ, დიშოლუ (კარტოზია, 1972, გვ. 153²⁰) „იმასაც...სეეთი წვიმა შეხვდა, დასველდა“ (–ქე: მოხვადუ–ქი: „შეხვდა რომ“).

ეკლ მილლეთი მოხთუ, მითის ფათიშაი ვა ამცუდელუ (კარტოზია, 1972, გვ. 177⁸⁻⁹) „იმდენი ხალხი მოვიდა, ვერავინ ვერ შეძლო ხელმწიფის მოტყუება“ (ქი: მოხთუ–ქი „მივიდა რო...“).

მეგრულში:

ათექიდრდუ, ბაბა, ჩქი მირსხეს დო ორომეშე ეშე ეშმოჯლონესიე (ხუბუა, 1937, გვ. 6²³) „ამან იყო, ბაბა, ჩვენ გვიხსნა და ორმოდან ზევით ამოგვაგზავნაო“ (–ნე: მირსხეს–ნი „რომ გვიხსნა...“).

ათე ბოშიქ ეფერდ ერთგულეა გიმირჩქინდო თი რიგი აზირეფი გეგმანწყუ – ირ კოს მოწონს (ხუბუა, 1937, გვ. 123³³⁻³⁴) „ამ ბიჭმა ისეთი ერთგულეა გამოიჩინა და იმრიგად (ზედმ. „ისეთი რიგი აზრებისა“) აზრები დააწყო–ყველა კაცს მოწონს“ (ნამდა: გეგმანწყუ ნამდა „რომ დააწყო...“)

ჯა თექშირდ გინონჯირელი, მანგარი ბოშეფი ჟი გინმიშეს (საკ. ჩან.) „ხე ისე იყო წაწოლილი, ძლიერი (მაგარი) ბიჭები ზედ გადადიოდნენ“ (ნამდა: რდ გინონჯირელი, ნამდა: „იყო წაწოლილი, რომ“).

2. არც მთავარ წინადადებაშია საკორელაციო სიტყვა და არც დამოკიდებულშია მატყვემდებარებელი კავშირი. ამ ტიპის წინადადებაში, ჩვეულებისამებრ, ზანურში „რომ“ და „თუ“ კავშირებია გამოტოვებული (არის სხვა შემთხვევებიც):

ა) გამოტოვებულია „რომ“ კავშირი:

ჭანურში:

ოკაჩხე მკოლის უწუ; „არ სკანინდე, არ შკიმინდე, არ ჭუვალი ჯუმუშე დევითა (არ ჭუვალი ჯუმუ გოვონდინითა)!“ (კარტოზია, 1972, გვ. 229⁷⁻⁸) „მერე კალიას უთხრა: ერთი შენგან, ერთი ჩემგანო! ერთი ტომარა მარლის გარეშე დავრჩითო (ერთი ტომარა მარლილი დავკარგეთო)!“ (–ქე: უწუ–ქი: უთხრა რომ...“)

ჰამ შუქრი არ ოხორზას ქარტალი დუჭარუ: ჰამ ოხორზას ქომეჩი ლაზუტი!“ (კარტოზია, 1972, გვ. 231³⁻⁴) „ამ შუქრიმ ერთ ქალს წერილი გაატანა („დაუწერა“): „ამ ქალს მიეცი სიმინდი!“ (–ქე: დუჭარუ–ქი „გაატანა რომ...“)

მეგრულში

ვეზირეფქ იფიქრეს – თენა ვაბლოლანა ჩქი ჯგირსია (ხუბუა, 1937, გვ. 123³⁵) „ვეზირებმა იფიქრეს – ეს არ გვიზამს ჩვენ კარგო“ (ნამდა: იფიქრეს, ნამდა „იფიქრეს, რომ...“).

მიკართუ დო უწუ კარიშ კოს:–მუაჩქიმში დგნატებ ლეკური დო ტაბაჩა ქედომხვამით სამანგიერო ჩქიმ კვაჯიშა (ხუბუა, 1937, გვ. 15¹⁷⁻¹⁸) „მიუბრუნდა და უთხრა კარისკაცს: მამაჩემის დანატოვრები ხანჯალი მიაართვით სამაგიეროდ ჩემს კვაჯის...“ (ნამდა: კარიშ კოც, ნამდა „კარისკაცს რომ...“).

ბ) გამოტოვებულია „თუ“ კავშირი:

ჭანურში:

კალლეს აქთენ დო ჰემ შქურნა ულუნ, გუიშ დოლოხე ზოპონს: „არ ფათიშაიმ ასქეის მუთუ ვა ახონენ დო მან, არ კოჩიქ, მუ პამონდა? (კარტოზია, 1972, გვ. 168¹²⁵⁻¹²⁸) „ციხეს უვლს დათან ეშინია, გულში ამბობს: ერთი ხელმწიფის ლაშქარს ვერა გაუწყვია და მე, ერთი კაცი, რას ვიზამო!“ (ქე: ზოპონს–ქი, „ამბობს, თუ“).

კოჩეფეს გვაკვიეს, „ადა მე ენდა?“ (კარტოზია, 1972, გვ. 161⁸⁰⁻⁸¹) „კაცებს გაუკვირდათ, „ეს რა არისო?“ (ქე: გვაკვიეს–ქი „გაუკვირდათ, თუ“).

ფადიაშაი სი ორი, მა ბორ? (კარტოზია, 1972, გვ. 223⁷⁻⁸) „ხელმწიფე შენ ხარ, მე ვარ?“ (განა: ორი, ვანა „თუ ხარ“).

მეგრულში:

მუ ტარიელენქ ი პუათი ჩქია, თქვს ბოშენქ–თაქ მუამბერენდო მუ ვარინი თექ ვეშმატყვინანთი (ხუბუა, 1937, გვ. 3¹⁵) „რა ტარიელები ვიქნებით ჩვენ, თქვეს ბიჭებმა–აქ რა არის, რა არ არის, ვერ შევიტყვეთო“ (ნამდა: ბოშენქ, ნამდა „ბიჭებმა თუ...“).

ძლაბიქ ქიმერთუ ხოლოშა დო კიხთუ; „მე გოსქილიდუანსია“ (ხუბუა, 1937, გვ. 8⁷⁻⁸) „გოგო მივიდა ახლოს და ჰკითხა: „რა მოგარჩენსო“ (ნამდა: კითხუ, ნამდა „ჰკითხა, თუ...“).

ვეზირენქ იჩის ბრელი – მუ ბლოლათ ათე ჯგურა კოჩიში სხეულსია (ხუბუა, 1937, გვ. 13³¹) „ვეზირებმა ისაუბრეს ბევრი – რა ვუყოთ ასეთი ნაირი კაცის სხეულსო“ (ნამდა: ბრელი ნამდა; „ბევრი, თუ...“).

უკავშირო კვეწყობილი წინადადება იმავე სახისაა, რაც კავშირიანი კვეწყობილი წინადადება. მართალია, ზოგჯერ ჭირს გამოცნობა იმისა, თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება, მაგრამ ეს გასაგებია: მაქვემდებარებელი ინტონაცია რთულ კვეწყობილ წინადადებაში იმ სიძლიერისა ვერაა, რომ მან გადასძალოს სათანადო კავშირიან კვეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარების საშუალებანი – მაჯგუფებელი კავშირები ან ე.წ. წევრ-კავშირები, „ვინაიდან ინტონაციით არ შეიძლება ასე ნათლად მითითება აზრობრივი ურთიერთობის ამ ნაირსახეობაზე უკავშირო რთულში შემავალ წინადადებათა შორის, როგორც ეს ამა თუ იმ კავშირით შეერთებულ წინადადებაებში გვაქვს“ (ბასილაია, 1974, გვ. 31). ეს ძირითადად გაბმულ მეტყველებას ახასიათებს. წერითი მეტყველებისას კი, სასვენი ნიშნები მთელი სისრულით ვერ წარმოგვიდგენენ ინტონაციურ ნიუანსებს.

როგორ გაიკვავ, უკავშირო კვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებულ საკითხები, ზემოთ რომ წარმოვადგინეთ, ერთნაირია როგორც ზანურის დიალექტებში, – მეგრულსა და ჭანურში, ასევე ქართულშიც. ა. მეიე შენიშნავდა, „ორი ენის გრამატიკული სისტემები ერთმანეთის მიმართ შეუღწევადიაო“, მაგრამ ზანურისა და ქართული ენის სინტაქსის ამ მონაკვეთებშიც ერთიანობა რომ აღინიშნება, მაინცა და მაინც ამ დებულების უზუსტობაზე კი არ მიუთითებს, არამედ იმ ფაქტზე, რომ ახლო მონათესავე ენებს განვითარების ერთი და იგივე ტენდენციები ახასიათებთ ხოლმე.

ბიბლიოგრაფია:

- ახალაია, ვ. (1983). უკავშირო წინადადების კლასიფიკაციისათვის. *თსუ ახალგაზრდა მეცნიერ ფილოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მასალები*. თბილისი.
- ბასილაია, ნ. (1974). *უკავშირო რთული წინადადება*. თბილისი.
- კარტოზია, გ. (1972). *ლაზური ტექსტები*. თბილისი.
- კვარაცხელია, გ. (1990). *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*. თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (1950). *რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია*. თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (1988). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- კიზირია, ა. (1955). რთული თანწყობილი წინადადება ახალ ქართულში. კრებულში: *ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში*.
- შანიძე, ა. (1949). *ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი*. თბილისი.
- ჩიქოვაძე, ა. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ*. თბილისი.
- ჩიქოვაძე, ა. (1968). *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში*. თბილისი.
- ხალხური სიბრძნე: მეგრული და ლაზური ანდაზები*. (1994). (რ. შეროზია, & ო. მეძიშიში, შემდგენლები) თბილისი.
- ხუბუა, მ. (1937). *მეგრული ტექსტები*. თბილისი.
- Булаховский, Л. А. (1948). *Русский литературный язык первой половины XIX века*. Киев.
- Гвоздев, А. Н. (1973). *Современный русский литературный язык: Синтаксис*. II. Москва.

Vianor Akhalaia

Gori State University

COMPLEX SUBORDINATE CLAUSE WITHOUT CONJUNCTIONS IN THE GEORGIAN AND ZANURI LANGUAGES RESUME

In Georgian language, as well as in Zanuri (Megrelian-Tcanuri), sometimes parts of a complex sentence are represented as a single syntactic quantity by means of intonation, without the help of conjunction and conjunction words, i.e. without external appearance. Such sentences are called asyndetic, compound sentences. In an asyndetic complex sentence, a subordinating intonation is used instead of a conjunction and conjunction words. This is supported by the corresponding illustrative examples of the Zanuri language given in the article.

Keywords: Without conjunctions, Paratax, Hypotaxis, Sentence.

სოფელ ქენქანის ტოპონიმები

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, სოფელი, ქარჩოხი, ქსნის ხეობა, სალოცავი, მამულები, ეთნოგრაფია.

ქენქანი ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემის სოფელია. მდებარეობს მდინარეების ქსნისა და ჭურთის წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ახალგორიდან 27 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე (აბაშიძე, 1986, გვ. 501) 2002 წლის აღწერით სოფელში 101 ადამიანი ცხოვრობდა, 53 მამაკაცი და 48 ქალი (ბერიძე, 2003, გვ. 120). მოსახლეობის უმეტესობა ქენქაძეები იყვნენ, აქედან მომდინარეობს სოფლის სახელწოდებაც - **ქენქანი**. მათ გარდა სოფელში ცხოვრობდნენ ხოზოეთიდან ჩამოსახლებული გამხიტაშვილები, გაროზაშვილები, ასევე თინიკაშვილები, მიდელაშვილები, შამშალაიძეები, წიპტაურები, ილურიძეები. ყველა მათგანი ქართველი იყო და სოფელიც ოდითგანვე რომ ქართველებით იყო დასახლებული, ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული მოსახლეობის აღწერები (მათ შორის XVIII საუკუნის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარი, ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლების სტატისტიკური და XIX საუკუნის რუსული კამერალური აღწერების დემოგრაფიული მონაცემები)... ასევე ტოპონიმიკური მასალა, რომელიც საუკეთესო მაჩვენებელია იმის განსაზღვრისათვის, თუ რა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა აქ, ვინ იყო სოფლის საძოვრებისა თუ სახნავ-სათესი მამულების ბატონ-პატრონი.

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ძირძველი მოსახლეობა მამაკაპისეული მიწა-წყლიდან გამოდევნილია.

ქენქაძეები და მათი მემკვიდრეები, გარდა ქენქანისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც ცხოვრობდნენ, მაგალითად, XVIII-XIX საუკუნეების აღწერების მიხედვით, მთლიანად ქენქაძეებით იყო დასახლებული ქენქანის მეზობლად სოფელი გოლგოლეთი, ქენქანის სამხრეთით - სოფელი ხარბალი, ქენქანის მოპირდაპირედ, აღმოსავლეთით მდებარე ჭორჭოხის მკვიდრი საბიაშვილები კი ქენქაძეების განაყარი შტოა (ახლოური, 2021). მათი წინაპრები ქსნის ხეობაში გორის რაიონის სოფელ თორტიზიდან მოსულან და გვარად ქარუმიძეები ყოფილან. სამი ძმიდან ერთი გეზევრეთში დაესახლა და ჭოჭელების გვარს ჩაუყარა საფუძველი, დანარჩენი ორი ძმიდან, რომლებიც საკმაოდ მაღლები ყოფილან, ერთი ხარბალში დასახლდა, მეორე - ქენქანში ზესიძედ მოეკიდა ერთ იქაურ ხელოსან გლეხკაცს. ძმებს გვარი ფიზიკური სიმაღლიდან გამომდინარე მიუღიათ; **ქენქა** - მაღალს ნიშნავდა. (ქენქაძე, 2008ბ, გვ. 81)

რაც შეეხება სხვა სახელწოდებებს:

აბრამიანი, აბრამიანთ ქედი - აბრამიანი გვარის ერთ-ერთი შტო იყო, ისინი სოფლის თავში ცხოვრობდნენ ქედზე, რომელსაც აბრამიანთ ქედი ეწოდებოდა. ერთი ვერსიით, ქედის სახელწოდება შეიძლება დაკავშირებული იყოს ქარჩოხის ხეობის მოურავ აბრამთან, რომელიც ქსნის საერისთავოს 1774 წლის აღწერით ქენქანის მკვიდრთა შორისაა მოხსენიებული ძმებთან - ივანესთან და გიორგისთან ერთად (თაყაიშვილი, 1951, გვ. 39), შემდეგ კი გადადის ახალდაბაში (თანამედროვე ბალაანი) და ბალაშვილების წინაპრად გვევლინება (თაყაიშვილი, 1951, გვ. 10). ეს აბრამი გვარად თინიკაშვილი იყო. სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში თინიკაანის მოსახლეა (ქსმ, 1970, გვ. 1046). შესაძლებელია, მის, როგორც გავლენიანი პირის პატივსაცემად ქენქანში მართლაც დაერქმიათ ქედისთვის მოურავის სახელი, ხოლო იქ მაცხოვრებელ ქენქაძეებს, აბრამიანი უწოდეს... დასაშვებია მეორე ვერსიაც, რომ აბრამი თვითონ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომლის შთამომავლებიც აბრამიანად მოიხსენიებინ...

ახოები - ოთარას ახო, წინ ახო, ტეტისას ახო... ახო გატეხილ მამულს ნიშნავდა. სულხან-საბა მას გაკაფულ საყანურად მოიხსენიებს: „საყანური განაკაფი, ტყე-განყენებული“ (ორბელიანი, 1991, გვ. 85). მთის სოფლები მოსავლიანობის მხრივ მწირი იყო. ჭარბობდა სახნავად გამოუყენებელი, სათიბი ადგილები. მთიელები იძულებული ხდებოდნენ კოლოსალური მუშაობის შედეგად გაჩეხათ ტყეები, მოეთხარათ დეკა და იელი და სახნავად მოემზადებინათ (ითონიშვილი, 1974, გვ. 22). ქენქანშიც რამდენიმე ადგილია, რომელსაც ემჩნევა, რომ გატეხილია, დამუშავებული, ტყისგან „გამოგლეჯილი“. ზოგიერთი მათგანი კონკრეტული პიროვნების სახელსაც ატარებს, ზოგის მესაკუთრის ვინაობა კი ხალხის მეხსიერებამ ვერ შემოგვინახა და უბრალოდ, ახოებად მოიხსენიებინ.

ბახაჩაანი, იგივე ბაყაჩაანი - საგვარეულო შტო, აბრამანთ შტოს განაყარი. სახელი ბაყაჩა ფართოდაა გავრცელებული ოსურ ეპოსში. გასათვალისწინებელია, რომ ქარჩოხის ხეობის სამ სოფელში ცხოვრობდნენ ოსები (ლომისი, ოხირი და ძაბუეთი), ასევე ქარჩოხი ემეზობლებოდა როგორც ჟამურის, ისე ჭურთის ხეობებს, სადაც XVIII საუკუნიდან სახლობდნენ ოსები, რომლებთანაც მჭიდრო ნათესაური კავშირ-ურთიერთობები ჰქონდათ, ხშირად მოჰყავდათ რძლად ოსი ქალები. ისინი მშობლიური ეპოსიდან შერჩეულ სახელს არქმევდნენ შვილებს. თვითონ ოსურში სიტყვა „ბაყაჩა-ბაღათარ“, ვასილ აბაევის მტკიცებით, თურქულ-მონღოლური ხალხების გავლენითაა დამკვიდრებული. მოგვიანებით, „ბაყაჩა“ ჩვეულებრივად გამოიყენებოდა ქართულ ლექსიკაში მსუქანი, ზორბა ბავშვის მნიშვნელობით, ასევე იყო მამაკაცის საკუთარი სახელიც. ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარი, ვ. ქენქაძე არ გამორიცხავს, რომ ეს სიტყვა მონღოლების დროის სახელებიდან იყოს შემორჩენილი (ქენქაძე, 2010ბ, გვ. 50). აქვე შევნიშნავთ, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში, სწორედ ჭურთის ხეობელ ოსებს ენათესავებოდნენ ბაყაჩაანთ შტოს წარმომადგენელი ქენქაძეები.

ბეჟუანი - უბანი სოფელ ჭორჭოხის მოპირდაპირედ, ქენქაძის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც, გადმოცემით, ქენქაძე ბეჟუას შვილები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ ძმას მოუკლავს ჟამურელი ყაჩადი მამსირა, ეროვნებით ოსი, რომელიც გამორჩეული ყოფილა თავისი ძალადობითა და გარყვნილი საქციელით. მამსირა დაეხეტებოდა სოფელ-სოფელ და რაც მოეწონებოდა, ყველაფერს ისაკუთრებდა, არც ქალს ინდობდა და არც მასპინძლის ოჯახს. ქენქაძეებთან სტუმრად მყოფი ოსი დედაბოძე დაკიდებულ ვერცხლის ქამარ-ხანჯალს დახარბებულა და შეზარხოშებულს წელზე შემოურტყამს. ძმებიდან უფროსს ეს ვერ აუტანია, მივარდნილა მოძალადეს, თავისივე წინაპრის ხანჯალი ქარქამიდან ამოუძვრია და განუგმირავს. ძმები იმავე დამეს აყრილან და სამკვიდროდან გადახვეწილან. სად, არავინ იცის. განრისხებულ ჟამურებულს ქენქაძეების სახლ-კარი გადაუწვავთ და მოუოხრებიათ (ვრცლად იხ. ქენქაძე, 2010ა, გვ. 46-47). დღეს ბეჟუანთა ნამოსახლარი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია.

ბუერიანი - ქენქაძის სამხრეთით, ჭურთის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ვაკე ადგილი. როგორც ჩანს, ეს ტერიტორიაც თავის დროზე გატეხილი და დამუშავებულია, ადრე იხვნებოდა, ბოლოს გაასამოვრეს და ძირითადად, მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად იყენებდნენ. ამ ადგილზე გავრცელებულია ბუერა - რთულყვავილოვანთა ოჯახის მრავალწლიანი ბალახი, დიდი, მომრგვალო გრძელყუნწიანი ფოთლებით, რომელიც ტენიან ადგილებში ხარობს (ჩიქობავა, 1986, გვ. 64). ტენიანობა ბუერიანისათვისაცაა დამახასიათებელი.

გრიგოლაური - ქედი სოფლის დასავლეთით. დაკავშირებული უნდა იყოს მამაკაცის საკუთარ სახელთან. გრიგოლაურის ქედს ორ ნაწილად ყოფს შარის ხევი, რომელიც შარს, საფრთხეს უკავშირდება.

გრძელველა - მდებარეობს ჭურთის წყალგამყოფ ქედზე, საკმაოდ ვრცელი, დაკიდული მინდორი, გამოიყენებოდა სათიბად. ცნობილია, რომ ამ ადგილს სათიბად და სახნავად იყენებდნენ მეზობელი სოფლის - მიდელაანის მკვიდრნი, რაც გასაკვირი იყო, რადგან ქენქაძის ეკუთვნოდა. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ქარჩოხის ხეობაში, მაგალითად, იგივე ქენქაძეები და მიდელაშვილები ერთხანს სათიბად იყენებდნენ ბალაანის უკან მდებარე ლომის-ალევის მთიდან შემოჭრილ მთაგრეხილს, რომელიც შემდეგ ბალაანელებმა და ჭორჭოხელებმა დაისაკუთრეს (ქენქაძე, 2010გ, გვ. 103). ქენქაძეებსა და მიდელაშვილებსაც მოსვლიათ გრძელველის მამულზე კამათი. როგორც მოსალოდნელი იყო, დავა ბოლოს ქენქაძეების სასარგებლოდ დასრულებულა...

კაკლები, საკაკლე - ასე ეწოდებოდა რამდენიმე ადგილს, სადაც კაკლის ხეები ხარობდნენ. ქარჩოხის ხეობაში საკმაოდ დიდი ზომის კაკლის ხეები იზრდებოდა, თითოეულს რამდენიმე ადამიანის გაშლილი ხელებიც რომ ვერ შემოუწვდებოდა. ზოგიერთი კაკალი რამდენიმე კომლის საკუთრება იყო და ნაყოფს თანაბრად ინაწილებდნენ. მათი ხნოვანობა კი პაპის პაპებსაც არ ახსოვდათ.

კვირიკეთი - ძველი ნასოფლარი სოფლის სამხრეთით. ეს სახელწოდება საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში. კვირიკეთი სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სადაც დგას XIX საუკუნის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის დარბაზული ეკლესია. საკვირიკეს (კვირიკეწმინდა, კვირიკეთი) სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ დვირთან, სადაც ადრე ყოფილა ნასოფლარი საკვირიკე. წმინდა კვირიკეს სახელობის ტაძარი აგებულია სვანეთში, XI საუკუნეში. ამ კუთხეში, სოფელ კალაში, უძველესი დროიდან აღინიშნება რელიგიური დღესასწაული კვირიკობა, 28 ივლისს, წმინდა კვირიკესა და ივლიტას წამების დღეს, რომელსაც ლაგურკასაც ეძახიან სვანეთში (ნოზაძე, 2021). კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრები თუ ნიშები საქართველოში ბევრგან გვხვდება, მათ, ოდითგან, განსაკუთრებულ თავყანს სცემდნენ ჩვენს ქვეყანაში, ივლისს კვირიკობისთვისაც კი უწოდებდნენ (ჩიქობავა, 1986, გვ. 264)... მორწმუნენი ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდანებს ოჯახურ ბედნიერებასა და სხეულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებას შესთხოვენ... ერთი ვერსიით, წმინდა კვირიკეს სახელს უნდა უკავშირდებოდეს სოფელ ქენქაძის ძველი ნასოფლარის სახელწოდებაც. მეორე ვერსიით კი სახელი შეიძლება მომდინარეობდეს ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი

კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიის სახელწოდებიდან, ამ ადგილს ზოგი კვირიქედსაც უწოდებს. კვირაცხოვლობა სახალხო დღესასწაული გახლდათ, რომელიც ადგილობრივი სწორზე აღინიშნებოდა, ქსნის ხეობაში თითქმის ყველა სოფელი ზეიმობდა ამ რელიგიურ დღესასწაულს.

გადმოცემით, კვირიკეთზე უცხოვრიათ არაგვის ხეობიდან გადმოსულ ნარიმანიძეებს, რომლებსაც არ ყოფნიდათ სახნავ-სათესი მამული და თვალი ექირათ მეზობლად, მზარეულიანში მცხოვრებ ქენქაძეების მიწა-წყალზე. ნარიმანიძეებს რძლად ჰყავდათ მზარეულიანთ ქალი ია, რომელსაც არ გამოპარვია ქმრისა და მაზლების სურვილი - ამოეწყვიტათ „მოყვრები“ და ხელში ჩაეგდოთ მათი ქონება. დამით მეუღლის სახლიდან გამოიპარა და ძმებს ნარიმანიძეთა ავი ზრახვები გაანდო... მზარეულიანთისკენ მიმავალი 12 ძმა შეეწირა ხევში ჩასაფრებული ქენქაძეების მოულოდნელ თავდასხმას. ჩვენამდე კი მოაღწია ცნობილმა ლექსმა, რომელიც ხალხმა ძმების გადარჩენით გახარებულ იას ათქმევინა:

„თორმეტი ნარიმანიძე
მე მოვკალ, ქალმა იამა,
ამ ცალსა გულსა ეწყინა,
ამ ცალსა გულსა ეამა“... (ქენქაძე, 2008ა, გვ. 33).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში (იხ. ქსმ, 1970), ისევე როგორც ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლის სტატისტიკურ აღწერილობებში (იხ. თაყაიშვილი, 1951), ქენქაძეების გვერდით ნარიმანიძეებს არ იხსენიებენ. ეს თქმულება გაცილებით წინა საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს.

მანიოზის წყარო - სოფლის ზემოთ, დასავლეთით მდებარე წყარო, საიდან მარაგდებოდა სოფელი, იქ წყლის მიღებით მოედინებოდა ქენქაძეებში. მანიოზის წყარო ქმნიდა ხევს, რომელზეც ორი წისქვილი იყო გამართული, ერთი აზრამიანთ ეკუთვნოდა, მეორე - ხოზოეთის მაცხოვრებლებს.

მზარეულიანი, მზარეულიანთ შტო - როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო დასახლება სოფლის სამხრეთით. კვირიკეთსა და მზარეულიანთ ნასოფლარებს უღრანი ტყე გამოჰყოფდა ერთმანეთისაგან. ტოპონიმი „მზარეული“ ასოცირებული უნდა იყოს პირთან, რომელიც საუკეთესო კერძების ოსტატი გახლდათ.

დღეს, როგორც კვირიქედის, ისე მზარეულიანთ ნასოფლარები გავერანებულია და შამბით მოსილი. ნარიმანიძეების გადარჩენილი ნაწილი გაცილებით ადრე წასულა კვირიქედიდან, ისინი ჯერ სოფელ ხარბლის ჩრდილოეთით მუხლუხის ქედზე დასახლებულან, შემდეგ კი - ქენქაძეების მოპირდაპირე, ქსნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ ჭორჭოხში. მზარეულიანი გაცილებით დიდხანს შემორჩნენ ძველ სამკვიდროს. როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლის მასწავლებელმა ინგა ქენქაძემ გვითხრა, მისი პაპის მამა ჯერ კიდევ ხოზოეთში ცხოვრობდა. მოგვიანებით ისინი თანამედროვე ქენქაძეების მცხოვრებლებს შეურთდნენ და მათ შტოს მზარეულიანთ უწოდებენ.

მუნჯები - სამოვარი ადგილი კვირიკეთის (კვირიქედის) ახლოს - ყოფს პატარა ტყიანი ადგილი და ნაკადული... უფრო კლდიანია, რომელსაც სახნავად ვერ გამოიყენებდნენ. ადრე ამ ადგილზე ტყე ყოფილა და გაუჟავავთ. სახელი უნდა მიეღო უტყვი, მიკარგული ადგილმდებარეობის გამო. მუნჯების თავზე ნაგებობების კვალი იკვეთება.

ნატეხები - გატეხილი, დამუშავებული ადგილი ქენქაძეებსა და ხოზოეთს შორის, ამ ადგილზე ადრე ტყე უნდა ყოფილიყო.

ნაშრობი - ქედი ქენქაძეების ზემოთ, დასავლეთით. ქარიანი ადგილის გამო, როგორც ჩანს, წვიმის შემდეგ ნიადაგი ადვილად შრებოდა.

ოთარანი - გვარის შტო, მომდინარეობს საკუთარი სახელიდან... ამ სახელს უკავშირდება ოთარას ახო და ოთარას ხევი - ეს ის ადგილია, სადაც მზარეულიანთ ნარიმანიძეები დახოცეს, ამიტომ ცოდვიან ხევადაც მოიხსენიება. თუმცა რთული სათქმელია, იყო თუ არა ეს „ოთარა“, ვის სახელსაც ხევი და ახო ატარებს, გვარის ერთ-ერთი შტოს წინაპარი...

პანტიანი - მზარეულიანსა და ხარბალს შორის მდებარე ვრცელი მამული, სადაც ასევე მდებარეობდა საყდარი. სახელწოდება დაკავშირებული პანტის ჯიშის მსხლებთან, რომელთა სიმრავლეც შესამჩნევია ამ ტერიტორიაზე.

პაპუნანი - გვარის შტო, მომდინარეობს საკუთარი სახელიდან. ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ სოფლის წმინდა გიორგის სალოცავის დეკანოზები. ბოლოს ამ საპატიო მოვალეობას ასრულებდა ავთანდილ ვასილის ძე ქენქაძე, რომელიც ამჟამად დევნილია.

სამაღლეთი - სოფლის დასავლეთით ხოზოეთისკენ მიმავალ გზაზე მდებარე მამული. სავარაუდოდ, აქ მაცხოვრებელ ქიტანთ შტოს წინაპრებს ბევრი ძაღლები უნდა ჰყოლოდათ, რაც არცაა გასაკვირი მთაში ნადირის სიმრავლის გამო.

სხეპები - სოფლის ბოლოში, აღმოსავლეთით მდებარე ადგილი. სხეპი ასევე - გასხეპილზე, გაკაფულ მამულზე მიგვანიშნებს.

ქიტანი - გვარის ერთ-ერთი შტო, მომდინარეობს საკუთარი სახელიდან - ქიტე (ქიტესა). სოფლის უხუცესთა გადმოცემით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი წინაპრები ცხოვრობდნენ დღევანდელი ქენქანის ზემოთ, დასავლეთით.

შაფყარობი - სოფლის დასავლეთით მდებარე ადგილი, ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ ველებს და წყაროებს, ისინი რამდენიმე ადგილას გამოედინებიან კლდეებიდან, რომელთაც მოშავო ფერი აქვთ.

შოლტები - ასე ეწოდებოდა მზარეულიანთ ნასოფლარის ქვემოთ, ჭორჭობის მოპირდაპირედ, ჭალის პირას მდებარე ველებს. სიტყვა „შოლტი“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სულხან საბას განმარტებით, შოლტი არის მათრახი სამ-ოთხ ღერი, მეორე მნიშვნელობით ტყავის ანაჭერია გრძლად, „ტყავის ნაკვეთი გრძელი“ (ორბელიანი, 1993, გვ. 306). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი შოლტს ქართულ ენაში უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა - ნიშნავდა ტყავის წვრილი ნაჭრების წნულს, ასევე საქალამნედ დაჭრილ საქონლის ტყავს, წკეპლას და კედლიდან კედელზე გადებულ კოჭს, რომელსაც სახურავი უჭირავს და ცნობილია როგორც ფშავში, ისე მთიულეთში (ჩიქობავა, 1986, გვ. 505). მამსადაძემ, თითქმის ყველა მნიშვნელობით, ტოპონიმი „შოლტები“ მიგვანიშნებს სწორ და გრძელ, შოლტებად დაფენილ ველებზე.

ჭალები - ქენქანის სამხრეთით მდებარე გაკაფული ადგილი, მართალია, ჭალიდან ანუ ქსნის ნაპირებიდან საკმაოდ მოშორებული ყოფილა, მაგრამ სწორი, ვაკე ადგილის გამო უნდა მიეღო ეს სახელწოდება.

ხატიმიწები, ხატის მამულები - ხატიმიწები ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც ეკლესია აგებული ან ხატი და ნიშა დაბრძანებული (იხ. სომხიშვილი, 1981, გვ. 17). ქსნის ხეობის მთის ყველა სოფელში იყო ხატის მიწებად, ხატის მთებად, ხატის ტყედ... სახელდებული ადგილები, რაზეც ვრცლად ამახვილებს ყურადღებას ცნობილი ეთნოგრაფი ვ. ითონიშვილი. იგი „მთის კაცთა“ ინფორმაციაზე დაკვირვებით განმარტავს იმ მიზეზებს, რაც განაპირობებდა ხატის მიწებად და ხატის მთებად სახელდებული მიწის „სექტორის“ წარმოქმნას. პირველ ძირითად მიზეზად მიიჩნევს სოფლის ტერიტორიაზე არსებული სალოცავების ჯეროვან მომსახურებასა და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზების საჭიროებას. ასევე მამულის თუ მთის შეწირვით ხატის რისხვისაგან თავის დაზღვევას, ცალკეულ ხატის ყმათა მიერ ხატის სიახლოვეს მდებარე საკუთარი მამულის შეწირვას მოსალოდნელი დამიზეზებისაგან თავის დაზღვევის იმედით, ზოგჯერ უკვე „დამიზეზების“ გამო „უთმობდნენ“ ახლოს მდებარე სალოცავს კუთვნილ მიწას... ხატს მამულებს სწირავდნენ აგრეთვე სოფლიდან გადასახლების მოსურვე უმემკვიდრეოდ დარჩენილი ან მეტად შეძლებული პირები სასოფლო დღეობებზე მათი სულის დამწყალობებისათვის (ითონიშვილი, 2003, გვ. 105-106).

სოფელ ქენქანში სამი სალოცავია, წმინდა გიორგის, ამაღლებისა და კვირაცხოვლობის. უმთავრესი დღესასწაული ლომისობის შემდეგ აქაურებისთვის გიორგობა იყო, რომელსაც 23 ნოემბერს აღნიშნავდნენ. ხატიმიწების დიდი ნაწილიც სწორედ წმინდა გიორგის სახელობის იყო. გადმოცემით, ქენქაძეებს ძველი საცხოვრისიდან უნდა წამოებრძანებინათ წმინდა გიორგის ხატი (ჯალაბაძე, 1975, გვ. 19). კაბადოკიელი წმინდანის სახელობის ეკლესია, რომელიც გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება, აგებულია სოფლის სასაფლაოზე. იგი დარბაზული, სწორკუთხა მოხაზულობისაა, აშენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითა და ფიქალით, ასევე დიდი ზომის ფიქალია გამოყენებული საბურავად, კედლები შელესილია თეთრად, იატაკი მიწაყრილია. სარკმლის ძირში და ჩრდილოეთით განლაგებულია ტრაპეზის ქვები. დასავლეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. გარშემო შემოვლებული ჰქონია გალავანი, რომლის ფრაგმენტებიც დღემდეა შემორჩენილი (დადიანიძე, 2008, გვ. 178). წმინდა გიორგის სახელზე ხის გუთნით 8 დღის, რკინის გუთნით 5 დღის სახნავი მიწა ყოფილა განკუთვნილი. იღებდნენ 2 ტონამდე მოსავალს, რომელიც მთელ სოფელს ეკუთვნოდა. ხატის მიწასაც მთელი სოფელი ამუშავებდა და თანაბრად იყენებდნენ: „4 ტომარა ლუდისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო 3 ტომარა არაყისთვის. ნაწილს პურის გამოსაცხობად გამოყოფდნენ. საკლავი რიგზე იყო. გაყიდული პურის საფასურით ყიდულობდნენ ჭურჭელს. მოსავლის ნაწილი სოფლის ხარჯებში მიდიოდა, ნაწილი კი ხალხს რჩებოდა. მოსავლით ეხმარებოდნენ აგრეთვე ობლებსა და ტიალებს. ყოველივე ამას ანაწილებდა ხატის უფროსი ანუ დეკანოზი“ (ითონიშვილი, 2003, გვ. 114).

ვფიქრობთ, ეს გახლავთ, მეტ-ნაკლებად სრული სურათი სოფელ ქენქანის ტოპონიმებისა, რომელიც მხოლოდ ქართულია. მინდა მაღლიერება გამოვხატო სოფლის მკვიდრთა მიმართ, რომლებმაც საკითხზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს.

ბიბლიოგრაფია:

- აბაშიძე, ი. (მთ. რედ.). (1986). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე)* (ტ. 10).
- ახლოური, დ. (2021). ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 20.
- ბერიძე, თ. (რედ.). (2003). *საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა)* (ტ. II). თბილისი: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.
- გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.* (№7486).
- დადიანიძე, ც. (რედ.). (2008). *შიდა ქართლი. ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა* (ტ. IV). თბილისი: ილიას ფონდი.
- თაყაიშვილი, ე. (1951). ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა). *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 45.
- ითონიშვილი, ვ. (1974). *ქართლის მთიელთა ყოფა ცხოვრებიდან*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ითონიშვილი, ვ. (2003). *ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან*. თბილისი: მემატთანე.
- ნოზაძე, თ. (2021 წლის 27 ივლისი). *კვირიკობა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.ambioni.ge/dres-kvirikobaa>
- ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (ტ. I). თბილისი: მერანი.
- ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი: მერანი.
- სომხიშვილი, ვ. (1981). *ქსნის ხეობის ქართლური*. ცხინვალი: ირისთონი.
- ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), III*. (ი. დოლიძე, შემდგენელი) თბილისი: მეცნიერება.
- ქენქაძე, ვ. (2008)ა. მზარეულიანთ ქალი ია. წიგნში: *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი*. თბილისი.
- ქენქაძე, ვ. (2008)ბ. ძმები ქარუმძიძეები. წიგნში: *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი*. თბილისი.
- ქენქაძე, ვ. (2010)ა. ქართველების ერკემალი. წიგნში: *ქსნური ხალხური ფაბლიო*. თბილისი.
- ქენქაძე, ვ. (2010)ბ. ქილა-ერბო. წიგნში: *ქსნური ხალხური ფაბლიო*. თბილისი.
- ქენქაძე, ვ. (2010)გ. ის კი არ არის ბიჭობა. წიგნში: *ქსნური ხალხური ფაბლიო*. თბილისი.
- ჩიქოვაძე, ა. (მთ. რედ.). (1986). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი.
- ჯალაბაძე, გ. (1975). ქსნის ხეობის მოსახლეობა. წიგნში: *ქსნის ხეობა*. თბილისი: მეცნიერება.

Davit Akhlouri

Gori State University

TOPONYMS OF THE VILLAGE KENKAANI RESUME

Kenkaani is a village in the occupied Akhagori municipality, located in the Karchokhi gorge, on the right bank of the Ksani River. Older population censuses, including the eighteenth-century Samtavisi Cathedral the Ksani Saeristavo 1774 and 1783, and the nineteenth-century Russian chamber census, show that the village has long been inhabited only by Georgians, which is clearly toponymic. the paper finds and explains the names related to the past of the village, arable lands, mountains, ridges, forests, rivers, churches-monasteries, niches, branches of the family.

Behind each toponym is the village life, its ethnographic and religious life, the daily life of the people living here, customs, traditions. it is a unfortunate that the occupiers change the names of the native Georgian land, falsify the history and try with great diligence to erase the Georgian traces. Against this background, it is extremely important to say the right word, which will clearly confirm who owned the historic Ksani Saeristavo, each of its villages and whose traces can be seen in the Georgian land and water.

Keywords: Toponym, Village, Karchokhi, Ksani gorge, Shrine, Estates, Ethnography.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის იმპლიციტური მნიშვნელობა (დ. ჰ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: ფერები, სტილისტური, სტრატეგია, ბიოგრაფიული საფუძველი, იმპლიციტური.

1. შესავალი

დ. ჰ. ლორენსის ნაწარმოებთა შესახებ არსებულ კვლევათა უმეტესობა ძირითადად მწერლის ფილოსოფიას, განსხვავებულ სამწერლო ენას და ბიოგრაფიულ ცნობებს ეხება, თუმცა ძალიან მწირადაა ნათქვამი და გაანალიზებული ფერთა აღმნიშვნელი იმ ლექსიკის შესახებ, რომელიც ავტორისთვის ნიშანდობლივია და თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოებშია გამოყენებული მოქმედი პირების, სხვადასხვა მოვლენების თუ ბუნების პეიზაჟების დასახასიათებლად. უფრო მეტიც, ფერების აღმნიშვნელ სიტყვებს მწერლის ნაწერებში სიმბოლური და იმპლიციტური მნიშვნელობა გააჩნია. ლიტერატურის რამდენიმე კრიტიკოსმა ეს ფენომენი მართალია შეამჩნია, მაგრამ მათი კომენტარები და შენიშვნები დღემდე მაინც არასაკმარისია. მაგ; ჰიუ სტივენსი თვლის, რომ ლორენსის მიერ რასების მიმართ დამოკიდებულება, მოქმედ პირთა კანის ფერთაა გადმოცემული. მისი აზრით, ლორენსის ნაწარმოებები ეროტიზმისა და ისეთ რასობრივ ნიშანთა საოცარ ნაზავს წარმოადგენს, როგორცაა სხეულის თითოეული ნაწილის ფერი. სტივენსი პრუსიელი ოფიცრისა და მისი შიკრიკის (Lawrence, 1995, p. 3) ფერთა კონტრასტზე ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ: „ეს ორი მამაკაცი ერთმანეთისგან არა მხოლოდ ასაკით, კლასობრივი და თანამდებობრივი მდგომარეობით განსხვავდებიან, არამედ ფერთაც: ოფიცრის „ღია ცისფერი თვალები“ და „ცივი ცეცხლი“, მისი „შავგვრემანი“, „თბილი ალის მსგავსი“ ახალგაზრდა შიკრიკის საპირისპიროა (Stevens, 2003, p. 55). ანაის ნინი მწერლის ნაწარმოებებში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის უპირატესობას ადასტურებს და ამბობს, რომ „ეს მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი ისეთი გამომსახველობითი ხერხია, რაც მის შემოქმედებას დაუჯერებელ რეალობას სძენს“. (Nin, 1964, p. 63)

ჯეკ ფ. სთივერდი თავის მიმოხილვაში, რომელიც დ. ჰ. ლორენსის ესეის „ზღვა და სარდინიას“ ეხება, მწერლის ენის რიტორიკულ საკითხზე მსჯელობს და ყურადღებას ფერების იმ გამოყენებაზე ამახვილებს, რომელსაც რომან იაკობსონის მეტაფორისა და მეტონიმის თეორია უდევს საფუძვლად. აღნიშნულ ესეიში ბუნების სურათების აღსაწერად ფერთა აღმნიშვნელი მრავალი სიტყვათა ჯგუფია გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიტიკული წერილები ქრომატული (ფერადი) მახასიათებლების განსაკუთრებულობას ეხება, მათში მწერლის იმ მეტაფორულ თუ ნარატიულ სტრატეგიებზე, რომლებიც ფერთა გამომხატველ სიტყვებშია დამალული, არაფერია ნათქვამი.

ჩვენი მოხსენების მიზანს დ. ჰ. ლორენსის მიერ გამოყენებული ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის წინა პლანზე წამოწევა, მათი სტილისტურ-კონტექსტუალური ანალიზი წარმოადგენს, ტრანსლატიკის იმ პრობლემებთან ერთად, რასაც მათი და ზოგადად ლორენსის ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში ვაწყდებით.

2. დისკუსია

ანაის ნინი აღნიშნავს, რომ ლორენსი „მხატვარივით მუშაობს“ (Nin, 1964, p. 63) და საკუთარ ნაწარმოებებში ის „ბუნების, ცხოველების, ტანისამოსის და არემარის ნამდვილ ფერწერულ ტილოებს ქმნის“. (Nin, 1964, p. 62) ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ასეთი უხვი გამოყენების გაანალიზება ორი სტილისტური ხერხის მიხედვით არის შესაძლებელი: მეტაფორის და მეტონიმის. მათზე მსჯელობის საშუალებას რომან იაკობსონის სემიოტიკის თეორიაზე დაყრდნობა გვაძლევს, რადგან ფერები სემიოტიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ნიშანთა სისტემა ორ კატეგორიად იყოფა: მეტაფორიული და მეტონიმიური. იაკობსონის აზრით, სიმბოლოები და ისეთი განმეორებები, როგორცაა მეტრი და რითმა, შესაძლებელია მეტაფორად ჩაითვალოს მაშინ, როცა თხრობა ცალსახად მეტონიმიურია. ასეთ შემთხვევაში, ფერთა სიმბოლური გამოყენება მეტაფორიულია, ხოლო პერსონაჟთა გარეგნობა, გარემომცველი გარემო, დეკორაციები და ტანსაცმელი - მეტონიმიური. ლორენსის პროზის ფერებიც ზუსტადაც რომ ამ ორი აღნიშნული კატეგორიის მიხედვით უნდა გაანალიზდეს და მკითხველისთვის მათი იმპლიციტური გამოყენებაც ექსპლიციტური გახდეს.

მაგალითისთვის გთავაზობთ ლორენსის ნოველას „ეკალი სხეულში“, სადაც შინამოსამსახურე ემილის კაბის ფერები, წითელი და ლურჯი, სიმბოლურია. მთელი ნოველა ორი მთავარი პერსონაჟის „მკვდრეთით აღდგომას“, მათ სულიერ განახლებას ეძღვნება. დასაწყისშივე, ორივე მათგანი არსებული წესებისგან, პატრონებისგან ან ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ღმერთისგან შეზღუდულნი არიან. ბექმენს „საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობები კმაყოფილებას გვრიდა“ (Lawrence, 1995, p. 23) და ემილის ერთადერთი „სურვილიც მხოლოდ ბარონისა და ბარონესას მსახურება იყო“ (Lawrence, 1995, p. 31). თუმცა ეს იდილია მაშინ დაირღვა, როცა მას სერჟანტმა შეურაცხყოფა მიაყენა. მან კი წინააღმდეგობა გაუწია, სერჟანტს ხელი ჰკრა და თხრილში ჩააგდო. როდესაც ამ ინციდენტის გამო ის სამხედრო სამსახურიდან გაიწვიეს, თავის შეყვარებულთან წავიდა, რომელთან ერთადაც ღვთაებრივ ყოფას ეზიარა. ამ ნოველის მთელი სიუჟეტი ბექმენის პიროვნულ მეორედ დაბადებაზე მოგვითხრობს და ემილიც ამ ყველაფერს გაბედულად ელოდება. შეყვარებული წყვილის სულიერი აღდგომა ემილის კაბის მორთულობაშია გამოხატული, სადაც ფერებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს:

„She had the proud, timid eyes of some wild animal, some proud animal. Her black hair was closely banded, her grey eyes watched steadily. She wore a peasant dress of blue cotton sprigged with little red roses, that buttoned tight over her strong maiden breasts“ (Lawrence, 1995, p. 28).

„ქალს გარეული ცხოველის მსგავსი, ამაყი, მორცხვი გამოხედვა ჰქონდა. შავ თმაზე ლენტო შემოეჭირა, ნაცრისფერი თვალები მტკიცედ იმზირებოდნენ. ზამბის, ცისფერი წითელვარდებიანი ორნამენტებით შემკული, ღარიბული კაბა ემოსა, რომელიც უმწიკვლო, მკვრივ ძუძუებზე მჭიდროდ შეეკრა“ (Lawrence, 1995, p. 28)

ცისფერში, რომელიც ცასთან ასოცირდება, უფლისადმი ღრმა და ამოუხსნელი რწმენა იგულისხმება. წითელი ანუ სისხლისფერი, ქალის შვილოსნობის უნარის სიმბოლოა. ცისფრის და წითლის შეხამება რელიგიურ ფერწერაში ძალიან ხშირად გვხვდება. ღმერთისმშობელი ხატებზე წითელ, განიერ კაბაზე ცისფერ მანტიამოსხმულია გამოსახული. გარდა ამისა, წითელი ფერის ზემოდან წამოსხმული ცისფერი, სულიერების ხორციელზე უპირატესობის და აღმატებულების სიმბოლოა. ემილის კაბის ფერის ღმერთისმშობლის სამოსთან მსგავსება მკითხველს საშუალებას აძლევს, რომ ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი გმირი წმინდანთან გააიგივოს. ამავდროულად, ლორენსის მიერ ფერთა დეტალების ადაპტაცია გაცილებით მეტ გონივრულობასა და წინდახედულებას საჭიროებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „ზამბის ცისფერი, წითელვარდებიანი ორნამენტებით შემკული, ღარიბული კაბა“, ამ შემთხვევაში ცისფრის აღმატებულებას აღარ გამოხატავს. წითლის ცისფერთან შედარება, „ვარდების“ ორნამენტებთან ერთად ხორციელი ვნებების სულიერთან მეტოქეობაზე მეტყველებს. ემილის კაბის ახალი მოდელი, მისი „მკვრივი მკერდი“ და „განიერი თემოები“ ქალის დედობრივ საწყისს უსვამს ხაზს, განსაკუთრებით ახალი სიცოცხლის მოვლინებში მის უმთავრეს როლს და უნარს, რომელიც როგორც თავად ლორენსი თავის წერილში განმარტავს, მამაკაცის აღდგენა-განახლების არსებით საფუძველს წარმოადგენს: „მხოლოდ მდედრის გავლენას (აუცილებელი არაა ქალის, თუმცა უმეტესად ქალის) შეუძლია მამაკაცის სულიერი ხედვისა თუ არსებობის განოყიერება-გამდიდრება“ (Boulton, 1996, p. 80)

ლორენსის ბიოგრაფი ჯონ ვორტონი თავის მიმოხილვაში, რომელიც ამ მოთხრობას ეძღვნება, წერს: „საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს არის ემილი, რომელიც შეყვარებულებს შორის არსებულ უხილავ წინააღმდეგობას არღვევს, თუმცა ლორენსი მათი სასიყვარულო აქტის მაგნიტური წონასწორობის უპირატესობას ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ ასპექტთან შედარებით, კიდევ ერთხელ აღიარებს. (Lawrence, 1995, p. 28) ვორტონს ამაზე პასუხი არ გააჩნია, მაგრამ თუ ჩვენ ფერთა სიმბოლურ გამოყენებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ პრობლემაც გადაჭრილი იქნება.

ლორენსის ნაწარმოებებში გამოყენებულ ყველა ფერს სიმბოლური მნიშვნელობა არა აქვთ და მათი უმრავლესობა აღწერითი ხასიათისაა, მამასადაც მეტონიმიური. პერსონაჟთა დასახასიათებელ-აღსაწერი ფერები შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს, რაც ნათელსა და ბნელს შორის არსებულ დუალისტურ წინააღმდეგობაზე მეტყველებს. ის ფერები, რომლებიც სინათლესა და ინტელექტზე მიუთითებენ, არის ცისფერი, მწვანე, თეთრი და ა.შ. ხოლო სიბნელის აღმნიშვნელად ძირითადად ისეთი მუქი ტონებია გამოყენებული, როგორცაა ყავისფერი, მუქი ლურჯი, შავი და ა.შ. რამდენიმე ფერი, მაგალითად ცისფერი, შავი, ყავისფერი რამდენჯერმე მეორდება. მაგალითისთვის მოგვყავს ისეთი ნოველები, რომლებიც კრებულ „პრუსიელი ოფიცერი და სხვა მოთხრობებშია“ გაერთიანებული. ამ კრებულში ბევრი მოქმედი პირის თვალების ფერი ცისფერია: „პრუსიელი ოფიცერში“ კაპიტნის, სისონის, - ნოველაში „გაზაფხულის ჩრდილები“, ელიზაბეთის „ქრიზანთემების სურნელში“, მისის ქოუტისის „ვარდნარის ჩრდილში“. ყველა ეს პერსონაჟი წარმოდგენილია როგორც ინტელექტუალური ადამიანი, რომელთა გონებაც გამუდმებით საკუთარი სინდისისა და მორალის კონტროლითაა დაკავებული. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ლორენსი მოქმედ პირთა თვალის ფერის დასახასიათებლად ცისფერს იყენებს, რადგან თავის „ლიტერატურულ წერილებში“ ის წერს, რომ ცისფერთვალება ადამიანები „ძალიან

მახვილგონიერნი და აბსტრაქტულნი“ არიან (Lawrence, 1977, p. 139), ისინი ისეთ აბსტრაქტულ ელემენტებს ჰგვანან, როგორცაა წყალი, ყინული, ჰაერი, ცა, და ა.შ. და მათ ახალი სიცოცხლის დაბადება არ შეუძლიათ ან მხოლოდ მატერიების აბსტრაქტულ ფორმებს წარმოადგენენ, მაგრამ არაჰუმანური ცისფერთვალეა ადამიანებისგან განსხვავებით, წაბილსფერთვალეა ადამიანები გაცილებით უფრო ისეთი რეალური, ორგანული არსებები არიან, როგორც დედამიწა, სიცოცხლითა და ენერჯით სავსენი. ადამიანები, რომელთაც ცისფერი თვალეები აქვთ, გონების, ინტელექტის ძალაუფლების ქვეშ ცხოვრობენ და ჩვეულებისამებრ მაღალი საზოგადოების წრეს მიეკუთვნებიან, თავის შეკავება, საკუთარი თავის მიჩქმალვა და თვითკონტროლი ძალიან კარგად ეხერხებათ და კარგი განათლებაც მიღებული აქვთ. წაბილსფერთვალეა ადამიანები ჩვეულებისამებრ მუშათა კლასიდან არიან გამოსულნი, თითქმის არანაირი განათლება არა აქვთ და საკუთარ ინსტინქტებს ემორჩილებიან. ლორენსის აზრით, წაბილსფერთვალეა ადამიანთა ქმედებები მათ „სისხლის ყვილზე“ დამყარებული და მაშასადამე უფრო ჰუმანური არიან, ვიდრე მათი საპირისპირო ცისფერთვალეა ადამიანები. მწერლის ნაწარმოებებში თვალის ფერების გარდა, ტანსაცმლის ფერებიც ასევე ნათელისა და ბნელის დუალისტური წინააღმდეგობის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. პერსონაჟთა უმრავლესობას, რომელთაც ცისფერი თვალეები აქვთ, ტანსაცმელიც თეთრი აცვიათ. მაგალითად, ელიზაბეთიც და მისის ქოუტსიც თეთრ ტანსაცმელს ატარებენ, რაც მათ წმინდანთან ამსგავსებს. სხვა ისეთი ფერები, როგორცაა ცისფერი, ნაცრისფერი და ყვითელი, ხშირად „ნათელ“ პიროვნებასთანაა დაკავშირებული, ხოლო ფერები წითელი ან შავი, მოქმედი პირის „ბნელ“ პიროვნულ ხასიათთან ასოცირდება.

ლორენსის თხრობაში ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია. მათი მნიშვნელობა მხოლოდ უბრალოდ სუბიექტური უპირატესობა არ არის, რადგან ისინი ასევე ლორენსის ეპოქის შთაგონების და ესთეტიკურ მიმდინარეობათა გავლენასაც გამოხატავენ. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფერების სიმბოლიზაცია მოდერნისტული მხატვრული ნაწარმოების მეტაფორისა და მეტონიმის კომბინაციის სტილისტურ ხასიათს გვიჩვენებს. დევიდ ლოჯის აზრით, „განზოგადების უმაღლეს დონეზე, რომელზეც მეტაფორა/მეტონიმის განსხვავებულობის გამოყენება შეგვიძლია, თავად ლიტერატურა მეტაფორიულია და ყოველივე არალიტერატურული - მეტონიმიური“ (Lodge, 1977, p. 107), ხოლო მოდერნისტული ლიტერატურის შესახებ კი აცხადებს, რომ „მოდერნისტული მხატვრული ლიტერატურა ცალმხრივ თუ სხვა მხრივ, მე-19 საუკუნის რეალიზმის საწინააღმდეგოა და სიმბოლისტური პოეზიისა და პოეტიკის ღრმა გავლენას განიცდის“, ასე, რომ „ის იაკობსონის მეტაფორიული სქემის პოლუსისკენ გვიბიძგებს“ (Lodge, 1977, p. 125). დევიდ ლოჯისეული ასეთი დასკვნა ლორენსის მიერ ქრომატულ ტერმინთა გამოყენებასაც გულისხმობს და ამბობს, რომ სიმბოლიზებულ დეტალებს მისი ნაწარმოებები პოეზიის ხარისხში აჰყავს.

რეალურად, ისეთი გრძნობები, როგორცაა სუნი, სმენა და გემო, ლორენსის აღწერებში მკაფიოდაა განვითარებული, თუმცა ფერების გამოყენება გაცილებით ხშირია. შოპენჰაუერი, ერთ-ერთი დიდი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, რომლისგანაც ლორენსმა ბევრი რამ ისწავლა, მხედველობით აღქმას და ფერებს უპირატესობას სხვა დანარჩენ შეგრძნებებთან შედარებით ონტოლოგიურ შეფასებას აძლევს. ის ადამიანის ცნობიერებაზე თვალთ დასახულის სწრაფ ეფექტზე საუბრობს და ფერებს მათი მკაფიო გამომსახველობითი შესაძლებლობების გამო, სხვა ვიზუალურ საშუალებათაგან მკვეთრად განასხვავებს. ასე რომ, ინტერპრეტაციის მეტაფორულ ხარისხს ჩვენი ყურადღება ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკაში ხორცშესხმულ კონოტაციაზე გადააქვს; მოდერნისტული მხატვრული ტექსტის სტილისტური ნიშნები, როგორც ენის მეტაფორიული პოლუსიდან მეტონიმიურ აღწერისადმი მიდრეკილება, შესაძლებელს ხდის, რომ კონკრეტული წარმოსახვები ან აღწერები მეტაფორიული გახდეს თავისი სიმბოლიზმისა და რითმული განმეორების გამო. ლორენსმა კარგად იცის ფერების აღმნიშვნელ სიტყვათა ეფექტი და ამიტომაც მათ მეტაფორიულ გამოყენებას დიდი ნდობით ეკიდება.

ლორენსის მიერ ლიტერატურული ნაწარმოების ვიზუალურად წარმოდგენა მის ლიტერატურულ მიზანს ემსახურება ანუ ნაწარმოების მორალისთვის შექმნას. მისი აზრით, ლიტერატურის ფუნქცია მორალზე მაღლა დგას: „ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება მორალია. არც ესთეტიკა, არც დეკორატიულობა, არც დროსტარება და არც დასვენება და ძალების აღდგენა, მხოლოდ მორალი. ხელოვნების ძირითადი დანიშნულება მხოლოდ მორალია“ (Lawrence, 1971, p. 180). მორალისთვის წერა ხელოვნების მიერ გამოცდილებისთვის ფორმის მიცემას გულისხმობს. ლორენსი ვიზუალურად წარმოდგენას უფრო კონკრეტულად და დამაჯერებლად ხედავს, ვიდრე სხვა მოდერნისტი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში შინაგანი ფიქრების აბსტრაქტულად წარმოდგენას. ვიზუალური ფერების ეფექტის შესახებ მისი აზრი ნარატივის არჩევას არ ნიშნავს და ის ნებისმიერ მეტაფიზიკურ საკითხზე მაღლა დგას.

თუ მოდერნისტული მხატვრული ნაწარმოების სტილისტური მახასიათებელი ენის მეტაფორიული პოლუსისკენ გადახრასთან ერთად ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების მხოლოდ მეტაფორული გამოყენების

საშუალებას იძლევა, ამ არგუმენტს ლორენსის ფერწერული ნიჭი სანდობასა და სიზუსტეს სძენს. ლორენსმა ხატვა ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში დაიწყო და სხვა ნახატების კოპირებით ისწავლა. მისი ნამუშევრები ვორენის გალერეაში 1929 წლიდან იყო გამოფენილი. ესეიმი „სამყაროს ნათელი“ (Lawrence, 1987, p. 77-88), ჩანს, რომ მწერალი სამყაროს ნათელისა და ბნელის დუალისტური ხასიათით ხედავს და დასავლეთური ფერწერის ინტერპრეტაციას ახდენს.

ეზრა პაუნდი ასევე თვლის, რომ ფერებს ისევე შეუძლიათ საუბარი, როგორც სიტყვებს. დევიდ ჰერბერტ ლორენსის მცირე პროზაში ფერები ისეთ სურათს ქმნიან, სადაც გარე სამყაროსა და ადამიანის შინაგან ფიქრებს შორის მჭიდრო კავშირია და ნარატივიც ამ კავშირის შედეგია.

3. დასკვნა

ფერების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებას დასავლეთის ლიტერატურაში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია. თუმცა, საკმაოდ დიდი რაოდენობისა და ქაოტურობის გამო, მათი სისტემატური ანალიზი შეუძლებელია. ენის დუალისტური ხასიათიდან გამომდინარე, რომელშიც ფერების მეტაფორული და მეტონიმიური გამოყენება იგულისხმება, კატეგორიზაციის თეორიული საფუძველი იქმნება. ლორენსის ნაწარმოებებში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სიუხვე ზუსტადაც ამ ორ კატეგორიას განეკუთვნება: ფერები, რომლებსაც მეტაფორული ანუ იმპლიციტური ხასიათი აქვთ და ასევე მეტონიმიური, სადაც მათ მხოლოდ აღწერითი ფუნქცია აკისრიათ. და მაინც იბადება კითხვა: რატომ მიანიჭა ლორენსმა ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს ასეთი დიდი უპირატესობა? არსებობს სამი ფაქტორი, რომლებსაც აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლიათ: 1. მოდერნისტულ მხატვრულ ნაწარმოებებში მეტაფორული და მეტონიმიური სტილისტური გამომსახველობითი მეთოდების შერწყმა მკვლევრებს გარკვეულ ფერთა დეტალების მეტაფორიული სიმბოლოების მნიშვნელობათა გამოამკარავების საშუალებას გვაძლევს; 2. ლორენსის ნაწარმოებებზე ისეთი დიდი ფილოსოფოსების გავლენა, როგორებიც იყვნენ ნიცშე და შოპენჰაუერი. ნიცშეს მიაჩნდა, რომ გრძნობები და ემოციები მნიშვნელობას ხელმეორედ მხოლოდ მას შემდეგ იძენენ, როცა დიდი ხნით აკრძალულნი არიან. ფერთა გამოყენებით შექმნილი ვიზუალური შეგრძნებები და ადამიანის შინაგანი გამოცდილება ადამიანთა მიერ არა მხოლოდ თვალთ ხილულია, არამედ მათთვის ცნობილიც, რაც, თავის მხრივ, მკითხველში მორალურობის განცდას ბადებს; 3. ლორენსმა, რომელიც სხვა მრავალ ნიჭთან ერთად მხატვარიც იყო, ძალიან კარგად იცოდა ვიზუალური ხელოვნება და თუ არა ეს უნარი, მისთვის მთელი დასავლური ისტორიის ტექნიკა და განსხვავებული სახეობის სტილი ნაცნობი ვერ იქნებოდა. თუ სტილისტური და ფილოსოფიური საფუძვლები მხოლოდ მის მიერ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ნაწარმოებებში ჭარბად გამოყენებას ამტკიცებენ, მწერლის ბიოგრაფია დამაჯერებლად გვარწმუნებს, რომ ლორენსი ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ოსტატურად გამოყენების ნამდვილი პროფესიონალია.

მასასადამე, ლორენსის მხატვრულ პროზაში ფერები არა მხოლოდ თვითნებურადაა გამოყენებული, არამედ მათ სიმბოლური კონოტაციური დატვირთვა და ნარატიული სტრატეგიებიც გააჩნიათ. მათი გამოყენება აღწერილობათა უფრო ცხადად გადმოსაცემად უბრალოდ რიტორიკული ხერხი არ არის. იმ მიზეზთა შესწავლა-გაანალიზება, რომელიც ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებში იმალება, დიდი მწერლის ნაწარმოებებისა და ავტორის აზრთა უკეთესად გაგებაში გვეხმარება, მის ნარატიულ ტექნიკაზე მეტ ცოდნას გვაძლევს და ასევე მწერლის წინაპარ და თანამედროვე მოღვაწეთა ურთიერთობის ნათელ მაგალითებს გვიჩვენებს.

ბიბლიოგრაფია:

- Boulton, J. (1996). *The Selected Letters of D.H. Lawrence*. Cambridge: Cambridge University Press.
- Lawrence, D. H. (1971). *Studies in Classic American Literature*. London: Penguin Books.
- Lawrence, D. H. (1995). *The Prussian Officer and Other Stories*. London: Penguin Books.
- Lawrence, D. H. (1977). *Essays and Letters*. London: Oxford University Press.
- Lawrence, D. H. (1987). *Essays and Letters*. London: Oxford University Press.
- Lodge, D. (1977). *The Modes of Modern Writing: Metaphor, Metonymy, and the Typology of Modern Literature*. London: Edward Arnold (Publishers).
- Nin, A. (1964). *D. H. Lawrence: An Unprofessional Study*. Chicago: The Swallow Press Inc.
- Schopenhauer, A. (1994). *On Vision and Colors: An Essay*. Oxford: Berg Publishers.
- Stewart, J. (1995). *Metaphor and Metonymy, Color and Space In Lawrence's "Sea and Sardinia"*. Chicago: Century Literature.
- Stevens, H. (2003). *D.H. Lawrence and His Short Stories*. Cambridge: Cambridge University Press.

Maia Bolashvili, Marine Tsertsvadze

Gori State University

**IMPLICIT MEANING OF THE LEXIS DENOTING OF COLOUR
(ACCORDING TO D.H. LAWRENCE'S SHORT STORIES)
RESUME**

D. H. Lawrence was one of the greatest figures in twentieth century English literature. Many of his works deal with issues of the dualistic balances between men and men, men and women, men and nature, etc. Very few of the critics have noticed the color words in his fictional works, though they are prevailing in nearly every piece of Lawrence's writings. As a matter of fact, the color words not only reflect Lawrence's metaphysic assertion and strategies applied in narration, but also shows his growing background and the influences from other modernists of his time. Therefore, it will be worthwhile to deal with the color issues in Lawrence's fictional works, and the findings about the stylistic, strategic and biographical reasons behind the application of color words will be quite helpful to highlight the aspects which we may have overlooked and add another dimension to understand Lawrence's fiction.

Keywords: Colors, Stylistic, Strategy, Biographical basis, Implicit.

*თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

უცხოელი მოაზროვნენი და ილია ჭავჭავაძე

საკვანძო სიტყვები: ლაიბნიცი, გარიბალდი, აწმყო, წარსული, მომავალი, საქართველო.

შესავალი. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ბრუნდებიან საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდა მამულიშვილები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ევროპისა და რუსეთის მოწინავე ცოდნითა და გამოცდილებით. ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე უნივერსიტეტში შესასწავლ საგნების პარალელურად „ხარბად დაეწაფა დასავლეთ ევროპის მხატვრული ლიტერატურისა და აზროვნების უდიდეს წარმომადგენელთა თხზულებებს. რუსულ და ფრანგულ ენებზე შესრულებულ ერთი მისი სტუდენტობის დროინდელი მოგონებიდან ვიგებთ, რომ ილიას ამ დროს წაუკითხავს დეკარტი, ბეკონი, ჟორჟ სანდი, ჰოფმანი, დიკენსი, გოეთე, „ტორკვატო ტასო, შილერი, შექსპირი, ჰორაციუსი...“, აგრეთვე „ათენის რესპუბლიკის ისტორია“, „სცენები ანტიური ცხოვრებიდან“, „მსოფლიოს მექანიკური თეორია“, (შარაძე, 1987, გვ. 126), არა ერთი და ორი ფრანგული ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი. წერდა გურამ შარაძე. პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, მათ შორის ილიაც, აქტიურად ყურს უგდებს ევროპასა და რუსეთში მომხდარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, ყოველივე ეს ქმნის ერთგვარ წყაროს მომავალი მწერლის შემოქმედებისათვის. თერგდალეულთა ეროვნული, ესთეტიკური და სოციალური პროგრამაც ასე ყალიბდება, ამდენად, სწორედ, აღნიშნული პროცესის შექმნილი ცოდნიდან და გამოცდილებამდე - საქართველოში ერის საკეთილდღეოდ დეაწლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ მოაზროვნეთა სახელებს, რომლებიც სათაყვანებელი გამხდარა ახალგაზრდა მწერლისათვის. ესენია: ლესინგი, ლაიბნიცი, იტალიის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ჯუზეპე გარიბალდი, რომელთა გვერდითაც იკვეთება ტრადიციული წარსულიდან - ერეკლე II და შოთა რუსთაველი. ილიას შემოქმედებაშიც სწორედ აქედან გამომდინარე ყალიბდება საქართველოს მომავალი: წარსულიდან აწმყოში ქმედებითა და შემდგომი სრულყოფით. წინამდებარე სტატიაში მიზნად ვისახავთ ყურადღება გავამახვილოთ გერმანელი გოტჰოლდი ლაიბნიცისა და იტალიის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტებზე, რომელთა შესახებაც მეტ-ნაკლებად იწერებოდა როგორც საბჭოურ, ისე პოსტსაბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში, რაც ასე თუ ისე გავრცელებული იყო იმდროინდელი

ტენდენციების გათვალისწინებით. ჯერ კიდევ თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზე“ ილია ცოდნაზე დამყარებულ ჯანმრთელ ცხოვრებაზე მიანიშნებს: „ხე ცხოვრებისა - ამბობს ჩვენი დროის ფილოსოფოსი და ხე ცნობილისა ერთ ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობლის ხეზედ მწიფდება ნაყოფი. და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“. - ერთი ასეთია სწორედ გერმანელი გენიოსური ნიჭით დაჯილდოებული ლაიბნიცი, რომლის დროის ურთიერთმიმართების ფორმულაც გამოიყენა შემოქმედებითად ილია ჭავჭავაძემ.

საქართველოსათვის ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით, ილია, მისდევს რა პოეზიის, როგორც სიბრძნის დარგის რუსთველურ გაგებას, აღნიშნავს: „ფილოსოფია და პოეზია სრულებით არ არიან კაცის სულიერის ხმრის მეტყველობისა განა? და დამრღვეველნი ერთმანეთისა, ორივეს ერთ და იგივე წყარო აქვს, ერთი და იგივე საფუძველი - ჭეშმარიტება“. (ჭავჭავაძე, 2010, გვ. 315)

ამდენად სტატიაში გამოიკვეთება სწორედ ილიასეული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი.

მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებული შედარებით-კომპარატივისტული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა გაიხსნას ილიას მიზანსწრაფვა წყაროს ორგანულად გამოყენების კუთხით და საკვებით რელევანტურია გასახსნელი თემისა.

დისკუსია. რატომ აირჩია ილიამ რამდენიმე საუკუნისწინანდელი გერმანელი მათემატიკოსის, ფილოსოფოსის ლაიბნიცის სახელი თავისი ნააზრევისათვის წყაროდ?

პალეონტოლოგიის სფეროში დაკვირვებები ლაიბნიცმა განავრცო თავის (სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ) შრომაში „პროტოგეა“, რომელშიც გამოთქვა აზრი დედამიწის ევოლუციის შესახებ და ერთგვარად გამოხატავდა ჩანასახის ფორმირების უწყვეტობასაც. ასე მივიდა ლაიბნიცი უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე ყველაფერზე არსებულის ერთმანეთთან კავშირის ახალ ფილოსოფიურ ფორმულირებამდე: სამყაროში ყველაფერი ერთიმეორესთან ისეთ კავშირშია, რომ აწმყო თავის წიაღში ისახავს მომავალს, ისევე, როგორც ყოველგვარი მოცემულობა აიხსნება მხოლოდ მის წინამორბედ მდგომარეობაში“. (Leibniz, 1906, s. 75)

ლაიბნიცის (1646-1716) გამორჩეულობა მისავე ეპოქაში იქნა შემჩნეული იმ დიდი ღვაწლით, რაც ენციკლოპედიური ნიჭით დაჯილდოვებულმა გენიოსმა შეძლო. მისი თვალსაჩინოება შემდგომ საუკუნეებს გაჰყვა. დღესაც ლაიბნიცის და ნიუტონის მიერ თითქმის ერთდროულად მიღწეულ აღმოჩენას მათემატიკურ ანალიზში უსასრულოდ მცირეთა შესახებ დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების შესახებ, მიუხედავად დიდი დისკუსიებისა, უწოდებენ ნიუტონ-ლაიბნიცის სახელს, მათემატიკური ლოგიკა, რომელიც სადღეისოდ ასე გამოიყენება, ზოგადი უნარ-ჩვევების შესწავლისას, საფუძველჩაყრილია, ლაიბნიცის მიერ. მანვე აღწერა გამოთვლების 0 და 1 ორობითი სისტემა: მექანიკაში შემოიტანა „ცოცხალი ძალის“ ტერმინი და ფორმულირება მისცა ენერჯის შენახვის კანონს, ფსიქოლოგიაში წამოაყენა „უსასრულო პერცეპციების“ გაგება და განავითარა სწავლება არაცნობიერისა ფსიქიკაში, ასევე ფსიქიკის უნივერსალური თვითაქტიურობის პრინციპი შემდგომად დიმიტრი უზნაძემ თავის სპეციალურ გამოკვლევებში, გაანალიზა რა ლაიბნიცის არაცნობიერის კონცეფცია, მივიდა განწყობის თეორიის ჩამოყალიბებამდე.

ლაიბნიცთანაა დაკავშირებული მონადოლოგიის თეორია, რომელიც მან დაამკვიდრა ფილოსოფიაში და შემდგომად იქცა წანამძღვრებად გერმანული კლასიკური ფილოსოფიისათვის. მან შემოიღო ტერმინი „მოდელი“ და ოცნებობდა ადამიანის ტვინის მსგავსი მანქანის შექმნაზე. არაერთი იდეა ლაიბნიცისა მხოლოდ XX საუკუნეში იქნა დაფასებული.

რატომ აირჩია ილიამ ლაიბნიცის ცნობილი გამოთქმა, რომელშიც დროთა (წარსული, აწმყო, მომავალი) ურთიერთმიმართებაა გაცხადებული, ეპიგრაფად ერთ-ერთ თავის ლექსს (დაიწერა 1858 წლის 15 დეკემბერს), „ქართველის დედას“, იგი გამოქვეყნდა 1864 წელს კირილე ლორთქიფანიძის თაოსნობით გამოცემულ კრებულში „ჩონგური“ ლექსის, „აწმყო“, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, შენიშვნებში მითითებულია, რომ იგი წარმოადგენს პარაფრაზას ლაიბნიცის შეხედულებისა და მოყვანილია ს. დანელიას მიერ 1940 წელს გამოცემული „მონადოლოგიდან“ – „...მარტივი სუბსტანციის ყოველი აწინდელი მდგომარეობა ბუნებრივად არის მისი უწინდელი მდგომარეობის შედეგი, ისე, როგორც, თავის მხრივ, აწმყო მიმეა მომავლით“ (გვ. 27). ასევე მინიშნებულია, რომ ლაიბნიცს იგივე შეხედულება გამოთქმული ჰქონდა სხვა ნაშრომში „ახალი გამოკვლევები ადამიანის გონების შესახებ“ (1704 წ.), რაზედაც აღნიშნავდა მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი თავის წერილში „ილია ჭავჭავაძის აკადემიური გამოცემისათვის“. (კომუნისტი, 1983)

ბუნებრივია, ილიას პარაფრაზი მხატვრულადაა გამართული და ნათლად გამოხატავს ლაიბნიცის აზრს დროის უწყვეტობის შესახებ. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეს ფრაზა, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოდგენილია „ერი და ისტორიის“ ერთ-ერთ წერილშიც: „ჩვენ არა ერთხელ

გვითქვამს, რომ ერის პირველ დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყო, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილი ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმედისა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყო, როგორც აწმყო - მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან (აქ არ ასახელებს ილია გამონათქვამის ავტორს, ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ადრე დაწერილს წარუძღვარა), რომ აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაღ. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალია, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი“. (ჭავჭავაძე, თ. გ.)

XIX საუკუნის 60-იანი წლები უკვე რეალიზმის (კრიტიკული რეალიზმის) მიმართულების პერიოდია როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. რეალიზმი ძირითადად ყურადღებას აწმყოსაკენ მიმართავს. წარსული და მომავალი ძალზე შეფარდებითაც გამოიყენება. წარსული თითქოს რომანტიზმის კუთვნილებად დარჩა. მაგრამ ილია გრძნობს, რომ უწარსულოდ აწმყო მკვდარია. მამისა შვილი ვერ გაიგებს, დედა ვერ აღზრდის ახალ თაობას წარსულის იდეალების გარეშე, ამიტომ მოგვიანებით ილია მიმართავს წარსულს არაერთხელ თავის შემოქმედებაში (პოემებში „აჩრდილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „დედა და შვილი“, მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაზიშვილი“ და სხვ.).

დამოუკიდებლობადაკარგული მიძინებული, ბედსმინდობილი, დაჩაგრული ერისათვის, რომელსაც იარაღის გამოყენება აღარ სჭირდება თავის დასაცავად, მაგრამ ითრგუნება აწმყოსაგან, მომავლისათვის ბრძოლა სწორედ მისი საუკეთესო ნიმუშების გახსენებით აღაფრთოვანებს, ძალას მისცემს. ამიტომ იყენებს, შემოქმედებითად ილია ლაიზნიცის ცნობილ ფრაზას. ამიტომაც ამოთქვამს კიდევ წარსულზე „აჩრდილის“ V თავში: „იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე ჰდულდა, იქ მამულისთვის ქართველთ ხმა ჰქუხდა, შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი და საუკუნეთ, იგი ქართველნი!...“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 182)

აწმყო საზარელია: „აქ არვის - დიდსა თუ პატარასა - ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული, დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 184), ხოლო უკეთესი მომავლისათვის პოეტი და მამულიშვილი ერის ერთიანობას მიიჩნევს, რათა „აღუდგინოს მშვენიერი ესე მამული“.

პოემაში „დედა და შვილი“ („ქართველის დედა“) მინიშნებაა ისევ დროთა კავშირის ურთიერთმიმართებისა: „მყობადს ავხედე ერთი კუთხე დიდის ფარდისა და ეს ვიხილე, მომიტევე ეს სითამამე... ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა“. (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 199)

ჯუზეპე გარიბალდის (1807-1882) სახელი საკმაოდ ოდიოზურად წარმოიჩინდა ჯერ კიდევ მის ეპოქაში. ეს კაცი-ლეგენდა მის რისორჯიმენტოს მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რამდენჯერმე დაიჩრდილა პიემონტისა და სარდონიის მეფის ვიქტორ-ემანუილისა და მისი პირველი მინისტრის კამილო კავურის სახელებით, რომელთაც მიაწერდნენ იტალიის ნამდვილ განმათავისუფლებლებს. თუმცა ამ აზრს ყველა და ყველა დროს არ ითვალისწინებდნენ ისტორიკოს-მკვლევრები. მიუხედავად ამისა, გარიბალდის ფიგურა იქცა სიმბოლოდ რევოლუციონერ-დემოკრატისა, „უგვირგვინო მეფე ხალხისათვის“. „სანკტ-პეტერბურგის უწყებანი“ 1860 წლის 20 მაისს წერდა, რომ მთელი ევროპა მოუთმენლად შეჰყურებს ერთ ადამიანს, მის ხელშია არა მარტო იტალიისა და ნეაპოლის, არამედ მთელი იტალიის ბედი, იქნებ მთელი ევროპისაც. „გარიბალდის მეთაურობით 1860 წლის მაის-ივლისში სიცილიის გათავისუფლებისა და ნეაპოლიტანელი მეფის - ფრანცისკ II ჯარების დამარცხებას მიუძღვნა ილიამ პავლოვსკში 1860 წლის 29 ივლისს დაწერილი განთქმული ლექსი „მესმის, მესმის“ (შარაძე, 1987, გვ. 130), როგორც გურამ შარაძე შენიშნავს, სწორედ ილიას მეორე თხზულება დრამატული პოემა „ქართველის დედა“, რომლის პირვანდელი ვარიანტი „დედა და შვილი“ სწორედ 1860 წლის ივლისში პავლოვსკში დაიწერა.

კოხტა აბხაზის მოგონებით, „ილია აღმერთებდა გარიბალდის“, ნ. ნათიძის თქმით, აპირებდაო ერთხანს ვოლონტერად მასთან წასვლას. ილიას კაბინეტში სამი პორტრეტიდან (ერეკლე II, შოთა რუსთაველი) მესამე გარიბალდის ეკუთვნოდა. ეკატერინე გაბაშვილის მოგონებით გარიბალდის ბიუსტი იდგა ილიას საწერ მაგიდაზე, ხოლო „ივერიის“ რედაქციაში ქართველი წმინდანებისა და მეფეების პორტრეტების გვერდით ასევე იყო გარიბალდის ბიუსტიც (ი. მეუნარგია).

მაგრამ წინამდებარე სტატიაში ერთ ფაქტზეც გვინდა შეჩერება. ლექსი „მესმის, მესმის“ 1860 წლიდან 1871 წლამდე არ გამოქვეყნებულა. პირველად სწორედ ჟურნალ „კრებულის“ #1-ში დაიბეჭდა. ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელიც „კრებულის“ გამოცემის წინ სწევია ილიას დღუშეთში, ავტორს ეს ლექსი - წაუკითხავს, თუმცა მინიშნებით „ეს ლექსი, გლეხების გათავისუფლების დროს ეკუთვნისო“, რაც

ახლავს ლექსის D ხელნაწერს და ასევე გადასულია ნაბეჭდში, ვითომდა ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ წავაწყდით ერთ უცნაურ ფაქტს: იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ გამოცემაში, სავარაუდოდ, 1871 წლის შემდგომ, შედის ილია ჭავჭავაძის ზემოდასახელებული ლექსი და ქვემოთ ასეთი მინიშნება: „მესმის, მესმის, ნეკრასოვიდგან, ი. ჭავჭავაძისა“. (გოგებაშვილი, 1976) სხვაგან არსად, არც ხელნაწერებში, არც გამოქვეყნებულელებში არაა მინიშნებული, რომ ლექსი ნეკრასოვიდან გადმოიღო ილიამ. მხოლოდ „ბუნების კარში“, თვით პოეტის გარდაცვალების შემდგომ პერიოდამდეც ასეთი მიწერა გაუგებარია რატომ? ბუნებრივია, აღნიშნული მინაწერი ცნობილი იქნებოდა ილიასათვის. მაგრამ არსად მოჩანს ამის უარყოფაც. რუსი პოეტის ნ. ნეკრასოვის სახელი ილიასათვის შესანიშნავად იყო ცნობილი, „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ლექსს „მუშა“, სწორედ ნეკრასოვის ლექსიდან ამოღებული სტრიქონები „В труде проходит жизнь его и не приносит ничего.“ აქვს წამძღვარებული. ნეკრასოვი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მიესალმა გარიბალდის მეთაურობით დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობას და არაერთი წერილი მიუძღვნა მას, მაგრამ, აღნიშნული კვლევის ეტაპისათვის ვერ მივაკვლიეთ მსგავს ლექსს. აშკარაა ილიას ნამდვილად არ უნდა ეთარგმნოს იგი ნეკრასოვიდან. მაშ რით აიხსნება „ბუნების კარში“ ლექსის ავტორის დეფინიცია - ნეკრასოვიდან, ვფიქრობთ, სწორედ ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით გააკეთა ეს ი. გოგებაშვილმა და ამაზე შენიშვნაც არსად შეგვხვდა ილიასაგან. არც უარყოფა, არც დასტური. არაფერია ამასთან დაკავშირებით ილიას თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეულის) I ტომის შენიშვნებში. და მაინც ცენზურისაგან თავდაცვა დაჭირდა ლექსს გამოსაქვეყნებლად, თუმცა ცარისტული რუსეთი ვერ ახერხებდა ევროპაში სახელგანთქმული გარიბალდის სახელის აკრძალვას და სამძიმარიც კი გამოხატა მისი გარდაცვალების გამო, ნეკრასოვისათვის ზემოდასახელებული ლექსის მიწერა მაინც უნდა მივიჩნიოთ ერთგვარ სიფრთხილედ იაკობ გოგებაშვილის მხრიდან, რომელმაც მოზარდი თაობისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში მოსახვედრად ასეთი ხერხი შეარჩია. თუმცა რას მოიტანს შემდგომი კვლევა, ამაზე ჯერ თქმა ზედმეტია.

ფაქტი ერთია: გარიბალდის სახელი კვლავაც მთელი სიმბოლიკით წარმოჩნდა ილიას შემოქმედებაში, სიმბოლოდ ქვეყნის გათავისუფლებისა.

შედეგები. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში უცხოელი მოაზროვნეები, მართლაც, განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ არა მარტო მათი სახელების გადმოტანით, არამედ შემოქმედებითი განვითარებით, რისი მაგალითია კვლევის ამ ეტაპზე ორი სახელი: ლაიბნიცი და გარიბალდი. ლაიბნიცის დროთა ურთიერთმიმართების ფორმულის გაშლით ილიამ თავის შემოქმედებაში დაასაბუთა, თუ რა იყო აუცილებელი ერის უკეთესი მომავლისათვის, ხოლო გარიბალდისადმი მიძღვნილი ლექსით გამოხატა ოცნება დამოუკიდებელ სამშობლოზე, რაც თავისი ჭეშმარიტი პოეტულობით დამკვიდრდა 1870 წლიდან მოყოლებული მოზარდი თაობის შემეცნებაში ი. გოგებაშვილის მიერ მისი „ბუნების კარში“ განთავსების წყალობით სულიერად კვებავდა და აღაფრთოვანებდა ქართველს.

ბიბლიოგრაფია:

გოგებაშვილი, ი. (1976). *ბუნების კარი მესამე და მეოთხე წლისათვის*. თბილისი: განათლება.

კომუნისტი. (1983). 12, VI (135).

შარაძე, გ. (1987). *ილია ჭავჭავაძე (1837-1907)*. (წიგნ. I). თბილისი: ხელოვნება.

ჭავჭავაძე, ი. (1986). *წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე* (ტ. III). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჭავჭავაძე, ი. (1987). *თხზულებანი* (ტ. I). თბილისი: მეცნიერება. საბჭოთა საქართველო.

ჭავჭავაძე, ი. (2010). *საარქივო გამოცემა*. თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (თ. გ.). *ერი და ისტორია*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/eri_da_istoria.htm

Leibniz, G. W. (1906). *Hauptschriften zur Grundlegung der philosophie* (Bd. 2).

Tamar Gogoladze
Gori State University
FOREIGN THINKERS AND ILIA CHAVCHAVADZE
RESUME

The 60s of the XIX century are an important stage in the development of Georgian public thinking, which was facilitated by the young people who went abroad to study, who studied with interest the views of the representatives of the European philosophical, aesthetic or liberation movement.

Ilia Chavchavadze, having returned to his homeland, faced several such names-Lessing, Leibniz, Garibaldi. They were preceded by the images of Erekle II and Shota Rustaveli. This article focuses on how nationally liberating, aesthetically or philosophically conditioned views are formed in the works or ideology of the famous Georgian Sixties. The discourse of Giuseppe Garibaldi, Leibniz in the thoughts of Ilia Chavchavadze is reviewed, which the literary critics of the Soviet era discussed partially from historic point of view . But little was studied about the famous formula of interrelationship of the three times by a famous German philosopher (1646-1716), which with the artistic transformation ("Present, born from the past, is the parent of the future") was prefaced by Ilia Chavchavadze to the poem "Kartlis Deda" published in 1864 in "Chonguri". In addition, the creative history of Ilia's poem "I hear, I hear", which is dedicated to Giuseppe Garibaldi and the dream of a free Georgia, is analyzed, and the work uses a comparative methodology.

Ilia Chavchavadze opened from G. Leibniz's formula the revival of traditions (national independence) and for the struggle of awakening the nation and fighting for the future in a Georgia, the active movement of Giuseppe Garibaldi, a prominent foreign leader of his era, became an example to it.. This was reflected in Ilia Chavchavadze's genre-diverse fiction and journalism.

Keywords: Leibniz, Garibaldi, Present, Past, Future, Georgia.

ნინო ვახანია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსანდრე ორბელიანის ლექსები

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ორბელიანი, რომანტიკოსი მწერალი, პოეზია, გამოქვეყნებული, ხელნაწერები.

ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ყველაზე ნაკლებ ყურადღებას კი მკვლევრები მის პოეტურ ქმნილებებს აქცევენ. პოეზიის ქვეყანაში ამ თხზულებებს მართლაც ვერავინ მიიჩნევს მხატვრულობის განსაკუთრებულ გამოვლინებად, თუმცა მათ უთუოდ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა და თავისებური ხიბლიც. ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილად წარმოსაჩენად საჭირო და აუცილებელია რომანტიკოსი მწერლის პოეტური შემოქმედების შესწავლა.

ალექსანდრე ორბელიანის ლექსი პირველად დაიბეჭდა 1832 წელს ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი „ტფილისის უწყებათანი“, რომელსაც რედაქტორობდა ფილოსოფოსი, განმანათლებელი, პოლიტიკური მოღვაწე, სოლომონ დოდაშვილი. ეს ლექსი, „მთოვარე“ გამოქვეყნდა ჟურნალის მე-2 ნომერში. დოდაშვილის ჟურნალი გახლდათ შეთქმულთა იდეური ორგანო. ემსახურებოდა იმას, რომ იდეურად შეემზადებინა „მამულის გამოსხნის“ საქმე. თვითონ რედაქტორი შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაური იყო. ჟურნალში დაბეჭდილი მთელი მასალა (ლექსები, მოთხრობები, პოემები...) ერთ მიზანს ემსახურება: წარმოაჩინოს ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის სიდიადე, თვითმყოფობა, ორიგინალობა. არ მისცეს ვინმეს, ჩვენი წარსულის დამახინჯებისა და დაკნინების უფლება. ყველას გასაგონად განაცხადოს, რომ ასეთი წარსულისა და კულტურის მქონე

ერი ღირსია იყოს მომავალშიც დამოუკიდებელი, იმსახურებს, რომ არ გაუქრეს საკუთარი ენა, ლიტერატურა და სხვ. ერთი სიტყვით, ჟურნალს უნდა გამოეღვიძებინა ქართველ მკითხველში ეროვნული სული და ექადაგა თავგანწირვის იდეა. ამ მიზანს ისახავს ალექსანდრე ორბელიანის „მთოვარე“. ეს ლექსი ალეგორიული ხასიათისაა. მთვარეში იგულისხმება საქართველო, რომელსაც ღრუბელი ფარავს და ბნელდება:

*აღმოვიდა თუმცა მისი შვენება,
მსწრაფლ ღრუბელნი ესხნენ, შავნი შინება...
გარდიყარა შემდეგ დროთა ღრუბელი,
ვინაზე მთვარე მოშლილ იყო, სულ ბნელი...
(ორბელიანი, 1979, გვ. 122).*

ალეგორიულად საქართველოს მძიმე მდგომარეობის ჩვენება უცხო არ იყო აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. თეიმურაზების, არჩილის, ვახტანგ VI-ისა და სხვათა შემოქმედებაში ხშირად გამოყენებული სატრფო-სამშობლოს ალეგორია, რომლის დამამკვიდრებლადაც გარსევან ჩოლოყაშვილი მიიჩნევა. ამ ხერხს, ამ ალეგორიას შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც მიმართავდნენ. ალექსანდრე ორბელიანთან კი მთვარისა და ღრუბლის მხატვრული სახეებითაა წარმოჩენილი საქართველოსა და მისი „დამაბნელებელი“ დამპყრობლის სურათი.

სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა 1821 წლის მასით დათარიღებული ლექსი „ბაიათი“, რომელიც ფორმით აღმოსავლურ-სპარსული ყაიდისაა:

*თვალნი ველსა ვინაზე?
იგი სიდგან ვინაზე!
რომ რაღაც სულსა მოსცა
უკვდავებად ვინაზე
(ორბელიანი, 1992, გვ. 122).*

თუმცა ნაწარმოები ფორმით აღმოსავლურია, მასში დახატულია რომანტიკული სიყვარული. პოეტისთვის სატრფო არის „ცხოვრების მაპკურებელი, სასურველი, საამო“. ლექსში შექმნილია ქალის მშვენიერება, კდემამოსილება. ისმის რომანტიზმისთვის დამახასიათებელი სევდიანი ხმები. პოეტის გრძნობა წრფელია, შორსაა ყოველგვარი ვულგარულობისაგან:

*საგნად თვალთ რა ისურვა?
რომ წამსვე მცა ის ურვა,
სურვილი ძალას მატანს,
გავს, ჩემთვის ეს ისურვა.*

1821 წლითვეა დათარიღებული ლექსი „თეჯლიში“, რომელიც აგრეთვე სატრფიალო თემაზეა. სიყვარული აქაც რომანტიკულია. ავტორი უმღერის ქალის მშვენიერებას, ღვთიური მადლის გამოვლინებას (ბარათაშვილისთვისაც „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული“), შინაგან სიფაქიხეს, სულიერ სიმაღლეს, რომელიც შეყვარებულ ჭაბუკს გულს უმცვრევს მარცვლებად. შემთხვევითი არ არის სატრფიალო ლექსში სასუფევლის ხსენება. სიყვარული რომანტიკოსთათვის ხომ ერთადერთი გრძნობაა, რომელიც ადამიანს წუთისოფლისაგან ადამაღლებს და ღმერთთან მიაახლოებს:

*სერაბინნი დაჰგალობდნენ, სამოთხედ,
ნისლმოსილნი, მის გარს მდგომნი, სამოთხედ,
სატრფიალოს ხმას დახმობდნენ, სამოთხედ,
ზედ აჰკურდნენ სასუფევლის სინამეს.*

„მშვენიერას ქართველას“ იმავე, 1821 წელს საცოლეს, ეკატერინე ბარათაშვილს უძღვნა. (სავარაუდოდ, უკვე ნახსენები ლექსებიც ამ ქალით არის შთაგონებული). ალექსანდრე და ეკატერინე 1823 წელს დაქორწინდნენ. კატინო, როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ, იყო უაღრესად განათლებული, კულტურული, ოჯახის მოყვარული, სათნო და კეთილშობილი ადამიანი. ამ ქალისადმი მწერალს ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი, მათში იოლად ამოიკითხება დიდი სიყვარული და პატივისცემა ადრესატისა. სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეულია არაერთი კერძო ბარათი ალექსანდრე ორბელიანისა, მეუღლესთან მოწერილი ორენზურგიდან (გადასახლების ადგილიდან). მეუღლის შესახებ ვრცლად საუბრობს თავის ავტობიოგრაფიაშიც. ყველგან გაცხადებულია, რომ მეუღლის წყალობით იგი დიდ ოჯახურ ბედნიერებას გრძნობდა. ეკატერინესადმი მიძღვნილი ლექსებიდან „მშვენიერას ქართველას“ გამორჩეულია მხატვრული ძალით:

*ახ, თუალის ჩინო, შენ ჩუენო ქალო,
ქალო ქართველავ, ეშხის ანთებავ,
დაანთე აგრე სურვილი, მნათო,
სიყვარულისა გამღვიძებელავ.*

ლექსში დახატულია ეკატერინეს გარეგნული სილამაზე, მოხდენილობა, მაგრამ მთავარი, რითაც იგი იქცევა ყურადღებას, მისი სულიერი მშვენიერებაა, სიფაქიზე, კდემამოსილება:

*ვგონებ ხატება რაფაილს შენი
უხატავს ედემს ყვავილებით შორის,
როს კარს გამოხვალ უკუდაებრ მდენი,
ვითა გადმოგვემ სიცოცხლეს შორით.*

როსტომ ჩხეიძე წერს ბიოგრაფიულ რომანში „ალექსანდრე ორბელიანი“: „მოგვიანებით ალექსანდრე ერთად მოუყრის თავს კატინაზე შეთხზულ ლექსებს, ამ პირველი შეხვედრით შთაგონებულთაც, ორენბურგიდან გამოგზავნილთაც, მასულდგმულებელ ხატად რომ ესვენა გულზე; და ეს ლექსები და აშიაზე მინაწერები ამოგვაცნობინებენ მისი სიყვარულის პირველსა და მღელვარებით აღსავსე წუთებს“ (ჩხეიძე, 1996, გვ. 127).

ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილი გარდაიცვალა 1837 წელს. დაკრძალეს სიონის ტაძარში თავისი ქმრის, ალექსანდრე ორბელიანის გვერდით.

ეკატერინესადმია მიძღვნილი ოთხსტრიქონიანი პატარა ლექსიც „უეცარი შეხვედრა“:

*შეხვდნენ ჭკრეტად ქალ-ყრმათ თვალნი,
ორთავ ეცათ ტრფობის ძალნი.
თქვეს მათ: გული გვეუბნება,
ერთმანეთი გვეკუთვნება.*

ამ ერთი სტროფის შექმნის ამაღლელებელ ამბავსაც დაწვრილებით გვიყვება როსტომ ჩხეიძე თავის უაღრესად საგულისხმო რომანში.

ეკატერინეს ლექსებს უძღვნიდა დაქორწინების შემდეგაც. ნიმუშად დავასახელებთ ორს: „შორიდგან“ და „მოწვევა“. პირველი დაწერილია 1834 წელს ორენბურგში, მეორე - იმავე წლის მიწურულს ალექსანდროვკაში.

ლექსში „შორიდგან“ ალექსანდრე ორბელიანი შორიდან ესიყვარულება თავის სათაყვანებელ თანამეცხედრესა და ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს:

*სოფელმან მიმაგდო ყარიბობასა,
გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?
სავანედ გულს ვიმყოფ შენად სამკვიდროდ,
ვისულდგმულებ შენგნით ყოველს წამს და დროს...
სული ჩემი დასწევით გულზე სიყვარულს,
ნაზსა, უცხოს, წმინდას, უზადოსა სრულს.*

„მოწვევაშიც“ აშკარაა სიყვარულის გაცხადება, ოღონდ დასასრული ლექსისა მაინც დაგვაფიქრებს, სატრფოს მიმართავს პოეტი თუ სამშობლოს:

*ეგ ჩემი სული შენვე გამოხსანა,
რომ საუკუნოდ მე დამავალო,
და ამ სოფელსა შენგნით ვიცოცხლო.*

საყურადღებოა ლექსი „საქართველოს გაზაფხული“, რომელიც დათარიღებულია 1824 წლით. ეს არის სამშობლოზე დაწერილი ერთი საგულისხმო თხზულება, რომელშიც გადმოცემულია ავტორის გრძნობები, განცდები, გულისფეთქვა, გამჟღავნებულია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. გაზაფხულზე, წელიწადის ამ დროზე, უამრავი ლექსია შექმნილი ქართულ (და არა მარტო ქართულ) მწერლობაში. არ დარჩენილა თითქმის არცერთი პოეტი, რომელსაც ამ სათაურით არ დაეწეროს ლექსი. ჩვეულებრივ, პოეტები ასეთ ნაწარმოებებში გამოხატავენ თავიანთ მხიარულ განწყობილებას, საზეიმო აღტყინებას, სიცოცხლის წყურვილსა და სიხარულს. სულ სხვანაირია, სევდიანია გრიგოლ ორბელიანის „გაზაფხული“. მიზეზი მწუხარებისა ის გახლავთ, რომ მას ამ დროს სატრფო (მამული) ჰყავს გარდაცვლილი. ალექსანდრე ორბელიანის „გაზაფხული“ კი თვალწარმტაც, მიმზიდველ ბუნებას აღწერს და სიცოცხლით ისეთი სიამოვნება ჩანს, რომ ამ დროს ბერიკაცის გარდაცვალებაც კი დასანანი და სამწუხაროა:

*ცა, ქვეყანა, სულიერი,
გაზაფხულსა შეეხარვის,
ამ დროს რომე კაციც ბერი
მოკვდეს, ვფიცავ, ცოდო არის.*

საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ორბელიანი გვიხატავს არა საერთოდ, ზოგადად, გაზაფხულს, არამედ, კერძოდ, კონკრეტულად, თავისი ქვეყნის გაზაფხულს. ეს კი საშუალებას აძლევს, გადმოგვეცეს თავისი პატრიოტული განცდები, მამულიშვილური განწყობილებები. ამით მიიქცია ამ ნაწარმოებმა ქართველ მკვლევართა ყურადღება (ხახანაშვილი, 1913, გვ. 33-34; მახარაძე, 1982, გვ. 128).

მეთქმულების ჩავარდნის შემდეგ გადასახლებაში მყოფ პოეტს არათუ არ განელება, არამედ კიდევ უფრო მოეძალა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, თუმცა აშკარად იმატა სევდიანმა განწყობილებამ. ამ მხრივ საყურადღებოა „სიყრმით უბედური“, რომელიც მელანქოლიის დალითაა აღბეჭდილი:

*ჩემი ნუგეში არს მწუხარება,
ამითი სული სინაღლით სტკებმა,
ვცურავ ამაში ვით ოკიანში,
ხან მღელვარეში და ხან მყუდროში*

(ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 21).

გადასახლებაში დაწერილი ლექსებიდან საყურადღებოა „კავკასიის მთები მამუკის მთიდგან (ფანტაზია, როცა ახლად გათენდება)“. დაწერილია პიატიგორსკში 1839 წლის 15 სექტემბერს. კავკასიის მთები ქართველ შემოქმედთა და, კერძოდ, რომანტიკოსთა შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო. კავკასიონი ჯერ კიდევ რუსმა მწერლებმა დაგვიხატეს თავისი ზვიადი, გოროზი გამომეტყველებით, მერე ქართველმა რომანტიკოსებმა - ალექსანდრე ჭავჭავაძემ და გრიგოლ ორბელიანმა წარმოსახეს შთამბეჭდავად და დასამახსოვრებლად. გოროზმა ბუნებამ მიიპყრო აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილის, სოლომონ რაჭმადის, ალექსანდრე ორბელიანის (აღარაფერს ვამბობთ რეალისტებზე) ყურადღება. ასე რომ ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც კავკასიის ბუნება ლექსის თემად აქცია. ერთ მცირე მონაკვეთს დავიმოწმებ:

*დღეს დილიტ, ამ გაკამკამებულს ცის მოლაყვარდულობაში
დავინახავ იქით შორსა, იმ ჰაერობაში,
კავკასიის ბორცვთ მოკიდურთა, თავის ქედებით;
თავის დახავსებულის თეთრის წვერებით,
რომელზედაც მზის შარავანდი დანებივრობს,
და ღვთაების გამოსახული დიდება
მეტის დაშვებით, ზედ რო განისვენებს*
(ორბელიანი, 1979, გვ. 123).

ამავე ლექსში ავტორი გვიჩვენებს მყინვარსა და არარატს, როგორც კავკასიის ამხანაგსა და მეგობარს. ორბელიანი ამით, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევით, მოუწოდებს კავკასიის ერებს ერთიანობისკენ, მშობა-მეგობრობისკენ (ამ იდეას ქადაგებს ავტორი სხვა ნაწარმოებებშიც, მაგალითად, პიესაში „დავით აღმაშენებელი...“ და სხვ.).

ამ ლექსთან დაკავშირებით ალექსანდრე ხახანაშვილი წერს: „ლექსი გარეგანის ფორმითაც არ ეთანხმება ქართულს ვერსიფიკაციას: აქ არეულია 9, 10, 11, 13, 14, 16 და 17 მარცვლოვანი სტრიქონები. ამასთანავე, მხატვრობითს ელფერს მოკლებულია, რითმა მდარეა, თვით აზრი პროზის თხზულებას უფრო შეეფერება“ (ხახანაშვილი, 1913, გვ. 34). ძნელია, არ დაეთანხმო მკვლევარს. ეს ყველაფერი მართლაც, ასეა, მაგრამ არის რაღაც, რაც გვიზიდავს ლექსში. გარდა იმისა, რომ დახატულია ველური ბუნების პლასტიკური სურათი, იმასაც ვგრძნობთ, როგორა აქვს ჩაბეჭდილი მეხსიერებაში სამშობლოსგან შორს მყოფ პოეტს საქართველოს ბუნების სურათები და მათი ხელახლა გამოწვევით სურს, არასოდეს დაივიწყოს, არ გაუფერმკრთალდეს ოდნავადაც კი არც ცოცხალი ხატი და, ცხადია, არც გრძნობა. ასე ზრდის, წვრთნის, უფრთხილდება, უვლის თავის გამორჩეულ, განსაკუთრებულ სიყვარულს.

ალექსანდრე ორბელიანს აქვს ლექსი სათაურით „რუსთაველი“. რომანტიკოსებმა თამარი და მისი ეპოქა სიმბოლოდ აქციეს, სიმბოლოდ დიდი, ერთიანი, ძლიერი საქართველოსი. ასევე ჰყავთ გასიმბოლოებული რუსთაველი, ქართული ენის სიდიადისა და, მაშასადამე, მთელი საქართველოს სიდიადის გამომხატველად. ალექსანდრე ორბელიანის ლექსში რუსთაველი „ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებული“ შემოქმედია. ხელშესახებია ამაღლებული, პათეტიკური ტონი. აი, როგორ მიმართავს ადრესატს: „აგერ, ხედავ? ცა პატივს გცემს ღრუბლის გვირგვინით“. ავტორის აზრით, რუსთაველი საკაცობრიო მოვლენაა და მას სიკვდილი და დავიწყება არ უწერია. რაღა თქმა უნდა, არ უშვებს შესაძლებლობას ხელიდან, აქოს ქვეყანა, ხოტბა შეასხას იმ ხალხს, რომელმაც წარმოშვა რუსთაველი. ალექსანდრე კალანდაძე წერდა: ლექსში „რომანტიკული პათოსიც შეიმჩნევა, - უმთავრესად, შთაგონების სიცხოველესა, ხელოვანის დამოუკიდებლობის აპოლოგიასა და მისადმი მხურვალე გრძნობიერ მიმართებაში... დარღვეულია მარცვლოვანება, მაშასადამე, სალექსო რიტმიც, მაგრამ ყოველივეს ანაზღაურებს სპეციფიკური პოეტური სინტაქსი, ინტონაცია, ინვერსია, მეტყველების ამაღლებული ტონუსი“ (კალანდაძე, 1977, გვ. 263). ხოლო აკაკი გაწერელია აღნიშნავდა: „რუსთაველში“ 12, 13, 14 მარცვლოვანი სტრიქონები გვხვდება. სწორედ ასეთი საზომითაა შემდეგ თარგმნილი ივანე მაჩაბლის მიერ დიდი ინგლისელი დრამატურგის შექსპირის ტრაგედიები“ (გაწერელია, 1953, გვ. 276). „რუსთაველს“ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა რევაზ სირაძემ. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ

ალექსანდრე ორბელიანის ლექსი „უშუალოდ ღვთაებისადმი არაა მიმართული, მაგრამ მთელს ლექსს საღვთო სულიერება მსჭვალავს“ (სირამე, 1997, გვ. 51).

ალექსანდრე ორბელიანი შოთა რუსთაველსა და მის პოემას ახსენებს თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებშიც და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ენობრივად სანიმუშო ნაწარმოებად.

„ეპიტაფია (საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი)“ არის ხოტბა ერეკლე მეორისა. ერეკლეს დიდი ადგილი უჭირავს რომანტიკოსთა შემოქმედებაში. საქართველოს ბოლო დიდი მეფე მათ წარმოდგენაში იყო „ჩასვენებული მზე“, დამარხული ძველი საქართველო. ერეკლე მეფე განსაკუთრებული შარავანდედითაა ნაჩვენები ძმების - ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში. „ეპიტაფიაში“ ერეკლე მეორე წარმოდგენილია, როგორც შორსმჭვრეტელი მმართველი, „ჭკვისა ვარსკვლავი“. პოეტი მოუწოდებს ბაირონს, რათა მისი თაოსნობით „ზეცის მგოსნებმა“ შესაფერი ლექსით ხოტბა შეასხან მეფის საფლავს:

*მოგიწევ, დიდო ლორდო ბაირონ,
მეფის საფლავზე ზეცის მგოსნებით
და გთხოვ, ეს ლექსი ჩანგით დამღერონ
მგოსნებთ მის საფლავს ცის ხმოვანებით*

(ორბელიანი, 1979, გვ. 126-127)

თავისი სახელოვანი პაპის ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენას ცდილობს და ახერხებს ალექსანდრე ორბელიანი ამ ლექსით.

„მსოფლიო სევდა“, ცხოვრების წარმავლობით გამოწვეული ვარამია ნაჩვენები ლექსში „ვერის სასაფლაო“. „ეკლესისტეს“ გოდებას ეხმიანება ქართველი რომანტიკოსის ამაოების განცდა:

*წავა, წაიღებს სოფელი დროსა,
მზის ჩალხებს ზედა მიმომტირალსა,*

*...
მაშა სჯობს განცხრეს ამ საწყალოთ სული
იქ იმ სოფელში, აქ დატანჯული,
სადაც უკვდავი არს სიხარული,
ცას შიგნით ვრცელსა განბრწყინებული.*

ყველაფრის წარმავლობისა და ამაოების აზრი მრავალი ვარიაციითაა გამოთქმული მსოფლიოს მოაზროვნეთა მიერ. ეს თემა შინაგანად განცდილი და სავსებით მისაღები აღმოჩნდა ქართველი რომანტიკოსებისთვისაც. მსგავსი აზრია გადმოცემული აგრეთვე ლექსში „მოხუცებული ყმაწვილკაცს“:

*რას დამცინი? რას კოხტაობ? რას ტრაბახობ? რას ბაქბუქობ?
ნუ დამცინი, ნუ კოხტაობ, ნუ ტრაბახობ, ნუ ბაქბუქობ,
მეც დავცინე, ვკოხტაობდი, ვტრაბახობდი, ვბაქბუქობდი,
მაგრამ ახლას დრომან კრულმან გამტეხა და მოუძღურდი.*

ალექსანდრე ორბელიანს დაუწერია სატირული ლექსებიც. მათ შორისაა „სიმშბილით გამხრჭვალა ძაღლკაცი“, რომელიც მიმართულია ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძის წინააღმდეგ. სტრიქონებს შორის დაქარაგმებულია „კერესელიძე“: „მაშ შენს წევრთათვის შეკვერე სელი ძერა ბუების დასაჯდომელი“.

შევეცადეთ წარმოგვეჩინა ალექსანდრე ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის მრავალფეროვნება, ავტორის გრძნობათა სიწრფელე და სხვა ღირსებანი. თუმცა ეს მემკვიდრეობა არ გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, ის მაინც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და, ვფიქრობ, ამ ეპოქის სალიტერატურო პროცესის მკვლევარი მას გულგრილად ვერ აუვლის გვერდს.

ბიბლიოგრაფია:

- გაწერელია, ა. (1953). *ქართული კლასიკური ლექსი*. თბილისი.
კალანდაძე, ა. (1977). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია* (ტ. I). თბილისი.
მახარაძე, ა. (1982). *ქართული რომანტიზმი*. თბილისი.
ორბელიანი, ა. (1979). მთოვარე. წიგნში: *ახალი ქართული ლიტერატურა. ქრესტომათია* (ტ. I). თბილისი.
ორბელიანი, ა. (1992). ბაიათი. წიგნში: *ქართული მწერლობა* (ტ. IX). თბილისი.
სირამე, რ. (1997). სული დავენებული სურვილითა. *ალ. ორბელიანისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენცია*. თბილისი.
ქართული ლიტერატურის ისტორია. (1969). (ტ. 3). თბილისი.
ჩხეიძე, რ. (1996). *ალექსანდრე ორბელიანი*. თბილისი.
ხახანაშვილი, ა. (1913). *ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)*. ტფილისი.

Nino Vakhania
Sokhumi State University
ALEXANDER ORBELIANI'S VERSES
RESUME

Alexander Orbeliani's verses are not distinguished with high artistic value. Poetically more than consideration he could better write prosaically. Despite of aforesaid his verses have certain significance and have their place in the history of Georgian literature. So, none of the explorers' of Georgian writing can avoid these verses.

In the poetic heritage of romanticist writer is indicated that sorrow caused due to the loss of homeland ("Mtovare"). Sorrow and grief is more perfectly and boldly shown in the works written during migration (exile). We find amorous verses that fascinatingly express Georgian nature...

Alexander Orbeliani dedicated his verse to Shota Rustaveli, the meter of Georgian poetry. Eulogy is applied on King Erekle in the verse "Epitaph". There is even expressed so called "World Grief".

According to the verses is found sincere voice of creator, who firstly idolized his land. As Akaki Tsereteli used to state, he "differently loved Georgia".

All verses are not yet published, manuscripts are kept in personal fund.

Out of literary heritage of Alexander Orbeliani more noteworthy are prosaic works, though no less interesting are his verses. Among them, to my mind some are outstanding, perfect examples of Georgian romantic poetry.

Keywords: Alexander Orbeliani, Romanticist writer, Poetry, Published, Manuscripts.

თამარ ვეფხვაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ტრავმული მეხსიერება პოსტკოლონიურ ლიტერატურაში -
გოდერძი ჩოხელის - „მღვდლის ცოდვა“**

საკვანძო სიტყვები: ჩოხელი, წითელი მღვდელი, ცოდვა, ქვეცნობიერი, ყვავი, აღსარება.

„სოციალიზმი სულის ჭლეტია, გამოფიტულ გონებას შეეპარება,
ჩაბლუჯავს, დაიმორჩილებს, ამოხრავს და მოჰკლავს“
/მიხეილ ჯავახიშვილი/

გოდერძი ჩოხელმა ზუსტად იცის: „მწერალი ის არის, ვინც იცის, რას წერს! მწერალი ის არის, ვინც იცის, რატომ წერს! მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის წერს!“ (ჩოხელი, 2008, გვ. 311). რას, რატომ და ვისთვის წერდა გოდერძი ჩოხელი თავის რომანს „მღვდლის ცოდვა“, რომლის სათაურიც გვეუბნება, რომ ნაწარმოები მღვდლის არასწორ ცხოვრებაზე უნდა იყოს. რომანი დაწერილია 1990 წელს, თუმცა მასში ასახულია XX საუკუნის დასაწყისის მოვლენები. როგორ იხდის მღვდელი ანაფორას და იცვამს წითელ ხალათს.

ნაწარმოები ასე იწყება: „კვდებოდა წითელი მღვდელი. უნდოდა სიკვდილის წინ ვინმესთვის გადაეშალა გული, უნდოდა აღსარება ეთქვა, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჩანდა. ღმერთთანაც კარგა ხანია შემომწყრალი იყო“ (ჩოხელი, 2010, გვ. 183)

დასაწყისიდანვე, რამდენიმე ხაზში ნათლად იკვეთება ამ ადამიანის - „გაწითლებული მღვდლის“ - სულიერი კრიზისი. აშკარაა, მან უარყო ღმერთი, რომელიც სიკვდილის წინ ისევ გაახსენდა. გოდერძი ჩოხელმა საოცარი ტრაგიზმით გადმოსცა შიო მღვდლის სულიერი დაცემის პროცესი, მისი ცოდვით დამძიმებული ცხოვრების დეტალები. სინდისის ძახილი, ქვეცნობიერად ყვავის ხმით რომ დასჩხავის თავზე და გონიერებისკენ უხმობს. შიო მღვდლის მხატვრული სახის მაგალითზე ავტორი გვიჩვენებს პიროვნების გაორებას, თავმჯდომარედ გადაქცეული მღვდლის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. გარემო ფაქტორები და მის სულში მიმდინარე პროცესები მას უბიძგებენ ისე იცხოვროს, როგორც ცხოვრობს,

თუმცა მეორე მე, რომელიც მის სულს დარაჯად უდგას, ცდილობს შეაგონოს და მიახვედროს, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. „გაწითლებული მღვდელი“ კი ახშობს ამ ხმას, მას ჰგონია, რომ ახალ დროებაში ეს შესაძლებელია. ამ პერიოდის ასეთივე მხატვრული სახეებია ნახუცარი ივანე მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ და გაპარსული მღვდელი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ზარები გრიგალში“. ცხადია, ეს არ იყო მხოლოდ შიო მღვდლის პრობლემა იმ დროში, როცა „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა ტამარს“.

საგულისხმოა ერთი რამ: გოდერძი ჩოხელის „მღვდლის ცოდვა“ პოსტკოლონიურ ლიტერატურას მიეკუთვნება (დაიწერა 1990 წელს), ხოლო „ჯაყოს ხიზნები“ და „ზარები გრიგალში“ კოლონიურს (დაწერილია XX საუკუნის 20-იან წლებში). საუკუნის დასაწყისსა და საუკუნის ბოლოს. რატომ უბრუნდება გოდერძი ჩოხელი საუკუნის დასაწყისის პრობლემებს? რატომ ასახავს ასე მტკივნეულად ამ მოვლენებს? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის ერთგვარი ტრავმული მეხსიერება: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში (1921-1991 წ.წ.) კულტურული/ კოლექტიური ტრავმების თემა ტაბუირებული იყო იდეოლოგიური ცენზურის მიერ; შესაბამისად, იმ მოვლენებმა, რომლებმაც კოლექტიური ტრავმის სახით დაიგანეს ქართველი ერის მეხსიერებაში, ცალკეული გამონაკლისების გარდა, მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, ვერ პოვეს სათანადო ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში. მხოლოდ მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პოსტკოლონიურ პერიოდში, დაიწყო ტრავმული მეხსიერებით გაჯერებული მხატვრული ტექსტების პუბლიკაცია, რომლებიც ნათლად ასახავენ ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის მკაცრ რეალობას და მის სავალალო შედეგებს“ (ამბოკაძე, 2020, გვ. 2) როგორც მითითებულია, ეს განმარტება არის ნონა ამბოკაძის 2020 წელს დაცული სადისერტაციო ნაშრომიდან „საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ/ პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში“. მასში განხილულია 1921 წლის, 1924 წლის, 1930-იანი წლების, 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების წარმოჩენა ლიტერატურაში, როგორც ტრავმული მეხსიერების ასახვა. ჩემი აზრით, არანაკლებ ტრავმულია ქართული ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა ტირანიის დროს და მანამდეც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენების ერთგვარი ლიტერატული რეფლექსიაა გოდერძი ჩოხელის „მღვდლის ცოდვა“, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსპირაცია პოსტკოლონიურ მწერლობაში. „ტრავმული/კულტურული მეხსიერება, როგორც კოლონიური სისტემის თანამდევნი მარკერი, მრავალფეროვნად, განსხვავებულად, მისთვის დამახასიათებელი ქვეტექსტებით წარმოჩინდა კოლონიურ/პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში“ (ამბოკაძე, 2020, გვ. 201).

ბელა წიფურია მიიჩნევს, რომ „თანამედროვე ქართული ლიტერატურული სიტუაციის განხილვა და ამ ფონზე ცალკეული ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაცია შეუძლებელია კულტურული და სოციოკულტურული პროცესების ურთიერთქმედების შეფასების გარეშე. პოსტსაბჭოთა სინამდვილეში ქართული მწერლობა ჯერ კიდევ გვევლინება საბჭოთა გავლენათა მატარებლად და დგას კულტურათა და იდეოლოგიათა გასაყარზე“ (წიფურია, 2016, გვ. 11).

ამიტომ საჭიროდ მივიჩნევ ჯერ ზოგადად მიმოვიხილოთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოში საუკუნეების მანძილზე ავტონომიური ავტოკეფალური რელიგიური ორგანიზაცია იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართლმადიდებლობის ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოს ბედისა. სწორედ მან განაპირობა მაჰმადიანურ რეგიონში მდებარე ქვეყნის ლტოლვა ერთმორწმუნე რუსეთისადმი.“ - ვკითხულობთ ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც განხორციელდა კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელისა (Academic Swiss Caucasus Net) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2010 წლის სექტემბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე (კეკელია, გავაშელიშვილი, ლადარია, & სულხანიშვილი, 2013, გვ. 14).

თუმცა, ისტორიული ექსკურსითა და მოვლენების შეფასებით ეს გზა არც ისე სანდო აღმოჩნდა. კვლევაში ჩართულია ცნობილი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის, მოსაზრება, რომ მართლმადიდებლური ეკლესია და საერთო სარწმუნოება რუსეთის ხელში ყოველთვის იყო იარაღი საქართველოს ასიმილაციისათვის. იგი წერს: „ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდა რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთ სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულ ბრძოლაში სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ წრფელის გულით დახმარებას გაუწევდა. რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა (ჯავახიშვილი, 1919, გვ. 52).

ამის დასტურია ის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გაუქმდა. კვლევაში ნათქვამია, რომ, ფაქტობრივად, მთელი საუკუნის განმავლობაში იკრძალებოდა ქართულ ენაზე წირვის ჩატარება. „რუსეთის ბიოკრატიულმა წყობამ ქართული ეკლესია ძალზე მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა.

მასიური მარცვისა და საეკლესიო ნივთებისა და ძვირასეულობების გატაცების გარდა, ქართული ეკლესიისთვის დამღუპველი როლი შეასრულა რუსეთის სამღვდელოების საკადრო პოლიტიკამ.“ (კეკელია, გავაშელიშვილი, ლადარია, & სულხანიშვილი, 2013, გვ. 18)

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან ანომიურმა მდგომარეობამ დაისადგურა. რას გულისხმობს ეს? სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ანომია განმარტებულია, როგორც საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით.

რამი მდგომარეობდა ანომიური მდგომარეობა საქართველოში: „თუკი რუსეთის შემოჭრამდე და ავტოკრეფალიის გაუქმებამდე ქართველი ხალხი იდენტობის მთავარ მარკერად სარწმუნოებას მიიჩნევდა, ახლა ეს უკვე შეუძლებელი გახდა. ეკლესიებში წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე წარმართვა ხალხში გაუცხოებას იწვევდა და მას საკუთარი იდენტოფიკაციის ობიექტს ართმევდა“. (კეკელია, გავაშელიშვილი, ლადარია, & სულხანიშვილი, 2013, გვ. 20)

ამ მოვლენების შესახებ წერდა ცნობილი მოღვაწე ნიკო მარი: „სადღა სამსახური ეკლესიის წინაშე მის წმინდა საქმეში“ (მარი, 1905, გვ. 31). წნეხი ქართულ ენაზე ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ განსაკუთრებით რწმენას.

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბრეგამე თავის ნაშრომში „მოდერნიზმის ეპოქა, როგორც მითოს მოკლებული დრო, კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“, წერს: „XX ს-ის 20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიამ მოდერნიზმის ეპოქა განსაზღვრა, როგორც მითოს მოკლებული დრო, რითაც მან მეტაფორულად მიანიშნა ეპოქის სულიერ კრიზისზე, რაც გულისხმობდა ადამიანის ეგზისტენციალური შიშის ქვეშ ყოფნას, დეკუმანიზაციას“ (ბრეგამე, 2015). როგორც ვიცით, ეს ეპოქა დაემთხვა საბჭოეთის დამკვიდრებას, რაც შემთხვევითი არაა. კონსტანტინე ბრეგამე ამ დროს უწოდებს დესაკრალიზაციის პროცესს, „ღმერთთან თანაზიარობის“ საყოველთაო გაუქმებას.

ზემოთ განხილული კვლევები ცხადყოფს, თუ როგორი მდგომარეობა იყო საქართველოში XX ს-ის დასაწყისში. უკიდურესი საშიშროების წინაშე დადგა მრავალსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და არა მარტო. ზოგადად, ადამიანის სულიერი კრიზისის დრო დადგა. შეიცვალა დამოკიდებულებები, მსოფლმხედველობა, ეთიკური და ესთეტიკური მრწამსი, აზროვნება. საუკუნეებით ნალოლიავეები შეხედულებები თავდაყირა დადგა. შექმნილმა კრიზისმა შეცვალა ადამიანთა ცნობიერება და ცხოვრება.

„ნიცმე, ფროიდი და მარქსი საუბრობენ ძალებზე, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ცოდვით დაცემული, ღვთისაგან დაშორებული ადამიანის ცნობიერებას, გრძობებსა და საერთოდ ცხოვრებას. ქრისტიანული ასკეტური ლიტერატურის თანახმად, ცოდვას დაქვემდებარებულ ადამიანურ ბუნებაზე სამი ფუნდამენტური ვნება ბატონობს. ესენია: სიამაყე, რომელიც სხვებზე ბატონობის, სხვაზე აღმატების სურვილში გამოიხატება; სიხარბე ანუ მომხვეჭელობისადმი დაუსრულებელი სწრაფვა და სიამოვნებისაკენ ლტოლვა, რომელიც ხშირად სექსსა და ჭამაში პოულობს დაკმაყოფილებას.“ (ბუაძე, 2015, გვ. 12-13)

თუმცა გვაქვს ნეტარი ავგუსტინეს ცნობილი ფრაზა, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: „ადამიანის გულს ღმერთის გარდა ვერაფერი დააკმაყოფილებს“.

რა განაპირობებს ადამიანის ქცევას? ადამიანის ბუნება შეუცნობელია, მის ნებელობას განსაზღვრავს ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკა. ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოთერაპევტი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კარლ გუსტავ იუნგი მიიჩნევდა, რომ არაცნობიერ პროცესებს უშუალოდ ვერ მივუდგებით, - მათზე ხელი არ მიგვიწვდება. მათი უშუალო აღქმა შეუძლებელია, ისინი მხოლოდ თვინთ შედეგებში ვლინდებიან და, ამ შედეგთა სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მათ მიღმა უნდა იყოს რაღაც, საიდანაც ისინი სათავეს იღებენ. ამ ბნელ სფეროს ჩვენ არაცნობიერ ფსიქიკას ვუწოდებთ.

„კვდებოდა წითელი მღვდელი. უნდოდა სიკვდილის წინ ვინმესთვის გადაეშალა გული, უნდოდა აღსარება ეთქვა, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჩანდა. ღმერთთანაც კარგა ხანია შემომწყვრალი იყო.“ (ჩოხელი, 2010, გვ. 183)

ასე იწყებს გოდერძი ჩოხელი თავის ფსიქოლოგიურ ნაწარმოებს „მღვდლის ცოდვა“. შიო მღვდელმა ახალი ცხოვრების დადგომასთან ერთად გაიხადა შავი ანაფორა და წითელი სატინის გულსჯიბეებიან ხალათში გამოიწყო. სწორედ ამ დღიდან შეარქვა მას ხალხმა წითელი მღვდელი.

გაწითლებული მღვდელი საბჭოეთის ზეგავლენის მსხვერპლთა სიმბოლოა. მას სურს, რომ დაივიწყოს ყოველივე, რაც მანამდე წმინდა და საკრალური იყო. ხალხს მაგალითი უნდა მისცეს და რწმენა უნდა შეურყიოს. უნდა მოერგოს ახალ ცხოვრებას: „ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ საუკუნეების მანძილზე წმინდა ადგილად მიჩნეულ ხატის მოედანზე ხალხს ქვა მოტანიდა და ეკლესიის

მოპირდაპირე მხარეს ბოსელი ააშენებინა.“ (ჩოხელი, 2010, გვ. 183) ეკლესია, რომლის წინაც დგას ყოფილი მღვდელი, თეთრად არის გარედან შეღებილი, ეს არ არის შემთხვევითი - ასე ღებავდნენ ქართულ ეკლესიებს რუსები XIX საუკუნეში. ასეთი ტაძრის ფონზე დგას გაწითლებული მღვდელი: „ეკლესია თეთრად იყო გარედან შეღებილი და იმის ფონზე ძახილის ნიშანივით ჩანდა წითელი მღვდელი.“ (ჩოხელი, 2010, გვ. 183) წითელი ძახილის ნიშანი გასდევს ამ ნაწარმოებს და მთელ საუკუნეს. შიო მღვდელი ადრე თუ უფლის სიყვარულისკენ მოუწოდებდა ხალხს, ახლა იძახდა: „აი, მე ხომ ვამბობდი, თვითონვე ამტკიცებს-მეთქი თავის არარსებობას.“ (ჩოხელი, 2010, გვ. 184) ასე კი ამბობდა, მაგრამ ალბათ თვითონაც არ სჯეროდა ეს. მთელი ნაწარმოების განმავლობაში ცდილობს შიო დაიჯეროს ღმერთის არარსებობა და სხვებიც დააჯეროს, თუმცა გოდერძი ჩოხელი ძალზე საინტერესოდ ავითარებს სიუჟეტს. რაც უფრო მეტად ცდილობს გაწითლებული მღვდელი ღმერთის დავიწყებას, მით უფრო მეტად აწუხებს მას შინაგანი ხმა და, მისდა უნებურად, თანდათან მძიმდება მისი სულიერი მდგომარეობა.

ცხადია, ისმის კითხვა, მღვდელმა, რომელსაც ასე აწუხებს შინაგანი ხმა, ქვეცნობიერი, რატომ გადაწყვიტა ასეთი გზით ევლო?

ვახტანგ გურული წიგნში „მართალი გოდერძი“, წერს: „შიო საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლებს არ დაუშინებიათ, არც ვინმეს უბიძგებია ამ უდიდესი ცოდვის ჩადენისაკენ. შიომ ეს გზა თავად აირჩია - ემშაკის მსახურად თავისი ნებით იქცა“ (გურული, 2010, გვ. 39). ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები ბოლომდე, რადგან ასე მიმაჩნია, რომ არა შექმნილი მდგომარეობა, რაც ზემოთ განვიხილე, შიო მღვდელი მღვდლის ანაფორას არ გაიხდიდა. შიო მღვდელი გარემოების მსხვერპლია, ისევე, როგორც ნახუცარი ივანე მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“, მიკიტნად ქცეული მღვდელი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „ზარები გრიგალში“ და მრავალი სხვა. თუმცა, მე მათ ქმედებას, რა თქმა უნდა, არ ვამართლებ. მაგრამ იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს პერსონაჟები გარემოების მსხვერპლად შეიძლება ჩავთვალოთ. სიკვდილის შიშის დამღევა ყველას არ შეუძლია, ეს ერთეულების ხვედრია.

ასევე, ვახტანგ გურული მიიჩნევს, რომ შიო მღვდელს არ აწუხებს სინდისის ქენჯნა: „შიო მღვდელი ღმერთს განუდგა და ამიტომ ჩადენილი ცოდვების გამო სინდისის ქენჯნა არასოდეს უგვრძნია“ (გურული, 2010, გვ. 40). პირიქით, ცოდვას ცოდვაზე უმატებდა. შიოს ავკაცობისა და გულბოროტების აღკვეთა მხოლოდ ღმერთმა შეძლო, სასჯელი საშინელი იყო. შიოს ეჩვენებოდა, რომ ყვავი კი არ ჩხაოდა, არამედ ჩხავილის ნაცვლად შიოს მიერ სხვადასხვა დროს გაუბედურებული ადამიანების სახელს იძახდა (გურული, 2010, გვ. 41). მართალია, ყვავი შეიძლება ღმერთის სასჯელად ჩავთვალოთ, მაგრამ შეიძლება მის მეორე მხარე, შიო მღვდლის ქვეცნობიერადაც მივიჩნიოთ. შიო ებრძვის ღმერთს და ღმერთი მაინც არის მასში, შიო ებრძვის საკუთარ თავს, მაგრამ ის მაინც შიო მღვდლის ანარეკლია. აშკარაა, შიომ მოსვენება დაჰკარგა, მას არ ასვენებს ჩადენილი ცოდვები, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით სჩადის. ყოველი ყვავის ჩხავილი სხვა რაა, თუ არა მისი სინდისის ძახილი, მისი დამძიმებული სულის კვილი. როგორც ავტორი გვეუბნება, შიოს არ გადაუგდია მღვდლის ანაფორა, სკივრში ინახავდა მას და ერთხელ მოუნდა კიდეც მისი ნახვა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ანაფორის შენახვა და მიცვალებული შიოს ამ ანაფორით შემოსვა. ამ მოსაზრებას ვახტანგ გურულიც იზიარებს: „შიოს მიერ ანაფორის შენახვა და შემდეგ კუბოში მიცვალებულის ანაფორით შემოსვა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. შემთხვევით გოდერძი ჩოხელი ერთ სიტყვასაც არ წერდა... კუბოში ანაფორით შემოსილი შიო რომ იხილეს, ხალხმა ეს დიდი ხნის წინ დაკარგული მღვდლის დაბრუნებად აღიქვა“ (გურული, 2010, გვ. 44). და თუკი ვიტყვით, რომ გოდერძი ჩოხელი შემთხვევით ერთ სიტყვასაც არ წერდა, თუ შიოს აღსასრულსაც გავიხსენებთ, როცა მას სურს ვინმეს აღსარება უთხრას, ცხადია, შიოს სინანული ეწვია, მართალია, ძალიან გვიან, მაგრამ მაინც. ავტორმა ბოლომდე არ გაწირა მღვდელი, ამით კი არ გაწირა შიოს სულში არსებული ღმერთის მცირე ნაწილი, მის შეჭირვებულ სულს მღვდლის სამოსი დაუბრუნა. აპატია კი მას ღმერთმა ის საშინელი ცოდვები? რა თქმა უნდა, ეს არავინ იცის, არც ავტორმა და არც ჩვენ, მისი გამკითხავი მხოლოდ ღმერთია, მეტი არავინ. შიო მღვდლის, შემდგომ კი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოდვიანი ცხოვრების გამკითხავი ვერავინ იქნება, რადგან ასეთი ცოდვის შვილები მაშინ მრავლად იყვნენ. ეს ნაწარმოები არის სისტემის კრიტიკა, სისტემის ცოცხალი ანარეკლი.

რატომ ვერ ჩამოყალიბდა შიო ზნეკეთილ მწყემსად? ნაწარმოებში აღწერილია მისი ცხოვრების თითქმის ყველა ეპიზოდი. გავიხსენოთ მისი საღრმთო სკოლაში ყოფნის წლები და პირველი სიყვარულის ისტორია.

„შიომ გუმანით იცის, რომ იქ, სადღაც, ზავშობაში, ბევრი რამ ლამაზი და ნეტარების მომგვრელია“ (ჩოხელი, 2010, გვ. 302). თუმცა მოგონებები აკრთობს მას. იცის, რომ ზავშობა კარგი უნდა იყოს, მაგრამ როგორი იყო მისთვის? „მოგონებებში ჩაფლული ხელს აფათურებს და რამე რეალურს უნდა ჩაეჭიდოს... რამდენიმე დღე იმალებოდა... მამამ და მისმა მასწავლებელმა რომანოზმა იპოვეს, ისევ სასწავლებელში წაიყვანეს და გაროზგეს...“ (ჩოხელი, 2010, გვ. 302).

ცხადია, საღმრთო სკოლა არ ჰგავს იმას, რაც უნდა იყოს, აქ გამეფებული რეჟიმი სულის დეგრადირებას უფრო ემსახურება, ვიდრე სულიერ ამაღლებას. კიდევ უფრო მძიმეა პირველი სიყვარულის ისტორია. ავტორი შესანიშნავად აღწერს 7-8 წლის ბავშვის წრფელ გრძნობას, მას 15 წლის გოგონა შეჰყვარებოდა იმდენად, რომ სწავლისას ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა და ხშირად „იმსახურებდა გაწკეპვლას“, რასაც „საიმოვნებით უსრულებდა ახალგაზრდა მღვდელი რომანოზი“, რომელსაც მამამ მიაბარა აღსაზრდელად და რომელიც თვითონ ეარსიებოდა 15 წლის თებრონეს. ერთხელ კი თებრონეს თვალწინ გაწკეპლა. ამის მერე უფრო გულჩათხრობილი გახდა შიო.

როგორც ამ ეპიზოდიდან ირკვევა, მღვდელი რომანოზი მოძალადე და მრუშია. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, სწორედ მისი ქმედებები უბიძგებს შიოს ჩამოყალიბდეს ასევე მოძალადედ და მემრუშედ. საღმრთო სკოლა სრულიად დაშორებულია ქრისტიანულ მორალსა და აღზრდის პრინციპებს. აქ გამეფებული ძალადობა და უზნეობა უარყოფითად აისახება მოზარდებზე. შემდეგი მონაკვეთიდან ვიგებთ, რომ რომანოზი სასიყვარულო ურთიერთობას აბამს თებრონესთან, რისი უნებლიე მოწმეც ხდება თებრონეს თვალწინ უსამართლოდ გაწკეპილი შიო:

„... უცებ ის დღე გაახსენდა, რომანოზმა რომ გაწკეპლა. შურისძიების გრძნობამ შეიპყრო. მოუნდა, რომანოზისთვის წაერთმია თებრონე. რომანოზი უნდა გაემწარებინა“ (ჩოხელი, 2010, გვ. 305) და შეყვარებულებს თავზე დააყენა სასწავლებლის უფროსი - უმკაცრესი მღვდელი ნიკიფორე.

რამდენი ტრაგიზმია ამ პატარა მონაკვეთში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გოდერძი ჩოხელი არაფერს წერს შემთხვევით. არც ეს ამბავია შემთხვევითი. ამ დღიდან მოყოლებული უამრავი ადამიანი გაამწარა შიომ. შური იძია რომანოზზეც და თითქოს ყველა ადამიანზე. ამ დღიდან იწყება მისი გაბოროტება, თითქოს სული ამოაცალეს. მეორე დღეს, როცა შიომ შექება მიიღო ნიკიფორე მღვდლისგან, „თითქოს ვიღაც უჩინარმა იმავე წუთს სულში ჩახედა და იქედან თებრონეს სიყვარული ამოჰგლიჯა. იმ დღის მერე, ნეტარი სიყვარულის ნაცვლად, სინდისის ქენჯნას განიცდიდა თებრონეს დანახვაზე შიო“ (ჩოხელი, 2010, გვ. 306). იუნგი და ზოგადად ფსიქოლოგები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის ბავშვობას. შიომ ძალიან ბევრი ადამიანი გააუბედურა, ბევრი ქალი გააბახა, ვნების ცოდვა თან სდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე, ეს ეპიზოდიც სწორედ მაშინ ახსენდება, როცა ნადირაის პატიოსანი ცოლის ხელში ჩაგდება უნდა და ამისათვის არაფერს ერიდება. აშკარაა, რომ მისი ტრავმა ბავშვობიდან მოდის და მის სულში ღმერთის ნაცვლად ეშმაკი ჰყავს აღზრდილი და ჩასახლებული.

ცნობილია, რომ შვეიცარიელმა ფსიქიატრმა კარლ გუსტავ იუნგმა შექმნა „ანალიტიკური ფსიქოლოგია“, რომელშიც ამბობს, რომ ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს ფორმირებული საკუთრი პიროვნება და ინდივიდუალიზმი, იუნგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შუა მოზარდობის პერიოდს, მისი აზრით, ამ დროს პიროვნება ცდილობს გახდეს მეტად შეგნებული, თუმცა ამ ყველაფერს აქვს უარყოფითი მხარეც, რადგან არსებობს ისეთი შემთხვევები, რომელთაც არაცნობიერი აღიქვამს შავნელ შინაარსებად, რომელთა გაცნობიერებასაც პრომეთესური ბრძოლა და ძალისხმევა ესაჭიროება. იუნგის თეორიაში არის ენერჯის მთავარი წყარო ცნობიერებისათვის. ნებელობა ფლობს ენერჯიას, რომელიც ცნობიერების ან ეგოს განკარგულების ქვეშ იმყოფება და მხოლოდ ცნობიერ პროცესებზე ვრცელდება. სწორედ ნებელობის საშუალებით ითვისებს ადამიანი კულტურისათვის დამახასიათებელ ქცევებსა და წეს-ჩვეულებებს.

ჩოხელის პერსონაჟი ვერ აღმოჩნდა ძლიერი, ვერ იბრძოლა საკუთარი სულის გადასარჩენად. მის ცხოვრების წესად სხვისი ცხოვრების გამწარება იქცა, რასაც ხელს უწყობდა შექმნილი გარემოებაც.

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) ნარკვევში - „ადამიანის სულის ყოფიერების, თვისებების და მოქმედების შესახებ“, ამბობს, რომ ბიწიერება და სათნოება ფსიქოლოგიური მოვლენებია: ბიწიერება გონებას აზნელებს... სანამ ადამიანში მძვინვარებს ვნება, მას არ შეუძლია განსაჯოს რაიმე და მხოლოდ ამ გრძნობის დაკმაყოფილებისკენ ისწრაფვის. მაგრამ, როცა ადამიანი იკმაყოფილებს ვნების აღტყინებას, ვნება ცხრება და სინდისი თავის უფლებებში შედის... მართალია, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სულაც არ აწუხებთ სინდისი ყველაზე ავაზაკური საქციელის ჩადენისას, მაგრამ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც სულის სიღრმეში არ ჰქონდეს თუნდაც მცირე შეგნება თავისი ცოდვისა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ბიწიერების გამო სრულ კმაყოფილებას გრძნობდეს. ჩემი აზრით, შიო სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. ცხადია, შიომ იცის, რომ ცოდვილია, იცის, რომ ეს საშინელი დანაშაულებები მისი სულისთვის დამამძიმებელია.

მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი) ჟურნალ „კარიბჭეში“, 2018 წლის პირველ აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში „ცოდვა, სინდისი, სინანული და აღსარება - როგორ განთავისუფლდეს ადამიანი ცოდვის მონობისაგან“, „სინდისის შეტევის“ მაგალითი მოჰყავს კ.გ. იუნგის „ავტობიოგრაფიიდან“. იუნგი სუბრობს ექიმ ქალზე, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, მოწამლა საუკეთესო მეგობარი, რადგან მისი მეუღლე შეუყვარდა, მკვლელობის შესახებ არავის არაფერი გაუგია, ქალი ცოლად გაჰყვა მეგობრის ქმარს, მაგრამ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც მას ეგონა. მისი ცხოვრება

თვდაყირა დადგა. გრძნობდა, რომ მორალურად განადგურებული იყო, მან ვერ პოვა ბედნიერება, პირიქით, მხოლოდ შფოთვა და უბედურება მოუტანა საკუთარ თავს. ეძებდა ნეიტრალურ ადამიანს, რომელსაც გაუმხელდა თავის საიდუმლოს. ის იმდენად იყო დათრგუნული, რომ ამის ატანა მეტი აღარ შეეძლო. მეუფე სტეფანე აღნიშნავს, რომ ამ მონათხრობში იუნგს გადმოცემული აქვს შემთხვევა, რომელიც ასახავს ადამიანის სულიერ ტანჯვას ცოდვის ჩადენის შემდეგ. ხანდახან ადამიანს ჰგონია, რომ თუ მის მიერ ჩადენილი ცოდვა არ გამჟღავნდა, მის ცხოვრებაში არაფერი მოხდებოდა. როგორც ვხედავთ, ეს ასე არ არის. დანაშაული ტანჯავს ადამიანს. ის, ვინც დანაშაულს სჩადის, თავის სულსაც ანგრევს. მკვლელი სჯის საკუთარ თავს. იუნგის ეს მონათხრობი დასტურია ამისა. უფალი ხედავს, რომ ადამიანი დაღუპვის გზას დაადგა და ყოველმხრივ უბიძგებს მას სინანულისკენ - ცხოვრების გარემოებებით, შინაგანი შფოთით, მარტოობით, სინდისის ქენჯნით. მიტროპოლიტი სტეფანე მიიჩნევს, რომ თუ ჩადენილი დანაშაული არ გამჟღავნდა, ხოლო ადამიანმა ის ყოველგვარი მერყეობის გარეშე ჩაიდინა, სასჯელი მას მაინც ეწევა. ამ ქალის რეალური ისტორია ცხადყოფს: ადამიანს, რომელიც ასეთ საიდუმლოს ინახავს, ერყევა ფსიქიკა, კარგავს მოსვენებას, სულიერ სიმშვიდეს, რაც უმნიშვნელოვანესია სრულყოფილი ცხოვრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ადამიანი ფსიქიატრთან არ მივიდოდა.

თუკი მიტროპოლიტი ეყრდნობა იუნგის მიერ მოხმობილ მაგალითს, ჩვენ, მით უმეტეს, უნდა ვენდოთ. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? ამ მასალის გამოყენებით როგორ ავხსნათ მხატვრული პერსონაჟის ტრანსფორმაცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მხატვრული ლიტერატურის ცნების რამდენიმე განმარტება არსებობს. კლასიკური განმარტებით, მხატვრული ლიტერატურა არის წერილობითი ფორმით გადმოცემული ესთეტიკურად ღირებული ინფორმაციის ნაკადი (რატიანი, 2012, გვ. 9). ამავე სახელმძღვანელოში წერია, რომ მხატვრული ტექსტების კვლევისას უნდა გამოვყოთ ორი მომიჯნავე დისციპლინა: ესთეტიკა და ფსიქოანალიზი. ესთეტიკა დიდ გავლენას ახდენდა XIX საუკუნეში, როდესაც ლიტერატურასა და ხელოვნებაზე თეორიული რეფლექსია ხშირად ხორციელდებოდა ფილოსოფიური ესთეტიკის ფორმით. ფსიქოანალიზი ლიტერატურათმცოდნეობისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციული იდეების წყარო: იგი იძლევა არაცნობიერი პროცესების ეფექტურ სქემებს, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტებშიც მრავლად მოიძიება. ამგვარი სქემის ორი ძირითადი ტიპი - ფროიდისეული „კომპლექსები“ და იუნგისეული „არქეტიპები“ (რატიანი, 2012, გვ. 20).

გოდერძი ჩოხელის „მღვდლის ცოდვა“ ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელსაც ფსიქოანალიზი სჭირდება. ამიტომაც, თუ გავითვალისწინებთ მეუფე სტეფანეს (კალაიჯიშვილი) მოსაზრებას, რომელიც, თავის მხრივ, იუნგის ფსიქოანალიზს ეყრდნობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი შიო მღვდელი ზუსტად იმ მდგომარეობაშია, როგორშიც იყო მკვლელი ქალი იუნგის მოგონებებიდან. მას შეერყა ფსიქიკა, თუმცა ვერ ხვდება ამას, რისი გამოხატულებაცაა მოლაპარაკე ყვავი, რომელიც შიო მღვდლის წარმოსახვის ნაყოფია. მას ეჩვენება, რომ ყვავი დასძახის ყველა იმ ადამიანის სახელს, რომელთა მიმართაც ესა თუ ის დანაშაული აქვს ჩადენილი. ნაწარმოების კომპოზიციაც ამაზეა აგებული, დასაწყისშივე ვიგებთ მთავარი გმირის გარდაცვალებას, მისი აღსარების სურვილს სიკვდილის წინ, შემდეგ კი ყვავის საშუალებით ვეცნობით მის უმძიმეს ცოდვებს. ავტორი ქმნის ფსიქოლოგიურ მხატვრულ სახეს, რომელიც ეპოქის ანარეკლია.

ბოლოს კი, მინდა დავუბრუნდე მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებს, რომლითაც დავიწყე ეს ანალიზი: „სოციალიზმი სულის ჭლექია, გამოფიტულ გონებას შეეპარება, ჩაბლუჯავს, დაიმორჩილებს, გამოჰხრავს და მოჰკლავს“ (ჯავახიშვილი, 2015, გვ. 328). მოკლული და ჩაკლული სულის გამოხატულება შიო მღვდლის მხატვრული სახეა.

ბიბლიოგრაფია:

- ამბოკაძე, ნ. (2020). *საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ/ პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში*. დისერტაცია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი: თბილისი.
- ბრეგაძე, ვ. (2015 წლის 12 იანვარი). *მოდერნიზმის ეპოქა, როგორც მითოსს მოკლებული დრო, კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://burusi.wordpress.com/2015/01/12/კონსტანტინე-ბრეგაძე-მოდ/>
- ბუაძე, თ. (2015). ადამიანის ადგილი სამყაროში. *გული გონიერი*, 7-43.
- გომურაშვილი, ნ. (2015 წლის 8 აგვისტო). *ანალიტიკური ფსიქოლოგია: კარლ გუსტავ იუნგის თეორია*. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://intermedia.ge/სტატია/64029-ანალიტიკური-ფსიქოლოგია-კარლ-გუსტავ-იუნგის-თეორია/93/user:nu_tsa%20ნიონო%20გომურაშვილი:show:channel

- გურული, ვ. (2010). *მართალი გოდერძი*. თბილისი: უნივერსალი.
- კარიბჭე. (2018 წლის 01 აპრილი). *მეუფე სტეფანე: ცოდვა, სინდისი, სინანული და აღსარება - როგორ განთავისუფლდეს ადამიანი ცოდვის მონობისაგან*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://karibche.ambebi.ge/eklesia/mghvdelmthavarni/7457-meufe-stefane-codva-sindisi-sinanuli-da-aghsareba-rogor-ganthavisufldes-adamiani-codvis-monobisagan.html>
- კეკელია, თ., გავაშელიშვილი, ე., ლადარია, კ., & სულხანიშვილი, ი. (2013). *მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში : (XX საუკუნის ბოლო-XXI საუკუნის დასაწყისი)*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მარი, ნ. (1905). *ქართველთა ეროვნება*. ქუთაისი: ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბა.
- რატიანი, ი. (რედ.). (2012). *ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი*. თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://geofilologia.files.wordpress.com/2015/10/lit-mcodneoba.pdf>
- ჩოხელი, გ. (2008). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 2). თბილისი: საქართველოს მაცნე.
- ჩოხელი, გ. (2010). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 3). თბილისი: საქართველოს მაცნე.
- წიფურია, ბ. (2016). *ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე). (თ. გ.). *ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.orthodoxy.ge/fsiqologia/gabriel/fsiqologia-5.htm>
- ჯავახიშვილი, ი. (1919). *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში*. თბილისი: ქართული კლუბის გამოცემა.
- ჯავახიშვილი, მ. (2015). *უბის წიგნაკებიდან*. თბილისი: ინტელექტი.

Tamar Vepkhvadze

Sokhumi State University

**TRAUMATIC MEMORY IN POSTCOLONIAL LITERATURE - "THE SIN OF THE PRIEST" BY
GODERDZI CHOKHELI
RESUME**

"Socialism is the tuberculosis for the men's soul, it creeps to the exhausted mind, grabs it subjects it, gnaws it and kills"

/Mikheil Javakhishvili/

The presented work deals with Goderdzi Chokheli's novel " The Sin of the Priest ", the title of which tells us that the work supposed to be about the irregular life of a priest. The novel was written in 1990, though it describes the events at the beginning of XX century, namely how a priest changes his clergy robe to a red shirt.

The novel presents a psychological portrait of "Red Priest", which makes it possible to identify the problems caused by the Soviet ideology and total atheism. The work focuses on the research of the human's spiritual degradation taking into account impact of external factors. The work gives the opportunity to follow closely the process of a person's formation as well as the influence of the childhood and adolescence spiritual traumas which, in most cases, make a person violent.

The research uses interdisciplinary, comparative etc. methods of the text survey and analysis.

Working on the text, we referred to the literature about the state of Georgian Church at the end of XIX and the beginning of XX centuries. The attention is drawn to the anomic state of Georgia of that time. The necessary psychological and psychoanalytic studies from the works of Carl Gustav Jung and those of others are used for the analysis and conclusions as well as the literature about the invisible subconscious, which occupies a large place in the life of the main character.

Keywords: Chokheli, Red Priest, Sin, Subconscious, Raven, Confession.

უფლისციხის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმიდან

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ლოკალიზაცია, სოფელი, ისტორია, ეტიმოლოგია.

I. ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

უფლისციხე ისტორიული სოფელია შიდა ქართლის ვაკეზე, გორის მუნიციპალიტეტში. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ქვახვრელის ტერიტორიულ ერთეულში შედის. სოფელი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 560 მ სიმაღლეზე მდებარეობს და გორს 8 კმ-ით არის დაშორებული. XX ს-ის 70-იან წლებამდე უფლისციხე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ამავე სახელწოდების ისტორიული ციხე-ქალაქის ძირას მდებარეობდა (უფლისციხე, 1986, გვ. 192). სოფელს მთელ სიგრძეზე ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ გასდევს კლდეები. სამხრეთით მდ. მტკვარი მიედინება. უფლისციხის დასავლეთით გორისკენ მიმავალი, ვიწრო და დაკლავნილი, სამანქანო გზა უზარმაზარი ხეებისა და უფსკრულის პირზე მიემართება. მტკვრის მარცხენა მხარეს, რკინიგზის სადგურთან **ახალი უფლისციხეა**. ცხოვრობენ ძირითადად ადუაშვილები, აკოფაშვილები, ბერიკაშვილები, გაბინაშვილები, გალუსტაშვილები, გიგოლაშვილები, ნაზარაშვილები, სირანაშვილები, წიწიკაშვილები.

უფლისციხე ისტორიული სოფელია. იგი არაერთხელ მოიხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“: უფლოსმა „...აღაშენა უფლის-ციხე, ურზნისი, კასპი...“; ალექსანდრე მაკედონელმა „...დაიპყრა ყოველი ქუეყანა... და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა... ურზნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უზანნი მისნი...“; ბაგრატ I-მა და მოჰამედმა „წარიღეს უფლისციხე“; X საუკუნეში „მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა“; ქართლის ერისთავმა ივანე მარუშის-მემ „აღილო... უფლისციხე“ და მისცა ბაგრატ III-ს და მის მამას – გურგენს“; „და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ“; „და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, წარიყვანეს კახეთად“; „განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე...“; ბაგრატ აფხაზთა მეფე „მოვიდა უფლისციხეს, აღილო ციხე დედისაგან თვისისა...“; აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ძე კონსტანტინე „მოადგა უფლისციხესა... და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“; ბაგრატ IV-მ „აღილო უფლისციხე“; სულა კალმახელმა „აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი“; „ამან არშაკ... ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“; მეფე მირიანი „...აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ“; აბუ-საჯის ძე „...შემოვიდა ქართლად, და მოაოკრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღუნეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირნოს“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 10, 17, 33, 109, 255, 262, 263, 272, 274, 275, 276, 302, 305). 1398 წლით თარიღდება ისტორიული საბუთი, რომლის მიხედვით ალექსანდრე მეფემ უფლისციხეში მდებარე მონასტრისა და ციხის შეწირულების წიგნი განუახლა მცხეთის სვეტიცხოველს. 1660 წლით დათარიღებული საბუთის მიხედვით მეფეს უფლისციხე საჯილდაოდ უბოძებია ხუდადა ხოჯაშვილისთვის. XVII ს-ში შედგენილი საბუთიდან ირკვევა, რომ უფლისციხეს აწერია 20 სახასო მოლაშქრე (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, 1964, გვ. 207). 1467 წელს უფლისციხე ზაზა ფანასკერტელისთვის მეფე კონსტანტინეს სიმტკიცის სიგელით უბოძებია: „...მამული ქუახურელი, **უფლისციხე** და კარალეთი მისივე ეკლესიითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბართა... ყველათა მკვიდრთა, სამამულოდ და საბოლოოდ“ (სანიკიძე, 2008, გვ. 34).

უფლისციხის ისტორიის დასასრულის ვრცელ და ხატოვან აღწერას გვაძლევს XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და სახელმწიფო მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი: „აშურიანს¹ ზეით არს უფლისციხე, კვერნაქის². გამოვიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის

¹ აშურიანი ერქვა სოფელს, რაც მდებარეობდა ახლანდ. გორის რ-ნის სოფ. ზეგარდის სანახებში. (ბაგრატიონი, 1997, გვ. 320).

² ასე ეწოდება დაბალ ქედებს შიდა ქართლში, მტკვრის მარცხენა სანაპიროს სოფ. რუისიდან მცხეთამდე. (ბაგრატიონი, 1997, გვ. 336)

კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდეცე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი. და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი. არამედ აწ შეუალ არს. აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპა-ლაშკარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს. ამის დასავლით არს გორი“ (ზაგრატიონი, 1997, გვ. 75). მაშასადამე, უფლისციხე, როგორც სამისნო, XVIII ს-შიც მოქმედებდა.

უფლისციხე გვხვდება XVIII ს-ის გერმანელი მოგზაურის – იაკობ რაინეგის ჩანაწერებში: „...სამხრეთით მთისწინეთის ერთი შტოს გაგრძელება ქალაქ გორის ახლოს, აღმოსავლეთით გადადის ყავისფერ, მტკიცე, ბაზალტურ ცივბო კლდეში, რომლის სიმაღლე 42 ფუტია, სიგრძე 220, ხოლო სიგანე თითქმის 900 ფუტი. ამ ტრაპისებურ, მთლად სწორ კლდეში ქართლის ძველმა მცხოვრებლებმა გამოკვეთეს მტკიცე ქალაქი, რომელსაც ისინი უფლისციხეს უწოდებენ (ნიშნავს ბატონის ციხეს). ქალაქის კედელი, ჭიშკარი, ქუჩები, სახლები, ფანჯრები და კარებები, ასევე სავაჭრო მოედანი, დუქნები და სარდაფები (თაღები) ამ ცოცხალ ქვაში გამოკვეთეს და არავითარ სიძნელეს არ მოერიდნენ, რომ ეს კლდის ციხე მიუდგომელი და აზიური ბრძოლებისას აუღებელი ყოფილიყო. მაგრამ ყველაფრის გამჩანაგებელმა ყაჩაღმა ლეკმა... მიაღწია ამ საოცრად გამოკვეთილ ციხეს და გაბრაზებულმა გაიტაცა მოსახლეობა, რადგან მათი მტკიცე, ამჟამად ცარიელი სახლების დანგრევა ვერ შესძლო“ (რაინეგსი, 2002, გვ. 194-195).

კასპი-უფლისციხის ქვეყნის ქართლში შემოყვანის შესახებ აკად. ნიკო ბერძენიშვილს საგულისხმოდ ეჩვენება შემდეგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შემდეგი ცნობა: „და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 216). მისივე დაკვირვებით, ქართლის ცალკე არსებობისას მის ცენტრს თბილისი და მცხეთა კი არა, უფლისციხე წარმოადგენდა (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 236). კასპი-უფლისციხე შედიოდა შიდა ქართლში ანუ „ზენა სოფელში“. ასე იწოდებოდა მცხეთის ზემოთი, მცხეთის გამოკლებით, ე.ი. რეხულას დასავლეთით მდებარე ტერიტორია. „მცხეთის სამეფოში იმთავიდან არ შედიოდა ქვეყანა, რომელიც კასპსა და უფლისციხეს მოიცავდა, ე.ი. მცხეთის სამეფოს საზღვარი ამ მხარეზე რეხულა იყო“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 325). აწინდელი უფლისციხე, ნ. ბერძენიშვილის თქმით, გვიან ქვეულა ან გვიან აუგიათ უფლის ციხედ, ანუ ისეთ ციხედ, რომლის შემავალნი არიან რიგი ქალაქები. უფლისციხე გამოყოფილი იყო როგორც კასპისაგან, ისე ურბნისისა და გორისაგან. „ესეც კი მოწმობს, რომ ის ამათგან დამოუკიდებელი, ე.ი. ნამდვილი უფლის ციხეა“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 331). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში მოხსენიებული უფლისციხე, მკვლევრის აზრით, აწინდელი უფლისციხე არ უნდა იყოს. იგი ტექსტს ასე კითხულობს: „ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაი, უფლისციხეი კასპისა, უფლისციხეი ურბნისისა და უფლისციხეი ოძრხისაჲ“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 332). მაშასადამე, დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი, „აწინდელი უფლისციხე უფრო გვიანია, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს უფლისციხენი. ის უფრო მაღალი ეტაპია ციხის და შემდეგ უფლისციხის განვითარებისა. ის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრია, ან ამის ახლოს მდგომი“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 332).

კლდეში ნაკვეთი ქალაქის კომპლექსი აერთიანებს ზღუდეს, თხრილს, რამდენიმე შესასვლელს, გვირაბს, წყალსადენს, წყალსაწრეტი არხების ქსელს, გრძელ ნაგებობას, დასავლეთის ეკლესიას, დიდეზოიან და ერდოიან სახლებს, ერთსვეტიან და კესონებიან დარბაზებს, მაღალტახტიან ოთახის კომპლექსს, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობას, მიუვალ ნაგებობას, სადა ოთახს, მოხატულოთახიან სახლს, ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი დარბაზების (ტაძრების) კომპლექსს, უფლისწულის ეკლესიას, ქარაფისპირა სახლს, ქუჩისპირა ბაქანს, შეწყვილებულკოჭებიან დარბაზს, წითელი ოთახის კომპლექსს და ა.შ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალით დადგინდა, რომ უფლისციხეს საუკუნეების მანძილზე კავშირი ჰქონდა ურარტუს, ირანის, სომხეთის, მცირე აზიისა და ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვა რეგიონების კულტურულ ცენტრებთან. აქ აღმოჩენილია რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები, რკინის სახნისი, კვერები და სხვ., რაც მიგვანიშნებს, რომ უფლისციხე უძველესი დროის ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია (სიკმა, 1990, გვ. 90-109).

ძვ. წ. VI-V სს-ში უფლისციხე დიდ როლს თამაშობდა. ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე და მცხეთის გადედაქალაქებამდე უფლისციხე, როგორც დასახლებული პუნქტი, უკვე არსებობდა. ქართული წერილობითი ტრადიციის თანახმად, შიდა ქართლის უძველესი ცენტრი მცხეთამდე სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. იგი წარმოადგენდა მსხვილ, კარგად გამაგრებულ სამოსახლოს.

1882 წელს გორის ხალხოსნებს, „სემინარისტების“ წრის წევრებს – მ. კერესელიძეს, ნიკო ლომოურს, ანტონ ფურცელაძეს და სხვებს, უფლისციხის ერთ-ერთ ქვაბულში ჩაუტარებიათ

საიდუმლო კრება, სადაც განუხილავთ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის, მემამულეთა მიწის კონფისკაციის, გლეხთა კავშირების მოწყობისა და სხვა საკითხები. კრებაზე სიტყვით გამოსულა ვაჟა-ფშაველა (სანიკიძე, 1982).

ქართული კულტურის ამ უთვისაჩინოესი ძეგლისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა პირველად უწარმოებია დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს, ხოლო გეგმაზომიერი გათხრები დაიწყო 1957 წელს¹. უფლისციხეში მოკლე ხნით სტუმრობამ ჩვენგან უდროოდ წასულ მწერალ გურამ რჩეულიშვილს შესანიშნავი მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“ დააწერინა.

II. ტოპონიმთა ნუსხა

აზინდაურები – სახნავი, მინდორი. არის ხალხური ლექსი: „გუთანი ვედარ მოვკიდე აზინდაურის ფერდასა, გოგოვ, წითელი პერანგი ჩაუცმევია დედასა, ტირილი დაგვიწყებია, გული მაუკლამ სევდასა“.

აზინდაურების წყარო – წყარო. შდრ. აზინდაურების წყარო – წყარო გორის რ-ნის სოფ. ხიდისთავში (მელიქიძე, 1999, გვ. 18).

ადუანთ ხევი – ხევი. სახელწოდება უკავშირდება გვარ ადუაშვილს. ამ გვარისკაცი ცხოვრობენ უფლისციხის მეზობელ სოფელ ქვახვრელშიც. ს. მელიქიძე ხიდისთავსა და ქვახვრელში ხევის სახელწოდებად მიუთითებს **ადუანთ ხევს** (მელიქიძე, 1999, გვ. 18).

ავაზანი – 1. მინდორი; 2. უბანი. ოსები ცხოვრობენ. შდრ.: **ავაზნის მიწები** – სახნავ-სათესი ქვახვრელში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 14); ავაზანი – ავაზნები შავშვებსა და ნაწრეტში (მელიქიძე, 1999, გვ. 18).

ავაზნის წყარო – წყარო. შდრ. ავაზნიწყალი – წყარო ხიდისთავში (მელიქიძე, 1999, გვ. 19).

ავსარეკლები – მინდორი, სამოვარი.

ასლანის წყალი – იხ. ქვემოთ **ასლანიწყარო**.

ასლანიწყარო – წყარო. ს. მელიქიძე ასახელებს პარალელურ ფორმას – **ასლანის წყალი**, წყაროების სახელწოდებად, ბერბუკში, ქვახვრელსა და უფლისციხეში (მელიქიძე, 1999, გვ. 21).

ასტუზამელი – ეკლესია. კლდეშია გამოკვეთილი.

ახალი უფლისციხე – სოფელი, უბანი მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქვახვრელის დასავლეთით.

ახაშნები – მინდორი. წარმომდგარია ახალშენიდან.

ახაშნებისწყარო – წყარო ახაშნებში. ს. მელიქიძეს „ქართლის ჰიდრონიმიაში“ აღნიშნული ტოპონიმი არა აქვს დასახელებული. სამაგიეროდ ახალშენი 2-ში წყაროების სახელწოდებად მითითებული აქვს **ახალშენას წყარო** და **ახალშენის წყარო/წყარო** (მელიქიძე, 1999, გვ. 22).

ბაბაიანთ ტყე – ძეძვარი. ადრე ტყე ყოფილა და ბაბაიანთნი ფლობდნენ.

ბამბათხევი – 1. მინდორი, სახნავი; 2. ხევი. შდრ. **ბამბათხევეები** – ხევი ქვახვრელში (მელიქიძე, 1999, გვ. 23).

ბამბები/ბამბების ნამოსახლარი – სახნავ-სათესი ვაკესოფლის დასავლეთით და მის გაგრძელებაზე. უწინ ფერმების ფარეხები იდგა. XIX ს-ის მიწურულს აქ ბამბის მოყვანა უცდიათ, მაგრამ უშედეგოდ. სახელწოდებაც აქედან მოდის.

ბამბების ნამოსახლარი – იხ. **ბამბები**. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს უფლისციხის დასავლეთით, 0,5 კმ-ზე, კვერნაქის ქედის სამხრეთით, ადუანთხევის მარჯვენა მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ბამბებში. შესწავლილია ოთხი კულტურული ფენა, დათარიღებული ძვ. წ. IV-III სს-ით. I ფენა შეიცავს ძვ. წ. IV ს-ის სამაროვანს, რომელიც შედგება პატარა სწორკუთხა ორმოსამარხებისაგან. სამარხებში მიცვალებულები ესვენა ძლიერ მოკრუნჩხული, თავით ჩრდილოეთისაკენ. აღმოჩენილ ნივთებს შორისაა წელშეზნეპილი სამაჯურები, მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი მძივები, ფარაკიანი ბეჭდები, სახელოსნო იარაღები, მოხატული, შეღებილი და გაპრიალებული თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღებულ II ფენაში გამოვლინდა მედაბურთა სამოსახლოები – საცხოვრებელი სახლები, მარანი, საკუჭნაო და დამხმარე ნაგებობანი. ზოგიერთ საცხოვრებელ სახლში აღმოჩენილი ე.წ. ხოვლური ტიპის ღუმელები ხითა და თიხით არის ნაგები. ამავე ფენაში აღმოჩენილია კვერის კოხები, ვაზის სასხლავი დანები, მოხატული, შეღებილი, გაპრიალებული და სადა თიხის ჭურჭელი, მოხატული ქვევრები და ყავისფერკეციანი კოლხური ამფორა, თიხის ქანდაკებები და ა.შ. III ფენას წარმოადგენს ძვ. წ. I ს-ის ნამოსახლარი და სამაროვანი. სამარხებში მოკრუნჩხულ პოზაში ჩასვენებულ მიცვალებულებს თავი ჩრდილოეთისკენ ჰქონდათ მიმართული. ამ ფენაში გამოვლინდა წელშეზნეპილი სამაჯურები, მოხატული ჭურჭლის

¹ უფლისციხის შესახებ ვრცლად იხ. (ხახუტაიშვილი, 1965; ხახუტაიშვილი, 1966; ხახუტაიშვილი, 1964; ხახუტაიშვილი, 1970; ხახუტაიშვილი, 1989; სანიკიძე, 1982; სანიკიძე, 2008; სიკმა, 1990).

გვიანდელი ვარიანტი, პართული მონეტები. ნამოსახლარში აღმოჩნდა საცხოვრებელი ნაგებობა, მარანი, საკუჭნაო და სხვ. IV ფენაში აღმოჩენილია I-III სს-ის სამაროვანი და ნამოსახლარის ნაკვალევი. ორმოსამარხებში გამოვლინდა რომაული მონეტები (ხახუტაიშვილი, 1990, გვ. 88-89; ხახუტაიშვილი, 1966; ხახუტაიშვილი, 1965; ხახუტაიშვილი, 1964; ხახუტაიშვილი, 1970). დ. ხახუტაიშვილის დათარიღებით, ბამბების უძველესი მრავალფენიანი ნამოსახლარი (ნასოფლარი) ძვ. წ. VII-VI სს-ში წარმოქმნილა და ახ. წ. III-IV სს-ში არსებობა შეუწყვეტია (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 50). ინტერესს იწვევს ნამოსახლარის ერთ-ერთი ნაგებობის იატაკის ქვეშ 1959 წელს აღმოჩენილი ნივთი – ჩანგზე დამკვრელის თიხის პატარა ფიგურა, რაც მკვლევართა მიერ VII-VI სს-ით თარიღდება. „უფლისციხელი მუსიკოსის მორთულობა (ტანსაცმელი, ნიღაბი, თავსამკაული) გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს საკმაოდ განვითარებული ყოფილა არა მარტო მუსიკალური კულტურა, არამედ აქტიორული ხელოვნებაც. უფლისციხელი მუსიკოსის ფიგურა რაღაც კომპოზიციის ნაწილი ჩანს, რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულა. შესაძლებელია, რომ იგი მარტო მუსიკოსის ფიგურას კი არ შეიცავდა, არამედ ფიგურათა ჯგუფს წარმოადგენდა, რომელიც რომელიღაც წარმართულ დღესასწაულთან დაკავშირებულ სცენას გადმოსცემდა“ (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 54-55).

ბარი – სახნავ-სათესი ვაკე-დაბლობი სოფლის დასავლეთით.

ბარის მიწები – სახნავები. ამ ადგილის მაღლა საცხოვრებელი ბინები იყო. ძველად აგურის სახელოსნოები ყოფილა. ინფ.: „იზარებოდა ეგ მიწები“.

ბოსელა – ვაკე დაჭრილების მაღლა, დაახლ. 1 ჰა. შდრ.: **ბოსელა** – სახნავ-სათესი საქაშეთში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 32).

ბრმახევი – ხევი უფლისციხის დასავლეთით. ხევისთავზე გადის ვიწრო სამანქანო გზა გორისკენ. „ხევი ვიღაც უსინათლო გადაჩეხილა“. ნინო ოქროპირიძე ტოპონიმ **ბრმა ხევის** ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე, და გვთავაზობს რესპონდენტის განმარტებას: „არ ჩანს სად იწყება და სად თავდება ეს ხევი. არც თავი აქვს და არც ბოლო. ამიტომ უწოდებენ ასე“ (ოქროპირიძე, 2012, გვ. 33, 360). შდრ.: **ბრმა ხევი** – ხევი ფლავისმანსა და გუდალეთში; **ბრმა ხევი/ბრმა ღელე** – ღელე ქვეშში; **ბრმა ღელე** – ღელეები ახალდაბაში, ქემფერსა და დვირში...

ბურჯები – ხიდის ნაშთი მტკვარზე. შდრ. **ბურჯები** – საბანაო ქვახვრელში (მელიქიძე, 1999, გვ. 27).

გალუსაანი – უბანი.

გერის ნიში – ნიში კლდეზე. „საკლავ-შესაწირს კლავენ აქა“. „გერი“ კომპონენტის შემცველი ტოპონიმები გორის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ადგილას ფიქსირდება: **გერი კლდე** – კლდე მღებრიანში; **გერის მწვერვალი** – მთა მღებრიანში; **გერის ნიში** – სალოცავი ატენში. **გერის წმ. გიორგის** სახელობის ნიშთან ჯაფარიძეების გვარი ლოცულობდა; **გერის სალოცავი** – სალოცავი ტაშში; **გერის ქედი** – ქედი დ. წერეთში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 38).

გვირაბი – გვირაბი სოფლის აღმოსავლეთით. ჩასასვლელი აქვს კლდეში გამოკვეთილი თეატრის მარჯვენა მხარეს და ეშვება ქვემოთ, პატარა ღელესკენ. ძველად ამ გვირაბისძირში მიედინებოდა მტკვარი. უცხოელთა თარეშის დროს ეს გვირაბი იყო ერთადერთი საიდუმლო გზა, რომლის მეშვეობითაც ხალხი მტკვრიდან ეზიდებოდა წყალს მეომრებისთვის და საკუთარი საყოფაცხოვრებო პირობებისთვის. ნ. ოქროპირიძე ასახელებს როგორც ტოპონიმ **გვირაბს**, ისე **გვირაბებს** (ოქროპირიძე, 2012, გვ. 38-39, 361). ვახუშტი ბატონიშვილისათვის ესაა „გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე{ე}, დიდი“ (ბაგრატიონი, 1997, გვ. 75).

გორათმები/გორათნები – სახნავ-სათესი; მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, გორთან ახლოს. ნინო ოქროპირიძე ტოპონიმ **გორათნებს** ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და აღნიშნავს, რომ სახელწოდება მიღებული უნდა იყოს მეტათეზისის გზით, სიტყვისაგან – **გორთან**. ებ სუფიქსი ტოპონიმთა მაწარმოებელი სუფიქსია და ტოპონიმს განასხვავებს აპელატივისაგან (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შესაძლებელია ტოპონიმის ამოსავალი იყოს **გორათი**, **გორათები**. **გორათის წყარო** ეწოდება წყაროებს გვერდისუბანსა და ცხრამუხაში (მელიქიძე, 1999, გვ. 32).

გორათნები – იხ. **გორათმები**.

დაჭრილები – სახნავ-სათესი; მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ა). „ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თითქოს მინდორი დაკაფულია, დაჭრილია“; ბ). „ნამზღვევი ადგილია“. ნინო ოქროპირიძე ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და წარმოადგენს რესპონდენტის განმარტებას: „მინდორი ბორცვებს შორისაა მოქცეული. ზევიდან თუ დახედავ, თითქოს დაკაფულიაო. დაჭრილია ნაწილ-ნაწილად“

(ოქროპირიძე, 2012, გვ. 51, 360). შდრ.: დაჭრილები – 1. ტყე გარდატენში. ემახიან გაჩეხილ ტყეს; 2. სამოვარი ქვ. ახალსოფელში, ნაჭერ-ნაჭერ დაჭრილი, მეწყერიანი ადგილი (ოქროპირიძე, 2012, გვ. 51).

დიდი საპატარა – ვაკე. დაახლ. 110 ჰექტარია.

ვარტატაკი – დაღმართი სოფლის სამხრეთ მხარეს, მტკვრის მიმართულებით. ვიდრე სოფელში სასმელ წყალს გამოიყვანდნენ, ხალხი ამ დაღმართით ჩადიოდა მტკვარზე და იქ ბუნებრივად ამოსული წყაროდან ეზიდებოდა წყალს. ამ დაღმართზე ორი პატარა ვაკეა, ბაქნის სახით. აღმართზე ამოსვლისას ამ ბაქნებზე ისვენებდა ხალხი. ნინო ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ **ვარტატეკს**, დაღმართის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 62-63, 360). „წვიმიან ამინდში წყაროს ნიაღვრის წყალი დაშლიდა ხოლმე და ხალხი სასმელად მტკვრის წყალს იყენებდა“.

თეთრ(ი)ნერგები – ვაკე სოფლის აღმოსავლეთით, კლდეში ნაკვეთი ქალაქისძირში, მტკვრის მარცხენა მხარეს, უფლისწულთან. პატარა მოედანზე ვერხვის სამი უზარმაზარი, ასწლოვანი ხე იდგა. ეს არის გამყოფი ადგილი სოფლისა ბაღ-ვენახებისაგან. მის დასავლეთით მდებარეობს სოფ. უფლისციხე, აღმოსავლეთით კი – ბაღები. ერთგვარი დასასვენებელი ადგილია. ნინო ოქროპირიძე ასახელებს ტოპონიმ **თეთრნერგებს**, ვაკე ადგილის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 361). შდრ.: თეთრნერგა – ბაღი მეღვრეკისში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 75).

თისძირი – სახნავები. იგივეა, რაც მთისძირი.

კიკილაანთ ეკლესია – არქიტექტურული ძეგლი, გვიანდელი ფეოდალური ხანის დარბაზული ეკლესია. დგას სოფლის აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ზე. რიყის ქვით აგებული ეკლესიის ზომებია: 6,5+4,2 მ. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აგსიდი ნახევარწრიული, ოდნავ ნალისებრია. მასში ჩართულია ერთი სარკმელი და ორი მცირე ნიში. ერთი სარკმელი დასავლეთ კედელშია (გვასალია, 1990, გვ. 89).

კლდიორღობე – კლდეში ამოკვეთილი თავდია გვირაბი ნაქალაქარის ჩრდილოეთით, 700-800 მ-ის დაშორებით. დ. ხახუტაიშვილის თქმით, ძველ საქართველოში ასეთი „კლდიორღობეები“ „კლდეკარებად“ იწოდებოდა. უფლისციხის ეს კლდეკარი ერთ-ერთი უდიდესია ძველი კავკასიის ამ ხასიათის ძეგლებს შორის. გვირაბის სიმაღლე აქა-იქ 10 მ-მდე, სიგანე – 2,5 მ, სიგრძე – 150 მ-ზე მეტია. გვირაბის დასასრულთან დაბლა დაშვებული გზა ადუანთ ხევის აღმოსავლეთ კალთას მიჰყვება. „უფლისციხის დიდი კლდეკარი გამოკვეთილი ჩანს ძვ. წ. IV-III საუკუნეებში. იგი მდებარეობდა იმ უძველეს სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე, რომელიც ამიერკავკასიაზე (კოლხეთი, ქართლი, ალანეთი) გადაივლიდა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებთან აკავშირებდა“ (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 14).

კლდის ფარები – არქეოლოგიური ძეგლი სოფლის ჩრდილოეთით, ადუანთხევის სათავეებთან. ფეოდალური ხანით დათარიღებული ძეგლი 1957-1963 წლებში შეისწავლა უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (უფროსები: დ. ხახუტაიშვილი, თ. ქარუმიძე). ესაა ორრიგად განლაგებული, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები, რომლის ზედა სართული სახიზრად, ხოლო ქვედა სართული – მშვიდობიანი დროის საცხოვრებლად, მოგვიანებით ფარებად ჰქონიათ გამოყენებული (სიკვა, 1990, გვ. 89).

კლდის წყარო – წყარო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, კვერნაქის ქედის სამხრ. ფერდობზე. არქეოლოგები ფეოდალური ხანით ათარიღებენ. აქვე, 1957-1963 წწ. შესწავლილ იქნა ნამოსახლარი. გამოვლინდა შენობების მიწიქვეშა ნაწილის კვალი (სიკვა, 1990, გვ. 89).

კოდა – მინდორი. **კოდს** ემახიან ხის გულამოღებულ მორს, რომელსაც მიწიდან ამომდინარე წყაროში შვეულად ჩადგამენ წყლის შესაკრებად და გამოსადენად (ქეგლ).

კოდისწყარო – სახნავ-სათესი, წყარო კრიის შემდეგ, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, უერთდება ლაშეთხევს. მინდორზე ქვითკირით ამოშენებული წყაროა. „წინათ ეს წყარო გაფანტული ყოფილა. შემდეგ ვიღაცას თავი მოუყრია ამ სუფთა წყლისთვის და ქვითკირის აუზში მოუქცევია. აუზის მშენებლისთვის 1 კოდი, ანუ ოთხი ფუთი ხორბალი გადაუხდიათ. სახელწოდებაც აქედან მოდის“. ნინო ოქროპირიძის წიგნში ტოპონიმი დასახელებულია სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შდრ.: **კოდიწყარო** – წყაროები ზემო ქსოვრისში, ბორცვანაში, ზაქაროში, ერთაწმინდაში, დვანში, ქვემო ლისში (მელიქიძე, 1999, გვ. 51; ოქროპირიძე, 2012, გვ. 94); **კოდის წყარო** – წყარო კავთისხევში (გხადაია, 2015, გვ. 106); **კოდის წყალი** – წყაროები მუხათგვერდში, ლელუბანში, ყვიბისსა და ნაბახტევში; კოდის წყარო – წყაროები ბაკურთანში, წაღვერში, ქემფერში, წაღვლში, ქვახვრელში, წიწამურაში, ცხვარიჭამიაში, ბევრეთში, თემისხევში, ეზატში, კოდისწყაროში, თელოვანში, დიდთავში, ახალქალაქში, ღორეთში, კრობანში, ზემოხვედურეთში, კოდა-ვარდისუბანში, კოდაში, ლისში, ლელობში, მცხეთაში, ქვემო

რეხაში, თვალადში, ჭანჭახში, დიდ ხურვალეთში... (მელიქიძე, 1999, გვ. 51; მელიქიძე, 2007, გვ. 76) დ. ხახუტიანიშვილის აზრით, ე.წ. მტკვარარაქსულ ხანაში უფლისციხელები კოდის წყაროს აქაური სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად იყენებდნენ (ხახუტიანიშვილი, 1989, გვ. 77).

კოტალაკები – მინდორი, სახნავი.

კრია – ქედი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: **კრია** მიწა ხშირად-ქვიანი“ (ორბელიანი, 1928, გვ. 176). შდრ. **კრიახის წყარო** – წყაროები ატოცსა და ბრეძაში (მელიქიძე, 1999, გვ. 52).

კურკევის ხევი – ხევი. ს. მელიქიძე ასახელებს პარალელურ ფორმას – **კურკევის ხევი** (მელიქიძე, 1999, გვ. 52).

კურკევის ხევი – იხ. **კურკევის ხევი**.

ლაკოფანთ ხევი – ხევი.

ლალიანთ ხევ(ებ)ი – ორი ხევია ერთმანეთის გვერდით, სოფლის დასავლეთით. ხევებისთავზე გადის ვიწრო სამანქანო გზა გორისკენ. „გორის საზღვარია, საგორო იყო“. ნინო ოქროპირიძე ტოპონიმ **ლალიანთ ხევებს** ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). ს. მელიქიძე ჰიდრონიმ **ლალიანთ ხევს** მიუთითებს ხევების სახელწოდებად ბერბუკსა და უფლისციხეში (მელიქიძე, 1999, გვ. 53).

ლალიანთ ხევი – იხ. **ლალიანთ ხევ(ებ)ი**.

ლასტი(ს)მიწები – სახნავ-სათესი სოფლის ჩრდილოეთით. „მინდორი ლასტივით სწორია“. ნინო ოქროპირიძე ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360).

ლაშეთხევი/მლაშე ხევი – ხევი, ფერდობი სოფლის აღმოსავლეთით. ხევი ჩაედინება პატარა დელე, რაც ყვავის საყდრის მიდამოებში ერთვის მტკვარს. დელის წყალი მლაშეა და სახელიც აქედან მოდის. ნ. ოქროპირიძე ტოპონიმს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შდრ.: **მლაშეხევი** – ხევები ტუსრებსა და პატარა ატენში; **მლაშეხევი** – ხევი ორმოცში; **მლაშეხევის მთა** – მთა ორმოცში; **მლაშეხევის ტყე** – ტყე ქვემო ბოშურში... (ოქროპირიძე, 2012, გვ. 116). ს. მელიქიძე **მლაშე ხევს** ხევების სახელწოდებად მიუთითებს წედისში, თემისხევში, ყარაღაჯში, მცხეთაში, ჭყობიანსა და ბოშურში (მელიქიძე, 1999, გვ. 59; მელიქიძე, 2007, გვ. 91). **მლაშე ხევი/სოფლის ხევი** ეწოდება ხევს ზენადრისში, **მლაშე ხევი/ქემისაანთხევი** – ხევს პატარა ატენში (მელიქიძე, 1999, გვ. 59). **ლაშეხევი** ხევის სახელწოდებაა ყინწვისში; **ლაშისხევი** ეწოდება ხევებს ორმოცში, ხოვლესა და ქვაბისხევში, **ლაშხევი/ლაშხევი** – ხევს ურბნისში, **ლაშხევა** – ხევს ურთხვაში, **ლაშხევის წყალი/ლაშის წყალი** – მდინარეს ცოცხნარაში და ა.შ... (მელიქიძე, 1999, გვ. 54)

ლაშეთხევის მტკვართან შეერთების ადგილას, ხევის მარჯვენა მხარეს აღმართულ ბორცვზე, უფლისციხის 1963-69 წწ. ქსპედიციამ (უფროსები: თ. ქარუმიძე, დ. ხახუტიანიშვილი) გამოავლინა არქეოლოგიური ძეგლი – ნამოსახლარი, რაც რამდენიმე კულტურული ფენისაგან შედგებოდა. უძველესი ფენა თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით, ხოლო ყველაზე გვიანდელი – ანტიკური ხანით. „ლაშეთხეველთა მეურნეობაში წამყვანი ყოფილა მიწათმოქმედება, მისდევდნენ მეთუნეობასა და ხელოსნობის სხვა დარგებსაც. სარწყავად იყენებდნენ „ავაზნების წყაროს“, რ-იც ნამოსახლარიდან ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე იღებს სათავეს. **ლ. ნ.** თავისი უძველესი ფენით მტკვარ-არაქსის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის კულტურას მიეკუთვნება“ (სიკვა, 1990, გვ. 89).

ლურჯი კლდეები – კლდეები. ტოპონიმების – **ლურჯიქვიმიწები** (სახნავი ახრისში), **ლურჯი წყარო** (წყაროები ახალხიზასა და პატარა გორიჯვარში), **ლურჯიწყლიპირი** (სახნავი ახალდაბაში) სახელდების მოტივია მოლურჯო ფერი (ოქროპირიძე, 2012, გვ. 106).

მაროშკაანთ ხევი – ხევი.

მთისძირზე/მთისძირი – სახნავ-სათესი სოფლის ჩრდილოეთით, დიდი მთისძირში. ნინო ოქროპირიძე ტოპონიმს ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360).

მთისძირი – იხ. **მთისძირზე**.

მლაშე ხევი – იხ. **ლაშეთხევი**.

მუხები – მინდორი, სახნავ-სათესი სოფლის ჩრდილოეთით. ძველად მუხნარი ყოფილა, ხალხს გაუჩხბია და სახნავ-სათესად გამოუყენებია. „ეხლაღა დგა მუხის რამდენიმე ხე“. ნინო ოქროპირიძე ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შდრ.: **მუხები** – სახნავ-სათესი ჯარიაშენში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 120).

ნარხლები – კლდე უფლისციხის დასავლეთით. „ძველი არხი იყო ალბათ“.

ნაზარაანთ უბანი – უბანი. ცხოვრობენ ნაზარაშვილები.

ნაკაფი – კლდეზე გაჭრილი გზა. შდრ. **ნაკაფი** – 1. ტყე ატენში, პავლიაანთ უბანში; 2. ფერდობი ატენში, ჭეჭელაანთ უბანში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 125).

ნატბევი – მინდორი. შდრ.: **ნატბევი** – 1. სახნავ-სათესი მეღვრეკისსა და პატარა გარეჯვარში; 2. ადგ. შინდისში; 3. მინდორი ყელქვეულში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 128).

ნაფარეხალი – ფერდობი. შდრ.: **ნაფარეხალი** – ადგ. გალისხევში; **ნაფარეხევი** – სახნავ-სათესი ქვემო ხვითში; **ნაფარეხლები** – სახნავ-სათესი კირბალში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 129).

ნიში/შუფლიშანი – საყდარი, წმ. გიორგის ნიში სოფლის დასავლეთით, მალღობზე, სამანქანო გზის ჩრდილოეთით, მარჯვენა მხარეს. ირგვლივ ნუშის ხეებია გაშენებული.

ნუშები – მინდორი. შდრ. **ნუშები** – სახნავ-სათესი ზემო ნიქოზში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 136).

ორღობე – შარაგზა კლდეზე. „იქ ურმებს ნალს უბამდნენ, რო ურემი არ დაგორებულებო“.

პანტიაურები – მინდორი, სახნავი.

პაპიაანთ უბანი – უბანი. ცხოვრობენ პაპიაშვილები.

პაპიაანთ ტყე – პატარა ძემენარი.

პატარა საპატარა – სახნავი. დაახლ. 32 ჰექტარია.

საბერო – გვირაბი. „ბერები სარგებლობდნენ“.

საბუეები – მინდორი.

საგორო – მინდორი.

სათიეები – სამოვარი ფერდობზე. იგივეა, რაც სათიეები.

საკირის ფერდა – ფერდობი, სადაც კირი ამოჰქონდათ.

სალიზვარი – ხევი, წყარო კლდეში. მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ქალაქის აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1957-1963 წწ. აქ შესისწავლა და გამოავლინა ნამოსახლარი, რაც ფეოდალური ხანით თარიღდება. „სალიზვარი, ე. ი. „კლდის ვენახი“, უფლისციხის გარეუბანი და ერთ-ერთი სას.-სამ. უბანია. აქ აღმოჩენილია კლდეში ნაკვეთი საწნახლები, რ-ებიც თარიღდება XII-XIII სს-ით. ვენახები, როგორც ჩანს, მდ. მტკვრის ჭალაში იყო გაშენებული და კლდეში გამოყვანილი რუს წყლით ირწყვებოდა“ (სიკმა, 1990, გვ. 89). რესპ.: „წყარო სალ კლდეზე გამოდიოდა და ზვრებისთვისა ხმარობდნენ“. საწნახლის იატაკზე აღმოჩნდა მეფე თამარის ვერცხლის მონეტა. უფლისციხის შუა საუკუნეების საწნახელს დ. ხახუტაიშვილი „სალიზვარულ ტიპს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი ანტიკური ხანის საწნახელთან შედარებით რთული აღნაგობისაა და შედგება საწნახლისა, თაღარისა და საწნახლის გვერდზე განლაგებული ბერკეტისა და საქაჯავისაგან. თვით კომპოზიტი „სალიზვარი“, ისტორიკოსის აზრით, მნიშვნელობით იგივეა, რაც „კლდის ვენახი“ (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 42-43).

სალიზვარის მიდამოების მახლობლად, იქ, სადაც ვენახებია გაშენებული, უნდა ყოფილიყო უფლისციხის სამდინარო ნავსადგურიც. მტკვრის კალაპოტი უფლისციხის წინ ამჟამად საკმაოდ გაშლილია, მაგრამ ანტიკურ ხანაში მდინარის ძირითად ნაკადს კლდოვანი მასივის ფუძის მახლობლად უნდა ედინა. ასეთივე მიმართულება ჰქონია მას X ს-ის I ნახევარშიც, რასაც მოწმობს XI ს-ის წერილობით ძეგლში („მატიანე ქართლისა“) მოხსენიებული ადგილი, „სადა ტივნი დადგებოდეს“¹.

სამილახვრო – მიწები.

სანალოები – ვაკე. „პატარა ვაკეა სოფლის თავზე. ურმის გამოსაბმელ ნალებს იქა მყრიდით. ყველას თავისი ჰქონდა“.

საპატარა – მინდორი, სახნავ-სათესი; ხევი სოფლის აღმოსავლეთ მხარეს. ნ. ოქროპირიძე ტოპონიმს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360).

საყდრი(ს)ხევი – ფერდობი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხევისთავზე დგას ძველი საყდრის ნანგრევები. ნ. ოქროპირიძე ტოპონიმ **საყდრის ხევის** დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ხევის სახელწოდებად (ოქროპირიძე, 2012, გვ. 165, 360). შდრ. **საყდრის ხევი** – ხევი ლულში, ქვემო ბოშურშა და ატენში; **საყდრიხევი** – ხევი ახრისში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 165). ს. მელიქიძე ჰიდრონიმ **საყდრის ხევის** ხევის სახელწოდებად მიუთითებს ქართლის შემდეგ სოფლებში: ქვემო ლისში, დოესში, დიდ ატენში, ქვემო ბოშურში, სიონისუბანში, შავშევში, თხინვალასა და გაიჩაანთუბანში, ხოლო **საყდრიხევის** – ხევის სახელწოდებად – ტუსრებში, უფლისციხეში, დიდ ატენში, ქვახვრელსა და ახრისში (მელიქიძე, 1999, გვ. 74).

უფლისციხე – კლდეში ნაკვეთი ქალაქი გორიდან მე-7 კმ-ზე, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს, ვაკეზე. ვახუშტი ბატონიშვილი უფლისციხის აგებას უკავშირებს ქართლოსის ძის, ქართველთა ერთ-

¹ მსჯელობისათვის იხ. (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 111).

ერთი ეთნარქის – **უფლოსის** სახელს და წერს: „უფლისციხე... აღაშენა პირველად უფლოს, მემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსვრილი“ (ზაგრატიონი, 1997, გვ. 75).

აკად. ნიკო ბერძენიშვილის აზრით, „უფლისციხის შესახებ ლეგენდა მისი უფლოსის მიერ დაარსების შესახებ იმ რეალური მნიშვნელობის ფაქტს ემყარება, რომ ეს ციხე გამაერთიანებელი მნიშვნელობისაა. რომ უფლისციხის ფლობა ქართლის (შინა ქართლის) ფლობას ნიშნავს. როდის მიიღო უფლისციხემ ასეთი მნიშვნელობა, ე.ი. როდის მოხდა ქართლის გაერთიანება ერთ ქვეყნად. ეს ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანაში (X ს-ის დამდეგი – ი. კ.) რომ უფლისციხე ასეთი ტრადიციების მქონეელი პუნქტია, ეს უეჭველია. ამიტომაცაა, რომ ქართლის ერისთავები, აფხაზთა მეფეთა უფლისწულები, თუ სხვა აფხაზი დიდებულები, აქ უფლისციხეში სხედან და აქედან ახორციელებენ ქართლის პოლიტიკურ მმართველობას“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 355).

როდის უნდა შერქმეოდა ძველს ეს სახელი? – დასმულ კითხვაზე უფლისციხის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი დ. ხახუტაიშვილი პასუხობს: „ძველ ქართულში „უფალი“ „ბატონს“, „უზენაეს გამგებელს“ აღნიშნავდა. ე. ი. „უფლისციხე“ „ბატონის“, „უზენაესი ხელისუფლის“ ციხეს აღნიშნავს... ასე იწოდებოდა კი იგი თავიდანვე? უფლისციხე პირველად VII საუკუნეში იხსენიება... შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში უნდა შერქმეოდა მას სახელი უფლისციხე, რადგან მცხეთის დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ, ქვეყნის უფალი (ბატონი) და უზენაესი გამგებელი (მეფე) მცხეთაში იჯდა და არა უფლისციხეში“ (ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 96).

„უფლისციხის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობს მკვლევარი თ. სანიკიძე: „სახელი უფლისციხე ქალაქს რამდენადმე უფრო ადრე უნდა შერქმეოდა. ალბათ, მაშინ, როდესაც აქ კლდეში საგანგებოდ გამოკვეთილი პირველი ტაძრები და მათი მოსამსახურენი – ქურუმ-მოგვები გამოჩნდნენ. გამოცალკევდა პირველი ქურუმი – ღმერთკაცი ანუ ღვთაებრივი ძალმოსილებით აღჭურვილი პიროვნება, რომლის საუფლოს მართლაც ციხის სახე ჰქონდა. სწორედ მას ეწოდა, უთუოდ, უფალი, რომელიც ქართლში ღმერთის სინონიმად იყო და მოკვდავსაც მიეგებოდა“ (სანიკიძე, 2008, გვ. 7).

უფლისწული – ადრინდელი ფეოდალური ხანის სამეცკლესიანი, აგურით ნაგები ბაზილიკა სოფლის აღმოსავლეთით, კლდეში ნაკვეთი ქალაქის მარჯვენა მხარეს, შიდა ქალაქის შუა უბანში, ამდღეობულ კლდის მასივზე (ზომები: 18,5+13, 8 მ). ეკლესიის დასავლეთის ფასადის ქვეშ შემორჩენილი, კლდეში ნაკვეთი ანტიკური დროის ნაგებობის ნაშთები, სამხრეთი ფასადის კლდის ცოკოლი და მის აღმოსავლეთ ბოლოში, შესასვლელთან გამოვლენილი გაცვეთილი იატაკი, აგრეთვე წარმართული დროის შესასვლელი აღმ. ფასადის ცენტრში, მოწმობს, რომ ეკლესია აუგიათ ძველი წარმართული ტაძრის ადგილზე (ქარუმიძე, 1990, გვ. 105-106). ეკლესიის შესასვლელამდე კიბეები კლდეშია გამოკვეთილი. ეკლესიის მარცხენა მხარეს კლდეში ნაკვეთი ქალაქის არქიტექტურული ანსამბლია, რომელიც ზემოდან დაჰყურებს სოფელს. კლდეში გამოკვეთილია მრავალი ოთახი და დარბაზი, ძველი თეატრი, ამფითეატრი. აქვეა კლდეზე ამოკვეთილი მარჯვენა ფეხის ნაფეხური. ხალხი მას თამარ მეფის ნაფეხურს უწოდებს. აუშენებიათ მეფის შვილის – უფლისწულის სახელზე.

უღელტეხილი – მინდორი, სახნავ-სათესი, გზა-გადასასვლელი; მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. მინდორის ნახევარი უფლისციხის საკუთრებაა, ხოლო მეორე ნახევარი სოფ. ნადარბაზევს ეკუთვნის. მინდორს ყოფს დიდი მთა, უღელტეხილი. ნინო ოქროპირიძე ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შდრ. უღელტეხილი – სახნავ-სათესი შავშვებში; 2. გადასასვლელი ახალდაბაში; 3. გზა დიდ ატენში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 184).

ფარჩო(ს)ხევი – ხევი. საზიაროა სოფ. ქვახვრელთან. „ფარჩო საკუთარი სახელია. ამ ხევში გადავარდნილა“.

ფერდმიწები – მინდორი. ფერდობი ადგილია.

ფიცარა – მინდორი, სახნავ-სათესი სოფლის აღმოსავლეთ მხარეს, გრაკლის რკინიგზის სადგურთან, მტკვრის მარცხენა მხარეს. „მინდორი ფიცარივით სწორი და ბრტყელია“. ნ. ოქროპირიძე ტოპონიმს ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). შდრ.: ფიცარეები – სამოვარი ქვ. ახალსოფელში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 187).

ქვაბებისძირი – გამოქვაბულები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ციცაბო კლდეზე. „ამბობენ, თითქოს შიგ ყვავები ბუდობენო და იმ ადგილს დიდხანს ადამიანის ფეხი არ მიჰკარებია“. ნინო ოქროპირიძე ტოპონიმს ასახელებს გამოქვაბულის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 361).

ქვაბებიძირი – სახნავი გამოქვაბულების ძირზე. ერთი კაცი ხნავდა, ძნა ხელით გამაიქონდა, ურემი ვერ შედიოდა“.

ღვთისმშობლის ეკლესია – ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 150 მ-ის დაშორებით. კლდეშია გამოკვეთილი და დათარიღებულია ფეოდალური ხანით. მასთან მისასვლელი საფეხურებიც კლდეში ამოუჭრიათ. დასავლეთის შესასვლელის თავზე პატარა სარკმელია. ეკლესიას აღმოსავლეთით ღრმა ნალისებრი აფსიდი აქვს, რომლის ღერძზეც ოდნავ ჩაღრმავებული ნიში ამოუკვეთიათ. შ. ნათამის აღწერით, „ქვემოთ დგას კლდეშივე გამოკვეთილი სწორკუთხა სატრაპეზო ქვა. ჩრდ. კედელში განიერი თაღოვანი ნიშია. აფსიდს გასდევს მაღალი ბაქანი შუაში ორსაფეხურიანი კიბით. აფსიდის ბრტყელი კონქი კუთხეებში ეყრდნობა პილასტრებს, რ-ებსაც თაროსებრი კაპიტელი და ასეთივე ბაზისი აქვთ. ეკლესიის ჭერი ბრტყელია და გრძივ კედლებზე წრეთარგის ფორმით გადადის“ (სიძკა, 1990, გვ. 89).

ღვრინჭილა – ქედი. ნ. ოქროპირიძე ბერშუეთში ხევის სახელწოდებად მიუთითებს **ღვრინჭილანს** და განმარტავს: „ამ ხევში ბევრი ღვრინჭილა იცის. ლოკოკინას მსგავსია. ავდრის წყალი როცა მოდის ხევში, ნიაღვრობისას, იმას მოჰყვება მძივებივით ქვები. ღვრინჭილა – პატარა ნიჟარაა. იკეთებდნენ თმაში, იბამდნენ ყელზე“ (ოქროპირიძე, 2012, გვ. 202). ს. მელიქიძე ასახელებს პარალელურ ფორმას – **ღვრინჭილანი** – ხევი ბერშუეთში. (მელიქიძე, 1999, გვ. 85)

ღრმახევი – მშრალი ხევი. შდრ.: **ღრმახევი** – ხევები ატენში – მიხანანთ უბანსა და პავლიანთ უბანში (მელიქიძე, 1999, გვ. 203). ს. მელიქიძის მასალების მიხედვით **ღრმა ხევი** ეწოდება ხევებს ქვახვრელში, თამარაშენში, ღვედრეთში, უფლისციხეში, წინამძღვრიანთკარში, დიდ ატენსა და კასპში (მელიქიძე, 1999, გვ. 85). **წიფლარისხევი/ღრმახევი** ხევის სახელწოდებააა ნადარბაზევში (მელიქიძე, 1999, გვ. 85, 94).

ყათლანი – იხ. ქვემოთ **ყათლანიხევი/ყათნალის ხევი**

ყათლანიხევი/ყათნალის ხევი – მშრალი ხევი სოფლის დასავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კვერნაქის ქედის სამხრეთით. ხევისთავზე გორისკენ მიმავალი ვიწრო გზა გადის. საზიაროა ქვახვრელთან და ხიდისთავთან. „ხევის მიდამოებში მრავალი ბრძოლა გამართულა. ერთ-ერთ ბრძოლაში რაზმის უფროსმა ყათნალმა თავი გამოიჩინა მამაცი ბრძოლით, მაგრამ თვითონ ბრძოლის დროს ხევში დაღუპულა. მის პატივსაცემად ხევს ხალხმა ყათნალისხევი უწოდა“. ხალხური ლექსია: „რაჯაბმა თქვა – მივდიოდი, ცხენი მამყვანდა ხვნეშითა, ნეტავ რათ ამამსებინეს ყათნალისხევი ლეშითა“. ნ. ოქროპირიძის მიერ დასახელებულია არასწორი ფორმა **ყათნალის ხევი** (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). ს. მელიქიძე ქვახვრელში, ხიდისთავსა და უფლისციხეში ხევის სახელწოდებად მიუთითებს პარალელურ ფორმას – **ყათლანს** (მელიქიძე, 1999, გვ. 86).

ყათლანისხევი 1957-1963 წწ. უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია გვიანდელი ბრინჯაოს-ანტიკური ხანისა და ადრინდელი ფეოდალური ხანის ნამოსახლარი. აქ ყოფილა ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებათა სამლოცველო, რომელიც რომელიღაც მტრული თემის შემოსევის დროს ძლიერ ხანძარს შეუწირავს. გადარჩენილა ოთხი სამლოცველო სენაკი და ხატის ბეღელი. სალოცავში გამოვლინდა ხარისა და მოზვრის თავის თიხის მოდელები, ქალღმერთის თიხის რელიეფური გამოსახულება, ასტრალური ნიშნები... ხატისათვის შეწირული ნივთებიდან აღსანიშნავია კვერის კოხები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, ცხოველთა თიხის ფიგურები და სხვ. ანტიკური ხანით და ადრინდელი შუა საუკუნეებით დათარიღებულ ნამოსახლარზე გამოვლენილია კვერზე დასვენებული მიცვალებული, მოხატული, შეღებილი, გაპრიალებული და სადა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კერამიკული ჭურჭლისა და ქვევრის ნამტვრევები, სასანური ხანის თიხის ბულა ფალაური წარწერით და ა.შ. ფიქრობენ, რომ ყათლანისხევის ორივე მხარე ახ. წ. I ს-ში უფლისციხის გარეუბნის ერთ-ერთი სამოსახლო იყო. აქაური მცხოვრებნი ძვ. წ. II ათასწლეულიდანვე იცნობდნენ სოფლის მეურნეობის ისეთ ინტენსიურ დარგს, როგორცაა მევენახეობა. (ხახუტაიშვილი & ხახუტაიშვილი, 1990, გვ. 89-90).

ყათნალის ხევი – იხ. **ყათლანიხევი**.

ყარათალები – მინდორი.

ყვავის ეკლესია/ყვავების ეკლესია/ყვავების საყდარი – დარბაზული ეკლესიის ნანგრევები სოფლის აღმოსავლეთით, საპატარას მინდორზე, სოფლიდან 6 კმ-ის დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლაშეთხევის სათავესთან, მთაზე. დათარიღებულია განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესიის ზომებია 10,6+5,7 მ. მშენებლობაში გამოყენებულია მწვანე და მოყვითალო, დიდი თლილი ქვები. შემორჩენილი კედლების სიმაღლეა 1,5-5 მ. ეკლესიის ირგვლივ შეიმჩნევა მიწით დაფარული კედლების ნანგრევები. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა და ჩართულია ორი სარკმელი. გრძივ კედლებს წყვილი პილასტრი ანაწევრებს. ეკლესიის მახლობლად უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა XI-XIII სს-ის ნამოსახლარი (ქარუმიძე & ხახუტაიშვილი, 1990, გვ. 90). ხალხური გადმოცემები: ა). დიდი ხნის წინათ თურმე გლეხები მკიდნენ ყანას. ცეცხლზე დიდი ქვაბი შეედგათ და საჭმელს ხარშავდნენ.

ქვაბში ჩამძვრალა გველი, რომელიც დაუნახია ეკლესიის კედელზე მჯდარ ყვავს და დაუწყია საზარელი ხმით ჩხავილი, მაგრამ ხალხს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. შესვენების დროს, როცა სუფრა გაუშლიათ და ქვაბიდან საჭმელი უნდა გაენაწილებინათ, ყვავი გამოფრენილა და ქვაბში ჩავარდნილა. საჭმელი გადაუღვრიათ და ქვაბში ყვავთან ერთად გველიც უნახავთ. ყვავი დაუმარხიათ და ზედ საყდარი დაუდგამთ. ამ ამბის შემდეგ ხალხმა ეკლესიას „ყვავის ეკლესია“ შეარქვა (ოქროპირიძე, 2012, გვ. 206); 2). „წყლიან დოქში გველი ჩასულა. ყვავს მიწის ჩაყრა დაუწყია და ხალხს აღარ დაუღევია“. შდრ. **ყვავის საყდარი** – ნანგრევი ქვემო ახალსოფელში; 2. ნანგრევი ზედდულეთში; 3. ნასაყდრალი ხურვალეთში, მთაზე; 4. ბორცვი ყელქვეულში; 5. ადგ. შავშვებში; 6. ადგ. სოფ. ფცაში (ქარელის რ.); 7. ადგ. სოფ. დისევში (ცხინვალის რ.)¹.

ყვავების ეკლესია//ყვავების საყდარი – იხ. **ყვავის ეკლესია**.

ყვავების საყდარი – იხ. **ყვავის ეკლესია//ყვავების ეკლესია**.

შუფლიშანი – იხ. **ნიში**. ნ. ოქროპირიძის ვარაუდით, ტოპონიმის ამოსავალია **სურფ ნიშანი**, რაც წმინდა ჯვარს უნდა ნიშნავდეს. სომხების სალოცავია (ოქროპირიძე, 2012, გვ. 214).

ჩალიანები – მინდორი. შდრ. **ჩალიანები** – ტყე კირბალში; **ჩალიანი** – 1. სახნავ-სათესი მეჯვრისხევი; 2. მინდორი ვარიანში (ოქროპირიძე, 2012, გვ. 216).

ჩრდილები – ფერდობი, სახნავ-სათესი სოფლის ჩრდილოეთით. „ფერდა მიწაა. მინდორი დაქანებულია ჩრდილოეთით და სახელწოდებაც აქედან წარმოსდგება“. ნინო ოქროპირიძე ასახელებს სახნავ-სათესის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360). მკვლევრის მოსაზრებით, ზოგ შემთხვევაში ტოპონიმი ჩრდილი ტყის აღმნიშვნელადაც გვხვდება (ოქროპირიძე, 2012, გვ. 220). მ. გეგეშიძის თქმით, „კონკრეტულ გარემოში ხალხი განარჩევს და სამეურნეო მნიშვნელობით განასხვავებს ადგილმდებარეობას მზისა და ჩრდილის მხარეების მიხედვით. ქართლში ამ ცნების შესატყვისად გვაქვს მზვარე და ჩრდილი“ (გეგეშიძე, 1961, გვ. 177). შდრ.: **ჩრდილები** – ტყე ბნავისში; **ჩრდილი** – ტყიანი ქედი ატენში – პავლიაანთ უბანში; 2. საძოვარო ორმოცში; **ჩრდილის მიწები** – მინდორი ქვახვრელში... (ოქროპირიძე, 2012, გვ. 220).

ძემძვბაგები – მინდორი. „მიდგმაა მინდვრისა“. ნ. ოქროპირიძე ასახელებს ვარიანტს – **ძემძვის ბაგები**, და შენიშნავს, რომ ადგილი ამ სახელწოდებით ქვახვრელშიცაა (ოქროპირიძე, 2012, გვ. 227, 360).

ძემძვის ბაგები – იხ. **ძემძვბაგები**.

წითელკლდეები – კლდეები. წითელი ფერი აქვს.

წინწკალოები – მინდორი, სახნავები.

წინწკალოებისწყარო – წყარო. შესაძლებელია ჰიდრონიმის ამოსავალი იყოს **წინწკილა**. შდრ. **წინწკარა წყარო** – წყაროები ალსა და თელათგორში; **წინწკილა** – წყაროები ჩორჩანასა და კაკალათხევში; **წინწკილას დელე** – დელეები მონასტერში, ბულბულციხეში, ბელღეთში, ჩორჩანაში, ქაშვეთსა და ნემში; **წინწკილა წყარო** – წყაროები ბულბულციხეში, ზანავში, ბელღეთსა და წაბლოვანაში (მელიქიძე, 1999, გვ. 94).

წიწიკანი – უბანი. წიწიკაშვილები ცხოვრობენ.

ხიდისგვერდა – ადგილი მტკვრის მარცხენა მხარეს. აქ ყოფილა ქვითკირის ძველი ხიდი, ამენებული რამდენიმე საუკუნის წინ. შემორჩენილია ბურჯები. ტოპონიმი ნ. ოქროპირიძის წიგნში დამოწმებულია მიწის ნაკვეთის სახელწოდებად, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (ოქროპირიძე, 2012, გვ. 360).

ხოდაბუნები – მინდორი. ხოდაბუნები ეწოდება ადგილებს გორის რაიონის სოფლებში – არბოში, ახალდაბაში, ახალხიზაში, ახრისში, ბროწლეთში, დ. გარეჯვარში, ზ. ნიქოზში, ზ. ქსოვრისში, კარბში, მერეთში, კირბალში, რეხაში, სათემოში, ფლავისმანში, ქვ. ქერეში, ქვ. ხვითში, ძევერაში... სულხან-საბას განმარტებით, **ხოდაბუნი** საბატონო დიდი ყანაა (ორბელიანი, 1928, გვ. 457).

ბიბლიოგრაფია:

ბაგრატიონი, ვ. (1997). *საქართველოს გეოგრაფია*. თბილისი: მეცნიერება.

ბერძენიშვილი, ნ. (1990). *საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის*. თბილისი.

გეგეშიძე, მ. (1961). *სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში*. თბილისი.

¹ ყვავის საყდრის შესახებ ვრცლად იხ. (ოქროპირიძე, 2012, გვ. 207; ხახანაშვილი, 1904, გვ. 126-127; ქართული ხალხური ნოველები, 1956, გვ. 304-305, 317; ჯანაშვილი, 1884, გვ. 452-453).

- გვასალია, ჯ. (1990). კიკილაანთ ეკლესია. წიგნში: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* (ტ. 5). თბილისი.
- მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის. (1964). გამოსაც. მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ (წ. 1). თბილისი: მეცნიერება.
- მელიქიძე, ს. (1999). ქართლის ჰიდრონიმია. წიგნში: *საქართველოს ტოპონიმია (მასალები)*. ა. ქართლის ჰიდრონიმია; ბ. ქვემო იმერეთის ჰიდრონიმია; გ. ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია (ტ. II). თბილისი.
- მელიქიძე, ს. (2007). *მცხეთის რაიონის ტოპონიმია*. თბილისი: უნივერსალი.
- ორბელიანი, ს. ს. (1928). *ქართული ლექსიკონი*. (ი. ყიფშიძე, & ა. შანიძე, რედ.) ტფილისი.
- ოქროპირიძე, ნ. (2012). *გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი*. გორი: ფარნავაზი.
- რაინეგსი, ი. (2002). მოგზაურობა საქართველოში. (გ. გელაშვილი, მთარგმნ.) თბილისი: არტანუჯი.
- სანიკიძე, თ. (1982). *უფლისციხე*. თბილისი.
- სანიკიძე, თ. (2008). *კლდეში ნაკვეთი ქალაქი*. თბილისი.
- სიკმა. (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- უფლისციხე. (1986). წიგნში: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. (ტ. X). თბილისი.
- ქართლის ცხოვრება*. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. (ტ. 1). თბილისი.
- ქართული ხალხური ნოველები*. (1956). (ა. ლლონტი, შემდგენელი) თბილისი.
- ქარუმიძე, თ. (1990). უფლისწულის ეკლესია. წიგნში: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* (ტ. 5). თბილისი.
- ქარუმიძე, თ., & ხახუტაიშვილი, ნ. (1990). ყვავის საყდარი და ნამოსახლარი. წიგნში: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- ცხადაია, თ. (2015). *კავთისხევის ონომასტიკური მასალა*. თბილისი: კლიო.
- ხახანაშვილი, ა. (1904). *ქართული სიტყვიერების ისტორია*. თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ. (1964). *უფლისციხე: 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები* (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.
- ხახუტაიშვილი, დ. (1965). *კლდეში ნაკვეთი ქალაქი*. თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ. (1966). *იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები*. თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ. (1970). *უფლისციხე: 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები* (ტ. 2). თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ. (1989). *უფლისციხე - ქალაქი კლდეში*. თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ. (1990). ბამბუბის ნამოსახლარი. წიგნში: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (ტ. 5). თბილისი.
- ხახუტაიშვილი, დ., & ხახუტაიშვილი, ნ. (1990). ყათლანისხევის ნამოსახლარი. წიგნში: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* (ტ. 5). თბილისი.
- ჯანაშვილი, მ. (1884). ყვავის საყდარი. *ნობათი* (№10-11).

Igor Kekelia
Akaki Tsereteli State University
FROM THE HISTORICAL AND MODERN TOPONYMY OF VILLAGE UPLISTSIKHE
RESUME

Uplistsikhe is a villageonshidaQartli plain of Gori municipality. It is village in the right bank of the Mtkvari on 560 m height, at 8klm, from Gori. It is mentioned in many historical documents. In the article there is given the list of Uplistsikhe historical and modern toponyms according to the alphabetical order.

Keywords: Toponym, Localization, Village, History, Etymology.

ვითარების აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში

საკვანძო სიტყვები: ქართული სალიტერატურო ენა, დიალექტი, შიდაქართლური, ვითარების ზმნისართი, წარმოება, სტრუქტურა, მავრცობი ხმოვნები, პარალელური ფორმები.

ქართული გრამატიკის თითქმის ყველა ავტორს შეუნიშნავი არ დარჩენია ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელების სიმრავლე და ზმნისართად მათი გამოყენების შემთხვევები. ამის გამო ზოგმა ქართველმა გრამატიკოსმა ამ ბრუნვას „ზმნის-ზედითი“ ბრუნვა უწოდა. პლატონ იოსელიანს შეუნიშნავს, რომ „ზმნის-ზედად შეიქმნებიან სახელნიც არსებითნი და ნაცუალ-სახელნი, ოდესცა დაბოლოებათა მათა მიემატებიან მარცხალნი დად (იოსელიანი, 1840, გვ. 76). პავლე კვიციანიძემ „ცვალებითს ბრუნვაში“ დასმულ სახელსა და ზმნისართს შორის განსხვავება შენიშნა: „ზოგნი ადგილობითი, ვითარებითი და განზრახვითნი ზმნიზედანი თითქო გვანანო სახელების ცვალებითს ბრუნვასა. მარა ცოტაოდენი დაკვირვება უნდა, რა მათ შორის შენიშნო შემდეგი სხვაობა: ა) ცვალებითნი ბრუნვა ყოველთვის მოგვიგებს კითხვაზე „რად?“... ხოლო ზმნიზედანი მოგვიგებენ კითხვებზე: სად? როგორ? რისთვის? გარეგნობითაც განირჩევიან: ცვალებითი ბრუნვა დონით ბოლოვდება, ზმნიზედანი კი თანით“ (კვიციანიძე, 1888, გვ. 153).

თედო ჟორდანიას შეეცადა დაესაბუთებინა ვითარებითი ბრუნვისათვის „ზმნიზედითი“ ბრუნვის დარქმევის საჭიროება: „ბრუნვა ზმნის-ზედითი, წოდებული აგრეთვე განმავითარებითად, გინა ცვალებითად, მუდამ მისდევს შემასმენელსა, სახელ-ზმნათა ანუ მიმღეობასა და მათგან გამოხატულს ჰაზრს შეავსებს, ე. ი. ამ ბრუნვას სწორედ იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვ ენებში ესრედ წოდებულთ „ზმნის-ზედათა“, რის გამო ჩვენცა „ზმნის-ზედითი-ბრუნვად“ ვუწოდებთ“ (ჟორდანიას, 1889, გვ. 125).

ზმნიზედითი ბრუნვა გამოყო და ბრუნვათა რიგში მეექვსე ადგილი მიუჩინა ა. ბენაშვილმა (ბენაშვილი, 1894, გვ. 22).

მიუხედავად ამ სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციისა, ერთი რამ მაინც უდავოა: ქართველ გრამატიკოსებს სწორად შეუნიშნავთ, რომ ზმნისართად გამოყენებული სახელი ხშირად გვხვდება ვითარებით ბრუნვაში (შალამბერიძე, 1959, გვ. 56).

ქართველ გრამატიკოსთა ნაწილს ერთმანეთში აქვს არეული ზმნისართი და თანდებული იმ გარეგნული მსგავსების გამო, რაც მათ შორის არსებობს. არ არის გათვალისწინებული ის ნიშნები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. თანდებულისაგან ზმნისართის განმასხვავებელ ნიშნად ჰ. ფოტმა ის მიიჩნია, რომ ზმნისართი თავის მახვილსა და აქცენტს ინარჩუნებს (Vogt, 1936, p. 60). მაგრამ ეს არ არის არსებითი ნიშანი. მთავარი, რაც თანდებულს ზმნისართისგან განასხვავებს, ესაა მართვა ბრუნვაში (მარტიროსოვი, 1946, გვ. 243). თანდებული ყოველთვის მართავს სახელს ბრუნვაში. სახელს ზმნისართიც დაერთვის, მაგრამ იგი სახელს არ მართავს, ზმნისართადვე რჩება, ხოლო თუ მან სახელი ბრუნვაში მართა, მაშინ ზმნისართი ვერ იქნება, როგორცა უნდა განვიხილოთ ასეთი სიტყვა? თუ მას ზმნისართად მივიჩნევთ, მაშინ ზმნისართისა და თანდებულის განმასხვავებელ ნიშნად მართვა აღარ გამოგვადგება, ხოლო თუ თანდებულს ვუწოდებთ, კვლავ გაურკვეველი დარჩება ამ ორი მეტყველების ნაწილის გამიჯვნის საკითხი. და მაინც ასეთი სიტყვების მიჩნევა თანდებულებად უმართებულო იქნება, რადგან სახელის მართვა, რაც თანდებულისთვისაა ნიშანდობლივი, ამ ზმნისართების ახალი სინტაქსური ფუნქციაა, შემდგომ შემენილი (შალამბერიძე, 1959, გვ. 57).

ა. შანიძის განმარტებით: „ვითარების ზმნიზედა გამოხატავს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება. მისი კითხვაა: როგორ?-პირველ ყოვლისა აქ შემოდის ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავები და მიმღეობანი: კარგად, მშვიდად, ცხადად, უქველად, უმეტესად, შეუწყვეტლად და მისთ“ (შანიძე, 1980, გვ. 595).

შიდაქართლურ მეტყველებაში ზმნისართებად გვხვდება: 1. ძირეული ზმნისართები; 2. ზედსართავი სახელები, მიმღეობა, საწყისი და სხვა მეტყველების ნაწილი ვითარებითი ან მოქმედებითი ბრუნვის ფორმით; 3. -ზე// ზედა და -ვით თანდებულთ ნაწარმოები ზმნისართები.

შიდაქართლურ მეტყველებაში ვითარებითი ბრუნვის ფორმით ზმნისართად არის გამოყენებული: არსებითი სახელი (აგრეთვე მასდარი), ზედსართავი სახელი (აგრეთვე მიმღეობა), რიცხვითი სახელი,

ნაცვალსახელი. ზოგჯერ ზმნისართად თანდებულიც გვევლინება. გავანალიზოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ზედსართავი სახელები ვითარების ზმნისართად:

„**კარგად**“ ვითარებითი ზმნისართის რამდენიმე ვარიანტი შეიძლება შეგვხვდეს:

ა) სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ფორმა (მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე): ღორის მწვადი რო დაიბრაწება **კარგად**, რა სჯობია მის ჭამასა (სალოლაშენი); **კარგად** მოდის ნიორი აქაურ მიწებზე (გარეჯვარი); გავრეცხოთ მწიფე ტყემალი **კარგადა** (ზერტი).

ბ) ბრუნვისნიშნისეული „დ“ კარგავს ჟღერადობას და ყრუ „თ“-დ იქცევა. ასეთი ზმნისართები გვხვდება მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: მწიფე ხილსა გავხეხავთ **კარგათა** თუშვალანგშია, დავასხავთ თხლათა ორომზე (გარეჯვარი); მაწონი შევაყენე და **კარგათ** რო არ შედგა, ათონთლოვდა, ეტყობ დააკლდა რამე (ხიდისთავი); მერე კრანს მივუშვერ ხოლმე და **კარგათა** ვრეცხავ (კარალეთი); ამალამ გამოვიჯეყვები **კარგათა** (ზერტი); ღორიც **კარგათა** ჭამს (იგოეთი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 178); აი, ავდარი რო მოუხდეს **კარგათა** (იგოეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 338). სუყველაფერ **კარგათ** მოდიოდა, თუ მოუვლიდით **კარქათა** (ძლევიჯვარი) (იმნაიშვილი, 1974 ბ, გვ. 74); მამაჩემთან **კარქათ** იყო (არბო).

დ) უკანაენისმიერ ბგერების (გ→ქ) ურთიერთმონაცვლეობით: „სუყველაფერ კარგათ მოდიოდა, თუ მოუვლიდით **კარქათა**“ (ძლევიჯვარი) (იმნაიშვილი, 1974 ბ, გვ. 74); ხედვითა **კარქათა** ვხედან, მაგრამა მერე თვალეზი მტკივა (გარეჯვარი); სალოლ შენა. . . რა **კარქათა** ხატან (დირბი); **კარქათაც** გამოცხვება (მეჯვრისხევი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 323); მშობლებს დავლოცავ, **კარგათა** იყვნენ და მაგრათ იყვნენ (ზერტი).

ე) ბრუნვისნიშნისეული -დ-ს დაკარგვით: მამ **კარქა** ყოფილა ჩვენი საქმე (გარეჯვარი); **კარგა** ვაპურმალილე და გაუშვი (ხვედურეთი); ახლა როცა მოკვდა, მოვიდნენ და **კარქა** გააპატოსნეს (ხიდისთავი); მოთიკნენ **კარქა** (ქვემო ჭალა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 301).

ვ) ფუძისეული -რგ კომპლექსის დაკარგვით: ეგ ფული **კაათ** დათვალეთ (არადეთი); მერე მოკეთდა, **კაათ** იყო (არადეთი); ეგენი რო **კაათ** იქნებიან, მეც მოსვენებულად ვიქნები (არადეთი); **კაათ** იყავი, **კაათა!** (ტახტისძირი); -რას შვებით, როგორა ხართ?- **კაათა** (სალოლაშენი);

ზ) ზოგჯერ მთქმელის მეტყველებაში ერთდროულად გამოიყენება ვითარების ზმნისართის სალიტერატურო და დიალექტური ფორმა. მაგ., შენ რახანც **კარგად** დაგყავს მანქანა, ჩვენ შეგარიგებთ **კაათა** ბიჭსა, აპა (კარალეთი).

შიდაქართლური მეტყველებაში თითქმის ყველა ზმნისართი წარმოდგენილია ბრუნვისნიშნისეული -დ-ს დაყრუებით და მავრცობი ხმოვნით. რაც ხელს უწყობს პარალელური ფორმების არსებობას. ამის შესახებ ჯერ კიდევ არ. მარტიროსოვი წერდა: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვითარებით ბრუნვაში დონის მაგიერ ყოველთვის თანი გვევლინება. ეს იმდენად დაკანონებულია, რომ კაცს გაუჭირდება მონახოს დონით ხმარებულ თითო-ოროლა მაგალითიც კი (მარტიროსოვი, 1939, გვ. 217). მაგალითები:

სხვანაირად// სხვანაირადა// სხვანაირათ// სხვანაირათა: ჩვენი წინაპრები ჭადს **სხვანაირად** აცხობდნენ ხოლმე (კარალეთი); კუთხე-კუნჭულსა მიდგომა უნდა **სხვანაირადა** (იგოეთი); ეს საქმე **სხვანაირათ** დამთავრდება (ფცა); უნდოდა **სხვანაირათ**, მაგრამ გამოუვიდა **სხვანაირათა** (დირბი).

მოკლედ// მოკლედა// მოკლეთ// მოკლეთა. 1. არა ვრცლად: **მოკლედ** ასე გავაკეთოთ და დავამთავროთ (ტახტისძირი); წავიდა **მოკლედა** ეს ჩვენი ბატონი სოფლიდანა (დირბი); **მოკლეთა** ამ ტელევიზორის ცქერაი აღარ მინდა რაა, უყურებ და ნევრები მეშლება უკვე (ხელთუბანი); **მოკლეთ** კაცი გახდა ჩვენი ზურაი (სალოლაშენი); ყოჩახ შენა, **მოკლეთა** კაციანებსა გვჯობნინ რა (დირბი); 2. არა გრძლად: **მოკლეთ** დააბი (თოკი შეამოკლე) (ტახტისძირი); მანქანასა გაუბა საბელი **მოკლეთა** და დააგორა (დირბი).

კობტად// კობტადა// კობტათ// კობტათა: ისეთი **კობტად** ჩაცმა უყვარდა (მეჯვრისხევი); მურაბებს მოვადულებთ **კობტადა** (არბო); მერე გავრეცხავთ **კობტათა** გამდინარე წყალშია (გარეჯვარი); გოგო **კობტათ** მიდიოდა, ტუსტუსითა, ბიჭი მიყუნცულაობდა (რუსი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 288); ეს როგორი გალოლუებულია, **კობტათ** ვერ გამოუყვანია ყუები? (ტყვიავი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 73); ის რო ნაზუქებს აცხობდა, **კობტათა** (რუსი).

ლამაზად // ლამაზადა// ლამაზათ// ლამაზათა// ლამაათა (ზ-ს დაკარგვით): **ლამაზად** ჩაცმა უყვარდა (დირბი); როცა გამოვიყურებთ **ლამაზადა**, ვტრიალებ სარკეთანა (ფცა); მოვსაბლე **ლამაათა** (ლამისყანა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 310); **ლამაზათ** ჩავუსხედით წუხელა (ფცა); თმებ რო დავიწნავდი **ლამაზათა**, ერთ რამეთა ღირდა (ქარელი).

უბედურად//უბედურადა// უბედურათ//უბედურათა: უბედურად იცის გამოთრობა (დირბი); წაუვიდა საქმე უბედურადა (ფცა); რა არი, რასა გავხარ, მოთხვრილ ხარ უბედურათა (ხიდისთავი); დათვრება და მერე უბედურათ გორაობს ტალახშია (ოკამი).

ზუსტად//ზუსტადა//ზუსტათ// ზუსტათა: ზუსტად მისი ასლია (მეჯვრისხევი); არ იცოდნენ ზუსტადა საიდან მოვიდა (რუისი); ზუსტათ ვიცოდი მათი ამბავი და გადამქართულდა (კეხიჯვარი); ოლიკოს ხელაა ზუსტათა (ატენი).

სქლად// სქლადა// სქლათ// სქლათა: სქლად დაასხა ტყემალი და არ გახმა იმიტომა (ტახტისძირი); მოწვი ეგ კვერცხი სქლადა (ფცა) ; რო წაისვამს სქლათა, იტყვიან, როგორ აქვს სახე გაპოსკილიო (არადეთი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 97); მაგ კრემს ნუ დააკონტლებ სქლათა (ტახტისძირი); თუ არ გათხელდა ხახვი, საცა სქლათა დგა, ისე დარჩება აბუწებული (კავთისხევი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 15).

გრილად//გრილადა// გრილათ//გრილათა: თუ გრილად შეინახამ საქმელსა, არ გაფუჭდება (ოკამი); დავჯდები კაკლი ჩრილში გრილადა (ვარიანი); გაიშიმება კაკალი ქვეშა გრილათა (მეჯვრისხევი); რძის ნაწარმსა გრილათ შენახვა უნდა (ტახტისძირი).

მწარედ// მწარედა//მწარეთ//მწარეთა: მწარედ აქვს გატარებული ობლობა (ქვემო ხვითი); ზის და ტირის მწარედა (კეხვი); მწარეთ გამიხსენებ და იქნება გვიანა (დოესი); მახსოვს ომის ამბები მწარეთა (დვანი).

სწორედ// სწორედა// სწორეთ// სწორეთა: სწორედ იფიქრე! (ხელთუბანი); მეც ეს გავაკეთე სწორედა (მეჯვრისხევი); სწორეთ ამა ვფიქრობდი, ეხლა (დირბი); ნაკოლოპურტალ ტანსაცმელს მივაკარებ სწორეთა, აი! (კარალეთი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 331); ნათავთის ნაზუქს არაფერი სჯობია სწორეთა (იგოეთი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 330); ბოლომდინ რო არ ჩასდევს სწორეთა (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 340).

მწყობრისად//მწყობრისადა//მწყობრისათ//მწყობრისათა (სალიტერატურო ენა-მწყობრად): მერე ფანერკაზე ვფენ მწყობრისად (გარეჯვარი); დააწყე მწყობრისად (დვანი); გაამწკრივე მწყობრისათა (ტახტისძირი); ფიჩხის კონების ისეთი მწყობრისათ მილაგება იცოდა, რო გესიამოვნებოდა (წვერი).

„თლადა“ ვითარების ზმნისართი გვხვდება მ ბერის დაკარგვით, დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **თლათ//თლათა.** მაგ.: ვისაც სუ თლათ დაკარგული აქ პირი წყალი (ქვახვრელი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 123); უსაქმურობით, დაუძღურდა თლათა (ტახტისძირი).

„თბილადა“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **თბილათ//თბილათა.** მაგ.: ზამთარში კი, ვართ თბილათ ცეცხლთანა (ჩაიცი თბილათა (ერედვი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 92); ჩაიცივით თბილათა, ზამთარ ეკონკე, ზაფხულ ეპრანჭკო (სალოლაშენი); ჩაიცივით თბილათა, გაიცივებთ თავსა (არადეთი).

„ცუდადა“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **ცუდათ// ცუდათა.** მაგ.: ეგრე რო დაყურყუტებ ცუდათა (გრაკალი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 72); ცუდათ აქ დაცდილიო- ვიტყვით (დირბი); კარგათა ვარ, ცუდათა ვარ, არავინ ჩემი მამკითხავი არ არი (არადეთი).

რალაცნაირად//რალაცნაირათ//რარაცნაირათა: გოგო იმ დღესა რალაცნაირად მინდოდა ფენოვანი ცომებისაგან რო კეთდება ნამცხვარი, ტრუბუჩები (ხელთუბანი); ცოცხალი ადამიანია და ტკბილი მოუნდება რალაცნაირადა (იგოეთი); დაპატარავდა რალაცნაირათა (ერედვი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 137); გული მეთანაღრება რალაცნაირათა (ტახტისძირი); რალაცნაირათ მეხათრება ამ ქალისა (დირბი).

„შავად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **შავათ// შავათა.** მაგ.: შავათ აქვს სახე ჩამოჟამებული (დირბი); ჩაილიბრება, გაისრექნება შავათა (ზემო ხანდაკი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 98).

„წითლადა“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **წითლათ//წითლათა.** მაგ.: წითლათა ღებამდა, ალიფრათა (ბროწლეი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 50); წითლათ გქონდა წათხიპნილი (კეხიჯვარი); შეფერადებული იყო წითლათა (ქორდი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 326).

„სუფთად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **სუფთათ//სუფთათა.** მაგ.: არაფრი ხმარება არ იცის სუფთათა (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 73); სუფთათ დააწკრიალებდა ხოლმე ეზოსა (დვანი).

„რბილადა“ ვითარების ზმნისართი გვხვდება რ-ს დაკარგვით, დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **ბილათ//ბილათა.** მაგ.: მერე ახლა ზედ ფარდაგ გადააფარებდნენ და დაჯდებოდნენ ბილათა (იგოეთი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 226); ბილათ ნდა წოლა ავანტყოფსა (დირბი); ჩაუფინე ბუნბული ბილათა (ტახტისძირი).

„ხარბად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი

ხმოვნის გარეშე: **ხარბათ// ხარბათა**. მაგ.: კაცი რო მადიანათ ჭამს, ხარბათა, იმაზე იტყვიან იბეყვებო (ოდისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 227).

„ავად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **ავათ// ავათა**. მაგ.: ისივისებს და მოვა ისევა, **ავათა** ვარო (ტყვიავი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 223); **ავათ** თუ კარგათ აქაც ავიწყეთ რაღაცა (დისევი). აღნიშნული ზმნისართის მნიშვნელობით სოფელ წითელუბანში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში გვხვდება „უქეიფურად“. მაგ.: შენი კაცი **უქეიფურად** ყოფილა. მორჩა? (წითელუბანი).

„დიდად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **დიდათ//დიდათა**. მაგ.: რა თავი მოგაქ **დიდათა!** (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 236); დაფორტნის ხოლმე ყველსა **დიდათა** (ტახტისძირი); **დიდათ** მოთხრამა უყო, ჩაანგრია ბჰის პირი და ვართ უწყლოთა (დირბი); **დიდათ** არ ეპიტნავება (ტახტისძირი); რო გამოვიდოთ თავი **დიდათა**, არ გამოვა (დისევი).

„გემრიელად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **გემრიელათ//გემრიელათა**. მაგ.: შენ რო აქ იყეყები **გემრიელათა**, მამამენსა ჩაუტანე სამჭედლოში? (ქვეში)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 236); ცარიელა პურს **გემრიელათ** ილუკმებოდა (ატენი).

„კანთიელად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **კანთიელათ//კანთიელათა** (გარკვევით, აშკარათ). მაგ.: **კანთიელათ** გეტყობა, სახეზე გისვია (ვარიანი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 1241); **კანთიელათ** დავინახე, შენ იყავი (ქემფერი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 241). იგივე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურში (ქეგლ).

„მარქაფად“ (სათადარიგოდ) ვითარების ზმნისართი გვხვდება დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **მარქაფათ//მარქაფათა**. მაგ.: უფრო სხვილ ხეს მოვჭირდით **მარქაფათა** (ზემო ხანდაკი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 275); **მარქაფათ** გავიყოლებდით სხვადასხვა საგზალსა (ფცა).

ხუმტათ/ხუმტათა (მთლიანად, უკლებლივ): ფული **ხუმტათა** მაქ, ვიტყვით ერთიანი ფული რო აქ ადამიანსა და არ უნდა, რო დახარჯოს (ბროწლეთი) (მესხიშვილი, 1970, გვ. 297); ფული **ხუმტათ** მქონდა, მარა ... (ბროწლეთი).

„მვირად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება **მვირათ//მვირათა// მმვირათ//მმვირათა//** ფორმით: რა **მმვირათა** ყიდიან სუყველაფერსა (ატენი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 302); **მვირათ** სანახავი გახდი (კეხვი); ცეცხლი ფასი უკიდა, ყველაფერს ყიდიან **მვირათა** (ქარელი); **მმვირათ** იყიდა და იაფათ გაყიდა (დირბი).

„მაგრად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება -დ-ს დაყრუებით ან დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **მაგრა//მაგრათ//მაგრათა**. მაგ.: **მაგრა** უნდა გაირეცხოს (არბო); დაბეჟა **მაგრათა** (წვერი); ძროხის ხორცი რო **მაგრათ** მოიხარშება, იმას ვეძახით ხაშლამასა (ავნევი).

„მსხვილად“ ვითარების ზმნისართი გვხვდება **სხვილათ//სხვილათა** ფორმით: დახე, როგორ ჩამათურთურა მაფი **სხვილათა!** (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 226); მაგის წისქვილი სხვილათ ღერღავს (კეხიჯვარი).

ფინთათ//ფინთათა (ცუდად): **ფინთათ** დახიჩავდა სანდრაი (მეჯვრისხევი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 74); შეაჩვია ენა **ფინთათა** (სალოლაშენი); **ფინთათ** იტყვიან, როცა კაცი ცუდად არის (დევანი).

ბლომად// ბლომადა// ბლომათ// ბლომათა (უხვად): ყურმენი გვაქ **ბლომად** (აღიანი); ობლებისთვის ლუკმა არ ენანებოდა, აჭმევდა **ბლომადა** (ქვემო ხვითი); ბევრი თუ გაქ, **ბლომათ** უნდა გასცე (ტახტისძირი); დღეობისთვის პროდუქტსა ვყიდულობდით **ბლომათა** (დირბი).

ვითარების ზმნისართად ხშირად გვხვდება სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელები. გავანალიზოთ შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითები:

უ-ო პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავები ზმნისართებად: გაიფხოკება ხოლმე **უშნოთა** (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 99); ხელებს ვიჭამდი **უწალდოთა** (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 385); ეგრე ჩამიარა **უამოთა** (ქორდი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 393); რო ათი ჭიაც არ გაფუჭებულა, ეგრე **უშანკოთა!** (ზერტი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 396); თავზე რო მოხვეული აქ **უშნოთა**, მოკოსიალებული აქ (ატენი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 301); უბედურათ რო მოიხვევ თავსა, **ულამაზოთა** (ატენი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 300); ბატივით რო დაყერყეტებს **უაზროთა**, ეგ არის ყერყეტი (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 187); რასაც აკეთებს, იმასაც **უხეიროთა** (მეჯვრისხევი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 196); გაიფხოკება ხოლმე **უშნოთა** (ტყვიავი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 99); მოხინცა ემდენი ხილი და დაიყარა ისე, ლპება **უპატრონოთა** (იგოეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981,

გვ. 320); **უპიროთა**: ლობიოსა, რო მოვგლეჯთ **უპიროთა**, მარტო პარკსა, მოპარკვა იმას ჰქვია (ლამისყანა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 307); ხელებს ვიჭამდი **უწაღოთა** (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 385); ეგრე ჩამიარა **უამოთა** (ქორდი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 393); რო ათი ჭიაც არ გაფუჭებულა, ეგრე **უმანკოთა!** (ზერტი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 396); უნდა იყოს ეგრე **უცოლოთა** (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 277); რას აირეფ თავსა და დადიხარ **უპრაგუნოთა**, **უსაქმოთა** (ზერტი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 214); მაგათი ამდენი ჩხუბი და შეჯავახება, **უერთოთ** (←უმედეგოდ) არ იქნება მოსული (გრაკალი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 139);

უ-ურ პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: მოთხაზულხარ **უბედურათა** (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 301); **უგემურათა** არ მიყვარს გაკეთებაი საქმისა (წვერი).

მარტოკა// მარტოკინა: კაცი კი მან ცოდოა მარტოკინაი (გრაკალი); დედაჩემს ქალაქ წავიყვან ამა ზამთარა, რათ უნა იყოს აქა **მარტოკინაი** (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 103); **მარტოკა** უწევდა მუშაობა, რა ქნას (იგოეთი).

შიდაქართლურში დასტურდება ძველი ქართულის ფორმა: **უნძრახათ//უნძრახათა** (←უმძრახად მ-ნ-ს მონაცვლეობით). მაგ.: **უნძრახათ** არიან, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან (დვანი); შერიგდნენ, აღარ არიან **უნძრახათა** (ტახტისძირი). ეს ფორმები (უმძრახი, უმზრახი, ზრახვა, საზრახისი) დღესაც იხმარება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც: ჯავახურში (ბერიძე, 1988, გვ. 93), კახურში (მენტეშაშვილი, 1943, გვ. 179); ხევსურულში (ჭინჭარაული, 2005, გვ. 860).

უქონლობის აღმნიშვნელი უ პრეფიქსითა და ვითარებითი ბრუნვის -ად სუფიქსით ნაწარმოებია სიტყვა **უჩუმათ** (უჩუმათ წავიდა, უჩუმათ წაუყვანიათ) (იმნაიშვილი, 1974 ა, გვ. 225). ამ ფორმით იხმარება ჯავახურში (ბერიძე, 1988, გვ. 92), ხოლო სახეცვლილი ფორმით ინგილოურში (უჩუმარი) (იმნაიშვილი, 1966, გვ. 128), აჭარულში (უჩუმარი) (ნიჭარაძე, 1971, გვ. 338), იმერხეულში (უჩუმრად) (Mapp, 1911, სტრ. 69), თუშურში (უჩუმარაც) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 93), კახურში (უჩუმრად) (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, გვ. 82). ჯავახურსა და ქართლურში ამ სიტყვას დაკარგული აქვს რ თანხმოვანი: ჩუმი → უ-ჩუმი-არ-ი, შემდეგ დასმულია ვითარებით ბრუნვაში: უ-ჩუმი-არ-ად. აზრობრივად ერთი შეხედვით, საწინააღმდეგო შინაარსს გადმოგვცემს თითქოს, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, მართებულია ხმარებაც და შინაარსიც. „უჩუმრად//უჩუმად იყავი“ ნიშნავს: ჩამი-ჩუმის გარეშე, უჩამიჩუმოდ იყავი (ბერიძე, 1988, გვ. 93).

სა-ო პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: ჩვენ სოფელში ნიორი **საკმაოდ** გავრცელებულია (გარეჯვარი); შეძლებულია **საკმაოთა** (რუსი); **სამოწყალოთა** ცხოვრობს (ატენი); ღმერთმა ქნას რო ეს ამბავი **საავკარგოდ** დაცხრეს (ატენი); აგრა უკვე წელიწად ნახევარი **უპატრონოთა** ვყრივართ (ერედვი); სანამ ვხალისობდი, **სათითაოთ** ვკრეფდი თავთავეფს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 296); ნამცეცა დავარქვით, პურის ნამცეცებს **სათითაოდ** ცენცავდა (ტახტისძირი).

უ-ელ პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: შილაფლავი უნდა გვექონოდა **უეჭველათა** (იგოეთი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 95); **უეჭველათ** გამოუვა ეს საქმე (გარეჯვარი).

-**იერ**-სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: რას ელოლიავები მაგასა, უთხარი **წესიერათა** (ხიდისთავი); ჩამაწერინე, გოგო, **წესიერათა** ნომერი (გარეჯვარი); ვერც პასუხს გაგცემს **წესიერათა** (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 33); **ძიენ** (←ძლიერ. ლ-ს დაკარვა და ნ-რ-ს მონაცვლეობა) უკან წავიდა ე ჩვენი ცხოვრებაი რა (არადეთი); ჰა, **ძიენ** მეჩქარება და ე მარშუტკაც ჩემ ჯიბრზე არ მიდის (ქარელი); **ძიენ** ვინერვიულეთ (არადეთი).

-**იან** სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: ჭამა უნდა **მადიანათა** (ოკამი); კაცი რო **მადიანათ** ჭამს, ხარბათა, იმაზე იტყვიან იბეყვებო (ოდისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 227); მაშინ გლახა წესი იყო **ძალიან** (არბო); რო გინდა **ძალიანა**, მაშინ გამოგივა (ბრეთი); კაცი რო დაბერდება **ძალიანა**, აღარც მუშაობა შეუძლია (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 347); ოღონდ წვიტი ჩიტია, **ძალიანა** (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 354); კარქი ძმობა აქვთ, **ძალიანა** (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 99); სუ ძირ დაუგიათ **ერთიანათა** (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 228); **გეგმიანათა** აშენებული (გალავანი) (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 25).

-**ურ** სუფიქსით წარმოქმნილი ზედსართავეები ზმნისართებად: ისე დაუწყებს ლაპარაკსა **მოლურათა**, **მოფერებითა** (გრაკალი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 306). **მოლა** -გაიძვერა პირფერი ადამიანი. მისგან არის ნაწარმოები მოლურად.

-**ურ** სუფიქსით არის წარმოქმნილი ზმნისართი **მანდიკურად**, რომელიც გვხვდება ბრუნვისნიშნისეული -დ-ს დაყრუებით, მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე: **მადიკურათ//**

მანდიკურათა. კალათსა და მეშოკსა გადაიკიდებდნენ **მანდიკურათა** და გასწევდნენ ქარელისაკენა (რუისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 273); მთელი ცხოვრება **მანდიკურათ** გადაკიდებული ჰქონდა ბარგი (დირბი). **მანდიკი** ძვ. ხურჯინი. მანდიკურად ძვ. ზმნს. ხურჯინის მსგავსად, ხურჯინივით. მშვენიერი სანახავი იყვნენ მხედრები, როცა ისინი შენატყორცი ჯირითის ასაცილებლად ხანმარჯვნივით და ხან მარცხნივით მანდიკურად გადაეკიდებოდნენ ცხენს (აკაკი). «ცხენს კაცი მანდიკურად გადაეკიდა» (რუსთაველი) (ქეგლ).

„ძალიან“ ზმნისართი დაპირისპირებლობის გამოსახატავად ახლავს ანტონიმურ ვითარების ზმნისართებს. მაგ.: შემდეგ ვაყრი მიწას არც **ძალიან სქლადა** და არც **ძალიან თხლადა** (გარეჯვარი); ამის მერე ვანაწილებ არც **სქლადა** და არც **თხლადა** ამ ფაფასავით წვენს (ზერტი); [ტყემლის წვენს] დავასხავთ **თხლათა** ორომზე, **ძალიან სქლად** არა (გარეჯვარი).

„ძალიან“ ზმნისართი ზოგჯერ გვხვდება ფუძისეული ლ-სა და აფიქსისეული ი-ს დაკარგვით: ინდე ი გოგო რო **ძაან** ცელქობს, აჯილდა არი, მაგითანას ვეტყვით აჯილდასა (იგოეთი) (გაჩეილაძე, 1970, გვ. 285); **ძაან** დიდ საქმესა არი შეჭიდებული (რუისი).

ვითარების ზმნისართად გამოყენებულია მიმღეობა: გუშინაცა ავუხსენი ყველაფერი **გასაგებადა** და ნორმალურათა (გარეჯვარი); ეს წალამი კი თონის **გასახურებლათ** გამოიყენება (წითელუბანი).

არსებითი სახელი ვითარების ზმნისართად:

ალაოდ//ალაოთ (ცოტას აფრენს, ჰკუა აკლია). ნაწარმოებია სიტყვისაგან „ალაო- ფქვილი დანოტიოებული“ (საბა). მაგ.: ეს მძლოლი ცოტა **ალაოდ** ხო არაა ხალხო, ბავშვებითვინაც მომთხოვა ბილეთი (ხიდისთავი); ეგ **ალაოთ** არი და იმიტომა (ვარიანი).

ხელათ// ხელათა ოქროს ბეჭედი აატმასნა **ხელათა** (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 12); **ხელათ** არ მოაგვარა სამეები (ფცა).

ვითარების ზმნისართად გამოყენებულია საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით. მაგ.: რო ვერ მიდის თანაბრივა, **ქანაობით** მიდის, მიყუნცულაოფს (რუისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 288); ბოლოსა მეათე კლასაც რომ გაივლიდნენ **წარმატებითა**, მერე იყო გამოცდაი (ზერტი); რომელიც ასე **წარმატებით** გაივლიდა კლასებს პოლტითა, ის იყო გამარჯვებული (ზერტი); წალამს ავკრეფამთ, **წყობისათ** დავაწყოფთ ერთათ (წითელუბანი).

რიცხვითი სახელებისაგან წარმოქმნილი ზმნისართები: ჭარხალს რომ ამოვიღებდით, **ერთად** დავაგროვებდით და მაგას ერქვა ხორგი (კვხვი); გადაიბარდლება **ერთიანათა** (გრაკალი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 38); წავალთ **ერთათა** (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 74); სუ ძირ დაუგიათ **ერთიანათა** (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, & ნოზაძე, 1981, გვ. 228); გაიყოფიან **ორათა** (რუისი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 177); სუ ძირ დაუგიათ **ერთიანათა** (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 228); და როცა მოვიღალე, **ერთბაშათ** მოვბუდნეი (თამარაშენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 296); საცა ბევრი ამოვა **ერთბაშათა** მწვანილი, იტყვიან ამოხუჩხუჩდაო (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 35); ერთბაშად... გამოიყვამს და აბიბინდებიან წიწილები (დისევი) (სალარიძე, 1970, გვ. 302);

ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა სიტყვის შეერთებით შედგენილი ზმნისართები:

ფათიფუთით// ფათიფუთით (= სწრაფად): **უგანრიგოთ** იტყვიან იმაზე, ფათიფუთით რო დარბის (ქვემო ჭალა); მოვარდა **ფათიფუთითა** (ბროწლეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 143); დილით **ფათიფუთითა** გაიქვა ჩემი ბაღლი, არ გამასწროს მატარებელმაო (ხიდისთავი).

ციმციმ// ციმციმა (= სათუთად): **ციმციმ** ამარბენინა წამალი (ხიდისთავი); პატარაა, მარა, დახე , წყალი როგორ ამარბენინა **ციმციმა** წყაროდანა (დვანი).

ნელ-ნელა// ნელა-ნელა //ნელი-ნელა: ვწვალობ **ნელ-ნელა** ისევ ჩემი შვილებითვინა (გორი); **ნელა-ნელა** გავდივარ გარეთა (არბო); **ნელი-ნელა** ვუწყობთ ცხოვრებას ფეხსა (ტახისძირი).

ქუფთა-ქუფთა // ქუფთა-ქუფთათ// ქუფთათა (= ნაგლეჯ-ნაგლეჯ; ნაკუწ-ნაკუწ, ნაფლეთ-ნაფლეთ): მე მაგ კაბას კიდე ჩავიცმევდი, შენ უკვე **ქუფთა-ქუფთათ** გიქცევია (კავთისხევი); სუ **ქუფთა-ქუფთა** ცვიოდა ტანსაცმლის ნაგლეჯები (არბო); ახალთ-ახალი ფეხსაცმელი გაუთრევია ძაღლსა და უქცევია **ქუფთა-ქუფთათა** (წვერი).

თანდათან // თანდათანა: **თანდათან** მოიჯოხება ეგრე ხომ არ იქნება? (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 306); რო მომჯობინდა **თანდათანა**, მერე მოხდა ეს ამბავი (ხიდისთავი). თანდათან ზმნისართი ზემოქსნურში წარმოდგენილია და კავშირის გარეშე: „**თანდათან** მაგონდება და გული მეწვის“; „თანთან ნუ მოუმატებ ლაპარაკს (ქსნ.ხ.) (სომხიშვილი, 1968, გვ. 75; სომხიშვილი, 2002, გვ. 36).

ლასლასით //ლასლასითა (უღონოდ: ეს ნაცემ-ნაბეგვი წამოდგა და წავიდა **ლასლასითა** (ხეითი); რამდენიმე დღე **ლასლასით** დავდიოდი (დისევი); **ლასლასითლა** მოდის ხოლმე (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 39).

პირწმინდათ//პირწმინდათა (← პირწმინდად): პატარა, წვრილი რამე რო აკრიფოს კაცმა **პირწმინდათა**, იმაზე იტყვიან, ისე ააკიწაწაო (ქვემო ჭალა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 11); **პირწმინდათ** მიჰყვა და სულ გაასუფთავა (ახალსოფელი).

თვალსხმიერათ// თვალსხმიერათა (←თვალსხმიერად. აშკარად, ხილულად): თუ კიდევ არ დაამწყვდევს, დავკლავ და შევჭამ **თვალსხმიერათა** (კავთისხევი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 223); ხო ქურდულათ არ კრევამთ, ხო **თვალსხმიერათ** კრევამთ, რა არი, რო ტოტები არ დაამტვრიოთ! (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 223); თუ კიდევ არ დაამწყვდევს, დავკლავ და შევჭამ **თვალსხმიერათა** (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 223).

ენამოჩლექით// ენამოჩლექითა: **ენამოჩლექით** რო მოეფერება ბავშვსა, გინა დიდსა, იტყვიან, მოულიკლიკაო (სალოლაშენი) (მესხიშვილი, 1970, გვ. 290); ლაპარაკობს **ენამოჩლექითა** (წვერი).

იგვენაირათ// იგვენაირათა (←იგვენაირად =მსგავსად): აჰა, **იგვენაირათა** ხარ ზუსტათა (ბობნევი); **იგვენაირათ** იქცეოდა (ახალშენი).

მასმასათ// მასმასათა (←მასმასად)// მუსმუსათ//მუსმუსათა (←მუსმუსად):

1. წრაფად, ადვილად. მაგ.: ერთი კოკა ღვინო მქონდა და სუ ჩარექობლივ გავეციდე, მასმასით იყიდებოდა (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 275).

2. საგანგებოდ. მაგ.: **მუსმუსად** დაემტეზენ კამეჩი კარაქსა (კარალეთი); სუ **მასმასათ** ვეძებეთ თევზი (ქვემო ჭალა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 275); ახლა სადღა ნახავ წყლის წისქვილსა, ადრე ვეძებე **მუსმასათა** (დირბი).

ვითარებითი ზმნიხედის მნიშვნელობით იხმარება **-ვით** თანდებულიანი სახელობითისა და მიცემითის ფორმები მავრცობი ხმოვნით ან მავრცობი ხმოვნის გარეშე. მაგ.: თეთრათ აქ **ლაქებივითა** (საგურამო) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 328); მამალი **ინდაურვით** რომ იბეყვები, უკან ხომ არავინ მოგდევს?! (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 227); მწვანის იტვლიავებს **კამეჩივითა** (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 234); კრამიტს აქ **კოჟოჟივითა** (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 254); როგორ უჭრიალებს თვალეზი მთვრალი **კაცივითა** (კარალეთი); რა **სურათივითა** ზიხარ, გვითხარი რამეი (კარალეთი); ვერა ხედავ როგორ **გიყებივით** დარბიან მანქანები (კარალეთი); იქნება **ზედმეტივითა**, ბუჩუყებ იმაი ვეტყვით (კავთისხევი) (მესხიშვილი, 2006, გვ. 34); გაწეწილა **ალივითა** (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 15); ისე მახლუჯუნეფს ასი წლის **ბებერივითა** (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 50); რას დადიხარ აბლაცი **ცხენივითაო** (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 14); ზის თელი დღე **ბებლივითა** (მერეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 56); რა **ბობიანივით** დადიხარო, მძიმე-მძიმეთ რო დადის ადამიანი, **უსიცოცხლოთა**, იმას ვეტყვით (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 73); ბობრა **ძალღივით** არის დასიებული (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 62); რო გამობრუნდება და ისე დარჩება **კუჭებივითა**, იმას ვეძახით გუჯასტებს (მჭადიჯვარი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 143); რა დაოებული დადის **სულელივითა** (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 166); გამოიქცნენ **გიყებივითა**, იმიტომ იტკინა ფეხი (საგურამო) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 177); დონჯიან ქილას ესე ჰქონდა ყურები, **დონჯივითა** (ზემო ხანდაკი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 197); ერთიანი არი **ხახვივითა** (მეგვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 342); თითონ დარჩეს **ჭაბუკივითა** (დისევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 307); ზედ ხიდა აქვს **სასწორივითა** (ქორდი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 520); მიელ რბილი რო იქნება რამეი, **ბუმბულივითა**, იმაზე იტყვიან, **მუშკივით** არისო (ერთაწმინდა) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 324); კრამიტს აქ **კოჟოჟივითა** (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 254); **მაშკარასავით** არ ანათებს ეს გოგოი?! (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 275); მწვანის იტვლიავებს **კამეჩივითა** (კარალეთი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 234); მამალი **ინდაურვით** რომ იბეყვები, უკან ხომ არავინ მოგდევს?! (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 227); თეთრათ აქ **ლაქებივითა** (საგურამო) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 328).

გვხვდება ზედა თანდებულიანი ვითარების ზმნისართი: სწყენს **ძალზედა** (იგოეთი)(ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 143).

სხვაგვარად გაფორმებული სიტყვები: მაღაზიაში უნდა გადავიდე და გადმოვიდე **უცეფა**, ხო არაფერი გინდა? (კარალეთი); **ძლივას (←ძლივს)** მოტრიალდა საწყალი ქალი (ქვეში) (ბეროზაშვილი,

მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 294); **ძლივს** (←**ძლივს-ს**) მოვედი აქამდე (დისევი); **ძლივა** (ს დაკარგვით) აათავა აღმართი (დირბი); ამოხუხრავს **უცევა** (ერედვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 29); ამოხუხრავს **უცევა** (ერედვი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 29); მაღაზიაში უნდა გადავიდე და გადმოვიდე **უცევა**, ხო არაფერი გინდა? (გარეჯვარი); მაღაზიაში უნდა გადავიდე და გადმოვიდე **უცევა**, ხო არაფერი გინდა? (კარალეთი)

სალიტერატურო ენაში ვითარების ზმნიზედის მაწარმოებლად გამოიყოფა -ივ და -რე სუფიქსები (კვაჭაძე, 2001, გვ. 245). -ივ სუფიქსთან დაკავშირებით, საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც ივ აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძვ. სალიტ. ქართულშიც ნაშთია: ღმრთივ სულიერი, „ცოცხლივ მკუდარ არს (I ტიმ. 5,6) და სხვა. მას ამჟამად ზმნიზედური გამოყენება აქვს. არსებითაგან და ზედსართავთაგან ასეთი წარმოება იშვიათია: ძლივ (ჭავ., 316, 37). უმეტესად ეხლა ს-ანის დართვით. მაგ.: **ძლივას** (←**ძლივს**) მოტრიალდა საწყალი ქალი (ქვეში) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 294); **ძლივს** (←**ძლივს-ს**) მოვედი აქამდე (დისევი); **ძლივა** (ს დაკარგვით) აათავა აღმართი (დირბი).

ასეთი მაწარმოებელი უნდა გამოეყოფოთ ფორმებში:**თვალნათ-ივ**, **თანაბრ-ივ**, **უზნობლივ**. მაგ.: **თვალნათლივ** დავტრიალდე ისევა (ატენი); აგრეთვე **უზნობლივ** გვაქ ჭები (დირბი); ცოტაი წააჭერი ბოლოები და **თანაბრივ** გაეზდება (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 39); ამოვა **თანაბრივა** (რუისი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 36).

შიდაქართლურშიც გვხვდება - რე მაწარმოებლით გაფორმებული ზმნისართი: **ევ-რე**. აღნიშნულ ზმნისართში გამოჰყოფენ ე-სართს, რომელიც ნაცვალსახელისათვის საერთოა და მიიჩნევა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ მოვლენად. რაც შეეხება -რე სუფიქსს, მას საეჭვოდ მიაჩნია ზმნისართის საწარმოებელ ელემენტად მისი გამოყოფა: „... ვერ ვიტყვით ეგესა და ეგრეს შინაარსულ განსხვავებას გენეტურად მათი სტრუქტურული განსხვავება აპირობებდეს“ (ფოჩხუა, 1959, გვ. 81). მაგ.: **აეგრე** (←**აი ეგრე**) გინდა (კარალეთი); თბილისშიც **ეგრე** ცივა ხოლმე? (კარალეთი).

შიდაქართლურ მეტყველებაში ი მავრცობი ხმოვანი გვხვდება ვითარების ზმნისართებთან.

მაგ.:**ძალათი** მაინც აქამე, რამ მიაბინარა ევ საცოდავი? (კავთისხევი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 280);

ქვეყნისას კი ნუ მოანქრევ ეხლა, **ცოტათი** მონამე (ტყვიავი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 292); მოიკლანძაო, **ცოტათი** რო მოიხარშება ხორცი (ატენი) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 301); **ძალათი** ვჭამ (ქარელი).

-ა და - ი მავრცობიანი დროის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია აქცენტირება. ეს ხმოვნები თ-ზე დაბოლოებულ ვითარების ზმნისართებში ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან და ერთნაირ ოდენობას წარაადგენენ, ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას (კობერიძე, 2006, გვ. 175; კობერიძე, 2019, გვ. 80-96; კობერიძე, 2020 ა, გვ. 92-94; კობერიძე, 2020 ბ, გვ. 69). ისე როგორც სალიტერატურო ქართულში, შიდაქართლურ მეტყველებაში ზმნისართი დაერთვის ზმნა-შემასმენელს, მაგრამ შეიძლება წინადადების სხვა წევრთანაც შეგვხვდეს. მისი ადგილი წინადადებაში განსაზღვრული არაა. ის შეიძლება წინადადების წევრს წინ უსწრებდეს, ან მოსდევდეს, ან იყოს გათიშული მისგან სხვა წევრით. ამ მხრივ, მეტყველების თავისებურებები შეინიშნება ხეობებისა და სოფლების მიხედვით, რაც განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით.

ამრიგად, დიალექტური მასალების ქრონოლოგიური შესწავლა გვამძლევს საშუალებას, რომ დავასკვანათ: ვითარების ზმნისართების წარმოება, სტრუქტურა და ფუნქცია შიდაქართლურში მსგავსია ქართული სალიტერატურო ენის, ქართლურის სხვა კილოკავებისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა, ხოლო განსხვავებული შემთხვევები მიუთითებს იმ პროცესებზე, რომელიც ქართლური დიალექტისათვის არის ნიშანდობლივი. დასტურდება პირველადი ან საკუთარი წარმოების, ბრუნვის ფორმით (ბრუნვის ნიშნით ან თანდებლით), თხზვა-კომპოზიციითა და ნაწილაკების დართვით წარმოქმნილი დროის ზმნისართები. განსხვავებული მოვლენები განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით. -ა და - ი მავრცობიანი დროის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია აქცენტირება. ეს ხმოვნები თ-ზე დაბოლოებულ ვითარების ზმნისართებში ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან და ერთნაირ ოდენობას წარაადგენენ, ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი ეთნიკურად არ არის ერთფეროვანი, არ დასტურდება სხვა ენობრივ ერთეულებთან კონტაქტით გამოწვეული ენობრივი ცვლილებები.

ბიბლიოგრაფია:

- ბენაშვილი, ა. (1894). *ქართული გრამატიკა*. თბილისი.
- ბერიძე, გ. (1988). *ქართული ენის ჯავახური კილო*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ბეროზაშვილი, თ., მესხიშვილი, მ., ნოზაძე, ლ. (1981). *ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: მეცნიერება.
- გაჩეჩილაძე, პ. (1970). ქართლურის სალექსიკონო მასალა. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XVII.
- გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია* (ტ. I). თბილისი.
- იმნაიშვილი, გ. (1966). *ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი*. თბილისი: მეცნიერება.
- იმნაიშვილი, გ. (1974)ა. *ქართლური დიალექტი* (ტ. I). თბილისი: მეცნიერება.
- იმნაიშვილი, გ. (1974)ბ. *ქართლური დიალექტი* (ტ. II). თბილისი: მეცნიერება.
- იოსელიანი, პ. (1840). *პირულ-დაწყებითი კანონნი ღრამმატიკისა*. თფილისი.
- კვაჭაძე, ლ. (2001). *ქართული ენა*. თბილისი: რუბიკონი.
- კვიციანიძე, პ. (1888). *ქართული სწორმეტყველება*. თბილისი.
- კობერიძე, მ. (2006). ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. *საენათმეცნიერო ძიებანი*, XXII.
- კობერიძე, მ. (2019). მავრცობი ხმოვნები ქართლურში. *წელიწდეული*, XI.
- კობერიძე, მ. (2020)ა. ადგილის ზმნისართები შიდაქართლურში. *რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*, XL. თბილისი.
- კობერიძე, მ. (2020)ბ. დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში. *ფილოლოგიური კვლევები*.
- მარტიროსოვი, ა. (1939). ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე* (IV 3).-ში ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- მარტიროსოვი, ა. (1946). თანდებული ქართლში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, I.
- მარტიროსოვი, ა., იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- მენტეშაშვილი, ს. (1943). *ქიზიყური ლექსიკონი*. თბილისი.
- მესხიშვილი, მ. (1970). მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XVII.
- მესხიშვილი, მ. (2006). *ქართლური ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: უნივერსალი.
- ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა)*. ბათუმი.
- ჟორდანიას, თ. (1889). *ქართული გრამატიკა*. ტფილისი.
- სალარიძე, თ. (1970). ქართლური ლექსიკიდან. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XVII.
- სომხიშვილი, ვ. (1968). *ქნის ხეობის მეტყველება*. ცხინვალი.
- სომხიშვილი, ვ. (2002). *ლიახვისა და ქნის ხეობათა ქართლური ავტორეფერატი*. თბილისი.
- ფოჩხუა, ბ. (1959). ხმოვანსართული ზმნისართები. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, I.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>
- შალამბერიძე, გ. (1959). ზმნისართი ძველ ქართულ ენაში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, I.
- შანიძე, ა. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზულებანი* (ტ. III). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.
- ჭინჭარაული, ა. (2005). *ხვესურული ლექსიკონი*. თბილისი: ქართული ენა.
- Vogt, H. (1936). *Esquisse d'unne grammaire du georgien moderne*. Oslo.
- Март, Н. Я. (1911). *Дневник Поездки в Шавшетию: Тексты разискания* (кн. VII). СПб.

Mariam Koberidze
Gori State University
ADVERBS OF MANNER IN SHIDA KARTLIAN
RESUME

In this article there is analyzed one of the most interesting groups of adverbs – adverbs of manner. The research is based on the latest material we have collected in the villages of Didi and Patara Liakhvi, Prone, Dzama, Kavtura, Tedzma and Ateni valleys. Dialectic texts written by Georgian linguists at different times are analyzed to represent linguistic processes chronologically distant in time and space.

Root adverbs, adjectives, participles, infinitives and other parts of speech in the unformed form or in the form of adverbial and instrumental cases can be used as adverbs in Shida Kartlian speech. Parallel variants of adverbs of manner with the same semantic meaning are confirmed. In most cases, "d" of the mark of case loses its sound and becomes a deaf "t". Such adverbs can be found with or without extending vowels.

It is noteworthy - adverbs with suffix -iv: tanabriv, ubnobliv tvalnatliv. The suffix **-re** is found in adverbs: **agre, magre, egre**. Can be found compound adverbs: patiputit, tol-natsilad, tvalnatliv. All these adverbs are presented with extending vowel -a and parallel forms. Composition, addition of particles, cases are used to get new adverbs of manner from root adverbs. In the sense of the adverb of manner, the forms of Nominative with postposition -vit (**lakebivita, surativita, beberivita, tchabukivita..**) and Dative with postposition -ze (**dzalze, gemoze, kiraze ...**) are used.

For adverbs of time with -a and -i extending vowels are characterised accentuation. These vowels are often exchanged freely and represent the same amount in the adverbs ending with -t, in some cases their use must be explained by analogy and tendency of unification.

As in literary Georgian, in Shida Kartlian speech the adverb is attached to the verb-predicate, but can also be found with other members of the sentence. Its place is not specified in the sentence. It can precede or follow a member of the sentence, or be disconnected from it by another member. In this regard, speech features are noticed according to valleys and villages, which is due to the revelation of the internal potential of the language, the migration of the population and the relationship with the representatives of other dialects.

Keywords: Georgian literary language, Dialect, Shida Kartlian, Adverb of manner, Production, Structure, Extending vowel, Parallel variants.

კოტე ლომიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სულხან-საბა ორბელიანის ერთი არაკის რეცეფციისათვის

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, დიდვაჭარი და მეფუნდუკე, კეთრი, სამედიცინო კანიბალიზმი.

სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც ცნობილია, ეყრდნობა ორი პრინციპის, ორი მსოფლმხედველობის, დაპირისპირებას. მკვლევართა მითითებით: „სიკეთისა და ბოროტების დუალისტური ჭიდილი წიგნის კომპოზიციური დერძია როგორც არქიტექტონიკური, ისე ემოციური და იდეოლოგიური თვალსაზრისით“ (ამირხანაშვილი 2010, 245).

მეფის სეფეთუხუცესი ლეონს უწუნებს უფლისწულის აღზრდის პრინციპებს, რის შედეგადაც იმართება მსჯელობა საკითხის ირგვლივ. „მართალია, კამათში ხუთი პერსონაჟი მონაწილეობს, მაგრამ მთავარი ხაზი მიჰყავთ ლეონსა და რუქას, როგორც ორი ყოფით-ფილოსოფიური საწყისის — კეთილისა და ბოროტის ადეპტებს. ეს არის წინააღმდეგობათა დიალექტიკური ერთიანობა. რუქა ლეონის წინააღმდეგ ანუ ლეონი როგორც თეზა და რუქა როგორც ანტითეზა“ (ამირხანაშვილი, 2010, გვ. 245).

რუქა გაცხარებით იცავს დებულებას „არას კაცსა კარგის მოქმედისათვის სიკეთე არ უქმნია“, ამ მოსაზრების მორიგი კრიტიკისას ლეონს მოჰყავს არაკი „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“. გავიხსენოთ იგავის¹ შინაარსი.

კეთილი მეფუნდუკე უსასყიდლოდ ეხმარება ქარვასლაში მისულ მგზავრებს. სასტუმროს მიადგება მექარავენე, რომელსაც ზამთარი მოუსწრებს და გზას ვერ გააგრძელებს. ქარვასლის პატრონი დიდვაჭარს ხარჯს არ გადაახდევინებს. მეფუნდუკეს ჰყავს კეთროვანი შვილი, რომელსაც არ გამოაჩენს სტუმართან იმ

¹ როგორც ცნობილია, სულხან-საბასთან იგავი და არაკი გამიჯნულია, მე ამ სიტყვას ვიყენებ არაკის სინონიმად, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად.

მოტივით, რომ „ჩემი ლხინი აღარ ეამებაო“. გაზაფხულზე გზა გაიხსნება, მექარავნე გზას დაადგება, ხოლო სასტუმროს პატრონს განაწყენებული შვილი ეტყვის „მე მაინც გძულვარ და აქეთგან წავალო“. მიატოვებს მამას, დაეწევა დიდვაჭარს და უამბობს საკუთარ ამბავს. მეფუნდუკის მაღლიერი მექარავნე შეწუხდება და ფიცს მისცემს „თუ რამ გეშველება, გიშველიო!“ შინ მისული დიდვაჭარი ახალგაზრდას ექიმებს დაახვევს. ერთ-ერთი მკურნალი კეთრისგან განკურნების შემზარავ მეთოდს ურჩევს: „ერთს კაცს რომე ერთის მეტი ვაჟი არა ჰყვანდეს, **ორის წლისა იყოს**, (ხაზგასმა ჩემია — კ.ლ.) ლამაზი, კარგი. მამამან ნებით მისცეს, დაკლას, და მისი სისხლით შეიბღალოს, მით მორჩებაო!“. მექარავნეში იმდენად დიდია ქარვასლის პატრონის სიკეთის სიკეთით გადახდის წყურვილი, რომ საკუთარ ვაჟს გამოასაღმებს სიცოცხლეს და კეთროვანს განკურნავს. არაკის ბოლოს ვაჭრის ვაჟი სასწაულის ძალით კვლავ ცოცხალია, ხოლო დიდვაჭარი ღმერთს მადლობას სწირავს (ქართული მწერლობა, 1989, გვ. 132-133).

ზედაპირული დაკვირვებით იგავ-არაკი შექმნილია ჰიპერბოლიზაციის ხერხის გამოყენებით, ავტორი ამბის გასამძაფრებლად ზღაპრებისა და იგავ-არაკებისათვის დამახასიათებელ გაზვიადების მეთოდს მიმართავს. ზღაპრებში ხშირად საკურნებლად გამოყენებულია დაუჯერებელი საშუალებები, საკვირველი ნივთები, საგნები, მცენარეები... ამ ტიპის რეცეპტთა შორის შეიძლება მოვიხსენიოთ დიდვაჭარისთვის მიცემული დანიშნულებაც. ერთი შეხედვით აქ უცნაური არაფერია, რადგან იგავ-არაკი მხატვრულ გამონაგონს ეფუძნება.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ, „სიტყვა „გამოგონილი“ გულისხმობდა ორ პლასტს: 1. არსებით ანუ ბუნებით ფიქციას, ესე იგი, რაც არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო; 2. სინამდვილის ფიქციას ანუ რაც არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყო“ (ამირხანაშვილი, 2010, გვ. 243). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს არაკში მოთხრობილი ამბავი თეორიულად შესაძლოა მომხდარიყო კიდეც, „სიბრძნე სიცრუისას“ კონტექსტი — წიგნში მოთხრობილია არაერთი დაუჯერებელი ამბავი — მკითხველს უბიძგებს, იგავი დაუკავშიროს „გამოგონილის“ პირველ გაგებას¹: არსებით ანუ ბუნებით ფიქციას, ესე იგი, **რაც არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო**.

ს.ს. ორბელიანის წიგნსა და მის სათაურზე მსჯელობისას ლევან ბრეგაძე წერს: „მიმეტურია ნაწარმოები, თუ მასში გადმოცემულია ამბავი, რომელიც სინამდვილეში შეიძლებოდა მომხდარიყო; ანტიმიმეტურია ნაწარმოები, თუ მასში მოთხრობილია ამბავი, რომელიც სინამდვილეში არ შეიძლებოდა მომხდარიყო. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები ანტიმიმეტური თხზულებებია. მათში გამოყენებულია მახვილგონივრული, ბრძნული მისტიფიკაციები, მოგონილი ამბები ანუ ბრძნულად მოფიქრებული სიცრუე და, აქედან გამომდინარე, წიგნის სათაური გულისხმობს სიცრუის სიბრძნეს“ (ამირხანაშვილი, 2010, გვ. 241-242)².

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წიგნის სამყარო, ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით, ჯადოსნური, ზღაპრული და დაუჯერებელია, რის შედეგადაც კრებულის თანამედროვე მკითხველში მოყვანილი არაკი აშკარად ტოვებს ანტიმიმეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით ეს ითქმის რეცეპტზე, რომელიც ზღაპრის პერსონაჟ-მკურნალთა გამოწერილ დანიშნულებას ჩამოჰგავს.

XVI-XVIII საუკუნის ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მოყვანილია კეთრისაგან განკურნების არაერთი მეთოდი. მაგალითად, „ვირის ტერფაჲ ძირითურთ მონაყე ძმრითა სცხე“ (შენგელია, 2009, გვ. 40), ან კიდეც: „ასკილი მოგალე, ღვნითა შეასჯ“ (შენგელია, 2009, გვ. 50), ერთიც: „ვარის ძირა ფესჯანად დანაყე და ბავრუკი ერთგან სცხე, ერგოს“ (შენგელია, 2009, გვ. 64).

„სიბრძნე სიცრუისა“ დაწერილია მე-17 საუკუნეში. გამორიცხულია, მწიგნობარსა და ლექსიკოგრაფ ს.ს. ორბელიანს არ ჰქონოდა სამედიცინო ხელნაწერების გაცნობის შესაძლებლობა. მიაბიტური კითხვა რომ დავსვათ: ხომ შეიძლებოდა აღნიშნული დაავადების განსაკურნებელი წამალი „კარაბადინიდან“ ამოეღო და არ მოეყვანა კეთრის წამლობის ზღაპრული ცნობა?

აშკარად ჩანს, რომ ავტორი გაზვიადების მეთოდს მიზანმიმართულად იყენებს, რასაც მცენარეული წამლის მითითება ვერ უზრუნველყოფდა. ლეონი უჩვენებს რუქას, რაოდენ ძლიერია სიკეთის სიკეთით გადახდის წადილი, წინააღმდეგ საჭურისის დებულებისა, რომ არა კაცსა სიკეთე სიკეთით არ უქნია.

არაკის ჰიპერბოლური ხასიათის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ აქ აღწერილი ამბავი მაინც შეიძლებოდა მომხდარიყო. რა მამლევს ამის თქმის საფუძველს? სპეციალური ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ძველ დროში მედიცინაში ადამიანის სისხლის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ მოვლენას მეცნიერები უწოდებენ **სამედიცინო კანიბალიზმს**. ხსენებული ფენომენის მკვლევართა აღნიშვნით, სამედიცინო კანიბალიზმს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნათან კონსტანტინი მიუთითებს, რომ

¹ დაუჯერებლობას იწვევს არა იმდენად ფაქტი, რამდენადაც მოტივი, რომელიც თანამედროვე მკითხველს ზღაპრის ასოციაციას უჩენს, ზღაპართა კითხვის გამოცდილება კარნახობს, ზღაპრულად აღიქვას მოწოდებული ამბავი.

² ციტატას ვიმოწმებ ი. ამირხანაშვილის სტატიიდან.

„არენაზე მოკლულ გლადიატორთა ჯერ კიდევ თბილ სისხლს ყიდდნენ — მას ეპილეფსიით დაავადებულთათვის იძენდნენ“ (კონსტანტინი, 2012)¹.

და, აი, მივადევით ჩვენთვის საინტერესო საკითხს, „კანიბალიზმის ისტორიის“ ავტორის მითითებით, „რომაელი მწერალი პლინიუსი აღნიშნავდა, რომ ეგვიპტელები სისხლს კეთრის განსაკურნად იყენებდნენ“ (კონსტანტინი, 2012). ეს რწმენა არც მოგვიანო ხანებში გამქრალა. „ინგლისელი მკურნალი ირწმუნებოდა, რომ ზოგიერთ დაავადებას **ორი წლის ბავშვის** (ხაზგასმა ჩემია — კ.ლ.) სისხლი კურნავდა, ხოლო საფრანგეთის სნეული მეფის, ლუი XI-ის (XV საუკუნე — კ.ლ.) ექიმები ნებისმიერი ასაკის ბავშვის სისხლის გამოყენებას ეშურებოდნენ“ (კონსტანტინი, 2012). სამედიცინო კანიბალიზმის ისტორია მე-18 საუკუნის ბოლომდე მოდის. სულხან-საბას მხოლოდ ქართულ წყაროებზე როდი მიუწვდებოდა ხელი. სავარაუდოა, რომ იგი იცნობდა კეთრისგან კურნების უცხო ქვეყნებში გავრცელებულ ცრურწმენებს, პრაქტიკასა თუ თვალთახედვებს.^{2 3}

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ყველაფრიდან? არაკი განსაკუთრებით საინტერესოა რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით. თანამედროვე ადამიანისათვის ამ იგავს ისეთივე ზღაპრული ელფერი აქვს⁴, როგორც დრაკონის ცოლის წამლობას ცოცხალი მაიმუნის ღვიძლით („მაიმუნი და მედუზა“, იაპონური ზღაპარი). მე ვეცადე, მეჩვენებინა, რომ იმ ეპოქაში, როდესაც იწერებოდა „სიბრძნე სიცრუისა“, შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო როგორც ავტორის ჩანაფიქრი, ისე არაკის რეცეფცია. თუ ეს ასეა, ს.ს. ორბელიანის თანამედროვე მკითხველისათვის ჩვენი ეპოქის მიერ ჰიპერბოლად მონათლული ეს ამბავი უფრო მძაფრად აღიქმებოდა, რადგან, როგორც მივუთითებდი, თეორიულად ეს ყოველივე შეიძლება მომხდარიყო⁵ იმდროინდელი სამედიცინო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ის, რომ მსგავსი მკურნალობა არ იყო მეტისმეტად გასაოცარი, აშკარაა კიდევ ერთი დეტალის მიხედვით: ავტორი აქ არა მარტო ბავშვის ასაკს აკონკრეტებს, არამედ მის გარეგნობას, მამის მიერ ნებით გამეტებას... ე.ი. დამატებითი პირობებით ამძიმებს „მკურნალობის“ ამ ხერხს.

ჩემთვის უცნობია, რა ვითარება იყო ამ კუთხით საქართველოში. თუმცა, სავარაუდოა, რომ სადაც ევროპას ამგვარი მკურნალობის მეთოდები განმანათლებლობის ეპოქამდე გამოჰყვა, არც ჩვენთან იქნებოდა ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა. რა თქმა უნდა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთანაც გამოიყენებოდა მსგავსი ხერხები, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, სამედიცინო კანიბალიზმის ექიმ საქართველომდეც ჩამოაღწია.

ბიბლიოგრაფია:

- ამირხანაშვილი, ი. (2010). "სიბრძნე სიცრუისა". ტექსტი და კონტექსტი. წიგნში: *XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა: აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე* (გვ. 240-253). თბილისი.
- კონსტანტინი, ნ. (2012). *კანიბალიზმის ისტორია*. თბილისი: კლიო. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://saba.com.ge/>
- ქართული მწერლობა. (1989). *ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად* (ტ. 7). თბილისი: ნაკადული.
- შენგელია, რ. (რედ.). (2009). *ოთხი ქართული სამედიცინო ხელნაწერი, XVI-XVIII სს*. თბილისი.

¹ წიგნს ვიმოწმებ ელექტრონული წიგნების პორტალიდან — saba.com.ge, რის გამოც ვერ ვუთითებ გვერდს.

² ცნობას ვერ დავაკავშირებთ მის ევროპულ გამოცდილებასთან, რადგან, როგორც ცნობილია, წიგნი ევროპაში მოგზაურობამდე დაიწერა.

³ რა თქმა უნდა, ფოლკლორში სამედიცინო კანიბალიზმის არაერთი შემთხვევაა აღწერილი. ზღაპრის დედინაცვლი თავს მოივადამყოფებს და აცხადებს, რომ გერის რომელიმე ორგანო განკურნავს, ამის გათვალისწინებით, შეიძლება ერთ-ერთ სავარაუდო წყაროდ ქართული ფოლკლორი დაგვესახელებინა, მით უფრო, რომ არაერთი ფოლკლორული მოტივი დასტურდება საბასთან, მაგრამ მოყვანილი მაგალითი — კონკრეტული დაავადების წამლობა კონკრეტული „რეცეპტითა“ და ასაკზე ხაზგასმით, რომელიც ამავედროულად ევროპულ სამედიცინო პრაქტიკაში არსებობდა — არ გვაძლევს ამგვარი ფიქრის საფუძველს.

⁴ მკვლევრები ამ არაკს აკავშირებენ ისაკის მსხვერპლშეწირვის ამბავთან, ამდენად ცნობის დაუჯერებლობას ბიბლიური ალუზიის გაჩენაც აძლიერებს.

⁵ რასაკვირველია, მსგავსი რამ ნებისმიერ ეპოქაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ აქ მთავარია საკითხისადმი განწყობა, თუ ჩვენს ეპოქაში ეს ანომალია იქნება, მოხმობილ მაგალითებში სამედიცინო სანქცია ჰქონდა.

Kote Lomidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
FOR THE RECEPTION OF ONE TALE OF SULKHAN-SABA ORBELIANI
RESUME

The report analyzes Sulokhan-Saba Orbeliani's tale "Merchant and Caravanserai owner ". This tale is a horrible method of curing leprosy, which modern readers perceive as hyperbole. The article shows that this method, namely the cure of the disease with human blood, may not necessarily be an artistic invention. As the relevant literature assures us, medical cannibalism is not foreign to Europe of that period and it is possible that S.S. Orbeliani was familiar with such practices. Moreover, the "recipe" named in tale is almost identical to the "recipes" of the English healer and King Louis XI of France. Based on the presented information, it is concluded that at the time of writing "Merchant and Caravanserai owner " both the author's intent and the reception of tale were different.

Keywords: Sulokhan-Saba Orbeliani, Merchant and Caravanserai owner, Leprosy, Medical cannibalism.

მაია მელანაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პიკარესკული ჟანრი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში
(მ. ჯავახიშვილისა და პ. კაკაბაძის შემოქმედების მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: პიკარესკული ჟანრი, ქართული მერლოზა, რომანი, პიესა.

პიკარესკას ლიტერატურული ჟანრი წარმოადგენს XVI-XVII საუკუნეების ევროპის სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების ისტორიულ პროდუქტს. პიკარესკას ჟანრი დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას და ინარჩუნებს ჟანრული ფარგლების გაფართოებისა და შინაარსის გამდიდრების ტენდენციებს. დღესდღეობით XX საუკუნის პიკარესკული რომანის გმირები - ფელიქს კრული (გერმანია), იოზეფ შვეიცი (ჩეხეთი), მისტერ ნორისი (ინგლისი), ოსტაპ ბენდერი (რუსეთი) და სხვ. - კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ. მათ გვერდს ღირსეულად უმშვენებენ XX საუკუნის ქართული პიკარესკას გმირები - კვაჭი კვაჭანტირაძე და ყვარყვარე თუთაბერი. ორივე ლიტერატურული გმირის „დაბადება“ თითქმის ერთსა და იმავე პერიოდს მიემართება (მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ - 1924, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ - 1928). წინამდებარე ნაშრომში, ძირითადად, ამ ორი ლიტერატურული გმირის ირგვლივ ვისაუბრებთ.

განვიხილოთ ავანტიურული დროის შეჭრის სიტუაცია გმირის ყოველდღიურ ცხოვრებაში; დროის ამ „გარღვევას“ ხშირად წინ უსწრებს გარკვეული ზებუნებრივი (ან ბუნებრივი) ნიშნის გამოჩენა, რომელიც მიაჩნდება მომავალ ავანტიურულ ცვლილებებზე. ე.წ. ცვლილების ინდიკატორი - ირაციონალური დარღვევის სიმბოლოა, რომელიც შეიძლება მოველინოს პიკაროს (ვარიაციული ცვლილებებით, მთავარი გმირის მშობლებს, მეგობრებს...) ვიზუალურად (ბუნების მოვლენათა, სხვა პერსონაჟის, ღონისძიების მეშვეობით) ან ქვეცნობიერად („წინასწარმეტყველური“ სიზმარი, ხილვა, წინათგრძნობა). მაგალითად, კვაჭი კვაჭანტირაძის დაბადებას (პირველ აპრილს!) რიგი უცნაური მოვლენები უძღოდა წინ: „შუადღემ რომ მოიტანა, თითქმის სულ დაბნელდა, დაღამდა. მიყურებული დედამიწა უცებ შეინძრა და აზანზარდა... უცებ ისე გაიელვა, რომ ყველანი რამდენიმე წამით დაბრმავდნენ... გრიგალმა ჟონდიას დუქანი დაანგრია, რომელიც „კვაჭანტირაძის“ სასტუმროს დიდ მეტოქეობას უწევდა... ერთი საათის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა და კვლავ გაზაფხულის მშვენიერი დარი დადგა“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 7-8). კვაჭის ბებია, ნოტიომ იმავე საღამოს უმკითხავა კვაჭიკოს ხელისგულზე და დღის განმავლობაში დატრიალებული ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით

(რომლებიც ამ შემთხვევაში ე.წ. ცვლილების ინდიკატორად გვევლინებიან) დაასკვნა, რომ მას დიდი მომავალი ელოდა: „ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი იმას ნიშნავს, რომე ახალგაზრდობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის... მზემ რომ გვირგვინი დეიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომე შემდეგში კვაჭის... ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის“ და ა.შ. (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 9).

3. კაკაბადის პიესის მთავარი გმირი ყვარყვარე თუთაბერი - ნაცარქექია - თაღლითის ტიპაჟს განასახიერებს. ყვარყვარე გაუნათლებელი, უტიფარი, ტლუ მედროვეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რომელსაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებათა ჟამს ყველგან, ყველა ეპოქაში შეუძლია აღზევება და მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება.

ცვლილებების ინდიკატორად 1920-იანი წლების პიკარესკაში ხშირად გამოდის რევოლუციური კარნავალის ელემენტებით მოცულ სოფლებში/ქალაქებში (ზოგჯერ უფრო ლოკალურ ტოპოსში) არსებული სიტუაციების აღწერა. საინტერესოა, რომ მიუხედავად მოვლენების ირაციონალურობისა, ყველა კარნავალური მოვლენა ლოკალიზებულია ისტორიულ დროში და ხშირ შემთხვევაში ნათლად არის დათარიღებული. მაგალითად, 3. კაკაბადე ზუსტად ათარიღებს თავისი პიესის პირველსავე მოქმედებაში მიმდინარე მოვლენათა დროსა და ადგილს: „რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად დიდინებს“. სწორედ ამ ფონზე წარმოიხინდება, ერთი მხრივ, ეპოქალური მოვლენები (რუსეთის იმპერიის დაშლა, იმპერატორის გადადგომა, დროებითი მთავრობის შექმნა, მიმდინარე რევოლუციური მოვლენები...) და, მეორე მხრივ, კარნავალური ჩანაცვლებები, გადაცემები, ცნობა/არცნობის სიტუაციები (მაგ., რევოლუციონერი სევასტი მეწისქვილის პერანგს გადაიცვამს, რათა რუსი ოფიცრების მხრიდან დაპატიმრებას გადაურჩეს, ხოლო ოსმალოების შეტევაზე გადასვლით შემინებული ყვარყვარე კი, თურქი ჯარისკაცის ნაქურდალ სამოსში გამოეწყობა, რათა მათ „თავისიანად“ მიიღონ...).

ტრადიციულად, პიკარო კოსმოპოლიტია; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ცხოვრებისეული პრინციპია: უბი ბენე, იბი პატრია. საწყის ეტაპზე კვაჭის გზა მშობლიური ბუდიდან - „ხონის გზის ნაპირას მდგომი სახლიდან“ - მისი ოცნების ქალაქზე - ქუთაისზე გადის, რომელმაც „გაკვირვა, გააბრუა და ცაში აიტაცა“. თუმცა მას შემდეგ, რაც კვაჭი კვაჭანტირადემ სხვადასხვა სახელით იმოგზაურა პეტერბურგში, პარიზში, ვენაში, ბერლინსა და ლონდონში, „...ქუთაისის გახსენებაზე მწარედ ჩაიცინებდა და იტყოდა: თურმე საქათმეში დავბადებულვარ და საღორეში გავზრდილვარ...“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 15).

ავანტიურების დახვეწისა და ამბიციების ზრდის კვალდაკვალ კვაჭის ოდესაც კი ეპატარავება ასპარეზად: „ადესა ჩემთვის ვიწრო ქურქია, შიგ ველარ ვეტევი... დაბალი კიბეა, ასაფრენი და ფრთის გასაშლელი არა მყოფნის... ქუთაისი? ახა-ხა! ქუთაისი რა სახსენებელია! ჭაობია, მყრალი ჭაობი! თუნდაც საქართველო ავიღოთ... ქვეყანაზე ასმა კაცმაც არ იცის საქართველოს სახელი. ან რა არის დიდი საქართველო? ბათომში რომ თავი მისდო დასამინებლად, ფეხები ქიზიყს უნდა მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან იმახიან: „ხეირიო“; ქუთაისში ლაითაძესთან ან ერემოსთან დანიელა ურიამ რომ „მრავალჟამიერ“ დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თელავიდან დედას ლევანა „მადლობელს“ შემოამახებეს; ბორჯომში რომ პაპიროსი ამოიღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება - ჩვენც მოგვაწვევინეო; მყრალი ცხვირსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით: „ჩემია! წილი დამდე!“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 60).

კვაჭი აბსოლუტურად მოკლებულია ნაციონალური იდენტობის ცნებას, მას ადვილად ეთმობა საკუთარი სახელიც კი. მეტრიკით ანაპოდისტ სილვესტროვიჩი, მალევე აცნობიერებს, რომ რუსების ყურს მისი ოფიციალური სახელი, ისევე როგორც კნინობითი სახელი - „კვაჭი“ - ეხამუშება; ამიტომაც ბათუმიდან ოდესისკენ მიმავალმა, გემ „პუშკინზევე“ დაირქვა ახალი სახელი - ნაპოლონ აპოლონოვიჩი. აქვე შევნიშნავთ, რომ იგი იმდენად ხშირად იცვლის სახელებს (ხან ბაგრატიონია, ხან ავღანთა უფლისწული ან სპარსეთის პრინცია, ხანაც გრაფი ტიშკევიჩია...), რომ ერთხელ, პოლონეთის საზღვრის გადალახვისას, იძულებული გახდა მუნჯის როლი გაეთამაშა, რადგან არ იცოდა მისი ექვსი პასპორტიდან რომელი მიაწოდა მისმა მეგობარმა - ბესო შიქიამ - ჟანდარმს (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 161).

სწორედ ოდესაში - „ავანტიურისტებისა და მეოცნებეების ქალაქში“ - გაშლის ფრთებს ქუთაისიდან წამოსული კვაჭი კვაჭანტირადე. პირველად აქ გააცნობიერებს, რომ „მეცნიერების გზა მეტად გრძელია“ და უფრო იოლ ცხოვრებას მიჰყოფს ხელს: დუქნები, „ფანკონი“-ს ყავახანა, ცირკი, ბულვარი, ღვინო, იაფი მეძავეები; თუმცა, „...კვაჭი ამ ფსკერს მხოლოდ კადრულობდა, თვალი კი მუდამ ზემო სართულებისკენ ეჭირა და ლამობდა ზედაპირზე ეცურავა“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 54). ოდესას უკავშირდება კვაჭის მცირე (რებეკა და ისაკა იდელოსონების გაცრუება, სედრაქას ყალბი ფულით სარგებლობა ...), და მსხვილი აფიორები („სალამანდრაში“ სილიბისტროს სიცოცხლისა და სახლის დაზღვევა). პირველმა წარმატებებმა

და მარცხმა (ჰოფმტინის მიერ კვაჭის სადაზღვეო სქემის გაშიფვრა) კვაჭის თავდაჯერებულობა და სიფრთხილე შესძინა და პეტერბურგისკენ გაუხსნა გზა.

პეტერბურგის ეპიზოდების მნიშვნელობა უდავოდ დიდია, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ რომანის სიუჟეტური ხაზი, ძირითადად, აქ იშლება (გრიშკა რასპუტინის გაცნობა და მასთან დაახლოვება, იმპერატორის ოჯახის გაცნობა, „საიდუმლო სერობები“, ევროპის დედაქალაქებში მოგზაურობა, გენერალ სუხომლინოვთან და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული აფიორები და სხვა ეპიზოდები). სწორედ პეტერბურგში აიხდენს კვაჭი ოცნებას და „ზემო სართულებზე“ შეაღწევს; თუმცა რევოლუცია ყველაფერს თავდაყირა დააყენებს.

კონსტანტინოპოლი კვაჭის უკანასკნელი ნავთსაყუდელი აღმოჩნდება. რუსეთის იმპერიის ემიგრანტებისთვის ამ ქალაქში ცხოვრების დაწყება არცთუ იოლი აღმოჩნდა; ლუკმა-პურისთვის და სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლას აქ კვაჭის არაერთი ნაცნობ-მეგობარი შეეწირა, რადგან ერთი მხრივ, საკუთარი თავის ფსიქოლოგიური გარდატეხა და, მეორე მხრივ, თვალთმაქცობასა და თაღლითობაში გამეცადინებული თურქების დაჯახბა ძნელი აღმოჩნდა: „ოსმალები კვაჭის ახლოსაც არ იკარებენ, ხოლო იქაური სომხები, ბერძნები, ურიები და ლევანტელები თვითონვე ნადირობენ კვაჭის თხელ ჯიბეზე... არა, აქ არც ერთი საქმის „გაიმასქნება“ არ შეიძლება“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 296). სტამბოლელთა კონკურენციას კვაჭიმ ვერ გაუძლო და ისღა მოახერხა, რომ თავისი ყოფილი საყვარლები - რებეკა და ელენე - ერთ-ერთი საროსკიპოს მფლობელ ბერძენს - ლიზა-ხანუმს „ჩააბარა“. დაუდგრომელმა კვაჭიმ საბოლოოდ ოჯახური „ბუდეც“ მოიწყო და ლიზა-ხანუმზე დაქორწინდა.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ ანთაძის „ლაზარეს თავგადასავალშიც“ (1998) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქალაქების (თბილისი, მოსკოვი) და რესტორნის ტოპოსს. პროვინციაში ცხოვრებისას, სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე ყოფნისას, ლაზარე თავის ბიჭებთან, მასავით უბრალო მუშებთან, სასადილოებში და ოჯახებში ქეიფით კმაყოფილდებოდა, მაგრამ როდესაც კომბინატორთა კასტის სრულუფლებიანი წევრი გახდა, უკვე სხვაგვარი ვალდებულებები დაეკისრა: „ჩვენს „მასტს“ პირი მუდამ სუფთად გაპარსული ჰქონდა და ფრანგული ოდეკოლონის სურნელს აფქვევდა. ყოველი სადამო - სუფრასთან, ხშირად საოჯახო წვეულებებზე, თითქმის ყოველდღე კი რესტორანში, განცალკევებულ კაბინაში მორთმეული საუკეთესო კერძები...<...> ღვინო ჩაის ჭიქებით... ოჯახების, დედამიწილების, საქართველოს, ხელისგულზე მოხრაკული ტაფამწვარის, ქართული სიმღერის, სამი წვეთის: სისხლის, ცრემლის და ოფლის, უდროოდ და დროულად წასულების, წინაპრების და შთამომავლობის სადღეგრძელოები...<...> ეს რესტორნებში.

ახლა გასვლითი ქეიფები!!! პირველი: რესპუბლიკური მასშტაბით, ბუნების წიაღში - მთის გრილჩქევიან მდინარისპირას მდელოზე გაწყობილი მაგიდები, სპეციალურად თანწამოყვანილი ოფიციატები, იქვე - სანამ გოჭი შეიწვება - დამტვრეული ნიგოზი, ყურძენი და ჭყინტი სიმინდი, იქვე მდინარეში დაჭერილი კალმახი და იქვე კოცონზე შემწვარი გოჭი... სანთლის არაყი და ადგილობრივი ნაქები ღვინო... მეორე: საკავშირო მასშტაბით: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვლადივოსტოკის თუ რისი გნებავთ საუკეთესო რესტორნები, საუცხოო სასტუმროები, იქაური დელიკატესები: კიევური კატლეტები, „შამპინიონის“ ყულიენი, ბულიონი ღვეზელით, ზრაზი, რაგუ, ესტერგაზი და ბატი თეთრ ღვინოში... ნომერში მორთმეული შამპანური და ძვირადღირებული ბოზები საკუთარი პრეზერვატივებით... საქმე და ქეიფი... საქმე და ქეიფი... საქმე და ქეიფი... აი, ამპლიტუდის ორი უკიდურესი წერტილი“ (ანთაძე, 1998, გვ. 37).

შევნიშნავთ, რომ ქრონოტოპების სისტემა, რომელიც დამახასიათებელია მეგაპოლისის ტოპოსისთვის, აქტუალური რჩება ქალაქი-პროვინციის/სოფლის ტოპოსისთვისაც, რომელიც ხასიათდება სივრცის ჩაკეტილობით, იზოლირებით. იგი ოპერირებს მოწესრიგებულ-ციკლური დროით, რომელშიც ყველაფერი გამოზომილია, წინასწარ დაგეგმილია. პიკარესკული გმირის საზეიმო-კარნავალური შემოჭრა პროვინციის ცხოვრებაში განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდება. პიკარო, რომელიც მთლიანად უკავშირდება ავანტიურულ-ყოფით დროს, საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისი გამოჩენით მოწესრიგებული დრო-სივრცის ერთიანობას „არღვევს“, რომელიც მისი გაქრობისთანავე მაშინვე „იხურება“ და ყველაფერი თავ-თავის ადგილს უბრუნდება. გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოწესრიგებული ქრონოტოპის დამრღვევად მნიშვნელოვანი მოვლენები (მაგ., რევოლუცია, მთავრობის შეცვლა...) და მათ მიერ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული „გმირები“ (მაგ., ყვარყვარე თუთაბერი, ტიტე ნატუტარი...) გვევლინება.

XX საუკუნის პიკარესკულ ბელეტრისტიკაში სასტუმროს - პიკაროს „სახლის“ -ტოპოსთან ერთად ხშირად ხდება ციხის ტოპოსის აქტუალიზაცია, რომელიც ატარებს სოციალური წყობის სიმბოლოს ავბედით კონოტაციას. ციხის ტოპოსი მიხეილ ჯავახიშვილთანაც აქტიურდება და პოლიკარპე კაკაბაძესთანაც, თუმცა სხვადასხვა დატვირთვით. მ. ჯავახიშვილის რომანში კვაჭი რამდენჯერმე აღმოჩნდება ციხეში და ყოველთვის მოახერხებს თავის დაძვრენას. პირველად მას 1917 წლის თებერვლის

რევოლუციამ მოუსწრო სულზე, როდესაც ციხის დარაჯის ტანსაცმელში გამოწყობილი გამოიპარა საკნიდან და იმპერიის დასამხობად რევოლუციონერებს შეუერთდა თავის ამფსონებთან ერთად. მეორედ კვაჭი და მისი მეგობარი ჯალილა (რომელთანაც არა ერთი სხვადასხვა მასშტაბის აფიორა განუხორციელებია) გაბოლშევიკებული საქართველოს ციხეში აღმოჩნდნენ სამართლიანი ბრალდებით (ვერაზე კვაჭიმ, ვინმე შილაძესთან ერთად, სომეხი მოქალაქე გაძარცვა). თუმცა, ციხეში ყოფნასაც სათავისოდ გამოიყენებს კვაჭი; იგი ისარგებლებს თანასაკნელი ალექსი ირემამის გულუბრყვილობით (დაარწმუნებს, რომ მისი შვილის უახლოესი მეგობარია), ყალბ ჩვენებას მიაცემინებს მოხუცს (თითქოს დანაშაულის ჩადენის სადამოს მის ოჯახში სტუმრად იყო), რითაც სასჯელს აიცილებს თავიდან. მოგვიანებით კვაჭი ალექსის ქალიშვილს, ელენეს მოხიბლავს და მამა-შვილს დაიყოლიებს საცხოვრებელი სახლის გაყიდვაზე; ცხადია, ფულს თავად მიითვისებს და ამგვარად, კვაჭის წარმატებულად განხორციელებული თაღლითობების გრძელ ნუსხას ეს საქმეც დაემატება.

კვაჭი მესამე ჯერზეც აღმოჩნდება ციხეში; ამჯერად მას ბოლშევიკები („ჩეკელები“) დაიჭერენ, რომლებმაც დაკითხვაზე „...მისი ცხოვრება ისე წაუკითხეს, როგორც კარგი რომანი“. ამჯერად მეტეხის ციხიდან კვაჭიმ ისევ თავისი გამჭირახობით მოახერხა თავის დაძვრენა: გაიგო, რომ რამდენიმე დღეში ვინმე პატიმარი ჩილიკაშვილი უნდა გაეთავისუფლებინათ ციხიდან; ბედკრულ პატიმარს ბრომი დააღვეინა და მიაძინა; ხოლო როდესაც ციხის ეზოში ამოიკითხეს გათავისუფლებულ ტუსადთა გვარები, ჩილიკაშვილის ნაცვლად კვაჭი თავად გავიდა საკნიდან.

ციხე ვერც ყვარყვარემ აიცდინა; რუსის ჯარში რევოლუციური პროკლამაციების გავრცელების ბრალდებით დაპატიმრებულ ყვარყვარეს უეჭველად სიკვდილით დასჯა ელოდა, მაგრამ კარნავალური ჩანაცვლების წყალობით (იმპერატორი გადადგა, დროებითი მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში) სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება და ყოფილ „ჯალათებსა“ და „მსხვერპლს“ შორის ირონიულობითა და სარკაზმით აღსავსე დიალოგი წარიმართება:

„გამომძიებელი - მე მოვსულვარ თქვენთან იმ მტრედის მსგავსად, რომელმაც ნოეს კიდობანში მშვიდობის ამბავი მოუტანა... ოღონდ, დაიმახსოვრეთ ჩემი მტრედობა და კალთა მაფარეთ თქვენს სასუფეველში.

ნაცარქექია - სასუფეველშიო, - უსათუოდ მახრჩობენ.

გამომძიებელი - მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით, რომლისთვისაც სულს ლევდით! მოემზადეთ დიდი სიხარულისთვის.... რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა და დღეს ახალი მთავრობაა.

ნაცარქექია - მერე ახლა მე ტუსადი კი არა ვარ!.. არა ვარ... არა ვარ...

გამომძიებელი - არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ ჩვენი უფროსი ოფიციალურად არ გამოგიცხადებთ ამ ბედნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუსადად რომ არ იგრძნოთ, აი შემობრძანდით კაბინეტში, წამოჯექით სავარძელში და...

ნაცარქექია - ენა დაამოკლე. ბედნიერება, თორემ შენი მოცემულია. ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით? გეგონათ ასე შეგრჩებოდათ?!“ (კაკაბაძე, თ.გ.).

როგორც ვხედავთ, პ. კაკაბაძესთან ციხე მოიაზრება „ლოკალური ადგილის“ საყოფაცხოვრებო ქვესისტემის ქრონოტოპად; ი. ლოტმანის დეფინიციით, პიკარესკული გმირის არსებობის ტიპურ გარემოდ. როგორც აღვნიშნეთ, მსგავს ქრონოტოპში მოხვედრილი გმირები ცხოვრობენ „აქ და ახლა“ და მათი ავანტიურული ქცევა მოიაზრება გადარჩენისთვის აუცილებელ ნორმად. აქვე შევნიშნავთ, რომ ატომარული მიდგომის მიუხედავად (რაც გულისხმობს ერთი გმირის, ლოკალურ სივრცეში მიმდინარე ცხოვრების აღწერას) პოლიკარპე კაკაბაძემ შეძლო არა მხოლოდ ანეკდოტური სიტუაციების გადმოცემა, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე მთავარი გმირი, არამედ ფრონტისპირა სოფელსა და მაზრაში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ დიდი სიზუსტით აღწერა რუსეთის იმპერიის უკანასკნელი დღეები, ასახა ეპოქის თანადროული მაჯისცემა,

პოლიკარპე კაკაბაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში კიდევ ერთი საკითხი იქცევა ყურადღებას. ეს გახლავთ პიკაროს მხატვრული კონფლიქტის მიზნის საკითხი, რომელიც ასევე ქრონოტოპის საკითხს უკავშირდება. საქმე ის არის, რომ პიკარესკული რომანის ტრადიციის თანახმად, ჟანრული კონფლიქტი (ასოციალური პიკარო მოწესრიგებული სოციუმის წინააღმდეგ), როგორც წესი, ლოკალიზებულია გმირის ცხოვრების ბავშვობა-ახალგაზრდობის პერიოდში, ვითარდება თხრობის მიმდინარეობისას და ჰარმონიულად გადაწყდება ფინალში: პიკარო ხდება სოციუმის წევრი. საბჭოთა პერიოდის პიკარესკულ ბელეტრისტიკაში ჩვენ ვხედავთ ჟანრული კონფლიქტის სრულიად განსხვავებულ, ახალ ტიპს.

უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა გმირის „ბიოგრაფიის“ თვით სიუჟეტური პრინციპი. პიკაროს წარსული ან საერთოდ არ განიხილება (მაგ., როგორც ყვარყვარეს შემთხვევაში) ან განიხილება მხოლოდ მის აწმყოსთან კონტრასტში. სწორედ ამ ბიოგრაფიულ გარდატეხაზე გამოაშქარავდება „ყოფილი“ (კვაჭი,

ყვარყვარე...) და „ახალი“ (სევასტი, გულთამზე...) ადამიანების კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი, და როგორც წესი, ეს კონფლიქტი არ არის მოკლებული კომიკურობას.

ბიბლიოგრაფია:

ანთაძე, მ. (1998). ლაზარეს თავგადასავალი. *ცისკარი*. (#10), 10-52.

კაკაბაძე, გ. (2012). „სიცრუე და ორპირობა...“. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/18858>

კაკაბაძე, მ. (თ. გ.). როგორ გადაურჩა დახვრეტას პოლიკარპე კაკაბაძე - გვესაუბრება პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი მანანა კაკაბაძე. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.sana.ge/.../%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83...>

კაკაბაძე, პ. (თ. გ.). *ყვარყვარე თუთაბერი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/yvaryvare_TuTaberi.htm

ჯავახიშვილი, მ. (2004). *თხზულებანი შვიდ ტომად*. (ტ. II). თბილისი: საქართველოს მაცნე.

Maia Melanashvili

Gori State University

**PICARESQUE GENRE IN THE WORKS OF GEORGIAN WRITERS
(BASED ON THE WORKS OF M. JAVAKHISHVILI AND P. KAKABADZE)
RESUME**

The picaresque literary genre is a historical product of social-political cataclysm in Europe in the 16th-17th centuries. The picaresque genre continues to function today and maintains the trends of expanding the genre and enriching the content. Nowadays the heroes of the 20th century picaresque novel – Felix Krull(Germany), Josef Schweik(Czech Republic), Mr. Norris(England), Ostap Bender(Russia) and others – represent cultural heritage. Along them we have the heroes of Georgian picaresque of the 20th century – Kvachi Kvachantiradze and Kvarkvare Tutaberi. The “birth” of both literary heroes belong to almost the same period (Mikheil Javakhishvili’s “Kvachi Kvachantiradze”-1924, Polikarpe Kakabadze’s “Kvarkvare Tutaberi”-1928). In the present work we will mainly talk about these two literary heroes.

Keywords: Picaresque genre, Georgian nobility, Novel, Play.

*ალექსანდრე მღებრიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**საქართველო დამოუკიდებლობის რუბიკონთან და 1918-1921 წლების
ქართულ-ოსური ურთიერთობები
(პირველ თავყრილობათა ქრონიკები)**

საკვანძო სიტყვები: დამოუკიდებლობა, ქართულ-ოსური ურთიერთობები, თავყრილობა, საქართველოს ეროვნული საბჭო, დემოკრატიული რესპუბლიკა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა ჩვენს უახლეს ისტორიაში. პირველი მსოფლიო ომის შექმნილმა კრიზისმა და 1917 წლის რევოლუციამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა იმპერიის მიერ ოკუპირებულ ერებს აღედგინათ წართმეული სუვერენიტეტი. ქართველი ხალხი აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან ერთა შორის, რომლებმაც ეს შეძლეს. საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომელსაც მართავდა ეროვნული საბჭო. მალევე, ქვეყნის დამოუკიდებლობა სცნო ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით 26 მაისს გაზ. „საქართველო“ წერდა: „დღეიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღდგენილია. გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!

საქართველოს ყოველი ნაწილი, ქართველი ერის ყოველი საზოგადოებრივი წრე, ჯგუფი ქედს მოიხრის საქართველოს აღდგენილი თავისუფლების წინაშე.

ქართველი ხალხი - სოფლის მეურნე, ქალაქის მუშა, ხელოსანი თუ ვაჭარ-მრეწველნი ერთსულოვნად უნდა შემოკრბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობისთვის. ყოველი კლასის, ყოველი ჯგუფის და თვითეული ქართველი მამულიშვილის მხნე და თავგანწირული მოქმედება საჭირო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლად.

მთელი ერის საქმიანი ამოძრავება საჭირო, რომ ჩვენმა სამშობლომ დროზე დაახწიოს თავი დღევანდელ ეკონომიურ ჩამოქვეითებას, ფინანსურ გასაჭირს, ანარქიას და უწესრიგობას.

ხალხის ამოქმედება მეურნეობის აღსადგენად და ასაყვავებლად, მრეწველობისა და აღემ-მიცემობის გასაცხოვლებლად, ხალხის გონებრივის და კულტურულ კეთილდღეობის დასამყარებლად, მოითხოვს ეროვნული ცხოვრების მშვიდობიან პირობებს.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება ოსმალეთთან და მის მოკავშირეებთან და აგრეთვე ყველა მეზობელ ერებთან მშვიდობიანი განწყობილების დამყარებას. საქართველოს არ დაუწყია ომი და არ უწარმოებია ის. ომი დაწყებული იყო რუსეთის მთავრობის მიერ, რომელმაც უხეში ძალით გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ომი გამოაცხადა დაუკითხავად ქართველი ერისა და წინააღმდეგ მისი სურვილისა. ეს ომი განაგრძო ამიერკავკასიის რესპუბლიკამ, რომლის ფარგლებიდან დღეს გამოდის საქართველო.

ქართველ ერს სურს მშვიდობიან და მეგობრულ განწყობილებაში იყოს ოსმალეთთან, რომ ოტომანთა მთავრობას საქართველოსთან შეთანხმება და მეგობრული განწყობილების დამყარება აქვს მიზნად. საუკუნეთა მაგალითები გვარწმუნებს, რომ ასეთი გზა ორივე ქვეყნისთვის არის საიმედო და სასარგებლო...

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საქართველოს ეროვნული დროშის გამლა აღადგენს ერში საუკუნის მონობის დროს მიყუჩებულ მამულიშვილურ გრძნობებს, სამშობლოსთვის თავდადებას და თავგანწირულობას. ქართველი მხედრობა ღირსეულად განაგრძობს სახელოვან წინაპართა გზას და მტკიცედ დაიცავს საქართველოს მიწა-წყალს, მის თავისუფლებას და ეროვნულ მთავრობას, რომელიც ამ საიმედო ძალაზე დაყრდნობილი შეუდგება ჩვენი დაუძღვრებული ეროვნული ცხოვრების აშენებასა და აღდგენას.

საქართველოს მამულიშვილნო! საშინელს მსოფლიო ქარტეხილს, შინაურ და გარეშე ბრძოლაში საქართველოს თავისუფლება იშვა. შემოკრბით ყველანი მის დასაცავად და ასაყვავებლად.

გაუმარჯოს განთავისუფლებულს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!“ (საქართველო, 1918, №101, გვ. 1)

ქვეყანაში არსებული პროგრესული ძალები ათწლეულების განმავლობაში ამზადებდნენ ხალხს, ქვეყანას მომავალი დამოუკიდებლობისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა თერგდალეულთა მიერ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხტი, პერიოდული პრესის დაარსება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც მოფენილი მისი განყოფილებები, ქართული თეატრი, 1905 წლიდან ღიად დაწყებული ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად და მრავალი სხვა.

რომანოვთა სამასწლიანი დინასტიის მმართველობის დასრულების შემდეგ, ქვეყნის შიგნით გაჩენილი უამრავი წინააღმდეგობის გამო რუსეთმა ვედარ მოიცალა კავკასიისთვის და ქართველ პატრიოტთა მამულიშვილური ჩანაფიქრიც წარმატებით დაგვირგვინდა.

დამოუკიდებლობის რუბიკონთან აღმოჩენილი საქართველოს შესახებ ზურაბ ავალიშვილი რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში წერდა:

„Какъ было не услышать въ этотъ единственный моментъ клокотанія историческихъ стихій, какъ было не внять голосу всехъ, кого уже давно нѣтъ, какъ не подумать и о техъ, что еще придутъ? Сколько поколенийъ создавали грузинскую націю и тшетно искали для нея условій вольнаго развитія подъ солнцемъ? Вотъ независимость застучала въ дверь - какъ не броситься ей на встречу! Если упустишь это мгновѣнiе, какъ ответить потомъ передъ теми, кто будетъ после насъ? Или этотъ народъ рожденъ только для рабства, для подчиненія, и ему окончателно превратиться въ «этнический материалъ», из котораго штампуются, смотря по обстоятельствамъ то персы, то мурки, то русскіе? Нѣтъ, онъ помнитъ; онъ желаетъ воспрянуть и стать опять самимъ собою. Онъ этого не желаетъ? Онъ вздохнетъ о своей тюрьме какъ «Шильонскій узникъ» Байрона? пустъ это теперь и обнаружится! Перевертывается страница исторіи“ (Аваловъ, 1924, стр. 55)

პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობის მცირე ხნის მიუხედავად განსაკუთრებული კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. სწორედ ის აღმოჩნდება ერთადერთი სამხრეთ კავკასიური

ქვეყანა, სადაც წითელი რუსეთი საომარი მოქმედებების გარეშე ვერ შეძლებს ხელისუფლების სადავეების აღებას. ყოველივე ამას განაპირობებდა მკვეთრად ანტიბოლშევიკური განწყობა მოსახლეობაში. საქართველოს დემოკრატიული, ჰუმანისტური კურსი, თანასწორი განვითარებისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის სურვილი, ასევე ტოლერანტული დამოკიდებულება ეთნიკურ საკითხებში და სხვა ევროპული ღირებულებებისადმი მისწრაფება ნათლად აისახა დამოუკიდებლობის აქტსა და მოგვიანებით ქვეყნის კონსტიტუციაში. საზოგადოება უდიდესი აღტაცებით ეგებებოდა ასეთ გარდატეხას. საქართველო იდგა სრულიად ახალი ეპოქის კარიბჭესთან. სწორედ ამ კარიბჭესთან დგომის პირველი შთაბეჭდილებებით აღძრული ემოცია იკითხება ვლასა მგელაძის შემდეგ სტრიქონებში: „კავკასიონის თოვლით მოსილი ქედი სამშობლოს დასამშვენებლად ცის ტატნობზე აიხატა. მის მწვერვალიდან ცხოველ-მყოფელი მზის სხივი გამოკრთა, ყვარელის მთების სამოთხის მზგავს კახეთს ნათლის სხივებათ მიეფრქვია! გომბორის მთის კალთებში წმინდა ნინოს მონასტრის ჯვარს ეამბორა, მახათის გორით მისი მადლიანი პირველი სხივი მთაწმინდის ტაძარს მიანათა, დიმიტრი ყიფიანის ძეგლს გაოცებული სახე გადაუკოცნა, ილიას მწუხარზე დედა ნათლით შემოსა, აკაკის სავანეში ლარებათ ჩაეშვა, თფილისის სასახლე გაანათა და... ოი საკვირველებაჲ! იქ აფრიალებული ეროვნული დროშა გამოაჩინა, რომელიც დილის ნიაზე ფრიალებდა, მისი შვინდის ფერი ცისარტყელასავით შვენოდა!..“

საქართველოს სამფეროვანი დროშა ვითარცა სული წმინდა, თფილისში გამობრწყინდა!

დიადი ოცდა ექვსი მაისი გაგვითენდა!

შვენიერება დიდებით შეიმოსა!.. კრწანისის ველზე დაკარგული დროშა გამოჩნდა!..“ (მგელაძე, 1934, გვ. 67)

პირველყოვლისა მეზობელ ქვეყნებთან და ზოგადად ცივილიზებულ მსოფლიოსთან ურთიერთობა ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან არტერიას წარმოადგენდა. ქვეყნის ხელისუფლება საგანგებო ზომებს მიმართავდა რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღიარებისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. მოგეხსენებათ, დიდ მსოფლიო თავყრილობებზე ძალზე მწირი გახლდათ დაინტერესება მცირე ქვეყნების და მცირერიცხოვანი ერების პრობლემატიკით, თუმცა 1919 წელს ვითარება შეიცვალა. ვგულისხმობთ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ გამართულ პარიზის კონფერენციას¹, რომლის დღის წესრიგსაც მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისა და ახალი პოლიტიკური რუკის შექმნა შეადგენდა.

ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ყველაფერი იღონა ამ მდგომარეობის გამოსაყენებლად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მხრიდან შერჩეული დელეგაციის სოლიდური შემადგენლობიდან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მიიღეს ზ. ავალიშვილმა და ი. წერეთელმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ნ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

იმავე 1919 წლის 14 მარტს საქართველოდან წარგზავნილმა ჯგუფმა კონფერენციის მონაწილეთ წარუდგინა ფრანგულ ენაზე შედგენილი რუკა და მემორანდუმი საქართველოში არსებული ვითარების აღწერით. დოკუმენტში არგუმენტირებული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის აუცილებლობა, ქართული დელეგაცია ითხოვდა მოკავშირე სახელმწიფოებს მხარი დაეჭირათ საქართველოს მოსახლეობის არჩევანისთვის და ეცნოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა.

საქართველოს დელეგაცია ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა პარიზის კონფერენციაზე. თვეების განმავლობაში ეწეოდნენ საინფორმაციო, პროპაგანდისტულ საქმიანობას და აკი 1920 წლის დამდეგიდან² დე ფაქტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარეს საფრანგეთმა, იტალიამ, ინგლისმა და სხვა ქვეყნებმა. ევროპის ეს გადაწყვეტილებები ერთი მხრივ განპირობებული იყო ბოლშევიზმის რუსეთის საზღვრებში კონსერვაციის სურვილით, ხოლო მეორე მხრივ, 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ცნობამ საგრძნობლად გაზარდა ნდობა და ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. განვითარებული ქვეყნებისთვის საბჭოთა რუსეთის ინტერესი მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა და ამ ბარიერის მოხსნის შემდეგ საქართველო თავისი ბუნებრივი რესურსებით, პორტებით, სტრატეგიული გეოპოლიტიკური და მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციით კიდევ უფრო საინტერესო გახდა.

¹ პარიზის მშვიდობის კონფერენცია გახლდათ პირველი მსოფლიო ომის გამარჯვებული ქვეყნების მიერ ორგანიზებული თავყრილობა მოკავშირეთა და დამარცხებულ ძალთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულებების გასაფორმებლად. კონფერენცია გაიხსნა ვერსალის სასახლეში 1919 წლის იანვარში და ხანმოკლე ინტერვალის გამოკლებით გაგრძელდა წელიწადზე მეტხანს.

² ამაზე უფრო ადრე, 1919 წლის სექტემბერში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა არგენტინის მთავრობამ.

საერთაშორისო ასპარეზზე ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი პირდაპირპროპორციულად აისახებოდა იმედით მოსულდგმულე საქართველოს მოქალაქეებზე. აი როგორ განიცდიდა ქვეყანა პარიზის კონფერენციაზე გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს: „კიდევ ერთი დიდებული დღის სანეტარო წუთები განიცადა ტფილისმა.

საზავო კონფერენციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ელვის სისწრაფით მოედო ტფილისს.

დილის 10 საათზე ქუჩებში კანტი-კუნტად ისმოდა ხმები ამ სანეტარო ცნობის შესახებ, ზოგს არ სჯეროდა, მაგრამ 11-12 საათზე უკვე ყველასთვის ცხადი შეიქმნა ეს სასიამოვნო ცნობა, ტფილისმა უცბად სადღესასწაულო სახე მიიღო, ხალხი ქუჩებში გამოეფინა, შეწყდა მუშაობა ყველგან, აფრიალდა ეროვნული დროშები, ატყდა ზარის რეკა, ჯარი და გვარდია დაირაზმა, სიმღერა, მუსიკა...

1 საათია, ზღვა ხალხი მოაწყდა სასახლის ეზოს. ტევა აღარ არის, მოვიდა მასწავლებელთა მთელი ყრილობა. ხალხს სწყურია ამ ბედნიერ წუთს იხილოს ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნი, დემოკრატიის ბელადნი, - მთავრობა - ისმის ხმები. აი, გამოდის შინ. საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, პირზე ღიმი უკრთის, გრძნობა სჭარბობს, იკრებს ძალას, ულოცავს ხალხს საქართველოს გამარჯვებას.

კერძოდ მიმართავს მასწავლებელთ და იმედს გამოსთქვამს, რომ სახალხო მასწავლებელი კვლავაც არ დაიშურებს თავის ძალ-ღონეს მომავალი თაობის საკეთილდღეოდ და დემოკრატიული სახელმწიფოს განსამტკიცებლად. მასწავლებლები ქუდებს იხდიან და ფიცსა სდებენ, რომ ქართველი მასწავლებლის გული მტლად დაედება სამშობლოს ინტერესებს“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №9, გვ. 2)

ამავე დღეს, შეკრებილ საზოგადოებას წარმატება მიულოცა: მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ ალ. ლომთათიძემ, აკაკი ჩხენკელმა და სხვ.

„საუცხოო სანახავი იყო ჩამწკრივებული ჯარი და გვარდია.

გმირი ვალ. ჯუღელი ცხენზე ამყად ზის და არწივივით დაქროლავს.

ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი უორდროპი ქართულად ამბობს: „გაუმარჯოს საქართველოს!“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №9, გვ. 2)

საქართველოს დედაქალაქის განწყობას და პათოსს სამწუხაროდ, ყოველთვის არ იზიარებდნენ აქ მოსახლე მცირე ერების სეპარატისტული ზრახვებით გაბრუებული ძალები. მხედველობაში გვყავს ქართლში და მის მთიან ზოლში განსახლებული ოსი მოსახლეობის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ამ ადამიანების სახელმწიფოებრივ, საკანონმდებლო ჩარჩოებში ღირსეულად მოსათავსებლად, თუმცა მრავლობითი მცდელობების მიუხედავად ყოველთვის ვერ ახერხებდა ამას. საზოგადოდ საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს, ქვეყნის გასაბჭოებამდე, არასოდეს ჰქონიათ რაიმე ეთნოპოლიტიკური, ან ეთნოტერიტორიული ერთეული. ცნება „სამხრეთ ოსეთი“ შიდა ქართლის მთიანეთის ოსთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიის აღსანიშნავად ხელოვნურად მკვიდრდებოდა მიმოქცევაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთებისა და საქართველოს ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, რაც ფაქტობრივად ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელი იყო, მაგრამ იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად ხელსაყრელი გახლდათ. (ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები, 1992, გვ. 3)

ოსური სეპარატიზმის ღია გამოვლინების ფაქტები გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის პირველი დღეებიდანვე. 1918 წელს ჯავაში გამართულ სამხრეთ ოსეთის ხალხთა მე-5 ყრილობის დადგენილებაში ვკითხულობთ: „სამხრეთ ოსეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ფართე ტერიტორიულ თვითმმართველობის საფუძველზე“. (საქართველო, 1918, №173, გვ. 4) იმავე ყრილობის ამ რეზოლუციის გარდა იყო მეორეც და არანაკლებ მზაკვრული ჩანაწერი. კერძოდ, რეზოლუცია იარადის აყრის შესახებ: „მხედველობაში ვიღებთ რა, რომ ოსეთის მოსახლეობის სრული ლოიალური განწყობილება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელიც უფრო გაძლიერდება იმის შემდეგ, როცა გადასწყდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა, და იმ მდგომარეობას, რომ ოსეთის ხალხი დარაჯად უდგია რევოლუციის მონაპოვარს და წინააღმდეგია ყოველ გვარი ანარქიული მოქმედებისა. ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთავრობა არ მოისურვებს ძალით აჰყაროს იარადი ოსის ხალხს და მით უფრო მოიპოვებს ოსების ნდობას. ყრილობა ამავე დროს დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი თავის მხრივ რაიმე გამოსვლით მიზეზს არ მისცემს საქართველოს მთავრობას, რომ მან საჭიროდ იცნოს ოსების ძალით იარადის აყრა, ყრილობამ ამ საკითხის გამო მოლაპარაკების გამართვა ეროვნულ საბჭოს მიანდო“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №31, გვ. 4)

მიუხედავად იმისა, რომ, ზემოთ მოტანილი რეზოლუციის ენით რომ ვთქვათ, ოს მოსახლეობას სრულიად ლოიალური განწყობილება აქვს ქვეყნის მთავრობასთან და შედის საქართველოს

შემადგენლობაში, ამ ტექსტის გამოქვეყნებიდან სულ მალე გაზ. „ერთობა“ იძულებულია მკითხველს კვლავ მიაწოდოს ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში გართულებული მდგომარეობის შესახებ. ბუნებრივია, ხალხის ფართო მასა აქ არაფერ შუაშია და ხსენებული რთული ვითარების შესახებ მომზადებული ტექსტის ავტორიც ოსი ეროვნების მოქალაქეა, თუმცა, როგორც ჩანს, „წყლის ამრევთა“ პოვნა რეგიონში სულაც არ არის რთული. საუბარი ეხება გორის მაზრის ჯავის რაიონში ჩაშლილ ერობის ხმოსანთა არჩევნებს.

„ოსის მშრომელი ხალხი ძალიან კარგათ მიხვდა თანდათან, რომ სწორეთ მენშევიკებია მათი ინტერესების დამცველი და არა ისინი, რომლებიც სიტყვით „მართალნი“ და საქმით კი კუზები. რომლებიც ხალხს თეთრ პურს ჰპირდებიან და შავსაც კი არ აძლევენ.“

სამწუხაროდ ჯავაში ჩვენ არა გვყავს დემოკრატიული ძალები, რის გამოც ღარიბი ხალხი ყველაფრით ჩამორჩენილია და თუ ქართველმა დემოკრატამ ხელი არ გაუწოდა იქაურ მშრომელ ხალხს, მაშინ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდებიან.

ჯავაში თავს იყრის რამდენიმე ცენზიანი ინტელიგენტი, რომლებიც გამოდიან: ესერების, „ინტერნაციონალის“, უპარტიო და ბალშევიკების სახით. ნამდვილად კი ნაციონალ-შოვინისტებია და თავიანთი კერძო ინტერესების დამცველნი, მათთვის ხალხი თუგინდ წყალსაც წაუღია... ჩვენ მოუწოდებთ ოსის მშრომელ ხალხს, რომ ის მჭიდროდ შეუკავშირდეს ქართველ დემოკრატას და ამით გაუძღვეს თვითონ თავის კეთილ საქმეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდი დღე მოგველის. ხალხმა თავისი საქმე თვითონ უნდა გააკეთოს და უკუ აგდოს ყველა ჯურის შოვინისტები, „ინტერნაციონალიზმის“ სამოსელში გახვეული, რომელნიც დემოკრატიათა შორის მხოლოდდა მტრობას და შულს სთესენ“. (ბიბილოვი, 1918, გვ. 4)

ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის მტრების მხრიდან წარმოებულ დაუღალავ აგიტაცია-პროპაგანდას დროდადრო მოსალოდნელი ბნელი ნაყოფიც გამოჰქონდა. პერიოდული პრესა ძალიან ხშირად მოუწოდებს ცენტრალურ ხელისუფლებას სიფრთხილისკენ. ამ მოწოდებათა შორის იკვეთება ორი მიმართულება. საგარეო ფლანგზე მოდუნებული ყურადღების აღდგენა, განსაკუთრებით იმ მონაკვეთებში, სადაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის იდეურად შეურიგებელი და ამ ნიადაგზე არაერთხელ აჯანყებული ელემენტი მოსახლეობს და მეორე, შიდა მიმართულება, მიმართული იმ ცხელი წერტილებსკენ, სადაც კვლავ, მორიგი ამბოხების სუნი ტრიალებს.

„მთავრობამ ძალიან ნაჩქარევად გამოიყვანა ჯარი, მეორე საშიში რაიონიდან, ცხინვალიდან, სადაც ოსობას მეტად მოუსვენრად უჭირავს თავი. ამ თვე ნახევრის წინათ ამ მხარეში ოსობას დაეტყო აშკარა მღელვარება და მზადება აჯანყებისთვის. მთავრობამ დაასწრო და სწრაფად ჯარი გაგზავნა, რამაც აჯანყების მადა და ხალისი დაუკარგა მუამბოხეთ. დღეს მთავრობამ ეს კუთხე კვლავ გაამიშვლა, ხოლო ადგილობრივ ოსობაში ძალიან ცოცხლად სწარმოებს საამბოხო ორგანიზაციული მუშაობა. ჩრდილოეთიდანაც დენიკინის მომხრე ოსობა და რუსობა ცხინვალის ოსობას ხელს უმართავს და ასე რომ მოსალოდნელია თვით ამათი შეერთებული შეიარაღებული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ამგვარ შესაძლებლობის წინაშე ვდგევართ ცხინვალის რაიონში“. (საქართველო, 1919, №169, გვ. 1)

როგორც სულ მალე დავრწმუნდებით პრესის შემფოთება და სიფრთხილისკენ მოწოდება არ აღმოჩნდება საფუძველს მოკლებული. გამაფრთხილებელ განცხადებებთან ერთად იმავე ფურცლებზე ჩნდება ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დარღვევისა და საომარი მოქმედებების გაჩაღების შესახებ. ეს 1919 წლის ივლისია. რაჭის საზღვარზე, თერგის ოლქის¹ მხრიდან ე.წ. „ოსეთის სამხედრო გზით“, მამისონის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებიდან შემოტევა დაიწყო.

ვიდრე კონკრეტულად ამ ინციდენტზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, მკითხველს შევახსენებთ ერთ საგულისხმო დეტალს.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოს დამდეგს გვაუწყებს, რომ იმავე წლის 25 ივლისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თერგის ოლქის სახალხო საბჭოს შორის, საქართველოს ულტიმატუმის საფუძველზე, მოხდა შეთანხმების გაფორმება. საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ: გერასიმე მახარაძე და ვლადიმერ ჯულელი, ხოლო თერგის ოლქს - ფრიც ბულლე, იაკუბ არსანოვი და გაპურ არხიევი. შეთანხმება მოიცავს რამდენიმე პუნქტს, მათ შორის:

1. საქართველოს რესპუბლიკა და თერგის სახალხო კომისართა საბჭო აძლევენ ერთმანეთს სიტყვას, რომ მათ არა აქვთ არავითარი აგრესიული განზრახვანი ერთ-ერთის წინააღმდეგ.

¹ თერგის ოლქი შეიქმნა 1860 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით. ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ამ წარმონაქმნის შემადგენლობაში შევიდა ჩეჩნეთის, ინგუშეთის, იჩქერიის და მთის ოლქების ტერიტორია. რეგიონის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წელს თერგის ოლქი გაუქმდა და მის ნაცვლად დაარსდა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულები.

2. რადგანაც თერგის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გაათავისუფლა ამბოხების დროს ტყვედ ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქეები. საკითხი ტყვეთა შესახებ ჩაითვალოს გადაჭრილად.
3. თერგის სახალხო საბჭო იხმარს ყოველ ძალ-ღონეს და სიტყვას იძლევა, რომ არავითარი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ აგრესიული მიზნებით, ვისი ხელმძღვანელობითაც არ უნდა იყვნენ ისინი, არ იქნებიან გაშვებული საქ. რესპუბლიკის საზღვრებისკენ. თავის მხრივ საქ. რესპუბლიკა იღებს ვალდებულებას ლარსში მდგარ თავის ჯარს დაახვეწოს საკუთარი დისლოკაციის ადგილამდე.
4. იმის გასარკვევად თუ რა ზარალი მიაყენა საქართველოს რესპუბლიკას თერგის ოლქიდან წამოსულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა, სდგება შერეული კომისია პარიტეტულ პრინციპზე, ერთის მხრივ საქ. რესპუბლიკის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ თერგის ოლქის სახალხო კომისართა წარმომადგენლებისგან. ამასთან ეს უკანასკნელი იღებენ ყოველ ღონეს აღმოაჩინონ და დააბრუნონ დატაცებული ქონება, თუ ასეთი იქნება თერგის ოლქში.
5. ორივე მხარე ვალდებულია საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყოს უსაფრთხოება საქართველოს სამხედრო გზაზე და სხვ. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №7, გვ. 3)

ამგვარი შეთანხმების მიუხედავად მომდევნო წლის 24-26 ივლისს სწორედ თერგის ოლქის მხრიდან განხორციელდა ხუთასამდე მებრძოლისგან შემდგარი რაზმის თავდასხმა ოცდახუთი ჯარისკაცისგან შემდგარ ქართველ მესაზღვრეთა რაზმზე, რომელთაც ხელმძღვანელობდა კაპიტანი ჩიქოვანი.

„როგორც გამოირკვა დღევანდელ შემოტევის ხელმძღვანელი და წინამძღოლი ყოფილა დენიკინის პოლკოვნიკი ოსი გუცუნაევი, იგი მოუძღვის დენიკინის ავანგარდს ჩვენსკენ და ამ ავანგარდშია სულ გადაღმეული ოსობა. გზის მაჩვენებლად, ჯამუშებად კი უმთავრესად ჰყავთ ჩვენი ოსები, რომლებიც შეთქმულნი არიან გადაღმეულთან ერთად“. (გორდეზიანი, 1919, გვ. 4)

როგორც ჩანს, მთის მწვერვალებზე ვიწრო ბილიკებით გადმოსვლაში და სწორი გზის ჩვენებაში დენიკინის მებრძოლებს მეგზურობას უწევდნენ საქართველოში მცხოვრები, ქართული ენის კარგად მცოდნე ოსი ეროვნების ადამიანები.

ქართველ მესაზღვრეთა მცირერიცხოვანმა რაზმმა, ხელსაყრელი საბრძოლო პოზიციების წყალობით ძალიან მცირე დანაკარგით უკუაგდო მტრის შემოსევა. მომხდურმა დიდი ზარალით დაიხია უკან, რამდენიმე მებრძოლი ტყვედ ჩავარდა.

„ძალიან თავგანწირვა გამოუჩენიათ ყველას დაწყებული რაზმის ხელმძღვანელ ჩიქოვანიდგან, ნამეტნავად კი ოფიცერ გიორგობიანს და კოპალეიშვილს, რომლებმაც შეინარჩუნეს იმოდენა ბრბო და აოხრებისგან გადაარჩინეს ქართული სოფლები“. (გორდეზიანი, 1919, გვ. 4)

შემთხვევის ადგილზე მალევე მისულ მაშველ დანაყოფს ქართული შეიარაღებული ძალებიდან ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ინწკირველი.

ცხინვალის რეგიონი ფეთქებად ზონად გადაიქცა. საქმე შეიარაღებულ გამოსვლებამდეც მიდიოდა ზუსტად მაშინ, როდესაც საქართველო განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ცხინვალის პირველი დარბევა მოხდა საქართველო-ოსმალეთის შიარაღებული დაპირისპირების დროს 1918 წელს. მომდევნო პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირების მიზანს წარმოადგენდა ცალკე სამაზრო ერთეულის წარმოქმნა და ამ ერთეულის ცენტრად ცხინვალის გამოცხადება (1919) და მომდევნო 1920 წლის ოსთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც წინა ორთან შედარებით ბევრად ორგანიზებული და მასშტაბური გახლდათ.

„აქ უკვე რუსეთის ინტერესები აშკარაა: ისინი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფულადი სახით და გარკვეული შეიარაღებული ნაწილების გაგზავნითაც კი ეხმარებოდნენ. ეს აჯანყება 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის, შიდა ქართლის ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებას და რუსეთთან მიერთებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მალე ჩაახშო აჯანყება, მაგრამ შედეგი ბოლომდე დადებითი ვერ იქნებოდა. მართალია, ქართული ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა ბანდებისგან, მაგრამ ეს დაპირისპირება ოსებისა და ქართველების მახსოვრობაში მაინც დარჩა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი როლი ამ აჯანყებაში, არადა სწორედ რუსეთიდან მოდიოდა აჯანყების დაწყების ბრძანება. ქართულ მხარეს მკაცრი ზომების გატარება მოუწია აჯანყებულთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკვე მესამე აჯანყება იყო ოსი სეპარატისტების მხრიდან და საჭიროებდა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა. გაუთავებელი დაპირისპირება ხელს უშლიდა საქართველოს განვითარებას და შესაბამისად იქ მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის ოსების) წინსვლას და მშვიდობიან ცხოვრებას“. (გუნცაძე, 2013-2014, გვ. 41)

ზემოთ ხსენებულ ოსთა აჯანყებებს 1918-1920 წლებში აქტიურად გამოეხმაურა იმ პერიოდის ქართული პრესა. ეყრდნობა რა, გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ინფორმაციას გაზეთი „საქართველო“ წერს: „ოსები იტყვიან: ქართველები უნდა განვდევნოთ და ჩვენები უნდა დასახლდნენ მათ

ადგილას. ცხინვალში დიდძალი ოსობა ჩამოვიდა. ამჟამად გორში მდგარი ოსების პოლკი 300 კაცისგან შედგება. ამბობენ, რომ ცხინვალიდან კვლავ ჩადიან პოლკის გასამლიერებლად“. (საქართველო, 1918, №64, გვ. 3)

საგულისხმოა ცნობილი მოღვაწის, შალვა ამირეჯიბის მსჯელობა ამ მიმართულებით: „მთელი ტრაგედია ქართული დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როდესაც ქართული დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიზმის ნიადაგზედ სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ... პოლიტიკა წაგლეჯისა. აი რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც ამკარად განაცხადეს - ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მალღობი - ოსეთია...“ (საქართველო, 1918, №64, გვ. 2)

ოსთა საკითხის განხილვისას გაზეთი „საქართველო“ ხშირად უთმობდა ადგილს ისეთი ავტორების მოსაზრებებს, როგორებიც იყვნენ: შ. ამირეჯიბი (საქართველო“, 1918, №69, გვ. 3), გ. ქიქოძე (საქართველო, 1918, №124, გვ. 1) და სხვები.

დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერების მიმართ, მისი არსებობის მანძილზე, ერთგვაროვანი გახლდათ. მიუხედავად საკითხისადმი ასეთი ზნეობრივი, ტოლერანტული მიდგომისა, ხელისუფლებას მცდელობა არ დაუკლია მათი თანამედროვე ევროპული დემოკრატიული ღირებულებების გაღრმავება-განმტკიცების მიმართულებით. „დღეს, რუსეთის დაშლისას საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიას მიუახლოვდა კავშირისა და დახმარებისთვის, როცა რუსულ ორიენტაციას საბოლოოდ გამოეთხოვა და შეცვლილი პირობების მიხედვით დაადგა ახალ საერთაშორისო მიმართულებას, ითვისებს ახალ ორიენტაციას, რომელიც უფრო უზრუნველყოფილია მისი დამოუკიდებლობისა და განვითარებისთვის“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, #11, გვ. 2)

ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცირე ერების შემწყნარებლობა ისედაც ღრმად არის გამჭდარი ქართველი კაცის ცნობიერებაში, ტრადიციებში, ბუნებაში. ეს ძალზე ბუნებრივს და რეალისტურს ხდიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერ მისწრაფებას კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებულ ოჯახში. როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „ქართველმა ხალხმა ყველა ერის უფლების პატივისცემა იცოდა წარსულში, ეს მას დღეს უკეთესად აქვს შეგნებული. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს თავის ღირსებას და თვისებებს. მაგრამ ის ამავე დროს მოითხოვს, რომ სხვებმაც პატივი სცეს მის თავისუფლებას და დემოკრატიულ წესწყობილებას. საქართველოს რესპუბლიკა საერთო სამშობლოა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ ხალხისა განურჩევლად სარწმუნოებისა და გვარტომობის.

საქართველო თავის დამოუკიდებლობას, თავის თავისუფლებას და დემოკრატიას ყოველთვის დაიცავს და ყოველ ხელის შემშლელს სასტიკად შეებრძოლება. დაე, ყველამ იცოდეს, რომ ქართველი ხალხი და მისი დემოკრატია დღეს წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს იმ დიდი ენერჯისას, რომელიც თავდება ჩვენი რესპუბლიკის განვითარება-აყვავებისა, რომელიც მოგვცემს უეჭველს საშუალებას ყოველთვის მოვიგერიოთ როგორც შინაური, ისე გარეშე მტერი“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №11, გვ. 4)

დამოუკიდებელი საქართველოს სწრაფვამ ევროპული დემოკრატიული ღირებულებებისკენ, ამ მიმართულებით მიღწეულმა, გარკვეულმა წარმატებებმა, ხელისუფლების გამუდმებულმა ბრძოლამ ქვეყნის საგარეო თუ საშინაო ფრონტებზე, ბევრ თანამგრძნობებთან¹ ერთად მტრულად განწყობილი ძალებიც მოამრავლა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ პერმანენტულად მოუთხოვს მკითხველს შექმნილი ვითარების შესახებ. აცნობს ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების კუთხით. დღის წესრიგში არაერთხელ ხვდება საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეულ წარმატებათა ქრონოლოგია, ევროპული ქვეყნების გაერთიანების სრულუფლებიან და სრულფასოვან წევრად თავის დამკვიდრებისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი. თუმცა მკითხველს არ ეძლევა არც იმის დავიწყების საშუალება, რომ ყოველივე ეს ათასჯერ უფრო ახელბს შინაურ მტერს, რომლებიც მთელი არსებით არიან მოწადინებულნი, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკა უფსკრულში გადაიჩეხოს. თუმცა უმრავლესად საგაზეთო პუბლიკაციათა პათოსი ოპტიმისტურია. მტერი ყველა მიმართულებით დამარცხებული რჩება. „საქართველომ პირველ ყოვლისა ლიკვიდაცია უყო გამხრწნელ-მრღვეველ ბოლშევიზმს და მოიგერია მისი ლოზუნგებით წამოსული კონტრ-რევოლუციონური სასტიკი მტერი. ეს დიადი ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის სრული გამარჯვებით დასრულდა. სხვა მრავალ ფრონტზეც მოუხდა საქართველოს ბრძოლა. მრავალი იერიში კონტრ-რევოლუციონერებისა და რეაქციონერებისა უკუაგდო და მათი წამოსვლა ამაოთ ჰყო“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №82, გვ. 2)

¹ ვგულისხმობთ ნორვეგიელ დოქტორ ფ. ნანსენს, სამხ. აფრიკის წარმომადგენელს ლორდ რ. სესილს და სხვებს.

მიუხედავად მკითხველისთვის მოთხრობილი მრავლობითი საბრძოლო სცენისა, აქ უმთავრესია ერთი წინადადება, რომელიც, ვფიქრობთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ორიენტაციის ლაიტმოტივიცაა ყველა მტრულად განწყობილი მეზობლის და სეპარატისტული ზრახვებით შეპყრობილი შინაური ავანაკების წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო ოპერაციებისას. მოხმობილ ტექსტში ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკა ამ ბრძოლებში ყოველთვის სათანადო სიმადლეზე დგას და ისეთი ზომებისთვის არასოდეს მიუმართავს, რაც დემოკრატიული ღირებულებებისთვის შეუფერებელი იქნებოდა. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №82, გვ. 2)

მოსაზრებათა წყება ანალოგიურად ვითარდება სხვა არაერთ პუბლიკაციაში. მათ შორის ამაღელვებელი და პატრიოტული პათოსითაა განმსჭვალული საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის გახსნის დღესთან დაკავშირებით მომზადებული მასალა. (საქართველოს რესპუბლიკა, 1919, #57, გვ. 2)

1917 წლის რევოლუციის შემდეგ კავკასიაში მოსახლე ერებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. მოგეხსენებათ, კავკასია XIX საუკუნიდან ოკუპირებული გახლდათ რუსეთის იმპერიის მიერ და ამ ორგანიზმის დაშლით მიღებული შვება კავკასიაში მოსახლე ხალხთათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად გადაიქცა. კავკასიაში გაჩნდა ოთხი სახელმწიფო წარმონაქმნი: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა. ბუნებრივია, ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკური ორიენტაცია ყოველთვის ჰარმონიულ თანხვედრაში ვერ იქნებოდა, თუმცა ნათელი იყო საერთო მტრის ხატი, რუსეთი, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა, რათა ხელი შეეშალა მათთვის დამოუკიდებლობასთან ზიარებასა და განვითარებულ, ცივილიზებულ ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისთვის. ამ გზაზე საბჭოთა რუსეთისთვის ბრძოლის არანაირი მეთოდი არ არის მიუღებელი.

ვიმსჯელოთ მხოლოდ საქართველოს მაგალითით. ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საბჭოთა რუსეთის წაქეზებით გააქტიურდნენ ადგილობრივი სეპარატისტები მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. მათი აღვირახსნილი მოქმედებების შედეგად გაწამებული ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მხარდასაჭერად ხელისუფლება იძულებული გახდა მოკლე დროში რამდენჯერმე მიემართა გადამჭრელი ზომებისთვის.

გვსურს მკითხველს წარვუდგინოთ ზოგიერთი მასალა, რომელიც ასახავს საქართველოში არსებულ ვითარებას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში. თანდათანობით როგორ იწყება მზადება ისეთი მზაკვრული ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად, როგორც გახლდათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის მოპოვება, ახალგაზრდა ქართული დემოკრატიული რესპუბლიკისთვის ზურგში მახვილის ჩაცემა (თანაც რამდენჯერმე) და ა.შ. თვალი მივადევნოთ დამოუკიდებლობის რუბიკონზე მდგარ საქართველოს ცენტრალურ პრესაში გაბნეულ იმ ტექსტებს, საიდანაც ჩანს ცხინვალის რეგიონში მყოფი სეპარატისტული ძალების მიერ ფრთხილად გადადგმული ნაბიჯები, პირველ თავყრილობათა ქრონიკა.

პირველი საყურადღებო ტექსტი ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში გამოკრთა. ოსების ეროვნულ ყრილობაზე მოხსენება წაიკითხა ა. თიბილოვმა, რომლის დედააზრი გახლდათ ოსეთის ერთ ადმინისტრაციულ სამაზრო ერთეულად ჩამოყალიბება. სამხრეთ ოსეთში მოიაზრებოდა გორის, დუშეთის და რაჭის მაზრების ოსებით დასახლებული ტერიტორიები. ყრილობის მსვლელობისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თეზისი:

1. დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას სამხრეთ ოსეთის ერობა.
2. მთის ხაზი, ოსებით დასახლებული, რაჭის, გორისა და დუშეთის მაზრებისა გამოყოფილ იქნას ცალკე ტერიტორიულ ერთეულად.
3. ერობა უნდა აირჩეს საყოველთაო, სწორი, პირდაპირი, საიდუმლო და პროპორციული უფლებით.
4. ერობას უნდა ჰქონდეს უფლება გადასახადის გაწერისა და განკარგულებისა.
5. დაევალოს ეროვნულ საბჭოს უფრო ვრცლად შეიმუშაოს ერობის პროგრამა და შეუდგეს მის განხორციელებას.

ამავე ყრილობაზე ეროვნული ჯარის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში საჭიროდ სცნობენ ოსთა ეროვნული ჯარის შედგენის საჭიროებას ცალკე ქვეითთა ერთეულის სახით. ეს დანაყოფი უნდა შესულიყო ჩრდილოეთ კავკასიის ოსთა ჯარის შემადგენლობაში და მისი დისლოკაციის ადგილად განსაზღვრული იყო გორი ან დუშეთი. (საქართველო, 1917, №283, გვ. 4)

ოსთა ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ოსეთის ეროვნული საბჭოს დაარსება და სულ რამდენიმე დღეში წარმოდგენილი იქნა საბჭოს დებულებაც. ვინაიდან ეს ორგანიზმი უაღრესად საექვო რეპუტაციის აღმოჩნდება და ბევრი ბუნდოვანი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანაავტორად მოევიწინება პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ იმ დებულებაში

არსებულ მუხლებს, იმ პოსტულატთა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც იგი აპირებდა ასპარეზზე გამოსვლას და საკუთარი საქმიანობის განხორციელებას.

მაშ ასე, დებულება 26 მუხლს მოიცავს. კერძოდ:

1. უმაღლესი ძალა, ვიდრე დამფუძნებელი კრება სახელმწიფოებრივ წესრიგს დაამკვიდრებს, ოსეთის ტერიტორიაზე ეკუთვნის ოსეთის ეროვნულ ყრილობას და ეროვნულ საბჭოს.

2. ოსეთის ეროვნული საბჭო არის ა) საკანონმდებლო ყრილობა, ბ) უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალა, ზედამხედველი და ხელმძღვანელი ორგანო.

3. ეროვნულ საბჭოს უფლება აქვს შეავსოს ეროვნული ყრილობის დადგენილებები, ადგენს კანონებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ეროვნული ყრილობის დადგენილებებს, უფლება აქვს უკიდურეს შემთხვევაში გამოსცეს დადგენილებანი მიმდინარე მომენტის შესახებ.

4. ოსეთის ეროვნულ საბჭოს ეძლევა უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა.

5. ყველა საკანონმდებლო წინადადება ეროვნულ ყრილობაზე წარდგენამდე უნდა განიხილოს ერ. საბჭომ.

6. ოსეთის ეროვნული საბჭო აწესებს ოსეთის ტერიტორიაზე გამგებლობას, ეროვნულ ჯარს, კონტროლს უწევს ყველა არსებულ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებას და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

7. ოლქის კომისარი, სახალხო მილიციის გამგე თუ სახელმწიფო ორგანოთა გამგე ინიშნება ეროვნული ყრილობის მიერ.

8. კომისრის თანაშემწეს და სახელმწიფო ორგანოების გამგეებს ირჩევს ერ. ყრილობა.

9. ოსეთის ეროვნულ საბჭოს ირჩევს ოსი ხალხი.

10. ეროვნულ საბჭოს ჰყავს წარმომადგენელი თბილისში ეროვნული ინტერესების დასაცავად.

11. ერ. საბჭოს შეუძლია ხელშეკრულებები დადოს მეზობელ ერებთან.

12. ოსეთის ერ. საბჭოს წევრობა საპატიოა.

13. დეპუტატის პიროვნება ხელუხლებელია და იმყოფება ოსეთის ხალხის დაცვის ქვეშ.

14. დეპუტატები არჩეული არიან ერთი წლის ვადით და ფიცს სდებენ კონსტიტუციაზე.

15. დეპუტატს ვერავინ წართმევს უფლებამოსილებას ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე.

16. ოსეთის ეროვნული საბჭო შედგება ა) 12 დეპუტატისგან და 12 კანდიდატისგან, ბ) ორი დეპუტატი ოსეთის ჯარისგან, გ) ერთი დეპუტატი ჩრდილოეთ ოსეთის კოოპერაციებისგან, დ) ერთი დეპუტატი ჩრდილოეთ ოსეთის მოსწავლეებისგან, ე) ერთი დეპუტატი მოზდოკის მაზრის ოსებისგან, ვ) ერთი დეპუტატი ლაზინის ოსებისგან.

17. ქართველობას ეთმობა ერთი ადგილი ეროვნულ საბჭოში. აგრეთვე ერთი ადგილი დაეთმობა ყველა იმ ერის წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობენ ოსეთის ტერიტორიაზე.

18. კანდიდატები ითვლებიან საბჭოს დამატებით დეპუტატებად.

19. სამხრეთ ოსეთში იმყოფება ოსეთის ერ. საბჭოს სექცია.

20. სამხრეთ ოსეთის სექციას ჰყავს მუდმივი წარმომადგენელი ოსეთის ეროვნულ საბჭოში, რომელიც იმყოფება კავკავში.

21. ეროვნული სექციის წესდებებს ადგენს ეროვნული საბჭო.

22. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნული საბჭო ბჭობს კანდიდატებთან ერთად.

23. საერთო ოსური საკითხების გადასაჭრელად მოწვეული უნდა იყოს სრულიად ოსეთის სახალხო ყრილობა.

24. ეროვნული ყრილობის საგანგებო სექციის მოწვევა შეუძლია ეროვნულ საბჭოს, ან 30 დეპუტატისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს.

25. ეროვნული საბჭო პასუხისმგებელია ყრილობის წინაშე.

26. ამ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეუძლია ეროვნულ ყრილობას. (საქართველო, 1918, №5, გვ. 3)

როგორც ჩანს, თავიდანვე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ე.წ. ოსეთის ჯარის შედგენის საკითხზე. მოსაზრება ორად გაიყო. (საქართველო, 1918, №8, გვ. 3) ერთნი ემხრობოდნენ მინიმუმ ასი ცხენოსნისგან შემდგარი მილიციის ქვედანაყოფის შექმნის იდეას, სხვათა მოსაზრებით კი საჭირო იყო რეგულარული ჯარის ყოლა.

ოფიციალური თბილისი პირველ ეტაპზე კანონიერად მიიჩნეოდა ოსეთის ეროვნული საბჭოს არსებობას. თუმცა არსებობის პირველი დღეებიდანვე გამოვლენილი არაადეკვატური და რეაქციული ბუნების გამო, დაარსებიდან რამდენიმე დღის თავზე ე.წ. ოსთა საბჭო იღებს პირველ გაფრთხილებას. თბილისის შტაბი მზად არის ანგარიში გაუწიოს ოსთა მოთხოვნას შეიარაღებული ძალის ყოლის

თაობაზე, უფრო მეტიც, მზად არის ტანსაცმელი და იარაღი გამოუყოს მათ იმ შემთხვევაში თუ ოსთა ეროვნული საბჭო დაემორჩილება საქართველოში არსებულ რევოლუციურ ორგანოებს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო ბევრი მცდელობა, ოსთა ეროვნული საბჭოს მიერ დაგეგმილი ათასგვარი პროვოკაციული მაქინაციებით ხალხში გამოწვეული აგრესიული მუხტის გასანეიტრალებლად. გორის მაზრაში, კონკრეტულად ცხინვალსა და მის შემოგარენში ხშირად სტუმრობდნენ წარმომადგენლები დედაქალაქიდან. იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები. მომხსენებლები ხალხს მიმართავდნენ ქართულ და ოსურ ენებზე. მათთვის გასაგები ენით ხსნიდნენ საკანონმდებლო სიახლეებს, ქვეყანაში არსებული ვითარების დეტალებს. მოუწოდებდნენ წესრიგისა და სიმშვიდისკენ.

ასეთი შეხვედრები მრავლად იყო ყოველთვის და განსაკუთრებით კი 1918 წელს ცხინვალში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდგომ. მაგალითად, მარტის მოვლენებიდან მალევე 8 აპრილს გაიმართა პირველი საინფორმაციო მიტინგები ცხინვალის რაიონის სხვადასხვა საზოგადოებებთან. მიწათმოქმედების სამინისტროსა და გლეხთა ცენტრისგან წარგზავნილი რწმუნებულები: ა. ფარნიევი, ი. ბოლქვაძე და გორის სოც. დემოკრატიის ორგანიზაციის წევრი გ. მარგიევი ცდილობენ ხალხს მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული ახალი მიწის კანონის შესახებ. ამ ინფორმაციის მიღებას უაღრესად დიდი კმაყოფილება გამოუწვევია ხალხში. ასეთი საცნობარო შეხვედრები მიმდინარეობდა 8 და 9 აპრილს თამარაშენის, ვანათის, ორტევის და წუნარის მცხოვრები თემებისთვის.

ბოლქვაძე ხალხს მიმართავდა ქართულად, ხოლო ფარნიევი ოსურ ენაზე. შეხვედრებზე შეიმჩნეოდა დამსწრეთა შედარებითი ნაკლებობა, რაც იხსნებოდა ცხინვალის მოვლენებით გამოწვეული შიშით. ორატორები უხსნიდნენ ხალხს, რომ მსგავსი სამხედრო ოპერაციები მიმართული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, დამნაშავე ელემენტების გასანეიტრალებლად და არა ადამიანების ეთნიკური ნიშნით დასასჯელად. არგუმენტად იმის დასახელებაც იკმარებდა, რომ დამნაშავეთა დაჯგუფებების წინააღმდეგ იმავე პერიოდში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ოპერაციები ტარდებოდა: თელავში, ქუთაისში, გორში, სადახლოში და სხვაგან, სადაც ოსები არ მოსახლეობდნენ.

შეკრებილი ხალხი ერთი მხრივ მწუხარებას გამოთქვამდა გ. მაჩაბლისა და ს. კეცხოველის მკვლელობის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, მოითხოვდნენ მარტის მოვლენების დროს ცხინვალში დაკავებული პატიმრების გათავისუფლებას.

„ბოლოს ამხ. ფარნიევი უხსნის ხალხს, რომ ცხინვალში არსებობს საგამოძიებო კომისია და ყოველივე ცნობები გადაეცით მას, რომ კომისიას მიეცეს საშუალება დაადგინოს ჭეშმარიტება და მოუწოდა ხალხს - ნუ აჰყვებით პროვოკატორებს, რომლებსაც უნდათ რევოლუციისა და თქვენი დაღუპვაო. თავისუფლად იქონიეთ მსვლელობა როგორც ცხინვალში, აგრეთვე სხვაგანო. ხალხი სიამოვნებით უსმენდა ამხ. ფარნიევს და მიიღო ეს წინადადება“. (ერთობა, 1918, №87, გვ. 3-4)

1918 წლის 24 მაისს გაზ. „ერთობა“ გვაუწყებს, რომ 28 მაისისთვის ოსთა ეროვნულმა საბჭომ ჯავაში დანიშნა მესამე საერთო ეროვნული ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ ჩრდილოეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები და ერთი წარმომადგენელი ყოველ ათას მცხოვრებზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსთაგან. მოსალოდნელ განსახილველ საკითხთა შორის დომინირებს რამდენიმე ძირითადი მათგანი. კერძოდ, ამიერ-კავკასიისა და ოსების ურთიერთდამოკიდებულება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, 19-20 მარტის ცხინვალის ტრაგედია, გამომწვევი მიზეზები და შედეგები, ეროვნული საბჭოს შესაძლო რეორგანიზაცია (ერთობა, 1918, №104, გვ. 3) და მისთ.

არსებული გეგმის მიხედვით სოფ. ჯავაში 28 მაისს მართლაც შედგა ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენელთა მესამე კრება. ოსი ინტელიგენციის გარდა შეხვედრას ესწრებოდა სამოცდაათამდე ადამიანი, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს წარგზავნილები, ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან ი. რამიშვილი, ბოლშევიკების წარმომადგენლები: ფ. მახარაძე, გ. ჩხეიძე, აკოფიანი და სიხარულიძე.

თავყრილობა მისასალმებელი სიტყვით გახსნა ი. რამიშვილმა. შეკრებილ საზოგადოებას მიმართა ჩრდილოეთ კავკასიის ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა მ. ზორაევმა. 30 მაისს მოხსენება გააკეთა რუთენ გაგლოევმა (ცხინვალიდან ზარამაგამდე გზის გაყვანის შესახებ), გ. გაგლოევმა (ეროვნული საბჭოს მოქმედების შესახებ), ალ. ზასოხოვმა (ოსური პოლკის დაშლის შესახებ), ალ. თიბილოვმა (ოსური სასწავლებლების შესახებ). ბოლშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა ყრილობა ისე დატოვეს, მოხსენება არ გაუკეთებიათ.

ი. რამიშვილის მოხსენების შემდეგ წამოჭრილ კითხვებს შორის დომინირებდა აზრი, რომ ოსები დღეიდან დამოუკიდებლები არიან და შეუძლიათ არ შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკაში.

შეკითხვების ავტორებმა ვერ მიიღეს რა დადებითი პასუხი მომხსენებლისგან, საკითხის საბოლოო გადაწყვეტის მიზნით კრების გაგრძელება დაინიშნა 15 ივნისს სოფ. წუნარში.

ა. ფარნიევის შეფასებით, კრება საზოგადოდ არ გავდა საქმისთვის მოწვეულს. მას აძლევდნენ მიტინგის ხასიათს ზოგიერთები და საქმის კეთებაში ხელს უშლიდნენ როგორც თავმჯდომარეს, ისე დელეგატებს. (ფარნიევი, 1918, გვ. 3)

„ოსებში ათასგვარ ცნობებს ავრცელებენ ვიღაცები, ამბობენ: ოსებს, სომხებს და რუსებს ადგილებიდან ითხოვენო. ოსები, რუსები და სომხები შეერთდნენ ქართველების წინააღმდეგო და ვინ იცის კიდევ რას არ გაიგებთ. რომ დემოკრატიის მტრებმა არ გამოიყენონ ყველაფერი ეს და ნამდვილ ფაქტად არ გადასცენ ქართველ დემოკრატიას, ამისთვის, საჭიროდ მიმაჩნია ვაუწყო, რომ ოსის დემოკრატია არ აპყვება ხალხის მტრებს, არ დაიჯერებს მათ ნათქვამს და არ წავა თავისი მოძმე ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ. ვინც იცნობს ოსების ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინც იცნობს ოსების და ქართველების გეოგრაფიულ პირობებს, ვინც იცის ოსების პოლიტიკური მიმართულება, ყველა დამერწმუნება, რომ ოსები არ არიან დაინტერესებული ქართველი დემოკრატიის დასუსტებით. და თუ ზოგიერთი პირები ცდილობენ ამ ორ ერს შორის აამღვრიონ წყალი, ეს ოსებს არ უნდა მიეწეროს როგორც ერს. ერი არ არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ უპასუხისმგებლო პირთათვის.“ (ფარნიევი, 1918, გვ. 3)

ოსთა მესამე ყრილობას გამოეხმაურა გაზეთი „საქართველოც“. (საქართველო, 1918, №110, გვ. 3) რედაქციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ი. რამიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის და დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. მომხსენებელმა იმედი გამოთქვა, რომ ოსი ხალხი არ აპყვება კონტრ-რევოლუციონერებს და მხარს დაუჭერს საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულ რესპუბლიკას.

როგორც უკვე ვამბობდით, ყრილობაზე შემდეგი თავყრილობის თარიღად გადაწყდა 15 ივნისი. სოფ. წუნარში დაგეგმილი ამ შეკრების დღის წესრიგის მთავარ საკითხებად კი გაიწერა შემდეგი:

1. შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში და ვინ უნდა მოითხოვოს ამის შესახებ;

2. ოსი ინტელიგენციის მუშაობა წარსულში და დღეს;

3. ოსური პოლკის შესახებ;

4. რკინიგზის გაყვანის საკითხი ცხინვალიდან ზარამაგამდე;

5. ცხინვალის ამბების შესახებ;

6. რა უნდა აკეთოს ოსთა ეროვნულმა საბჭომ;

7. ჩრდილოეთ კავკასიის ოსთა და ამიერ-კავკასიის ოსთა კავშირის შესახებ.

სოფ. ჯავაში შემდგარი ოსთა მესამე ყრილობის მსვლელობისას თვალსაჩინოდ გამოვლინდა აგრესიული, შეიძლება ითქვას, მტრული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ი. რამიშვილის გამოსვლამ თითქოს შეცვალა თავყრილობის მონაწილეთა განწყობა, ხალხი თითქოს მიხვდა, რომ იგი შეცდომამია შეყვანილი, მოტყუებული და სწორ გზას აცდენილია, მაგრამ მთავარი საკითხები, მათ შორის - ოსებით დასახლებული ტერიტორიების შიდა პოლიტიკური მოწყობის თემა, ღიად დარჩა. ახალი ყრილობის მოწვევა გადაწყდა ორი კვირის შემდეგ. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, სეპარატისტული ზრახვებით აჟიტირებულთა და მათ წამქეზებელთა ჯგუფების მიერ დაიწყო გამალეული პროპაგანდისტული მუშაობა ახალი ყრილობისთვის შესაბამისი რეაქციული ატმოსფეროს შესაქმნელად. „ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიკებმა ერთის მხრით და ოსების ნაციონალისტ-შოვინისტებმა მეორეს მხრით, კვლავ გააჩაღეს მუშაობა. ამათ მხარს უმშვენებდნენ ესერებიც.“ (ერთობა, 1918, №129, გვ. 3)

ასეთ ატმოსფეროში გაიხსნა ოსთა მეოთხე ყრილობა სოფ. წუნარში 15 ივნისს. ყრილობამ მუშაობა დაიწყო საღამოს ხუთ საათზე. ა. ფარნიევმა შუამდგომლობით მიმართა ყრილობას, მთავარი საკითხების განხილვის მეორე დღისთვის გადასატანად. წარმომადგენლები თბილისიდან ჯერ არ ჩასულიყვნენ წუნარში და ამ საკითხების განხილვას ფარნიევი მათი თანდასწრებით უფრო სამართლიანად მიიჩნევდა. ყრილობამ შუამდგომლობა უკუაგდო.

მეორე დღის 11 საათისთვის თავყრილობას ცხინვალიდან შეუერთდნენ: ირ. წერეთელი, ვლ. მგელაძე და ვლ. ვოიტინსკი. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მცირე ამონარიდი ირ. წერეთლის მიერ წარმოთქმული ემოციური მოხსენებიდან: „არიან ჩვენს ტერიტორიაზე პატარა ერები, როგორც მაგალითად, ოსებია, სომხები, აფხაზები და სხვ., რომლებიც ფიქრობენ გამოცალკეებას. საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნას. და თუ ეს მოხდა, საქმე ხელიდან წასულია. ჩვენ ისედაც დაქსაქსულნი ვართ და უკე თუ თითოეული პატარა ხალხი საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოინდომებს, მაშინ აღარავინ აღარ გადარჩება. ისინიც დაიღუპებიან და ჩვენც დავიღუპებით. ოსეთის ხალხი დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის შინაურ საქმეებში, მაგრამ იგი არ უნდა გამოეყოს საქართველოს. ჩვენ მაშინ გარეშე მტრის სათამაშო იარაღად გავხდებით. ამ კრიტიკულ წუთებში მე

გირჩევთ თქვენ იმას, რაც სასარგებლოა ოსეთის მშრომელი ხალხისთვის. ეს არის რევოლუციის მონაპოვართა საერთო ძალით განმტკიცება“. (ერთობა, 1918, №129, გვ. 3)

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად იცოდა ქართული ენა, სურდათ კიდევ ქართულ ენაზე საუბარი, თუმცა ყრილობის თავმჯდომარემ შეახსენა მათ, რომ სამუშაო ენა იყო რუსული, რომელიც შემდეგ ოსურად უნდა გადათარგმნილიყო. ამის შემდეგ მოხდა წარმოთქმული სიტყვის შემოკლებული ვარიანტის თარგმნა ოსურ ენაზე და ისე მიეწოდა შეკრებილ საზოგადოებას.

მოგვიანებით ყრილობის მონაწილეებს სიტყვით მიმართა სოციალისტ-რევოლუციონერთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ. მან მენშევიკები მოლაპატებად გამოაცხადა და „რევოლუციურ ოსეთს“ ჩრდილოეთის ორიენტაციისკენ მოუწოდა.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ჟურნალისტმა ვოიტინსკიმ. შეხვედრა დაასრულა კვლავ ირ. წერეთლის მოხსენებამ.

15-16 ივნისის ოსთა მეოთხე ყრილობაზე მიღებულ იქნა სამი რეზოლუცია (ერთობა, 1918, №129, გვ. 3) შემდეგი შინაარსით:

1. ვალარებთ რა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება იყო ერთად-ერთი გზა საქართველოს საზღვრებში დემოკრატიის საქმის გადასარჩენად, ყრილობა დამლუპველად ცნობს ყოველგვარ გამოსვლას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და ირჩევს კომისიას, რომელსაც ევალება შეიმუშაოს თვითმართველობის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის იმ ოლქებისთვის, სადაც ოსები სახლობენ.

2. სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეოთხე ყრილობამ მოისმინა რა წერეთლის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, დაადგინა: სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის საკითხი გადაიდოს შემდეგი ყრილობისთვის, რომელიც გაიმართება ექვსი კვირის შემდეგ უფრო მეტი შემადგენლობით. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ კონსტიტუციის შემუშავების დროს საკითხი ოსეთის შესახებ დატოვოს ღიად.

მოხდეს მოლაპარაკება და შეთანხმება ჩრდილოეთ ოსეთთან ორიენტაციის შესახებ.

3. მესამე რეზოლუცია მოითხოვდა ოსეთის შესვლას საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც ავტონომიური ერთეული.

მიღებულ რეზოლუციებთან დაკავშირებით წერეთლის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ყრილობამ არ მიიღო მხედველობაში და მხოლოდ მცირე კორექტივების შეტანით ძალაში დატოვა მიღებული გადაწყვეტილებები.

მოხმობილი ტექსტებიდან ცხადი ხდება ის გეგმები და განწყობილებები, რომლებიც გააჩნდა ოსთა გარკვეულ ნაწილს მისი მასპინძელი ქვეყნის მისამართით. სწორედ ეს განაპირობებდა გაზ. „ერთობის“ მოწოდებას: „საჭიროა დღესვე იქნას მიღებული შესაფერი ზომები იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ნორჩ რესპუბლიკას, რომლის სათავეში რევოლუციური დემოკრატიაა, ძირს უთხრიან; ვინც ჩუმად, მალულად თავს ესხმის და ლამობს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მას. დაყოვნება და ყოყმანი არ შეიძლება!“ (ერთობა, 1918, №129, გვ. 3)

მეოთხე ყრილობის მუშაობის შედეგმა პესიმისტურად განაწყო გაზეთი „საქართველო“. მისი განცხადებით, სამხრეთ ოსეთის მდგომარეობა დიდად შემაშფოთებელია. რედაქცია არ გამორიცხავს, რომ ექვსი კვირის შემდეგ დაგეგმილ მორიგ თავყრილობაზე ენაწელიანი ორატორების ნაცვლად ხელისუფლებამ ვ. ჯუღელი გააგზავნოს. ადგილზე ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ოსობას ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია იარაღი, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ქართულმა ნაწილმა ეს პროცესი კარგა ხანია დაასრულა. ეს გარემოება სრულიად ლეგიტიმურს ხდის ვარაუდს, რომ მოვლენები კიდევ უფრო ტრაგიკული სცენარით განვითარდეს, ვიდრე ეს უკვე მოხდა.

„ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსობის საკითხი, პარლამენტში თუ ბრძოლის ველზე. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ეს საკითხი საქართველოს შინაური საკითხია. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები ან საქართველოს ოლქის ჭარელ-დებურელები. ეს სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეა, თუ რა უფლებები მიენიჭება ყველა ამ პატარა თემებს საზოგადო სამოქალაქო უფლებების გარდა. კერძოდ ჯავის ხეობელ ოსებს აქვთ თავიანთი ენა, მაგრამ არა აქვთ ლიტერატურა და ეროვნული კულტურა, ამიტომ შეუძლებელია ოსურ კულტურულ ან ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი. მით უმეტეს შეუძლებელია, რომ ცალკე ოსური სახელმწიფო მოეწყოს, რომელიც ჯაველ და წინარელ ფანტაზიორების გეგმით საქართველოს რესპუბლიკას უნდა შეუკავშირდეს ფედერატიულად. ცალკე სახელმწიფოს დაარსება ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც ეს ოსის მეჯოგეებს წარმოუდგენიათ“. (ოსების საკითხი, 1918, გვ. 1)

ზოგადად, გაზეთი „საქართველო“ მკითხველს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას იმ ეროვნული საფრთხეების შესახებ, რომლის წინაშეც საქართველო იმყოფება. ძალიან ხშირად ეს საფრთხეები საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს უკავშირდება. ეს ეხება ბორჩალოს მაზრას, აფხაზეთის ოლქს და რა თქმა უნდა, შიდა ქართლს, სადაც ჩრდილოეთიდან მოდენილ ოსობას უერთდება ბოლშევიზმის სენით დაავადებულ ადგილობრივ ოსთა ნაწილი.

„მთელი საქართველო ბრძოლის ველად იქცა და ჩვენს ქვეყანას კიდით კიდემდე ანარქიის ცეცხლის ალი მოედო. ახლად აღდგენილი საქართველო საშინელ ხიფათს განიცდის და ჩვენ მონაწილენი გავხდებით უდიდესი ეროვნული უბედურებისა, თუ ვერ შევძელით ყველა ცოცხალი ძალების შემოკრება და ეროვნული განსაცდელის თავიდან აშორება“. (ეროვნული საფრთხე, 1918, გვ. 1)

რაც შეეხება ექვსი კვირის შემდეგ დაგეგმილ ოსთა მეხუთე ყრილობას, იგი გაიმართა სოფ. ჯავაში 5 აგვისტოს. (ერთობა, 1918, №176, გვ. 2) გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენტის (ფსევდონიმით „გოგია“)¹ ინფორმაციით საყოველთაოდ გახლდათ ცნობილი, რომ ამ ექვსკვირიანი ვადის განმავლობაში ოსთა ეროვნული საბჭო იმედოვნებდა აჯანყების ორგანიზებას, იმედი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის დახმარების. ასეც მოხდა. სწორედ ამ დროს აჯანყება მოედო საჩხერის რაიონს და დუშეთის მაზრას. ოსი ხალხის მიმართ „ერთობის“ პოზიცია უცვლელია: ოსების აჯანყება არ არის სახალხო აჯანყება, არამედ ეს ახალმოდური ბოლშევიზმია, რომელიც რუსეთთან შეერთებას ისახავს მიზნად. (რას გვასწავლის ოსების ყრილობა?, 1918, გვ. 1)

ყრილობაზე მოწვეული 65 დელეგატიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა 57-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. უმრავლესობა უპარტიო გახლდათ და პირველად ესწრებოდა ამ ტიპის თავყრილობას. აქ იმყოფებოდნენ: გ. გაგლოვი, პ. თედევი, დეკანოზი ჯიოვი, პოლკოვნიკი ფილიევი და სხვ. დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. მოხსენებები ადგილებიდან;
2. ეროვნული საბჭოს ანგარიში;
3. ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი;
4. იარაღის აყრის შესახებ;
5. საჩხერის რაიონში შექმნილი რთული ვითარების შესახებ;
6. მართვა-გამგეობის მოწყობა ოსებში;
7. ეროვნული საბჭოს ახალი არჩევნები;
8. ეკლესია და ოსების სამღვდელეობა;
9. ჯავის ხეობაში უღელტეხილზე გზის გაყვანა;
10. ბეჭდვითი ორგანოს დაარსება;
11. ფულის შეგროვება საბჭოს ხარჯების დასაფარად.

ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ საინტერესო მოხსენება გააკეთა პ. თედევმა. (ერთობა, 1918, №177, გვ. 4) წუნარის ყრილობაზე იგი არჩეული იყო დელეგატად ჩრდილოეთ ოსეთში. დავალებული ჰქონდა გაცნობოდა იქ შექმნილ ვითარებას და იქაურ ადგილობრივ მკვიდრთა შეხედულებებს ე.წ. სამხრეთ ოსეთზე.

შეკრებილ საზოგადოებას პ. თედევმა წარუდგინა წინადადება, რომლის მიხედვითაც ოსები შედიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მოითხოვენ ფართო ტერიტორიულ თვითმართველობას იმ ოსებისთვის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და კულტურულ ავტონომიას იმ ოსთათვის, რომლებიც გაფანტული არიან საქართველოს ტერიტორიაზე. ოსთა ეროვნულ საბჭოს ევალეზობდა თვითმართველობის დებულების პროექტის შედგენა და მთავრობისა და ოსთა მეექვსე ეროვნული ყრილობის წინაშე წარდგენა. კენჭისყრის შედეგად აღნიშნული წინადადება მიღებულ იქნა 55 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

კვლავ ღია დარჩა საკითხი იარაღის აყრის შესახებ.

ა. თიბილოვმა გააკეთა მოხსენება საბჭოს საქმიანობის და ახალი საბჭოს არჩევის აუცილებლობის შესახებ. (ერთობა, 1918, №181, გვ. 3-4)

¹ „გოგია“ - ს ფსევდონიმით მოღვაწეობდა ორი ადამიანი:

ა) **გიორგი ჩხეიძე /გიორგი ქუჩიშვილი** (1886-1947) - მწერალი, პოეტი. დაიბადა თელავის რაიონის სოფელ მერეში. სწავლობდა თბილისში ავლაზრის სამოქალაქო სასწავლებელში. პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1914 წელს. მისი მთავარი პერსონაჟები საზოგადოებისგან გარიყული მშრომელი ადამიანებია. გარდაიცვალა 1947 წელს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში;

ბ) **გრიგოლ ნუცუბიძე** (1882-1961) - საქართველოს დამსახურებული (1932) და სახალხო (1955) არტისტი. ჭიათურის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, წამყვანი მსახიობი და დირექტორი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. იყო ჟურნ. „ეშმაკის მათრახის“ და სხვა იუმორისტული გამოცემების თანამშრომელი.

საუბარი შეეხო ი. ხარებოვის შეიარაღებული რაზმის მონაწილეობას საჩხერის ოსთა გამოსვლებში. მომხსენებლის მიერ მოტანილი ფაქტების მიხედვით, აღნიშნულ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ რაჭა-შორაპანში მცხოვრები ოსები და არც ჯავის და არც სხვა რეგიონის მკვიდრ ოსებს საჩხერის მოვლენებში მონაწილეობა არ მიუღიათ. საბჭოს მოსაზრებით, ვითარებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ აჯანყებულთა უმრავლესობას შეადგენდნენ შეიარაღებული ყაჩაღები, რომლებიც არ ინდობდნენ არავის. მარცვაკდნენ, წვაგდნენ და აყაჩაღდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ანალოგიურად ვითარდებოდა მოვლენები დუშეთის მაზრაშიც. არავითარი იდეური ხასიათი ამ გამოსვლებს არ გააჩნია.

საბჭოს ხელახალი არჩევნების შემდეგ იგი დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ა) სოციალ-დემოკრატებიდან: გ. გაგლოევი, ა. ფარნიევი, ა. ბიბილოვი, მ. მარლიევი, კ. ძეგისოვი, ს. ძასოხოვი.

კანდიდატები: ა. კაბულოვი, ფ. თედეევი, ნ. სანაყოვი.

სოციალისტ-რევოლუციონერებიდან: ა. თიბილოვი, პ. თედეევი, ნ. ჯიოევი, ვ. ჯიოევი, ა. ბეგიზოვი, ვ. გაზაევი.

კანდიდატები: ი. ჯიოევი, დ. ჯიგაევი, გ. ყოჩიევი.

ბოლშევიკების მომხრეთაგან: ც. აბაევი, კ. ჯადთიევი, ს. ხარებოვი, გ. აბაევი, ზ. აიდაროვი, დ. სანაყოვი.

დარჩენილი თოთხმეტი წევრის შემადგენლობა ასეთია: ქ. ჯიოევი (უპარტიო), ა. ჯადტიევი (ბოლშევიკთა თანამგრძნობი), ი. ფილიევი (უპარტიო), ი. სობიევი (სოც. დემ. თანამგრძნობი), დ. ცხოვრებოვი (უპარტიო), დ. კოზაევი (სოც. დემ. თანამგრძნობი), ს. ძაბიევი (უპარტიო), ვ. ქარსანოვი (სოც. დემ. თანამ.), ლ. ცხოვრებოვი (სოც. რევ. თანამ.), დ. ხუგაევი (ბოლშ. თანამ.), ნ. სანიკაევი (სოც. დემ. თანამ.), გ. ჯიოევი (უპარტიო), თ. ცაბოლოვი (უპარტიო).

კანდიდატები: ზ. ვანეევი (სოც. დემ. თანამ.), ა. გაგლოევი (სოც. დემ. თანამ.), ე. ცხოვრებოვი (უპარტიო), ო. ფილიევი (სოც. რევ.), დ. გაგლოევი (სოც. დემ. თანამ.), გ. გაგლოევი (უპარტიო), მ. ხეთაგუროვი (სოც. დემ.), ბ. ყოჩიევი (სოც. დემ. თანამ.). (ერთობა, 1918, №181, გვ. 3-4)

ოსთა მეხუთე ყრილობის შემდეგ დედაქალაქში, სოციალ-დემოკრატების ფრაქციის სხდომაზე გ. გაგლოემა გააკეთა ანგარიში, სადაც კიდევ ერთხელ შეაჯამა ყრილობის მუშაობის შედეგები და შეფასება მისცა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. მის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ოსთა მესამე და მეოთხე ყრილობების მსგავსად მეხუთე შეკრებაც ნაციონალისტების დიდი გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა. „მაგრამ როგორც რეზოლუცია, ისე საზოგადოდ ყრილობაზე მოქცევა ამტკიცებს, რომ ნაციონალისტებს ყურები ჩამოუყრიათ. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოსგან გამოყოფა არც კი უფიქრიათ. ეს აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ დუშეთ-საჩხერეში სასტიკი დამარცხება იგემეს ბოლშევიკებმა და ოსმა ნაციონალისტებმა, მეორეს მხრით იმით, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან დაბრუნებულს, დელეგატ პ. თედეევს ვერ ჩამოუტანია სანუგეშო ამბავი“. (ერთობა, 1918, №169, გვ. 1-2)

სხვა პუბლიკაციაში გაზეთი „ერთობა“ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მიუხედავად ოს ნაციონალისტთა დიდი სურვილისა შეიარაღებულ გამოსვლებში ჩაეთრიათ მთელი ოსი ხალხი და ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკაც გატარებულიყო მთელ ერზე, კრახით დასრულდა. საქართველოს მთავრობა ებრძოდა არა ოს ხალხს, არამედ ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე აჯანყებულ, შეიარაღებულ პირებს, ასევე აჯანყებულ სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად. კვლავ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩებოდა მიწის კანონის განხორციელება, მოსახლეობიდან იარაღის ამოღება, სამართლიანი სასამართლოს მოწყობა.

საქართველო იცავდა და კვლავაც მზად იყო დაეცვა ოსური დემოკრატის ინტერესები. ოსი ნაციონალისტები დამარცხდნენ: მათი პროვოკაციის ქსელი ჩაიშალა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომ ოსების საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი იყოს.

ჩვენ მოვალე ვართ კარგად ჩავუკვირდეთ მეხუთე ყრილობის დადგენილებას. თავისთავად ჩვენ არაფერი არ გვაქვს წინააღმდეგი იმისი, რომ ოსობამ ფართო თვითმართველობა მიიღოს. მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ის ფორმა, რომელშიც ოსი ნაციონალისტები ამ თვითმართველობის განხორციელებას მოითხოვენ.

ჩვენთვის მისაღებია მართველობის ის ფორმა, რომელსაც ოსის ხალხის უმრავლესობა ძალდაუტანებლად და შეგნებულად მიიღებს.

მეხუთე ყრილობა, რომელიც გაგრძელებაა მეოთხე ყრილობის, არ არის ოსების ნების გამომხატველი ორგანო და ამიტომ ვერც მის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო იქნება ავტორიტეტული“. (ერთობა, 1918, #169, გვ. 1)

1918 წლის პირველ თავყრილობათა სერიას აგვირგვინებს ნოემბერში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ცნობა ოსთა ეროვნული საბჭოს სესიის კრებების შესახებ. ამ თავყრილობებზე, დედაქალაქის წარმომადგენლის სტატუსით, ცხინვალში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი მ. კლიმიანოვილი, რომელიც სამუშაოს დასრულების შემდეგ ანგარიშით წარსდგა

შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. ცხინვალში გამართული თავყრილობების მიერ განხილული საკითხები ძირითადად ზემოთ ხსენებულ თავყრილობათა დღის წესრიგების მსგავსია. კვლავ წინა პლანზეა ყაჩაღთა თარეშის წინააღმდეგ ბრძოლა, მოსახლეობიდან იარაღის ამოღება, ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ოლქად გამოყოფა, ადგილზე შეიარაღებული ძალის არსებობის საკითხი, ჯავის ხეობაზე ჩრდილოეთ კავკასიისკენ გზის მშენებლობა, სკოლების დაარსების აუცილებლობა და მრ. მისთ. (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №82, გვ. 4-5)

საქართველოს განვითარებისა და ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის გზაზე ყოველთვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა კავკასიისკენ მიმართული რუსული საფრთხე. კავკასიაში და მათ შორის საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების მუდმივი ინსპირირება მეფის რუსეთის და მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის სხვა ერებთან ურთიერთობის მეთოდოლოგიის განუყრელ სეგმენტს წარმოადგენდა.

ასეთი მიდგომა ანგრევდა ერთიან კავკასიურ პლატფორმას და სულ უფრო შორეულ ზმანებას ამსგავსებდა დასავლური ცივილიზაციის წევრად ქცევას. საქართველო ჯიუტად მიიწევდა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. სირთულეებით აღსავსე გზაზე წარმატებული ნაბიჯებიც მრავლად გადაიდგა. საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სავალ გზაზე უდიდესი წარმატება იყო 1917 წლის სექტემბერში საქართველოს კათალიკოს პატრიარქის არჩევა და პატრიარქის ტახტზე კირიონ II (სამაგლიშვილის) დამტკიცება. ამის შემდეგ, როგორც არასდროს, ყველა პირობა არსებობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ასეთ გარემოში, საქართველოს დამოუკიდებლობის რუბიკონთან, ჩვენი ქვეყნისთვის თავდადებული ეროვნული მოღვაწე კოტე აფხაზი წერდა: „იქნებ ამ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ.“ (საითიძე, 1997, გვ. 83)

სამწუხაროდ, თავისუფლად ამოვისუნთქვა მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წასული სპირიდონ კედია 1923 წლის 1 მაისს სტამბულიდან სწერს გრიგოლ ვეშაპელს: „მვირფასო მშაო გრიგოლ, ერთი ორი საათის წინ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა, გუშინ, 31 მაისს, დღის 2 საათზე, სტამბოლში გავლით გაჩერებულმა ერთმა ქართველმა გემიდან გადმომაწოდა გაზეთი „კომუნისტი“, სადაც ჩვენი საუკეთესო მეგობრების და მოქმედი ამხანაგების დახვრეტის შავი ამბავია მოთხრობილი. წააქციეს და თავი მოსჭრეს კოტე აფხაზს!.. კეთილშობილი და მორიდებული, გონიერი და მყარი ვით კლდე, ჩვენი აფხაზი, აწ სხვერპლად გაღებული სამშობლოს დიდებისთვის, ხასიათი იყო საქართველოსი. ის დიდი ქართველები, რომელნიც ჰქმნიდნენ საქართველოს და კიდევაც შეუქმნიათ იგი, მე მხოლოდ კოტე აფხაზის სახით მყავდა, ამ ჩვენს დროში, წარმოდგენილი. დიდი ილიას წაქცევის შემდეგ, ეს პირველად ვიგრძენი საქართველოს სინამდვილიდან ქართული ხასიათის ამოთხრის ტკივილები. ილიას და კოტეს სისხლის ნათესაობა უშედეგო შემთხვევა როდი იყო. მან ილიას ხასიათი კოტეში გამოქსოვა. დიდი ქართველები თუ ოდესმე გყავდა, ისინი მხოლოდ ილიას და კოტეს ტიპისა უნდა იყვნენ. პატარა ჩვენი ქვეყანა დიდ საქართველოდ, ნამდვილ საქართველოდ მხოლოდ ასეთი ადამიანების მეოხებით გადაიქცევა...“

დახვრიტეს გენერალი ანდრონიკაშვილი, იშვიათი პიროვნება, გმირი მხედარი, ძალიან განათლებული და გონიერი გენერალი.

დახვრიტეს გენერალი ვარდენ წულუკიძე. რაინდი. უშიშარი მეომარი. პატრიოტი.

დახვრიტეს როსტომ მუსხელიშვილი. პოლკოვნიკი, პატრიოტი, გონიერი, დიდი მუშაკი, მუშაობდა ჩვენთან.

დახვრიტეს... მაგრამ... მიმძიმს ყველას ჩამოთვლა. სიას დავამზადებთ და თან გაახლებთ...“ (ნონეშვილი, 2007)

საბჭოთა რუსეთის მიერ, 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული, ეპოქა დაიწყო.

ბიბლიოგრაფია:

ბიბილოვი, ა. (1918). ერობა გორის მაზრაში და ჯავის რაიონი. *ერთობა* (265).

გორდუხიანი, გ. (1919). შემოტევა რაჭის საზღვარზე. *საქართველო* (169).

გუნცაძე, მ. (2013-2014). 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით. *ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI*.

ერთობა. (1918). (104).

ერთობა. (1918). (129).

ერთობა. (1918). (169).

ერთობა. (1918). (176).

- ერთობა*. (1918). (177).
ერთობა. (1918). (181).
ერთობა. (1918). (87).
 ეროვნული საფრთხე. (1918). *საქართველო* (124).
 მგელაძე, ვ. (1934). *26 მაისი*. პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა.
 ნონეშვილი, ა. (რედ.). (2007). *მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან*. თბილისი.
 ოსების საკითხი. (1918). *საქართველო* (124).
 რას გვასწავლის ოსების ყრილობა? (1918). *ერთობა* (169).
 საითიძე, გ. (1997). *სწამდა სამშობლოს აღორძინება*. თბილისი.
საქართველო. (1917). (283).
საქართველო. (1918). (124).
საქართველო. (1918). (173).
საქართველო. (1918). (64).
საქართველო. (1918). (69).
საქართველო. (1918). (101).
საქართველო. (1918). (110).
საქართველო. (1918). (5).
საქართველო. (1918). (8).
საქართველო. (1919). (169).
საქართველოს რესპუბლიკა. (1918). (11).
საქართველოს რესპუბლიკა. (1918). (31).
საქართველოს რესპუბლიკა. (1918). (7).
საქართველოს რესპუბლიკა. (1918). (82).
საქართველოს რესპუბლიკა. (1919). (57).
საქართველოს რესპუბლიკა. (1920). (9).
 ფარნიევი, ა. (1918). ამიერ-კავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრება. *ერთობა* (114).
ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები. (1992). თბილისი.
 Аваловъ, З. (1924). *Независимость Грузии (въ международной политике) 1918-1921 г.г., Воспоминания, Очерки*. Paris.

Aleksandre Mghebrishvili

Gori State University

GEORGIA AT THE RUBICON OF INDEPENDENCE AND THE GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN 1918-1921

(Chronicles of the First Gatherings)

RESUME

On May 26, 1918, the adoption of the State Independence Act by the National Council of Georgia and the declaration of the country's independence has become the most important event in our recent history. The crisis created by the First World War and the 1917 revolution prepared a fertile ground for the nations occupied by the empire to restore their sovereignty. The Georgians turned out to be among the few nations that were able to do this. Georgia was declared to be an independent republic governed by the National Council. Soon, the independence of the country was recognized by almost all the leading countries of Europe.

Despite its short existence, the First Democratic Republic left a special mark in the history of Georgia. It appears to be the only South Caucasian country where Red Russia was not able to take the reins of government without military action. All this was caused by the strong anti-Bolshevik mood among the population. The government of Georgia made all its efforts to treat the national minorities with dignity within the state and legislative frameworks, however, despite multiple attempts, it was not always possible to do.

Here we mean the part of the Ossetian population living in Kartli and its high mountainous area. In general, the Ossetians were settled in Georgia before the Sovietization of the country and had never had any ethno-political or ethno-territorial unit. The concept of "South Ossetia" was artificially established to mark the compactly populated area of Ossetians in Shida Kartli mountainous zone after the annexation of Kartl-Kakheti Kingdom to Russia and the cancellation of the two-thousand-year-old statehood of Georgia, which was in fact totally unjustified and unacceptable, but it was convenient for the implementation of imperial intentions.

The facts of the open manifestation of Ossetian separatism appeared from the first days of the establishment of the independent Republic of Georgia. The Russian threat to the Caucasus has always been an important obstacle to

Georgia's development and integration into the European family. Constant inspiration of territorial conflicts in the Caucasus, including Georgia, was an inseparable segment of the methodology of Tsarist Russia and later Soviet Russia's relations with other nations.

After the occupation of Georgia by the Soviet Russia in 1921, another, completely different era began in the country.

Keywords: Independence, Georgian-Ossetian relations, Gatherings, National Council of Georgia, Democratic Republic.

*ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქვასთან დაკავშირებული ადგილები (ტოპონიმები) ისტორიული მასალებისა და დღევანდელი ვითარების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: ქვა, ტოპონიმი, მთა, ტერმინები, კლდე.

შესავალი

ქართველობა განეკუთვნება მსოფლიოს უძველესი ხალხების ჯგუფს, რომელთაც ბუნებასთან ჭიდილი უხდებოდა საუკუნეების განმავლობაში და შეძლო თავის სამსახურში ჩაეყენებინა. ჩვენი ბუნების ერთ-ერთ სიმდიდრეს წარმოადგენს ქვათა მთელი რიგი ძეგლები, რომლებიც ნებისმიერ ადგილზე იპყრობს ყურადღებას თავისი სიწითლით, სიმწვანით, ნარინჯისფერით, სიმსუბუქით, შემოგანათებთ ძეგლებიდან, გარინდულან, თაყვანი უნდა სცე მის შემოქმედს, რომელმაც ამდღერა ჩვენი წარსული ქვაში და დღემდე შეინარჩუნა თავისი როლი.

ძველი დროიდან ქართველი კაცი ქვას იყენებდა მშენებლობაში, ათასგვარ ნივთებს ამზადებდა, ყოველივე ამას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ძირითადი ნაწილი

ჩვენ ქვეყანაში გვხვდება ძვირფასი მარმარილოს ბუდობები, ლოპოტი, ფიქალი, თაბაშირი, დეკორატიული ქვები, კირქვა, ტუფი, ბაზალტი, ანდეზიტი, ქვიშაქვა, ტრავერტინი, რიყის ქვა და სხვა.

ქვის აღმნიშვნელი ტოპონიმიკური ერთეულები, საკმაო რაოდენობით გვხვდება შიდა ქართლში. მხარის მდინარეთა ხეობები - ქსნის, ლეხურის, მეჯულის, ლიახვის, ტანას, ფრონეს აუზები ხასიათდება კლდოვანი რელიეფით, ხევებით, კანიონებით, ბუნებრივი კლდოვანი ნაგებობებით, გამოქვაბულებით, ქვის ძეგლებით. ყოველივე ეს ჩვენი ბუნების და ადამიანის ნახელავია.

ზემოხსენებული თემის სრულყოფილად წარმოჩენისათვის ყურადღებას იპყრობს ცნობილი სწავლულის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, რომელიც მან მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შეასრულა. ვახუშტიმ საფუძვლიანად განიხილა თავისდროინდელი საქართველოს, ასევე წარსული ეპოქის მხარეების, რეგიონების ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული ნიშნები. მის „აღწერაში“ ასევე იქცევს ყურადღებას მისი მეცნიერული სტილის ერთ-ერთი ნიშანი - აზრის მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბება, გეოგრაფიული აღწერილობის ზუსტი დასახელება, კომპლექსურობა.

ვახუშტის გეოგრაფიაში თანამედროვე გაგებით არის ნახმარი ტერმინები: გორა, მთა-ღრანტოიანი, კლდოვანი-მაღალხრამოვანი, ფრიად მაღალი კლდე, ქვაბნი მრავალი, კლდე აყვანილი, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამთა, ხევთა, კლდე მოსულსა ზედა და სხვ.

ვახუშტი ქვეყნის რელიეფს აღწერს ცალ-ცალკე, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების საზღვრებში. სანამ ვახუშტისეულ აღწერაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვის ძეგლების შესახებ აღვნიშნოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება, რომელმაც ნაშრომში „მეგალითური კულტურა

საქართველოში“, დაწვრილებით მიმოიხილა ქვის მეგლები, კლასიფიკაცია, ტერმინები, რაც ამ მიმართებით არსებული მოკრძალებული ლიტერატურა უთუოდ გაამდიდრა. (მელიქსეთ-ბეგი, 1938)

წერილში მოხმობილი გვაქვს თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, ვახუშტის აღწერა, კერძოდ საქართველოს გეოგრაფია (ბაგრატიონი, 1997), ასევე ჩვენი ჩაწერილი მასალები შიდა ქართლის ხეობების მიხედვით, რაც, ვფიქრობთ, სათანადოდ წარმოაჩენს ქვის აღმნიშვნელი სახელების, ტოპონიმების გავრცელებას, ასევე ქვის მეგლებს.

დვალეთის აღწერისას ვახუშტი წერს:

აქ არს კლდის მერსენი (გვ. 109)

დაბა დიდი კოშკოვანი (აღნიშნულია ორჯერ, გვ. 113)

ციხე მაგარი ნაშენი კლდესა ზედა (გვ. 114)

ზეკარა არს კარსავით მყოფისა (გვ. 115)

კედელა ამართებით კედელსავით (გვ. 119)

ხეობების აღწერა:

ქსანი დაავიწროებს ქსანსა კლდითა (გვ. 70)

კლდე არს გამყოფი მთისა და ბარისა (გვ. 70)

მთის ალაგნი ტყიან-კლდიანი (გვ. 70)

არს ლომისიდან ჩამოსულს კლდესა ზედა (გვ. 71)

ქსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე (გვ. 71)

ლესურის ხეობა:

არს მონასტერი ქვაბისმანი ზის წინამძღვარი (გვ. 75)

არს უფლისციხე კვერნაკის გამოკიდებულს კლდის გორასა ზედა. შენობა უცხო კლდისგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი კლდისგანვე. გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი (გვ. 75).

აღწერა დიდის ლიახვისა:

ვანათის ციხის უკან არს კლდე მაღალი მას შინა ქვაბნი გამოკვეთილნი მრავალნი (გვ. 78)

აღმოსავლეთისაკენ არს უდაბნო მაღალ კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი ეკლესიით, ძეს მოწესე მკუდარი კუბოსა შინა კლდისასა ანაფორითა, აქ არს კარკალი (გვ. 78)

აქ აღაშენა ციხე მაჩაბელმან, რომელ იყო მაღალ კლდესა ზედა (გვ. 79)

ითხრების ქვა შავი დუდეთს, ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის (გვ. 80)

არს მთა რუისისა ტინისხიდით, ადგილ-ადგილ დის წყარონი მტკვრისპირად ღრანტოიან-კლდიანი (გვ. 81).

ცნობილია, რომ ატენის ხეობა ვიწრო და კლდიანი რელიეფით ხასიათდება, რასაც აღნიშნავს ვახუშტი:

აქ არს ციხე მაღალი კლდესა ზედა (ვერის ციხე) არს ციხე მაღალს კლდესა ზედა ნაშენი (გვ. 59)

არს ციხე კიკანათბერი კლდით მზღუდვილი (გვ. 60).

როგორც ვხედავთ ქვის სახელწოდებები და მისგან გამომდინარე მთელი რიგი ტერმინები დაცულია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში, რაც საფუძველია იმისა, რომ ქართლის ბარში და მთაში, ქართველთა ეთნიკურ კუთვნილებაზე მიუთითებს.

სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართულში“ ქვის აღმნიშვნელი სახელების ფართო სპექტრს ასახელებს, იგი წერს: ქვაიცა ესრეთ განიყოფებიან: სილა არს ვითარცა გაცრილი ქვიშა, კენჭი ცერცვთა ტოლი, კარკალი არს ქვანი, ლოდ-არგანნი, გოხი არს ქვა ქვითკირის მსგავსი, რიყე არს ქვა-ქვიშა, ლოდი არს ქვა დიდი, არგანი - ქვა კაცთაგან აღება საჭირო, მარილის ქვაც არბანად ითქმის, კარკალი არს ქვანი სიმრავლით მოყრილი ვრცლად... კლდე არს ქვა მთლივ მთა ანუ გორი და გვერდი. ტინი არს კლდე ამართული აღმართ და მაგარი. სალი არს კლდე ვრცელი მაღალი, თირი არს ქვა ლბილი და ადვილად საჭრელი. (ორბელიანი, 1993, გვ. 223-225)

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით „ლოდი არს კლდე, ქვა-ლოდნი განსქდეს“, კლდენი განსკდეს, აღმართნე შენი ქვანი იგი“. (აბულაძე, 1973, გვ. 210)

ზემოხსენებულ სწავლულთა აღწერითა და დახასიათებით მთელი რიგი სამშენებლო ქვების რამდენიმე ათეული სახეობა მოიპოვება შიდა ქართლში, რომლებიც გამოყენებული იყო ეკლესია-მონასტრების ასაგებად და შესამკობად.

ბაზალტი შავი ვულკანური ქანია, ფოროვანი, რომელიც დიდი ბუდობის სახით არის ცხინვალის დასავლეთით, სადაც იყო სოფელი ქვასათალი. ჩაწერილი მასალების მიხედვით აქ ცხოვრობდნენ ჯოხაძეები, ზარდიაშვილები, მჭედლიძეები, რომლებიც მერე მთიელთა თავდასხმების გამო ბარად არიან ჩასულები. სოფლის სახელი კი დღესაც შემორჩენილია. ამ ქვით (შავი) არის აგებული რუისის ეკლესია, ნიქოზის ტაძარი, სხვა სოფლების მთელი რიგი ეკლესიები.

ანდეზიტი არის მონაცრისფრო ან მოშავო ქანი, რომელიც ადვილად ითლება. ამ გათლილი კავდრებით არის აგებული დიდი ლიახვის ხეობაში თირის მონასტრის ცენტრალური ნაგებობა, რომელიც სწორედ თირის ბუდობების საძირკველზეა დადგმული და სახელიც ამიტომ დაერქვა თირი. ეს სახელი ამავე დროს ეწოდება იქვე, ახლოს გაშენებულ სოფელსაც. ზემოხსენებული ვახუშტის „აღწერიდან“ ცნობილია, რომ აქ სამშენებლო ქვას ძველი დროიდან იყენებდნენ და დღესაც ეწოდება „დოდოთის ქვა“. ვახუშტის აღწერით „შავი ქვა დუდეთს“. სახელწოდება დუდეთი დღეს შეცვლილია დოდოთით. აქვე არის აგებული დოდოთის ცხრაკარის ეკლესია, რომელსაც ამშვენებს გათლილი დოდოთის ქვით შემკული ორნამენტები.

ფიქალი ისეთი ქანია, რომელიც თირების გამკვრივებით წარმოიქმნება, სიბრტყით თხელ ფირფიტებად იპობა. ფიქალი შიდა ქართლში რამდენიმე ადგილას მოიპოვება, მათ შორის ფრონეს ხეობის სოფელ ძაღნის დასავლეთით და ცხინვალის დასავლეთით, აწ უკვე ნასოფლარ თოხრევში, რომელიც გვიანშუასაუკუნეებში ქართულ სოფელი იყო და თავად დავითიშვილებს ეკუთვნოდათ.

კარკალი, კარკნალი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „დიდი ქვანარია“. დიდი ლიახვის ხეობის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს: „აქ არს კარკნალი, მაღალი კლდესა შინა ქვაბნი ეკლესიით“. ეს ადგილები ყოველთვის იყო გამორჩეული საეკლესიო ცხოვრებით და აღსანიშნავია ქვათა დიდი გროვა, დღესაც არის ამ მიდამოებში, სადაც საყინულეა და ის მხოლოდ ზაფხულის ცხელ დღეებში მოიპოვება. ამავე დროს იქვე ახლოსაა მაღალი სვეტი კლდისა, რომელიც ჩვენ წინაპრებს გამოუკვეთიათ ეკლესიად და კლდის თავზე ციხეა აღმართული. აქვეა ძველი ნაგებობის ნაშთი, რომელიც ვახუშტის თავის მიერ შედგენილ რუკაზე „სასახლის“ ნიშნით აქვს აღნიშნული.

მხარეში ციხე-სიმაგრეების ჯაჭვია წარმოდგენილი, სადაც ქვით ნაგები სიმაგრე იგულისხმება. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთან „მეგლი ერისთავთა“, რომელიც შუა საუკუნეების ბრწყინვალე წერილობითი ძეგლია, მოგვითხრობს, რომ გადამთიელმა დამპყრობმა თემურ ლენგმა ვერ აიღო პატარა ლიახვის სათავეებში ძლიერი ციხე-სიმაგრე ბეხუშე. ასევე იყო ქსნის ხეობის სიმაგრეები გამაგრებული, რომელთა სახელებია ქვენიფნევი, ალავერდი, ლორწობანი, ქარჩოხი, ბერციხე, წინკიბე, ლარგვისი და სხვები, რომელთა სახელები დღეს შემონახულია.

ზოგ სიმაგრეს ისეთი სახელი აქვს, რომელიც ხალხს სიმხნევისკენ მოუწოდებდა: ზღუდერი, ფიჩხის (ფიცხი) ქალაქი, მოდიმნახე, ციხისძირი, მამელუკის ციხე, ციხე-გვირაბი, კოშკები და სხვები, რომელთა სახელები დღეს ჩვენთვის საამაყოა.

ქვის სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ხშირად გვხვდება მიცემით ბრუნვაში გავრცობილი ფორმით, თანდებულები ძველი სახით:

არს უდაბნო მაღალ კლდესა შინა (გვ. 77)

დევეს მოწესე კუბოსა შინა კლდისასა (გვ. 78)

არს ციხე მაღალი კლდესა ზედა (გვ. 78)

ციხე მაგარი ნაშენი კლდესა ზედა (გვ. 78)

ქსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე (გვ. 71). (ბაგრატიონი, 1997)

ძველ ქართულში თანდებული სახელს თავშიც დაერთვოდა და ბოლოშიც. ხსენებულ მაგალითებში ძირითადად დასტურდება ბოლოში გავრცობილი ფორმით.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფებიდან აღსანიშნავია ქონების სახელთა წარმოება:

დაბა დიდი კოშკოვანი (გვ. 68)

არს თაგაურს დაბა დიდი კოშკოვანი (გვ. 69)

მთის ალაგნი მთიან-კლდიანი (გვ. 69)

ფოტრისის ხევი ღრმა და კლდიანი (გვ. 73)

არს ატენის ხეობა ვიწრო და კლდიანი (გვ. 59). (ბაგრატიონი, 1997)

განსხვავებით ძველი ქართულისგან თანამედროვე ქართულში ქვის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები ძირითადად გვხვდება პრეპოზიციული წყობით. ასეთი მაგალითები მოგვყავს შიდა ქართლის ხეობებში ჩაწერილი მასალების მიხედვით. ასეთი სახელები არის როგორც მიკრო, ისე მაკრო გეოგრაფიული სახელები. წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილს.

ქსნის ხეობა:

ცოდინი კლდე (სოფ. მეჯუდა)

კორინთის კლდე (სოფ. კორინთა)

მეწყერის კლდე (ნასოფლარი მეწყერი)

გავაზის კლდე (ჭურთის ხეობა)

მეტეხი (ნასოფლარი)

კლდის პირი (სოფ. ელოიანი)

შავციხე კლდე (ყამური)

თეთრი კლდე (ნასოფლარი ალავერდი)
შავი კლდე (ნასოფლარი კარა)
ალავერდის კლდე (ჭამური)
წითელი კლდე (სოფ. ჭორჭოხი)
ქვითკირი (ნასოფლარი, ლეხურის ხეობა)
ქოლოთის კლდე (ნასოფლარი ქოლოთი)
ბოსელთას კლდე (ნასოფლარი ბოსელთა)

მეჯუდის ხეობა:

არკინარეთის კლდე

მერიის ფიქლები (ნასოფლარი მერია)

ივრეთის კლდე (ნასოფლარი)

ბიეთის გამოქვაბულები (ეკლესია კლდეში ნაკვეთი)

ატენი (ნასოფლარი)

აშატურის სახიზარი (არის ციხე და სამალავეები)

ლიახვის ხეობა:

შუაცხვირი (წინ წამოწეული კლდე)

ჩაჭარუხის კლდე (ნასოფლარი)

სიათის კლდე (ნასოფლარი)

აწრისხევის ტრავერტინი (სოფ. აწრისხევი)

ქვიანა ბალები (სოფ. ქემერტი)

თირის ფიქლები (თირის მონასტერი)

ქვასათალი (ნასოფლარი)

შევარდნის კლდე (ლიახვის ხეობა)

გალავნების კლდის პირი (სოფ. მარწემი)

ყაულანთ კლდეები (სოფ. ქემერტი)

გალავნები (მარწემი, აქ იყო ბუნებრივი სიმაგრე და მერე ციხე აგებული)

ფრონეს ხეობა:

მეტეხი (ნასოფლარი)

ქვათეთრი (ფცის ფრონე)

ციხიათი (კლდეზე აგებული ციხე)

დოდოთი (ქვის კარიერი)

ხტანა (დღევანდელი ვახტანა)

მულრისის კლდე

ბილუნეთის კლდეები და სხვ.

დასკვნა

როგორც ვნახეთ ვახუშტი ბაგრატიონის შრომები არის ამოსავალი ამ შემთხვევაში ქართლის

ხეობების, ასევე მთის (დვალეთის) ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის. აქ კარგად ჩანს

ლანდშაფტის თავისებურება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური გარემოსა

და დემოგრაფიის ჩამოყალიბებაზე. მეცნიერის შრომებში თანამედროვე გაგებით არის გამოყენებული

მთელი რიგი ტერმინები: გორა, კლდე, მთა-ღრნატოიანი, კლდოვანი, მღვიმე, ქვაბნი-ეკლესიით,

ხრამოვანი და სხვები, რაც დღესაც არის ორიენტირი მთელი რიგი აღწერებისა და კვლევისათვის. ჩვენი

მიზანიც ეს არის და შემდგომშიც იქნება, რომ ჩვენი მთა-ბარის სრულყოფილი შესწავლა მოხდეს.

ბიბლიოგრაფია:

აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება.

ბაგრატიონი, ვ. (1997). *საქართველოს გეოგრაფია*. თბილისი: მეცნიერება.

მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1938). *მეგალითური კულტურა საქართველოში: მასალები არქაიკული მონუმენტური*

ხელოვნების ისტორიისათვის. თბილისი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი: მერანი.

Nikoloz Otinashvili

Gori State University

**LOCATIONS CONNECTED TO STONES ACCORDING TO HISTORICAL DOCUMENTS AND
TODAY'S CIRCUMSTANCES
RESUME**

Sufficient number of stone denoting toponymical units can be found in Shida Kartli River Valleys: Ksani, Lekhura, Mejuda, Liakhvi and Tana's basins are characterized by rocky relief, valleys, natural cliff constructions. All of these are partly noted in Georgian historical documents, above all in the work of Vakhushti Bagrationi. Stone denoting terminology occurs in different positions of Linguistics.

Keywords: Stone, Toponym, Mountain, Terms, Rock.

ფერიდე სანაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიმბოლური ასპექტები
პაოლო იაშვილის შემოქმედებაში**

საკვანძო სიტყვები: ფერი, პაოლო იაშვილი, სიმბოლო, პოეზია, ლინგვოკულტუროლოგია.

სტატიაში „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიმბოლური ასპექტები პაოლო იაშვილის შემოქმედებაში“ განვიხილავთ თუ რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ფერებს მხატვრულ შემოქმედებაში, კერძოდ, პოეზიაში.

ენათა ლექსიკური შემადგენლობის კვლევა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემაა. სირთულეს სიტყვათა სიმრავლე, ლექსიკის მუდმივი ცვალებადობა და მრავალფეროვნება განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური შემადგენლობის სისტემურ შესწავლას სემანტიკური კლასიფიკაცია და კონკრეტული კომპონენტების მიხედვით კვლევა ამარტივებს.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც დღეისათვის ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკაზე ინტერესი იზრდება და ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღებაც მიიქცია. აქედან გამომდინარე, ჩვენი სტატიის მიზანია ფერთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და საარგუმენტაციო მასალის მოპოვება.

ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების პრინციპების მიხედვით, სადაც მთავარია ინტერდისციპლინური კვლევები და მომიჯნავე სპეციალობების მონაცემების შედარების ფონზე სათანადო დასკვნების გამოტანა. ვასხვავებთ აღნიშნული მიდგომის ორ განზომილებას: ლინგვისტიკა-ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტუროლოგიას. იმდენად, რამდენადაც ლინგვოკულტუროლოგია გულისხმობს ლინგვისტურ და კულტუროლოგიურ კვლევათა ურთიერთდაკავშირებას, ანუ ინტერდისციპლინარულობას.

ფერთა სიტყვების, სიმბოლური დატვირთვის თუ სემანტიკური ველის გაანალიზების მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია პაოლო იაშვილის პოეზიის სრული კრებული, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები და მონოგრაფიები. სათანადო მასალების ანალიზი მეცნიერული კლასიფიკაციის, დაკვირვებისა და ლოგიკური განზოგადების მეთოდებს ემყარება.

ფერთა ამსახველი ლექსიკა კარგად არის შესწავლილი სხვადასხვა ენაში. ამ მხრივ საინტერესოა, რუსული პოეზიის (გ. დერჟავინი, ვ. ტრედიაკოვსკი, მ. ლერმონტოვი, ა. პუშკინი...) ფერთა ლექსიკურ-სემანტიკური მიკროველი. ჯერ კიდევ, მე-18 საუკუნეში ფერთა პრობლემით მ. ლომონოსოვი დაინტერესდა. გარდა ამისა, შვეიცარიელ ფსიქოლოგს მაქს ლუშერს ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი ფერების მნიშვნელობის შესახებ, სადაც გააზრებულია ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებები და ემოციური მდგომარეობა მოცემული მომენტისთვის. ქართულში ფერის ტერმინთა შესახებ ყველაზე

სრულყოფილი გამოკვლევა ვ. ნოზამეს (1954) ეკუთვნის, რომელმაც „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შეისწავლა.

ფერთა ლექსიკის შესწავლის მიზნით, საინტერესოა შემდეგი ნაშრომები: ე. ჭედიას „ვალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის“ (2006), ე. სოსელიას „ბაზისურ ფერთა ტერმინების სემანტიკა“ (1990), ნ. სვანიძის „თეთრი ფერის სიმბოლო ტიციან ტაბიძის პოეზიაში“ (2004) და სხვ. აღნიშნულ საკითხს ნაშრომები მიუძღვნეს ასევე მკვლევრებმა: ნ. ჩიქოვანმა, ნ. კიზირიამ, ნ. მირიანაშვილმა, თ. ნუცუბიძემ, ნ. რამიშვილმა, რ. ბარბაქაძემ, თ. დოიაშვილმა, თ. კიკაჩიშვილმა, გ. კვარაცხელიამ, ლ. სტურუამ, ე. სოსელიამ, თ. ოქროშაძემ, ც. ძამამიამ და სხვებმა.

ფერის სიმბოლიკის კვლევა მნიშვნელოვან მასალას იძლევა ენობრივი და კულტუროლოგიური თვალსაზრისით, რადგან საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ლექსიკის განვითარების გზებს.

„როგორც ცნობილია ფერთა ტერმინებით ხდება კონკრეტულ ენაში ფერთა სპექტრის, უფრო ზუსტად კი - ფერთი სივრცის დანაწევრება. ფერთი სივრცე ან სხვაგვარად - „ფერთი სამყარო“, ფსიქოლოგიური ფენომენია. ფერთა ტერმინების სემანტიკის შესწავლა ფერთი სამყაროს კონკრეტული, მოცემული ენისათვის ორგანიზაციის გამოყენებას გულისხმობს“, - აღნიშნავს ეთერ სოსელია (სოსელია, 1990, გვ. 37). სიმბოლოური დატვირთვა ფერს ემოციური ზემოქმედების გამო შეიძლება მიენიჭოს.

ფერთა ლექსიკას გარკვეული ადგილი უკავია პოეზიაში, იგი ახალ მეტაფორულ, პოეტურ მნიშვნელობას იძენს და ერთგვარად განსაზღვრავს შემოქმედის ინდივიდუალობას. თითოეული ფერთი გამოიხატება შესაბამისი მოვლენა ან თვისება: მწუხარება, სევდა, გულისტკივილი, სილამაზე... ფერი ესთეტიკური ფენომენია და ე.წ. „ნიშნის“ თვისებებს ამჟღავნებს. მათი დაჯგუფება პირობითია, რადგან უამრავი გარდამავალი ფერი არსებობს.

სიმბოლისტიკის ამოსავალ ფესვად შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილები“ იქცა. სწორედ მისი იდეა იყო, რომ ფერი, ხმა, სული, განწყობილება და სურნელება ერთმანეთს შეესაბამება, მათი შეკავშირებით კი იქმნება სიმბოლოები. ამავე იდეას ავითარებს არტურ რემბოს ლექსი „ხმოვნები“, რომლის თანახმად, თურმე ხმოვნებსაც გააჩნია ფერი. მაგალითად, ა - შავი, ე - თეთრი, ი - მწვანე, უ - მწვანე, ხოლო ო ლურჯი ფერია.

სიტყვა ყოველთვის ვერ გამოხატავს სათქმელს და საჭირო ხდება სიმბოლოთი ჩანაცვლება. პაოლო იაშვილი ლექსში „მწვერვალებიდან“ წერს: „შეხიზნული ვარ საქართველოს შეუვალ მთებში და მივსდევთ ფერებს, ხმებს და სიტყვას მგელური მადით“. ფერწერის სიყვარული, მისი დამოკიდებულება ხელოვნების ამ დარგისადმი, მის ლექსებში თავისებურად მაინც გამოვლინდა. ლექსში „დედაჩემის ღამე“ თითქოს ფერებს შეესაბამებთან სიტყვები: „...და შუალამის მყუდრო მხატვრობა გაახალისა ვერცხლის ფერებით“. პოეტს ხიბლავს ფერთა უნაზესი გრადაციები, რომლის მეშვეობით თითქოს მუსიკაც იზადება. იგი ჩრდილებს სიტყვის ფუნჯით ამუქებს. ბუნება თითქოს თავის თავს უსმენს, „ნელი შერხევა იწყეს ვერხვებმა“, მაგრამ „კლდის აკლდამაში“ უხმოდ შემალულან მეხები, რომლებიც ელიან, რათა ამ სიჩუმეს მრისხანე ჭიქა-ქუხილად დაატყდნენ თავს და წაშალონ ნაზი ფერები.

პაოლო იაშვილის ლექსებში დომინირებს ყვითელი და წითელი, როგორც „ბოროტი“ ფერი. ასევე გვხვდება ცისფერი, ზღვისფერი, ლურჯი, დაისისფერი, მტრედისფერი, ქარვისფერი, სანთლისფერი, თავთუხისფერი... პოეტი სხვადასხვა ფერის გამოყენებით აღწერს შედარებით მშვიდ მოვლენებს.

„მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის“, - აღნიშნავდა პაოლო იაშვილი. მას პოეტური გარდასახვის იშვიათი უნარი ჰქონდა. „დარაინული ლექსები“, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში იხვეწებოდა ახალი ფერებით, ლირიკული გარდასახვის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. ამით მან ორიგინალური პოეტური ტალანტი გამოავლინა და იმდროინდელი პოეზიისგან განსხვავებული პოეტური სამყარო შექმნა.

ლირიკული გმირის ამა თუ იმ კონკრეტული შინაგანი განწყობილების გადმოსაცემად დარიანული ლექსები სავსეა ფერებით. მასში სიყვარულისა და მარადიულობის სიმბოლოა მზისფერი, ლალისფერი, წითელი, ალისფერი, ოქროსფერი... სიწმინდისა და მყუდროების ფერია თეთრი მტრედისფერი, ლურჯი - იდუმალების, ცისფერი - სიყვარულის, მწვანე კი განახლების ფერია.

განსაკუთრებული ფერებით იპყრობს მკითხველის ყურადღებას ლექსი „ქორწილი“, რომელიც შემდეგი სიმბოლოებით გამოირჩევა: ქარვისფერი ღვინო, ფირუზის თასი, ცისფერი ვარდები, მტრედისფერი ცა, თეთრი სინაზე, ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა, ფერმკრთალი, ვით ნისლში გედი, ფერმკრთალი დედოფალი, თეთრი დარბაზი, ბნელი თვალები, მზის სხივების ცეცხლი, ყვავილი ლურჯი ნილოსის, საწოლი, როგორც თეთრი ძვალი სპილოსი.

პაოლოს ლექსები არ ემორჩილება წინასწარგააზრებულ სქემას. მის პოეზიაში წითელი ფერის სიმბოლოური მნიშვნელობა მრავალმხრივია. იგი თვალმისაცემი ფერია და ერთდროულად შეუძლია როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების მოტანა. ერთი მხრივ, წითელი გამოხატავს მტრობას, ომს, სისხლსა და ცეცხლს, მეორე მხრივ, ეს ფერი მიანიშნებს სიყვარულზე და სილამაზეზე.

წითელი რევოლუციისა და ბრძოლის სიმბოლოა. „წითელ დღეს, სხივმა წითელმა გააპო მღვიმეს კედელი“, - წერს პაოლო ლექსში „წითელი დღე“.

„ფარშავანგები ქალაქში“ ეს არის ურბანისტული თემატიკის ლექსი, რომელიც შექმნილია ახალი მეტაფორების, შედარებების, ფერთა უჩვეულო გამისა და სიმბოლიკის გამოყენებით. თანამედროვე ქალაქი რვაფეხა ურჩხულად ესახება პოეტს. საბედისწეროა წითელი როგორც „სისხლისფერი გველეშაპის“, გაგიჟებული მზის ფერი. ლექსში წითელი ჯერ სისხლისფერში, შემდეგ იისფერში გადადის: „წითელ ქარი“, „წითელი ფარშავანგები“, „სისხლისფერი გველეშაპი“, „წითლად ეძინება“, „ვით დაფლეთილი, სისხლისფერი“, „იისფერი ნისლი“.

იისფერი წითლისა და ლურჯის კომბინაციით მიიღება და განსხვავებულობის სიმბოლოდ მიიჩნევა. იგი არაერთხელ გვხვდება პაოლოს პოეზიაში და იწვევს მწუხარე აღქმას: „იისფერ ზღვაში მზეჩამავალი ძველებურ ლხენით თვალს ვედარ აღებს“ (დაცემულ ბათომს); „ვარდი ამბობს: ჩემთან მოვლენ, იასამანს გული ტკივა“ (მეორეს); „იისფერ ნისლში...“ (ფარშავანგები ქალაქში).

სიმბოლისტური პოეტური სახის ლექსით „წითელი ხარი“ პაოლომ თავისი პოლიტიკური მაქსიმალიზმი გამოხატა. გავიხსენოთ ამ ლექსის „წითელი“ ფერი, „ყვითელი“ ფერი: „ხარსა ხარი მისდევს მზესთან, ვინ დაითვლის წითელ ხარებს?“ „ყვითელი რქებით წითელი ხარი“, „ოქროს ტვერი“, „აღური ნადიმი“, „ნაკვერცხლები“, „წითელი სიკვდილი“, ანდა კიდევ: „მზის ცხოველი წითელი რქებით“.

ლექსებში „ფარშავანგები ქალაქში“ და „წითელი ხარი“ მზე ბოროტი ძალის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც დაღუპვას უქადის დედამიწას.

სულ სხვა ინტონაციით, სხვა პოეტური ასოციაციებითაა დაწერილი გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსი: „შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია, შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია“.

წითლადაა შეფერილი განახლებული სოფელი ლექსში „ყორათი“. წითელ და ოქროს ფერებშია წარმოდგენილი ქალაქიც ლექსში „თბილისი“. მართალია პაოლოს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია უარყოფითი დამოკიდებულება ქალაქისადმი, მაგრამ მაინც ვერც ქალაქს ღალატობს და ვერც სოფელს. მის შემოქმედებაში სოფელი დიდხანს დარჩა, როგორც მისი წმინდა შთაგონების წყარო.

ლექსში „წერილი დედას“ წარმოჩენილია ლირიკული გმირი, რომელიც შინაგანად გაორებულია. ლექსში იგრძნობა მშობლიური გარემოს მონატრება. გმირი წუხს, რომ სოფელი მიატოვა. სოფელს „მყუდრო სამყოფელს“ უწოდებს და უპირისპირებს ქალაქს. „ქალაქში მაწუხებს, მახელებს, ყველა ხელსახვევი, შავი ხელთათმანი“, - წერს პაოლო და ეს უკანასკნელი მიუთითებს ქალაქურ, ერთგვარად შებოჭილ ცხოვრებაზე, რომლისგანაც სოფელი თავისუფალია. „...და ვახის ფურცლებზე ისე გაღურჯდება იქ შაბიამანი, ვით თვალის უპე - როცა მე არ მახურავს ღამეში საბანი“, - კვითხულობთ ლექსში. შაბიამანივით უღურჯდება უპეები ტირილისაგან, რადგან ლირიკული გმირი უმფარველოდ თვლის თავს.

გარდა ზემოთ განხილული ლექსებისა, პაოლო კიდევ არაერთ ლექსში იყენებს წითელ ფერს: „რა წითელი მდინარეა, რომ მოსცურავს გაღმა, // „ეს ხომ სოფლის ნახირია, // სულ წითელი ფერის“ (ყორათი); „მადლა წითელი დროშა ფრიალებს“ (მიმართვა კოლხიდას); „გაწითლდა მტკვარი და შეიქმნა სისხლისნაირი“ (ასპინძის ომი)...

სხვადასხვა ფერები, ერთი მხრივ, იწვევენ პოზიტიურ ემოციებს, მეორე მხრივ კი ნეგატიურს; აქ მთავარია კონტრასტი. შესაბამისად, გაორებულია მათი მკითხველისეული შეფასებაც. ფერი ხშირად სამყაროს აღქმის გასარკვევად გამოიყენება და ქმნის გარკვეულ განწყობილებას.

„ოქრო“, ოქროს ფერადოვნება იწვევს ყვითელი ფერის ასოციაციას და სინათლის სიმბოლიკას უკავშირდება უსათაურო ლექსში „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ“.

პოეტი ზოგჯერ ფერების საშუალებით მიუხედავად ასოციაციებს ქმნიდა. „მეც შემომხედე შენი ყვითელი ლექსებით სნეულს“, - წერს პაოლო იაშვილი. აქ ყვითელი გააზრებულია, როგორც სიმბოლო კვდომისა და გადაშენებისა. ყვითელი ბოროტებისა და განწირულების ფერია შემდეგ სახე-სიმბოლოებში: „ყვითელი სიკვდილი“, „ყვითელი საშინელება“, „ყვითელი დანტე“, „ყვითელი ორპირი“, „სახე ყვითელი“, „ყვითელი ურდოები“, „ყვითელი ლექსები“.

პაოლოს ლექსებში მზის სიმბოლიკა ძლიერ ემოციურ ფონს ქმნის: „ყვითელი მზის ვარდი“, „მზის ქორწილი“, „მზის სიხარული“...

მზეს განსაკუთრებული სიმბოლოური დატვირთვა აქვს დარიანულ ლექსებში: „აქ ჩემს სულს კიდევ მზე მოუფლიდა, დაშორებულს კი ვედარ მიშველი“ ან კიდევ „ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი...“ ლექსში „პირამიდები“ იგი განსხვავებულ გარემოში გვეკლინება: მზისფერი სილა, ზღვა, უდაბნო, პირამიდები...

რამდენადაც ყვითელი მზის სიმბოლოა, ის უნდა იწვევდეს სითბოსა და იმედს, მაგრამ პაოლოს პოეზიაში ყვითელი მეტწილად სიკვდილთან ასოცირდება. ყვითელი ასევე გვხვდება მტრის აღსანიშნავად - „ყვითელ მტრებს“. ქართულ მითო-პოეტურ აზროვნებაში მზისფერი, ხორბლისფერი,

თავთუხისფერი და ჩალისფერი ღვთაებრიობის მატარებელი ფერებია, ხოლო ყვითელი მავნე სულს განასახიერებს.

ქართველმა სიმბოლისტებმა ნაყოფიერად გამოიყენეს ბნელისა და შავის სემანტიკური შინაარსი. პაოლო იაშვილმა პირველივე გამოქვეყნებულ ლექსში „ღმერთო, ღმერთო“... („კოლხიდა“, 1911) გამოიყენა ფერთა სიმბოლიკა. „ხელთ უპყრია შავ სატანას საიდუმლო სიცოცხლისას“, - ვკითხულობთ ლექსში. ამავე დატვირთვას იძენს შავი შემდეგ ლექსებში: „შავი ზღვიდან, დაბალ ციდან მოდის ბური ნისლის“, „შავი ღალატი მუხანათური“, „ჭრილობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა“, „შავი რიონი“...

ლექსებში შავი ფერის სიტყვების ჯგუფს გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროსაც შემოაქვს გარკვეული ფერთი ეფექტი. პაოლოს ლექსებში შავი ფერის აღქმას იწვევს რუხი: „ჩამოივლიდა მრისხანე რუხად“ (რიონი იცვლის კალაპოტს); „ზის და დუმს რუხი კურდღელი, // როგორც უძღურის წესია; // ჯიხვებს კი შავი შურთხები // თივას და ბალახს ესვრიან“ (კარგი დარი, ბავშვები შორეული ზამთარი). გარდა ამისა, შავი ფერია ნაგულისხმევი სიტყვებში: ბნელი, ჟანგისფერი, ღამისფერი. „ცხვრის ქონით უნდა ფერადი ნოხი, // რომ გადალაქოს ჟანგისფერ მტვერმა“ (დაცემულ ბათომს).

გადატანითი მნიშვნელობით შავი იწვევს უბედურების, სიკვდილის, ქაოსის, ანარქიის, ძალაუფლების, მწუხარების, წარუმატებლობის, აგრესიისა და ბოროტების ასოციაციას. ბერძნულ ლიტერატურაში ის გლოვის, დაცემის სიმბოლოა. სიბნელე მწუხარებასა და შიშს იწვევს, ხოლო სინათლეს მზის ამოსვლა მოასწავებს.

თეთრი ფერის აღქმა აბსოლუტთანაა დაკავშირებული. ის უპირისპირდება შავს და არის სიკეთის, სიწმინდის, სიმშვიდის, სულიერებისა და სინათლის სიმბოლო. თეთრი ფერი, ცისფერთან და ოქროსფერთან ერთად, სიმართლისა და სულის ფერი იყო. ამასთანავე, თეთრს საპირისპირო მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს და სიცივის ასოციაციას იწვევდეს.

პაოლო იაშვილი ლექსებში თეთრი ფერი გვხვდება: „ამშვენებს რიჟრაჟს დედოფლის თეთრი სინაზე“ // „ელავს საწოლი თეთრი, როგორც ძვალი სპილოსი“ (ქორწილი); „ღრმა ღამეებში თეთრ ლანდივით შესახედარი“ (სევდიანი ზურმუხტი); „აღმოსავლეთის ძვირფასი ქვა, თეთრი მადონა“ (სევდიანი ზურმუხტი); ანდა კიდევ: „ორი თვით ასე თეთრად გახმები, // მშობელო მიწა“ (სოფელში).

ლექსში „არგვეთის ღამეები“ მეტაფორული სახეებით არის დახატული არგვეთის ღამის ცა: „...მთვარე - თეთრი ხოხობი გაეხირა ტოტებში“. ლექსში „ევროპაში“ პირველი მსოფლიო ომის შემადრწუნებელი სურათი, სამყაროს ქაოსია აღდგენილი: „მოტლანდიაში ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი და გავიღიმი ვით ნახევრად გაგიჟებულმა“...

პაოლო იაშვილმა ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში თეთრი ფერი გამოიყენა უფრო მეტი სიმსუბუქის ელფერის ნიშნად: „...იმას გედები ჩააბარეს თეთრ სამოთხეში“ // ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და დერიდახოლებს“. ხოლო შედარების გასაძლიერებლად იგი იყენებს თეთრს ლექსში „სამასი არაგველი“: „მთვარე კი თეთრი ბატივით ცაში ვარსკვლავებს კენკავდა“.

როგორი ფერია ცისფერი? ამ კითხვას თვითონ პაოლო პასუხობს - „ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია, // ცისფრად მორთული დაგიხვდები, გააღე კარი“ (ზამთარში). ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობდა: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს...“ ცნობილია, რომ ცისფერი „პირველქმნილი ფერი“, ამაღლებულის სიმბოლოა. გავიხსენოთ, თუნდაც გალაკტიონის - „ისთვის ეძებს ისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

პოეტებისთვის ლურჯი დადებითია და წარმოადგენს ერთგვარად იდეალის სიმბოლოს, მაგრამ პოეზიაში ის სევდის ეფექტის გასაძლიერებლადაც არის გამოყენებული: „მარტო ვიყავი!.. ჩემს გარშემო ლურჯად ბნელოდა... (უკერტიურა); „კრიალებდეს როგორც ახლა, როგორც ლურჯი ბრძოლის სვეტი“ (უკრაინული ქალის სიმღერა); „რა ლურჯია და რა საწყალია // მეზობლის ბავშვი...“ (სოფელში).

წითელი, წარინჯისფერი და ყვითელი „თბილი“ ფერებია, ლურჯი და იისფერი კი ქმნიან ნაღვლიან გუნება-განწყობილებას, ხოლო მწვანე დამამშვიდებელ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. იგი ბუნების სიმბოლოა და აერთიანებს როგორც სივრცის, ასევე სიტბოს.

პაოლო იაშვილი არაერთხელ იყენებს მწვანეს, როგორც ბალახის ფერს: „მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წკარუნი“ (მწვერვალებიდან); „შენს მწვანე ფოთლებს დილით თუ ეცა // სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები“ (ქუთაისისთვის); „რომ შენი მწვანე ფოთლების ჟღერა // ვიცოდე, მხოლოდ ჩიტებით ვერ ძლებს“ (ქუთაისისთვის); „ხელისგულიდან სიო ძირს რომ გადმოგივარდეს, მწვანე ბალხში წივილივით დაფაცურდება“ (დილა).

გარდა ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, პაოლო იაშვილს თავის პოეზიაში შემოაქვს განსხვავებული ფერები: ცრემლისფერი, დაისისფერი, ზღვისფერი, ქარვისებური, სანთლისფერი, ქვისფერი, თავთუხისფერი, მტრედისფერი და სხვ. ამასთანავე, უნდა დავასახელოთ „ჭრელი“ ანუ (შერეული ფერები): „მაგრამ სიჭრელე და გაორება“, „ვეფხების ლოთობა, ჭრელი ბოროტება“... ფერის გამოყენებისას პაოლო გარკვეულ სიმბოლოურ მინიშნებებს გვაძლევს. პოეტისთვის ფერი განწყობილებათა

გამოხატვის საშუალებაცაა. „ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული“ პოეტი თვითნებურად აფერადებს საგნებსა და მოვლენებს: ვარდისფერი ჰავა, სანთლისფერი ლოცვა, ქარვისფერი ღვინო, ქარვისებური შუქი, მტრედისფერი თოვლი, ზღვის ტალღების ფერის სინათლე, დაისისფერი ხილი, ლურჯი ჰაერი, სისხლისფერი გველეშაპი, თავთუხისფერი კრამიტი, ყვითელი დანტე, იისფერი ნისლი, დაისისფერი ხილი, თეთრი მადონა, ყვითელი სიკვდილი, ვერცხლისფერი ღამე, ზღვისფერი ჩიტები...

შეიძლება დავასკვნათ, რომ პაოლო იაშვილის შემოქმედებაში სათანადო ყურადღების არეალს წარმოადგენს ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სიმბოლისტები უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენენ ფერთა შესწავლის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ფერთა ლექსიკის ველი თავისი კომპონენტებით ამა თუ იმ ენის ისტორიულ განვითარებას გამოხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადია ფერის სიმბოლიზმი და აქედან გამომდინარე, მისი ბოლომდე შესწავლა ვერ ხერხდება.

ჩვენ მიერ დასმული პრობლემატიკის განხილვა ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში ეხმიანება ბოლო პერიოდის ტენდენციებს, რომლებშიც იკვეთება აუცილებლობა, ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ფონზე განხორციელდეს ენობრივი ფენომენის კვლევა.

ბიბლიოგრაფია:

ავალიანი, ლ. (1977). *პაოლო იაშვილი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

დათაშვილი, ლ., & ჯალიაშვილი, მ. (2014). *წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე*. თბილისი: მერიდიანი.

იაშვილი, პ. (2004)ა. *საიუბილეო-საარქივო გამოცემა 2 წიგნად* (წიგნ. I). თბილისი: სეზანი.

იაშვილი, პ. (2004)ბ. *საიუბილეო-საარქივო გამოცემა 2 წიგნად* (წიგნ. II). თბილისი: სეზანი.

სოსელია, ე. (1990). ბაზისურ ფერთა ტერმინების სემანტიკა. *ტიპოლოგიური ძიებანი*, II, 37-42.

ჩიქოვანი, ნ. (1992). *ფერთა ლექსიკისათვის ძველ ქართულში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭეღია, ე. (2006). ვალერიან გაფრინდაშვილის ფერთა სიმბოლიკისათვის. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*, 10, გვ. 133-142.

Wierzbicka, A. (1990, January). The meaning of color terms: semantics, culture, and cognition. *Cognitive Linguistics*, 1(1), pp. 99-150. Retrieved from <https://doi.org/10.1515/cogl.1990.1.1.99>

Wierzbicka, A. (2008, June). Why There Are No 'Colour Universals' in Language and Thought. *The Journal of the Royal Anthropological Institute*, 14(2), pp. 407-425.

Pheride Sanaia

Sokhumi State University

SYMBOLIC ASPECTS OF COLOUR INDICATING VOCABULARY AND PHRASEOLOGY IN PAULO IASHVILI WORKS RESUME

The article “Symbolic aspects of colour indicating vocabulary and phraseology in Paulo Iashvili works” analyses what symbolic weight colour have in belletristic works, especially in poetry.

In the paper the main attention is drawn on sensation of color in Paolo Iashvili's creativity. The aim of the article is colours' structural-semantic analyze and to gain argumentive materials.

The theme is actual because nowadays the interest on colour indicating vocabulary is increasing and Georgian linguists paid their attention on it as well.

Every writer appeals to characterize the objects with colours. Some writers' language is rich with colour indicating vocabulary.

The survey showed that Georgian symbolists were very interesting phenomena in studying colors. Each color express concrete event or trait: grief, sadness, beauty...

Color artistic analyze has an important part in Paulo Iashvili works. The dominant colors in his works are red and yellow as the indication of “evil” color. Using different colors poet describes comparatively peaceful events. He uses chromatic and achromatic colors.

Color symbols are changeable through time and culture. According to this studying the theme fully is not possible. We can summarize that color is esthetic phenomena and reveals the traits of so called “mark” which is the foundation of color symbols.

Keywords: Color, Paulo Iashvili, Symbol, Poetry, Linguoculturology.

ჰადესის სამყარო ნიკო სამადაშვილის პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: პოეზია, სიკვდილი, უკვდავება, სული, საღვთო სამსჯავრო.

გარდაცვალების შემდეგ ყოველი ადამიანის სული საღვთო სამსჯავროზე უნდა წარდგეს. ამ პროცესის გარდუვალობას ამტკიცებს იუდიზმი, ბუდიზმი, ზოროასტრიზმი, მუსულმანური, ქრისტიანული რელიგია. ასე ფიქრობენ ეგვიპტეში, ინდოეთში, იაპონიაში, ამერიკაში, ქრისტიანულ ქვეყნებში.

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგიის მიხედვით, მიცვალებულის სულს უნდა გაველო ოზირისის – მიცვალებულთა მეუფის სამსჯავრო, სადაც სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მათი სწონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა. ცოდვილს დემონი შთანთქავდა, უცოდველი კი ანუ ბისს – ძაღლისთვათა ღვთაებას გადაჰყავდა იალუს მინდვრებზე, რათა მზის ღმერთის თანმხლები ყოფილიყო მზიან ნავზე მის მუდმივ მოგზაურობაში.

მიცვალებულთა წიგნის ერთ-ერთი თავის მიხედვით სამსჯავროზე წარმდგარს უნდა წარმოეთქვა ორმოცდაერთი ცოდვის უარყოფის ტექსტი, ხოლო ბოლო ფომულა უნდა ყოფილიყო: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (გიორგაძე, 1990, გვ. 130).

ტიბეტური მიცვალებულთა წიგნი ამტკიცებს, რომ სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე, ამიტომ საჭიროა სიკვდილისთვის მზადება, შიშის დაძლევა.

ტიბეტური წიგნი მოგვითხრობს ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებს განსასჯელი მიცვალებულის საქმეებს კარგის სარკის საშუალებით.

ძველ ინდოეთში ძვ. წ. II და ა.წ. II ს. გვხვდება სიკვდილის ღმერთი „იამა“, მანუს კანონებში საუბარია სულის სხეულთან გაყრაზე, მის ხელახალ დაბადებაზე, გარდასხეულებზე, უმაღლეს ადამიანზე, მაღალ და მდაბალ სულებზე, კარმისგან განთავისუფლებზე.

ამერიკაში მიცვალებულთა წიგნს ეწოდება „გარდაცვალების მეცნიერება“ ანუ „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი ე. გოულდის სწავლების საგანი იყო „შეგნებული სიკვდილის მეცნიერება“, დევიზი – „მოკვდი სიკვდილზე ადრე“.

დოქტორ უორდენის პროგრამას ეწოდებოდა „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“, რაც მომაკვდავებს საშუალებას აძლევდა, შეეცვალათ თავიანთი ცხოვრების მოდელი, ისინი ახლებურად იცნობიერებდნენ სიკვდილის, ავადმყოფობის, ჯანმრთელობის საკითხებს.

მინი სიკვდილის გადატანა ადამიანს საშუალებას აძლევდა, გაეკონტროლებინა თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

გოულდის პრინციპში იყო: „სიცოცხლე არის ილუზია“.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია, შემოქმედებითი ძალები მძაფრდეს საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში, სიმბოლური სიკვდილი იწვევს სულიერ განახლებას, შთაგვაგონებს ამქვეყნიერი არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, ხელს უწყობს ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციის გააქტიურებას.

სიკვდილი არის დიდი გამოცდა. ადამიანის მიზანია უზენაესის სახლში, სულიერ სამყაროში დაბრუნება, რასაც მომზადება სჭირდება. ადამიანის სრულქმნის პროცესი სიკვდილის ჟამს სრულდება (Жизнь после смерти, 1990).

„ბჰაგავად-გიტას“ მიხედვით, „ყოფიერების რა მდგომარეობაც ასახავს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღწევს“.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ძელი ეგვიპტური პაპირუსი – „იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი საკუთარ სულთან“ სიკვდილს ხსნას, სიკეთეს უწოდებს, მიიჩნევს ცოდვისგან გაქცევას, „გამოჯანმრთელების, სენისგან თავის დაღწევის გზად, სიკვდილს მოიხსენებს საკმევლის, ლოტოსის სურნელებად, უწოდებს თრომის ნაპირთან მიღწევას მოლაშქრის, პატიმრის დაბრუნებას საკუთარ სახლში.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერი სხეულის მიღება, სულიერ პლანეტამდე მიღწევა.

„ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს უფალი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“, გვამცნობს ეკლესიასტე (12,4) (ბიბლია, 1990ა, გვ. 14).

„მოიქცეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლესიასტე, 12,7) (ბიბლია, 1990ა, გვ. 14).

ქრისტე შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ“ (მათე, 10,28) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 21).

„ხრწნადი უხრწნელობით, მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“.

„აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“ - გვმოდვრავს პავლე მოციქული, (I კორინთელთა, 15, 51,53) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გვ. 381).

ანალოგიური დანიშნულება აქვს ფილოსოფიას „ფილოსოფია, პლატონისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილისათვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება იმდენად სრულყოფილი სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროსა და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (გათრი, 1983, გვ. 110).

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი სამეფოს აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,1-30) (ბიბლია, 1990ბ, გვ. 252-253).

„ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება, მიღმურ სავანეში მხოლოდ ცნობიერების ცვლა“, ირწმუნება რუდოლფ შტაინერი (შტაინერი, 1994, გვ. 121).

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს გოეთე: „მე ეჭვი არ მეპარება არსებობის გაგრძელებაში, ყოველი ენტელექტა ზიარებულია მარადისობას. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვავარდობთ არსებობას, მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არ ვართ“ (კუპრავა, 1988, გვ. 64).

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა. ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზნით, ხმის გაგონება, სუნთქვის შეგრძნება (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ) (Жизнь после смерти, 1990).

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება მიღმური სამყაროდან. სამოელმა იწინასწარმეტყველა საულის და მისი ოჯახის ტრაგედია, რაც ახდა კიდევ.

პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში მოთხრობილია ბრუტუსთან იულიუს კეისრის გამოცხადების შესახებ.

დანტე სიზმარში მოველინა შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედიის“ XIII თავის ადგილსამყოფელი მიენიშნებინა.

„ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება წარსულის, აწმყოს, მომავლის ლანდები, მისტიური აჩრდილები.

გოეთეს მიაჩნდა, რომ „სულთა სამეუფო არ არის კარდახშული“.

ვასილ ბარნოვის რომანებში და მოთხრობებში მუდმივი კავშირია ორ სამყაროს შორის. ადამიანის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სული აგრძელებს არსებობას და ეცხადება ახლობლებს (აჩრდილი სიკვდილისა).

მოგონების, გარდაცვლილთა აჩრდილების გაცოცხლების, ჰადესში დამკვიდრებულებთან „კომუნიკაციის“ უნარია შემოქმედება.

სამშობლოს ღირსეული შვილები, ნათლითმოსილები საიქიოდან უნათებდნენ ვაჟა-ფშაველას და პოეტი ესაუბრებოდა მათ: „ჰყოლია სულით მტკიცენი მშობელს ქვეყანას გმირები, საიქიოდან მინათებს მათი ნათელი პირები. ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ, შევტრფი შუბლ-შეკრულს შოთასა“: მკვდრები მიმაქვრენ ცხოვრების გულში ჩანაწევთ მხამასა“ (ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ) (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 32).

ეს „კომუნიკაცია“ ორმხრივი იყო: „სიყრმითგან საიქიოსთან დამკვებებია კავშირი... წასულნი ამა სოფლითა, დღესაც მოდიან, მხედავენ, სწირავენ მყუდრო სადგურსა, ცოდვილთან მოსვლას ჰხედავენ“, ამბობდა ვაჟა (სიყრმითგან საიქიოსთან).

თავისი შემოქმედების საიდუმლოს გვიზიარებს ვაჟა შემდგომი სტრიქონებით: „მამა-პაპათა აკლდამებიდან გამოვიწვიე გმირთა აჩრდილი, მე გავაცოცხლე ხელის შეხებით ლეჟი მდუმარე, ლეჟი გახრწნილი“...

ვაჟასთვის შთაგონების იმპულსი იყო რუსთველისა და დავით გურამიშვილის აზრდილები (დავით გურამიშვილის ხსოვნას (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 199) ნუგეში იყო „რჩევა“. „სრულდება, მალე იქნება ღვთისაგან დანაპირები“ (ხმა მესმის) (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 329-330).

პოეტს ელანდებოდა კრწანისში დამარცხებული ერეკლე მეფის შეწუხებული აზრდილი (1795 წლის სახსოვრად) (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 10).

ეკლად ესობოდა გულში წინაპართა საფლავებიდან მოსმენილი კვნესა, „აკლდამებიდან მათი მწყრომარე გამოხედვა“ (მოდი, მოხშირდი ჭადარავ) (ვაჟა-ფშაველა, 1986, გვ. 37).

წინაპრებთან პოეტის სულიერი ერთობის დასტურია „აკაკის საიუბილეოდ“, „ილიას საღამო“ (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 144-145, 169-171).

ვაჟას სწამდა, რომ „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველად“...

გოეთესავით, ვაჟასაც სწამდა ქვეყნის რჩეულთა სულის უკვდავება: „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლულისა“ (მრწამს, მარად მიწამებია) (ვაჟა-ფშაველა, 2011ა, გვ. 246-247).

ფშაველი გენიოსი დარწმუნებული იყო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს დაჩაგვრას მტარვალს არ აპატიებდა უფლის დედა, რომლის ხმაც სულეთიდან ესმოდა: „ვინაც ჩემს წილ-ხვედრს უმტერა, ვინაც მას ცრემლი ადინა, ობოლსა, უპატრონოსა, მაგრამ მართალსა ცამდინა, მე გავცემ იმას პასუხს, უფლის წინარე მგდომარე... დამარცვა ჩემი ტამრები და კვლა დაუწყო ენასა, განდევნა ანგელოზები, ქაჯები დასხა კერასა, დათრგუნა ერის გრძნობები, გული მოუკლა მდიდარი, ეწამოს უნდა ისიცა, ამის მომქმედი ვინც არის“ (ხმა სულეთიდან) (ვაჟა-ფშაველა, 2011ბ, გვ. 214-215). ასე ეუწყებოდა პოეტს ქრისტიანული საქართველოს მფარველის მსჯავრი.

ნათელმხილველები თავიანთ ასრალურ სხეულს გზავნიან იქ, სადაც სურთ და მოგზაურობენ მთელ პლანეტაზე.

მისტიკოსების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

პლატონის მიხედვით, ნებისმიერ მატერიას გააჩნია შესატყვისი იდეების ქვეყანაში.

ადამიანს შეუძლია ერთდროულად ყოფნა ორ სხვადასხვა ადგილას (მდრ. ტ. გრანელის „იქაც და აქაც“).

გალაკტიონმა უცდომლად წაიკითხა როგორც „ყოფნის წიგნი“, ისე „არყოფნის წიგნი“ (დღეთა გარდასულთა (ტაბიძე, 2011, გვ. 119-120). პოეტს სჯეროდა, რომ „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში სდუმს“. ხორცად განშორებულ სულს „ცის ლაჟვარდში“, უსასრულობაში ხედავდა (მას სიკვდილის დროს ეჩვენებოდა) (ტაბიძე, 1993, გვ. 121-122).

„მოგონების წმინდა აზრდილების“ ამეტყველების უნარი ჰქონდა პოეტების მეფეს.

„ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხარიდან“ გამოიხმობდა „ქალწულს აზრდილის“, რომ „მშვენიერი სული“ და „მშვენიერი სახე“ დაანათლებდა. (სიტყვა და ლოცვა).

„ბრილიანტებით“ იმოსებოდა ტერენტი გრანელის ლანდები.

ნუგეში და თანაგრძნობა გალაკტიონს თავისი რანგის წინაპართა სავანეში, „მარადიულ მხარეში“ ეგულეობდა: „ნუ დაღონდები, არსებობს მხარე, რად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის. იქ დაუდგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის...“

ეს მარადიული მხარე რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაკის სულის ნავთსაყუდელი (მშვენიერებით ვიპოვე) (ტაბიძე, 1993, გვ. 146).

ასევე ენუგეშებოდა აკაკის ლანდის მოვლინება (აკაკის ლანდი).

ეს სულიერი ერთობა იმდენად განცდილი ჰქონდა, რომ გალაკტიონს ხელეწიფებოდა რუსთაველის ბავშვობაც წარმოედგინა და ჟრუანტელისმომგვრელი განცდა გამოეწვია: „რუსთაველი მასხოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავეში“ (მთვარის ნაამბობიდან) (ტაბიძე, 2011, გვ. 181).

ეს გენიალური ხსოვნა ათქმევინებს პოეტების მეფეს: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“.

საუკუნეების წინანდელ წინაპრებთან ასეთი სიახლოვის მიზეზია გენეტიკური კოდების მსგავსება, რეინკარნაცია, რადგან გალაკტიონი არის „გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

ასე ქრისტეს შეეძლო თავი გამოედო აბრაამის ნაცნობობაზე, რადგან იგი იყო განკაცებამდეც და იყო ცაში, როგორც ღმერთის ძე.

შუქის სახით ევლინებოდა გალაკტიონს თავისი დიდი წინაპარი აკაკი წერეთელი (აკაკის ლანდი), თრობისა და შვების ღმერთი დიონისე (მარმარილო).

ასეთი სულიერი სიახლოვე მეოცე საუკუნის პოეტს ყველა ქართველ კლასიკოსთან ჰქონდა: „კედლით გიმდერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას სურთ დამიჭირონ მხარი“ (ო. ნანა ნანა).

ასევე, ეცხადებოდა პოეტს სატანაში განსხეულებული გოეთე: „ობობებიან კუთხეში დივანს ვხედავ: „ვით გოეთე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებათ) (ტაბიძე, 2016, გვ. 48).

ქართველი პოეტის „აჩრდილი თანაზიარი“ იყო ედგარ პოს (საუბარი ედგარზე).

„და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“, – ასეთი სულიერი ერთობა ჰქონდა გალაკტიონს უცხოელ წინამორბედებთანაც.

„ყოველ ნაბიჯზე ვხედავ აღვრთოვანებულ პუშკინს“, წერს ლექსში „ლენინგრადში“.

ეს „კომუნიკაცია ორმხრივია, თითქოს წინაპრებიც გრძნობენ გალაკტიონის პოეტურ გმირობას და მოწიწებით ეგებებიან: „კარს გაუღებენ მას წინაპრები: გიცდიდით, თიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმკტიციტო? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარს გაუღებენ).

ტერენტი გრანელი შეჩვეული იყო სიკვდილს; ხედავდა ლანდებს, სულს, ბედის მწვერვალს, სიკვდილის შემდეგ მოსახდენ მოვლენებს, გრძნობდა შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლოებულ კავშირს: „და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას, ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მბარებს თითქოს მემახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“ წერდა პოეტი, რომელიც ხედავდა „სიკვდილის ყვავილ მანტიას თითქოს თავად მიჰყვებოდა სკუთარ ცხედარს...“

გიორგი ლეონიძე წინაპრებთან მიმართებით ამოწმებდა საკუთარ გულისთქმას: „...შორეულ ელკამ თუ კალამი დამისხიურა, მე გულს მესობა წინაპართა შემოხედვანი, უწყალო მზერა მე მამოწმებს ყოველდღიურად“ (წინაპართა შემოხედვანი).

მერაბ კოსტავა სიკვდილზე ფიქრებს „სიბრძნის დედას“ უწოდებდა და ტრაგიკულად დაღუპულ შვილს ასე მიმართავდა: „... კიდევ კარგი, რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ“ (ირაკლის).

როსტომ ჩხეიძე ხაზს უსვამს „დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა აჩრდილებთან მერაბ კოსტავას სულიერ, ღრმა და ინტენსიურ მეგობრობას და ეს მისთვის მეტაფორა ან აბსტრაქცია კი არ არის, არამედ ის იდუმალი რეალობა, ყოფითი სინამდვილისგან რომ არც განერჩევა და არა მარტო გონებით, არამედ გულითაც იცის აჩრდილებთან მეგობრობის ყადრი“ (გენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის) (ჩხეიძე, 2017, გვ. 113-114).

ნიკო სამადაშვილს ხელეწიფება „ლანდებთან ზაასი, მის პოეზიაში წაშლილია ზღვარი სიკვდილ–სიცოცხლეს, სააქაო–საიქიოს შორის. პოეტი გარდაცვლილებთან საუკუნეების წინ ამ ცხოვრებიდან გასულ უცხოტომელებთანაც კონტაქტს ამყარებს, თუ მათი მოძღვრება ახლოა სულთან.

„ფერისცვალები“ ავტორი მოგზაურობს „მარადისობის მღვიმეებში“ (სამხარზე), ჰადესში დამკვიდრებულთა ლანდებიც სტუმრობენ: „ოთახის კარებს თეთრი ლანდი თუ შეაღებდა, მარადისობა კიაფობდა ულაჟვარდებოდ“ („სალამოს წვიმდა“) (სამადაშვილი, 2004, გვ. 159).

ცნობილია, რომ პოეტის თანამედროვეთა შორის, ქართულ სინამდვილეში „ბუდას მეკვლე“ იყო პოლიგლოტი, გამორჩეული ერუდიციით ცნობილი მოღვაწე, ნიცშეს მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი. სწორედ მისი მეშვეობით ეცნობოდა პოეტი ბუდიზმს, კრიშნას, ნიცშეს. ამ მოძღვრებებთან სიახლოვე ნიკო სამადაშვილისთვის იყო გზამკვლევი როგორც პოეზიაში, ისე ცხოვრებაში.

პოეტი ცოცხლებივით ებაასებოდა ამ ქვეყნიდან გასულებს, ბარიერს ვერ უქმნიდა, მის ხსოვნას ვერ ანელებდა საუკუნეთა სიშორე.

თავის მასწავლებელთან, მოძღვართან და მეგობართან ერეკლე ტატიშვილთან მუდმივად ევლინებოდა ბუდა საკია–მუნი: „ცას გასცქეროდა საკია–მუნი... საკია–მუნი მღეროდა ლოცვებს და ბუდას მეკვლეს მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან და უხაროდა ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშვილს) (სამადაშვილი, 2004, გვ. 126).

ერეკლე ტატიშვილის გასვენებაზე თითქოს უჩუმრად ცხადდება და ხალხს ფეხდაფეხ მოსდევს ცრემლმორეული საკია–მუნი: „მიგასვენებდნენ შავზნელ გოდებით, ჩვენს წინ ცეკვავდა ჯანლი უკუნი, ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა ცრემლმორეული საკია–მუნი“. (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 139).

„საკია–მუნის შეშლილი სტვენა“ ესმის პოეტს ლექსში „სტრიქონების ქარფი. ციალა თოფურიძეს) (სამადაშვილი, 2004, გვ. 169-170).

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებულ პლანეტებს იქით ძალიწეულ პოეტს მოწონების ნიშნად ხელს უქნევენ ბუდა და ქრისტე: „...ბუდა და ქრისტე გამომცქეროდნენ... ჩემს ნაფეხურებს გამოჰყოლოდნენ და ქალებივით მიქნევდნენ ხელებს“ .

აქვე შუქითმოსილი მკვდრების მზერას გრძნობდა პოეტი, რომელსაც მძიმე ურდულთ უკეთავდნენ კარებს და არ იკარებდნენ: „...მკვდრები მძიმე ურდულთ კეტავდნენ კარებს, ქარში ლოთები ზედ გაფურთხებდნენ: „არ მიგიკარებთ, არ მიგიკარებთ“... გამომცქეროდნენ მკვდრები ჯგუფ-ჯგუფად, გრიგალის შუქი ეფინათ ირგვლივ“... (დაუსაბამობის ხილვა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 184).

ლექსში „ბაასი ბერთან“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 88-89) „გათანგულ ბუხარს შემოსდომოდნენ ქრისტე და ბუდა“. ბერი ყვება, როგორ შერისხეს ის სტუმრებმა იმიტომ, რომ ბუხარში შემის ნაცვლად ძვლები შეეკეთებინა.

პოეტი ერთმანეთს უპირისპირებდა წუთისოფელს, რომელიც სასუფეველია: „სასუფეველში რეკდნენ დიდ ზარებს... ჩრდილივით იდგა წუთისოფელი“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 107).

ლექსში „მოგონება“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 216) პოეტს ჩაესმოდა „გზებგადამცდარი“ ნიცმეს ხმა: „გამოქვამული, ქარის ტირილი, ქვესკნელს ხევიდან ხევში ჩაჰქონდა, ქუჩებში მარტო და გაცრეცილი გზებგადამცდარი ნიცმე ზღაოდა“...

გარდაცვლილი, კუბოში ჩასვენებული პოეტი სულის თვალთვალს თვალცრემლიან პროცესიას ხედავდა: „...კუბოდან კარგად ვუმზერდი ყველას, როგორ მომდევდნენ თვალდახუჭული“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 34-35).

სიკვდილი გარდუვალა, მაგრამ სიტყვის სავანე, პოეტური ქვეყნიერება მარადიულია. „დავიხოცებით... დაგვსუნთქავს ლოდი, გარემოც ყვითლად დაიფერება, შორს გამოჩნდება ჭროლა სამრეკლო და შენი ჩუმი ქვეყნიერება“ (გენია და სამრეკლო) (სამადაშვილი, 2006, გვ. 52).

დასაფლავების შემდეგ დავიწყებას კი არ მიეცემოდა, უფრო ძლიერად დარეკავდა მისი სულის სამრეკლო, პოეტის მარადიული მე მიატოვებდა სასაფლაოს და ცაში ამაღლდებოდა, ასე სჯეროდა პოეტს.

„...ლექსში „დამასაფლავე ს მეგობრებმა და მიმატოვეს“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 261).

ნათქვამია: „...დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა. ბედის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა, შლეგი ქარბუქი გავემებულ სივრცეებს დეკდა. ჩრდილი და დედა მოდიოდნენ სასაფლაოდან, გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა“.

„მარადისობის უარყოფაში“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 254) ქარში ცხედრის ხმა ისმის ყვავილებიანი ქარების ფონზე: „... ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს“.

გვახსენდება ხარაიშვილი: „გული სამარეშიც იშვინებს გული სამარეშიც ამდერდება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ლექსში „მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 149) ცხედარი სულის თვალს ახელდა: „ცხედარი შუქზედ ახელდა თვალს, მინდვრად, მუხის ქვეშ ტიროდა ქარი“.

საკუთარი ორეულით გარეთ გასული, მლოცველი პოეტი სამარიდან ბეთხოვენის მუსიკას ისმენდა: „ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვისხამ ზამთრის ღამეში. გამოვალ გარეთ, მყინვრები ლოცვას მომთხოვენ, ქარი ამიხსნის: რო ყვირიან იქ, სამარეში, გიჟი ღმერთები დასევიან საწმყალ ბეთხოვენს“ (კარების გაჯახუნება (სამადაშვილი, 2004, გვ. 209).

„გიჟი“ პოზიტიურ კონტექსტშია ნახსენები. ცნობილია, რამ გოეთე „შემლილ დემონს“ უწოდებდა ბეთხოვენს.

ნიკო სამადაშვილი „ბინდივით ელის ბეთხოვენს“ (არავის ერჩის) (სამადაშვილი, 2004, გვ. 19).

აღსანიშნავია, რომ პოეტი თავისი მუსიკალური ჰობის – ბეთხოვენის ნაბიჯების ხმას ისმენს და განგების ჩრდილსაც ხედავს: „...ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი. გუბე-გუბე განგების ჩრდილი“ (თამარის მღვიმე) (სამადაშვილი, 2004, გვ. 68).

თანამედროვე ოფიციალური უგულებელყოფილი, ჩაწიხლული პოეტი ლანდებს ებასებოდა და როცა ეს კონტაქტი წყდებოდა, ცის ელვარებას ღამე ენაცვლებოდა: „ჩუმად იცლები აჭრილი სისხლისგან, გადასჩვევიხარ ლანდებთან ბაასს, სუყველას გზებზე ჩაუწიხლიხარ, უმზერ კედლებს და უცქერი საათს... ასე თავდება ცის ელვარება, ასე ღამდება ერთ სიცოცხლეში (ფერისცვალება) (სამადაშვილი, 2004, გვ. 69).

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში მიცვალებულთა სულები ხედავენ, მოძრაობენ, მიანიშნებენ: „მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და გზად ხანდახან ქვეყნიერების კომპებისკენ იშვერდნენ ხელებს“ (ორი ხელადა ჩამოგვისახეს) (სამადაშვილი, 2004, გვ. 202).

ლექსში „ოდესღაც ახლობელს“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 204) ვაიპოეტის მსაჯულად მოვლენილია „გიჟი ბოდლერი“: „...ენას გიყოფდა ქუჩის მხრიდან გიჟი ბოდლერი“...

თითქოს სამყაროს შემქმნელ ღმერთთან არმაზის კერპის დაპირისპირების ხმაც გაუგონია პოეტს: „მე გავიგონე ღმერთის ღრიალი, არმაზის კერპი ყელს როცა სჭრიდა“ („კამარების შეჭმუხვნა“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 30-31).

საიქიოდან ქრისტე ევლინებოდა: „...ლექსს იმახობდა ხიდან ყორანი, ქრისტე მოჩანდა საიქიოდან“ (წარწერა) (სამადაშვილი, 2004, გვ. 11).

მიღმური სამყაროს ხილვა, ქვესკნელის ზარების გაგონება, მიცვალებულთა აჩრდილების გამოცხადება ორგანული გამხდარიყო პოეტისთვის: „თოკით ავკოჭამთ აღრენილ ზარებს, მოვლენ და წავლენ ნაცნობი მკვდრები“ (სად არის, სადა?“ (სამადაშვილი, 2004, გვ. 53).

მსოფლიო მოგზაური და მსოფლიო რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა თავის დღიურებში მოგვითხობს იმის შესახებ, რომ ღმერთისადმი ლოცვა-ვედრებით, ვარჯიშებით დაამარცხა განუკურნებელი ავადმყოფობა (ნაწლავების დამბლა) ექიმების, მედიკამენტების დაუხმარებლად, რის შემდეგაც 11-ჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი სპორტში, იმოგზაურა მსოფლიოს 227 ქვეყანაში და გინესის რეკორდები დაამყარა.

ხოლო ყოველივე ამას წინ უსწრებდა კლინიკური სიკვდილის დროს თეთრწვერა მოხუცის – ღმერთის გამოცხადება, რომელმაც მიწაზე დააბრუნა, გოლიათური ენგურია მიჰმადლა და ჩააგონა, რომ ის ზებუნებრივი ძალა სიკეთის მსახურებაში, ხალხის სასარგებლოდ გაეხარჯა. ერის გამორჩეული შვილი ასკვნის, რომ შეძლო „სიცოცხლის წიგნის“ ახლებური, მართებული კითხვა“.

ლეგენდარულ პიროვნებას წმინდა ადამიანთა სულები ეცხადებოდნენ. ცხოვრების ურთულეს მომენტში ევლინებოდა ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლის – ლიანა ალიბეგაშვილის აჩრდილი, რომლის ხსოვნასაც უძღვნა მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა, რეკორდები და აფრთხილებდა მოსალოდნელი ფათერაკების შესახებ, რაც ურთულეს მომენტებში საჭირო ზომების მიღებას შთააგონებდა და ყოველნაირ ხიფათ-განსაცდელს ამარცხებინებდა.

სამყაროს, ხილულის მიღმა გასვლა მხოლოდ მისანს ხელეწიფება: „სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც, ჩაფიქრებული, როგორც მისანი“ (დარდი ბუხართან) (სამადაშვილი, 2004, გვ. 52).

„პოეტი ირონიულად უყურებს საკუთარ სიკვდილს: „სად, ვინ იხილავს ჩემს პანაშვიდებს?!“ „თითქოს საკუთარ ცხედარს მიყვები“, „რა თავში ვიხლი სამოთხის კარებს“, „და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ“. ამ შიშის, რეალობის დამლევის საშუალება პოეზიაა. მისთვის არაფერი არ არსებობს მარადიულობის გარეშე, არც უახლოესი მეგობარი, არც უსაყვარლესი სოფელი და ცხადია, არც საკუთარ არსებაში გაღვიძებული პოეტური „მე“, წერს მარინე ტურავა (ტურავა, 2012, გვ. 259-261).

ნიკო სამადაშვილს გამოარჩევდა „სულის უფსკრულების ჩვენება, ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა.

„ამ კაცს შეეძლო საკუთარი გარდაცვალებაც დაენახა და ეს დრამატული ხილვა პიროვნების გაორების ამავე ხერხის თავისებური სახეცვლილება – პირველყოფლისა, საკუთარ გულსა და გონებაში არის გამოტარებული და არ არის ლიტერატურული ზეგავლენის ნაყოფი“, წერს როსტომ ჩხეიძე (ორეული) (ჩხეიძე, 1995, გვ. 10).

ნაადრევი დაღუპვის, ჩამადლების მომლოდინე პოეტს გადარჩენის, მარადიულობის საწინდრად ესახებოდა „მკერდის ნიჟარები“, „ფიქრების ხმელეთი“, ბახტრიონივით მაღალი ოცნება, რაც ააცდენდა ჟამთა სიავეს, დავიწყებას: „გავჩნდი განგებ, რომ დავღუპულიყავ ჩემს დედინაცვალ საქართველოში. სად ჩავძაღვდები, აბა ვინ იცის... ჟამთა სიავეს მგზავრი აცდება, მოვა, დახედავს მკერდის ნიჟარებს, მიცნობს, შეკრთება, შევეცოდები და ტანში ცივად შეაჟრიალებს“ (განკითხვა) (სამადაშვილი, 2006, გვ. 72).

ბიბლიოგრაფია:

ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1992). სტოკჰოლმი.

ბიბლია. (1990)ა. *ორ წიგნად* (წიგნ. I). თბილისი.

ბიბლია. (1990)ბ. *ორ წიგნად* (წიგნ. II). თბილისი.

გათრი, უ. (1983). *ბერძენი ფილოსოფოსები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გიორგაძე, გ. (რედ.). (1990). *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია.* თბილისი: მეცნიერება.

გრანელი, ტ. (2012). *ლექები, წერილები, ჩანაწერები.* თბილისი.

ვაჟა-ფშაველა. (1986). *თხზულებანი.* თბილისი : საბჭოთა საქართველო.

ვაჟა-ფშაველა. (2011)ა. *ხუთტომეული* (ტ. 2). თბილისი: პალიტრა L.

ვაჟა-ფშაველა. (2011)ბ. *ხუთტომეული* (ტ. 3). თბილისი: პალიტრა L.

კუპრავა, ვ. (რედ.). (1988). გოეთეს საუბრები ეკერმანთან. (ა. გელოვანი, მთარგმნ.) ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

სამადაშვილი, ნ. (2004). *ფერისცვალება.* თბილისი: ლიტერატურის მატიანე.

სამადაშვილი, ნ. (2006). *100 ლექსი.* თბილისი: ინტელექტი.

ტაბიძე, გ. (1993). *თხზულებანი: 5 ტომად* (ტ. 1). თბილისი.

ტაბიძე, გ. (2011). *რჩეული ნაწარმოებები: 5 ტომად.* თბილისი: პალიტრა L.

ტაბიძე, გ. (2016). *თხზულებანი თხუთმეტ ტომად.* თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ტურავა, მ. (2012). *სივრცხლე შვენობს შენითა: სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში*. თბილისი.
ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია. (1980). (გ. გეგეჭკორი, & ე. კვიციანიშვილი, შემდგენლები) თბილისი: მერანი.
შტაინერი, რ. (1994). *ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში*. თბილისი.
ჩხეიძე, რ. (1995). *ორეული. შეხვედრები და სინანული*. თბილისი: მერანი.
ჩხეიძე, რ. (2017). *ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის*. თბილისი: ჩვენი მწერლობა.
Жизнь после смерти. (1990). Москва.

Luara Sordia
Sokhumi State University
THE WORLD OF HADES IN NIKO SAMADASHVILI'S POETRY
RESUME

The idea of divine judgment, the immortality of the soul exists in both the Western and the Eastern worlds, in all religions.

According to Niko Samadashvili, mortal is the body, not the soul.

Like the ancient classics, the poet "communicated" with the spirits who found the monastery in the afterlife world, perfectly perceiving the ideas of world importance.

He imagined his death in advance, but the poet, persecuted by the authorities, believed that the "great land of thoughts" and dream as high as Bakhtrioni, would help him to survive the poet's oblivion and find a monastery in paradise, and it really came true.

Keywords: Poetry, Death, Immortality, Soul, Divine judgment.

ნესტან სულავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტ ქალთა ცხოვრება-მემკვიდრეობა და გენდერის პრობლემა

საკვანძო სიტყვები: გენდერი, ვანის ქვაბთა მონასტერი, ახალგაზრდა პოეტი ქალები, კედლებზე წარწერილი ლექსები.

შესავალი. ქალის უფლება-მოვალეობათა, პიროვნების ღირსების, თავისუფლებისა და აქტივობის, ძალაუფლების, ოჯახის უფროსის, დროის განაწილების, გენდერული ასიმეტრიის პრობლემათა განსაზღვრა ეპოქათა მიხედვით ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად მიიჩნევა თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. იგი განსხვავებული სიტყვიერი კულტურის ძეგლებში სხვადასხვა დონეზე ვლინდება. ამ თვალსაზრისით შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურულ-კულტურული ძეგლების განხილვას საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. მოხსენებაში განვიხილავთ ვანის ქვაბთა მონასტრის ქალთა ცხოვრებასა და პოეზიას გენდერული თვალსაზრისით.

ლიტერატურის მიმოხილვა. ვანის ქვაბთა მონასტერში შემონახული კედლებზე წარწერილი ლექსების კვლევა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო, როდესაც ვ. ცისკარიშვილმა, კ. კეკელიძემ და შ. ონიანმა გამოაქვეყნეს თავიანთი სამეცნიერო შრომები (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 168-180; კეკელიძე, 1959; ონიანი, 1959ა, გვ. 187-293; ონიანი, 1959ბ, გვ. 33-40; ონიანი, 1959ა, გვ. 33-42). მათში შესწავლილია ამ

წარწერათა ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები. ვანის ქვაბთა მონასტრის კედლების პოეტური მემკვიდრეობის კვლევა საინტერესო აღმოჩნდა გენდერული თვალსაზრისით. ძველ ქართულ მწერლობაში გენდერის კვლევას, მის გამოვლენას არცთუ დიდი ტრადიცია აქვს. ამ მხრივ მხოლოდ შოთა რუსთველის პოემის შესახებ გამოთქმული ცალკეული მკვლევრის შეხედულება იქცევს ყურადღებას, მაგრამ სისტემურად არც იგი ყოფილა კვლევის საგანი. ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილი პოეტური მასალა წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოების წიაღში არსებულ გენდერულ პრობლემაზე, ასიმეტრიულობაზე, მამაკაცისა და ქალის ადგილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე ქალებისადმი; აგრეთვე, ეს ლექს-წარწერები მოწმობს მონასტერში მყოფ ქალთა ფსიქოლოგიას, სულიერ მდგომარეობასა და ქალთა შეზღუდულ სოციალურ უფლებებს, რადგან ისინი სწორედ მამაკაცთათვის მინიჭებული უპირატესობის გამო დააცილეს საზოგადოებას, ოჯახს, საყვარელ ადამიანს და, მათი სურვილის მიუხედავად, მონასტერში მიუჩინეს ადგილი.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდები, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური და ჰერმენევტიკული, რათა დადგინდეს XV-XVI საუკუნეების საქართველოში გენდერული უთანასწორობის არსებობა მისგან გამომდინარე შედეგებით, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა ვანის ქვაბთა მონასტერში მყოფი ქალების ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა.

მსჯელობა. ვანის ქვაბთა მონასტერი დაარსებიდან მოყოლებული მამათა მონასტერი იყო. ტაძრის კედლებზე შესრულებული წარწერების მიხედვით, XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვანის ქვაბებში დედათა მონასტერიც იყო, სადაც მონაზონი ქალები მოღვაწეობდნენ. შესაძლოა, ყველა ქალი, რომელსაც თავისი ავტოგრაფი დაუტოვებია მონასტრის კედლებზე, შემონაზვნებული არც იყო. ამ პატარა ეკლესიის კედლებზე მოთავსებულია 40-მდე წარწერა, მათგან ნაწილი პოეტურია, ნაწილი - ინფორმაციული ხასიათისა. მონაზონ ქალებს თავიანთი ნაფიქრ-ნააზრები მონასტრის კედლებზე ლექსების სახით წაუწერიათ, მცირე ნაწილი მათივე შეთხზულია, მეტი წილი დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებები ან ფოლკლორული ნიმუშებია. წარწერათა შემსრულებლები არიან გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, შადაბანი სულთანი და ხვარამზე. წარწერებიდან ჩანს, რომ ეს ქალები გულდათუთქულები არიან პირადი ცხოვრების გამო, მათ ჰყავდათ მიჯნურები, რომელთაც დააშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. თითოეული მათგანი გარეგნული სილამაზით გამორჩეული ყოფილა, რასაც მათთვის ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია. სასოწარკვეთილი ქალები მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. წარწერები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, მტერთა შემოსევებისა და თავდასხმების დროსაა შესრულებული, მაგრამ მათში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება არ ირეკლება, მონაზვნები მხოლოდ თავიანთი პირადული განცდებით აღსავსენი წერენ ამ სტრიქონებს. მონაზონი ქალები წერენ სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს, მეტწილად სხვისას ან ხალხურს, საიდანაც ჩანს, რომ მათ უმძიმთ ამქვეყნიურ სიამოვნებათა დათმობა; მათში ამქვეყნიური ცხოვრებისადმი სწრაფვა უფრო ძლიერია, ვიდრე სულიერი ცხოვრებისადმი. ისინი უჩივიან სოფლის წარმავლობასა და დაუნდობლობას, იგრძნობა გარეგნული სილამაზისა და სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული მძაფრი განცდები, გულსტკივილით აღნიშნავენ, რომ გაუხარელი ცხოვრება აქვთ და ხსნას ვერაფერში ხედავენ. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, თუ როგორ არის შეცვლილი ადრეული შუასაუკუნეების შემდეგ ადამიანის ინტერესები და სულიერი ცხოვრება, დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოვრებისადმი.

თუმიან გოჯიშვილი საოცრად მგრძნობიარე, სევდიანი, რომანტიული პიროვნება ყოფილა, რასაც ადასტურებს მისი წარწერების შინაარსი, რომელთა მიხედვით დგინდება მისი გამიჯნურება ვინმე გოდერძიზე, იგი მისთვის დაუშორებიათ და მონასტერში მონაზვნად აღუკვეცავთ. ამ ინფორმაციის მიღმა დიდი, ტრაგიკული სიყვარული იკითხება, რაც, აგრეთვე, ქალთა სოციალურ სტატუსსაც წარმოაჩენს მამაკაცთა უპირატესობის ფონზე. მართლაც, წარწერებიდან ჩანს, რომ თუმიანი იძულებით, მისი ნების წინააღმდეგ აღუკვეცავთ მონაზვნად მიჯნურობის ნიადაგზე (კეკელიძე, 1959). აღვნიშნავ, რომ ვანის ქვაბთა მონასტერში აღკვეცილი თუმიან გოჯიშვილი, სხვებიც, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდნენ მონასტერში, რაც მათთვის სატანჯველი ყოფილა. მათ კედლებზე წარწერილ ლექსებში გამოხატეს თავიანთი განცდები, დარდი, წუხილი, უკმაყოფილება იმ გენდერული უთანასწორობით, რაც შეინიშნება ამ პერიოდის სოციალურ წრეებში; აქ წარწერილი ტექსტების მიხედვით, ისჯება მხოლოდ ქალი, სასჯელი მამაკაცს არ ეხება. სიყვარული ერთნაირად იმორჩილებს ყველას, მაგრამ ქალს განსაკუთრებული თავშეკავება მოეთხოვება სიყვარულის გამჟღავნებისას. თუმიან გოჯიშვილი, არა აქვს მნიშვნელობა იმას, არის თუ არა იგი კედლებზე წარწერილი ლექსების ავტორი (ქვემოთ დამოწმებული

სტროფი ხალხური ლექსის გადააზრება), მათში აქსოვს თავის უდიდეს განცდებს, სულიერ ტკივილს, რომელიც ასე ძლიერ იგრძნობა ამ სტრიქონებში. დავიმოწმებ ერთ მათგანს:

ქ. წვრილად ნახვეწო ისარო, ქალაქს ნაღებო ინიოთა,
ყირმიზი რვალის პერანგი გაცვია ოქროს ღილითა;
ნეტავი შენთან მამყოფა, შენთან გამაძლო ძილითა,
მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა (ონიანი, 1959ა, გვ. 39).

ტექსტის შინაარსი და ლექსიკა გვაფიქრებინებს, რომ ავტორი მიმართავს მამაკაცს, რომელიც მას უყვარს, იგი „წვრილად ნახვეწ ისარს“ ჰგავს, ოქროს ღილიანი „რვალის პერანგი“ აცვია, ხოლო მისი თვალ-წარბი შევარდენთანაა შედარებული. ამათგან მამაკაცის გამოკვეთილ მეტაფორად ყველაზე მეტად „შავარდენსა თვალ-წარბსა“ შეიძლება ჩაითვალოს. ჩანს, თუმიანს თავისებურად გადაუკეთებია ეს ლექსი, ისე გადაუკეთებია, რომ ლექსის ადრესატად ეჭვმიუტანლად მამაკაცი მიჩნეულიყო. ლექსს ხალხური სიტყვიერებაში აქვს რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა, კერძოდ, ლექსი ქალისადმია მიძღვნილი და არა მამაკაცისადმი, რაშიც გვარწმუნებს შემდეგი სიტყვები: „კაბანო ხავერდისანო, შვიდგან საყრელნო ღილითა!“ (შანიძე, 1931, გვ. 128).

ნათლად ჩანს, რომ ლექსი თუმიანს თავისი გრძნობების გამოსახატავად გადაუკეთებია. მას ლექსი კედელზე დიდმა გრძნობამ წააწერინა, ამიტომ ისეთი მეტაფორები და მხატვრული სახეებია შერჩეული, რომლებიც მამაკაცსაც მიესადაგება. ფაქტობრივად, თუმიანს ლექსი მამაკაცის ღირსებათა წარმოჩენისაკენ მიუმათავს, მასში ჩაუქსოვია ვაჟკაცის სიძლიერე და მომხიბვლელობა. ეს კი თუმიანის დამსახურებაა.

აქვეა სხვა ლექს-წარწერებიც, რომლებიც ასევე წარწერის შემსრულებლის შინაგან განცდებს გამოხატავენ. ესაა ლექს-წარწერა „ლომო განაღამე მიყვარხარ“:

ლომო განაღამე მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად,
წყალად ევფრატად გიტყვიან, გულად - როსტომის სადარად;
ტანი აზატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა,
მე გული ჯელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად.

იქვე იკითხება წარწერაც: „ვამე იმედო, ნახვამდის, თუმიანსა დამიწერია“. ლექსი მხატვრული თვალსაზრისით ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი ავტორი მხატვრული აზროვნებით გამორჩეული პოეტია. ტექსტში ლომის მეტაფორით წარმოდგენილი პიროვნება მომხიბლავი გარეგნობისა ყოფილა, მისი ტანი საროსთანაა შედარებული, შედარებულია ევფრატის წყალთანაც, რაც გავრცელებული მეტაფორაა საერო ლიტერატურაში. აქვე იხსენიება „როსტომიანის“ პერსონაჟი როსტომი, რომელსაც ავტორი ადარებს თავის მიჯნურს; მონაზონი ქალი მიმართავს როსტომის სადარ გულად ვაჟკაცს, რომელიც თუმიანის მიჯნური უნდა იყოს, რასაც პირველსავე სტრიქონში აღიარებს. თუმცა, ჩანს, რომ ეს სიყვარული ტრაგიკული ხვედრისა ყოფილა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ თუმიან გოჯიშვილი თავისი სურვილის წინააღმდეგ იმყოფებოდა მონასტერში, რაც მისთვის სატანჯველი ყოფილა. ლექსი ქალის მგრძნობიარე ბუნებას გვაცნობს და მის მდგომარეობას მიუთითებს.

ერთი ორტაეპიანი ლექს-წარწერა იშვიათი პოეტურობითა და სახე-ხატებით გამოირჩევა, მიჯნურის სულიერ მდგომარეობას, მიჯნურის მშვენიერებას მიანიშნებს:

ქ. მზეო, გიშ(ვ)ენის წალკოტი ხილითა და ხევნართა,
უწყლოდა მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახვე ნართა (ონიანი, 1959ბ, გვ. 33).

მონაზონი გულქანი, რომლის სახელითაც ორი ლექსია ცნობილი, ვ. ცისკარიშვილისა და შ. ონიანის დაკვირვებით, გვარად შალიკაშვილი უნდა ყოფილიყო და უნდა ეცხოვრა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. შ. ონიანის შეხედულებით, გულქანი და ანა რჩეულაშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთმანეთს იცნობდნენ, რადგან გულქანი ანა რჩეულაშვილის მიერ შესრულებულ წარწერაში იხსენიება: „გულქანსა უშუელე ცოდვილსა. შენ იკსენ მისი სული ყოვლად წმიდაო დედოფალო“. გულქანის წარწერის მიხედვით, მონასტერში მიყვანილი იგი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, მანუჩარს წაუყვანია „ქალად და გასათხოვარად“. ფიქრობენ, რომ მანუჩარი ყოფილა ბიძა გულქანის დედისა, ქეთეონისა. ასეთ შემთხვევაში სავსებით გასაგებია მანუჩარის ზრუნვა გულქანზე. ქეთეონის შვილები მესხეთის თავადიშვილთა საგვარეულოებს შორის მოიხსენიებიან, ისინი შალიკაშვილები ყოფილან. წარწერაში გულქანი მიმართავს ღმერთს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, წმინდანებს, მთავარანგელოზებს: „თქუნს ძალას და მოწყალებას უშუელეთ, და ულხინეთ მას მომსახურეს მიწასა თქუნესა, თუალპატიოსანსა უებარს გულქანს... მომიყვანა მანუჩარმა ქალად და გასათხოვარად. ქმარი მე ჯერ არა მედგა. ღმრთის მადლმა და მოწამეთა მადლმა, ჩემისა ულამაზესი სულიერი დედამიწასა ზედა არა იარებოდა და არცა სხვა გამოსულა: არცა თუალად, არცა ტანად, არცა ზნითა, არცა გონებითა; თორემ ჩემნი მნახავნი არ გამამტყუნებენ“ (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 172). ეს წარწერა მოწმობს, რომ გულქანი ულამაზესი ქალი ყოფილა, რასაც იგი სიამაყით აღნიშნავს. გულქანის მიერ კედელზე შესრულებულ მეორე წარწერაში

ავტორი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ევედრება, შესთხოვს ბოროტ ძალთაგან, მტანჯველთაგან გათავისუფლებას.

ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი,
შენ აღვოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი,
მე სამოელ ტანჯვად მაწვევს უშიში და უკრძალველი,
მწეო ჩემო, შენ მიშველე, გამოკსნასა შენგან ველი.
მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი, დასნი,
ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი (ონიანი, 1959ბ, გვ. 36).

ლექსი არასრულადაა წარწერილი, არც ისაა ცნობილი, გულქანი ამ ლექსის ავტორი არის თუ არა, მაგრამ იგი ყურადღებას იქცევს სახეობრივი თვალსაზრისით, მასში სამი უარყოფითი ძალაა ადამიანის, ამ შემთხვევაში, თვით ავტორის მტანჯველად დასახელებული: სამოელ, მრავალთვალნიანი ანგელოზი, ანუ დაცემული ანგელოზი, და ჯოჯოხეთის ბევრ-ათასნი მოციქულნი. ბოროტ ძალთა დასახელება მიუთითებს, რომ გულქანი ქალის სოციალურ მდგომარეობას, გენდერულ უთანასწორობას შეეწირა. ჩანს, მონაზვნურ ყოფა-ცხოვრებას ვერ შეგუებია, მონასტერში მოხვედრილი გულქანი ადრე გარდაცვლილა.

შაღაბანი სულთანიც იძულებით შემონაზვნებული ყოფილა. მისი ცუდად წასაკითხი წარწერა წარმოაჩენს წარწერის შემსრულებლის აღტაცებას მიჯნურით, რაც, აგრეთვე, მოწმობს მისი განცალკევების მიზეზს, როგორც ჩანს, ისიც უიღბლო სიყვარულის გამო აღუკვეცავთ ან გადაუყვანიათ მონასტერში.

ახალგაზრდა ლამაზი ქალის ანა რჩეულაშვილის წარწერები ნათლად ადასტურებს იმას, რომ ისიც იძულებით გადაუყვანიათ ვანის ქვაბთა მონასტერში, რის გამოც ხშირად უჩივის თავის უიმედო, მძიმე სულიერ მდგომარეობას. მისი მონასტერში გადაყვანის მიზეზი გაურკვეველია; ზუსტად არც ის ჩანს, რა სტატუსით იმყოფებოდა იგი მონასტერში. მის წარწერებზე დაკვირვებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მას ჰყოლია და, ძმა, რძალი, რომლებიც ძლიერ ჰყვარებია და მათთან განშორება ძალიან გასჭირვებია. მონასტრის პირობები მისთვის მძიმე ყოფილა, რასაც წუხილით აღნიშნავს კიდევ: „რა ვქნა, მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად ქმნილ. შევზარებივარ სიკვდილსა შემამრწუნებელსა“ (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 175; ონიანი, 1959ბ, გვ. 35). „შავში“ შავი სამოსელი, სამონაზვნო სამოსელი შეიძლება იგულისხმებოდეს, თუმცა, ამის გადაჭრით თქმა მაინც ძნელია, რადგან შეიძლება ავტორი „შავში“ შავ ბედსაც გულისხმობდეს. მისი წარწერები ძირითადად უძლიერეს პირადულ განცდათა შედეგადაა გაკეთებული. მისი ერთი წარწერა მოიცავს გოდებას საკუთარი სავალალო ხვედრის გამო და მხსნელად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეგულება: „ანასა უშუელე ცოდვილსა. შენ იქსენ მისი სული ყუელაწმიდაო დედოფალო, მიშუელე შენისა ძისა სიყუარულსა“ (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 175). მეორე წარწერაც გოდებას მოიცავს: „ქ. უხწნელო ღმრთობისა ხატო შემებრალე... სულ საუკუნოსა დამდეგა ოცი ოთხშაფათი, პარასკევი მარხვა შემომიწირავს... შეიწირე ღმრთობისა ხატო, თუ რამე მემშუელებისა რაცა შემიწირავს ისრე გაუთავებ ამა მარხვას გარეთა“ (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 176). აქედან ჩანს, რომ ანა რჩეულაშვილი მორწმუნე ყოფილა და ლიტურგიულ წესებს იცავდა. იგი იმედოვნებდა, რომ მარხვისა და სხვა ლიტურგიული წესების აღსრულების შედეგად, იქნებ, საშველი დასდგომოდა. ძნელი საფიქრებელია, რას გულისხმობს ანა სიტყვებში „თუ რამე მემშუელებისა“.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე ანა რჩეულაშვილის ხელით წარწერილია ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის მიერ მიჯნურისათვის მიწერილი წერილის ორი სტროფი, რაც წარწერის შემსრულებლის სულიერ მდგომარეობას რუსთველის პოემის პერსონაჟის სიტყვებით გვაცნობს. წარწერის შემსრულებელს იგი ისე დაუწერია, როგორც ახსოვდა. ქალი, რომელიც იძულებით ჩანს შემონაზვნებული, შვებას „ვეფხისტყაოსანში“ პოეზებს და მისით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. იგი საკუთარი თავის გამოვლენას „ვეფხისტყაოსნით“ ცდილობს, საკუთარ ფიქრთა და განცდათა საუკეთესო გამოხატვლად რუსთველის პოემას მიიჩნევს, რითაც ქალის სოციალური სტატუსის შესახებ თავისი ეპოქის სულისკვეთებასაც გვაცნობს, რაც, თავის მხრივ, გენდერული ასიმეტრიის არსებობას მიუთითებს.

ანა რჩეულაშვილის მიერ წარწერილი მაცხოვრის ხატისადმი მიძღვნილი საგალობელი და ლექსი „ვაი გარჯილო ამა სოფელსა“ წარწერის შემსრულებლის გოდებაა, ასახავს ავტორის მძიმე სულიერ მდგომარეობას, რადგან მონასტერში ყოფნა მისთვის სასჯელი ყოფილა და წუთისოფლით ვერ გაუხარია. იგი გულისტკივილით ჩივის გაუხარელ ცხოვრებაზე, იმაზე, რომ დამტირებელი არავინ ეყოლება, ღმერთსა და წამკითხველს შესთხოვს მიტევებასა და შენდობას, წამკითხველსაც ღვთისაგან შენდობას უსურვებს.

ერთ-ერთი ლექსი მიუთითებს, რომ ანა რჩეულაშვილი დიდი ოჯახიდან ყოფილა, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მას ჰყოლია და, ძმა, რძალი, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო იგი ოჯახთან დაუმორებიათ და მონასტერში გადაუყვანიათ. ლექსი მისი ავტორის ღრმა და მძაფრ განცდებს

გადმოსცემს, რითაც წარმოდგენა გვექმნება მის მდგომარეობაზე მონასტერში, მისწრაფებაზე ამქვეყნიური ცხოვრებით ტკობისაკენ, ცხოვრებაზე გულდაწყვეტილი, გაუხარელი ავტორი მოთქვამს იმის გამო, რომ დამტირებელიც არავინ ეგულება. მონასტერში ახალგაზრდა ქალის გადაყვანის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო პირად ცხოვრებაში მომხდარი ტრაგედია, რადგან მონასტერში იძულებით მყოფი ქალი, მიუხედავად გვაროვნული ჩამომავლობისა, ქალის სოციალურ დაუცველობას, შეზღუდულობას მძაფრად განიცდის. მართალია, ეს არაა აღნიშნული მის მიერ შესრულებულ ლექს-წარწერებში, მაგრამ მათი შინაარსობრივი განხილვა გვარწმუნებს, რომ ქალის სოციალური სტატუსი საკმაოდ დამცრობილია; ის, რაც მამაკაცს ეპატიება და რის გამოც მამაკაცი არ ისჯება, ქალს არ ეპატიება და ისჯება. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები დაგვაფიქრებენ და წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI ს-ში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე. შესაძლოა, ამის საფუძველი საძიებელი იყოს ბიბლიურ კონცეფციაში ქალის შესახებ. წარწერებში ანა რჩეულაშვილის სახით წარმოჩნდა მგრძნობიარე, ცხოვრებით გაუხარელი პოეტური ბუნების მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავის განცდებს სიტყვას ანდობს და ცდილობს თავისი ფარული, მძაფრი გრძნობების კედლის წარწერებში შენახვას.

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე არის კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ხვარამხეს შეუსრულებია, იგი ლექსი არაა, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას. ჩანს, რომ ხვარამხე და ვინმე გოზალა ერთმანეთისათვის დაუშორებიათ, ხვარამხე იძულებით აღუკვეცავთ მონაზვნად. ყოველივე ამას ტრაგიკული განცდები აღუძრავს ქალში. ისიც იმავე ეპოქის მცხოვრები ჩანს, რომელშიც ცხოვრობდნენ თუმიან გოჯიშვილი, ანა რჩეულაშვილი, გულქან შალიკაშვილი და შადაბანი სულთანნი, რომელთაც ლექსები წააწერეს კედლებზე, ხოლო ხვარამხეს წარწერა მხოლოდ ინფორმაციულია: „ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზალას ჩემისა და იმის გამყრელობასა, ესეც უნდოდა, ვაიმე თუ ერთმანეთისა სიკვდილის და სულთამოსვლის დროს არა დავხუდეთ... შეგვიბრალებთ, ღმერთმა გამიგონოს, რომე როდისცა მე და გაცლად... ბევრი ვიტირეთ ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალებთ... გულთაგან დამდნარსა“ (ცისკარიშვილი, 1954, გვ. 178-179). წარწერა მოწმობს მისი შემსრულებლის ტრაგიკულ ხვედრს, რასაც ძლიერ განიცდის ქალი. მას მარტოკას, გოზალას გარეშე, სიკვდილის მოლოდინიც აფრთხობს.

დასკვნა. ვანის ქვაბთა მონასტრის მონაზონი ქალები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ჩანან, მაგრამ ერთ ეპოქაში მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ. მათ მიერ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შესრულებული წარწერებით შესაძლებლობა გვეძლევა თითქმის მთელი საუკუნის - XV საუკუნის II ნახევრისა და XVI საუკუნის დასაწყისის მანძილზე გავადევნოთ თვალი ქართულ სააზროვნო სისტემაში არსებულ ლიტერატურულ აქცენტებს და დავაკვირდეთ ქართული ფოლკლორის იმ დროისათვის წერილობით დადასტურებულ ნიმუშებს. ამავე დროს, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს იმ მხრივაც ენიჭებათ მნიშვნელობა, რომ წარმოდგენა შეგვექმნას XV-XVI საუკუნეებში არსებულ გენდერულ პრობლემაზე, მის ასიმეტრიულ გამოვლინებაზე. კედლებზე შესრულებული წარწერები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, აგრეთვე, სხვა ქვეყნებშიც, მამაკაცისა და ქალის გენდერულ დისბალანსს მოწმობს, რაც მათ არათანაბარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მიუთითებდა. ესაა ეპოქის დამოკიდებულება გენდერული პრობლემისადმი.

ბიბლიოგრაფია:

- კეკელიძე, ვ. (1959 წლის 24 თებერვალი). კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე. *კომუნისტი* (45 (11351)).
ონიანი, შ. (1959ა). „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში. *საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. ვ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*, (გვ. 187-293). თბილისი.
- ონიანი, შ. (1959ბ). ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. *საბჭოთა ხელოვნება* (7), გვ. 33-40.
- ონიანი, შ. (1960). ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. *საბჭოთა ხელოვნება* (8), გვ. 33-42.
- შანიძე, ა. (1931). *ქართული ხალხური პოეზია: I. ხევსურული*. ტფილისი.
- ცისკარიშვილი, ვ. (1954). წარწერები ასპინძის რაიონიდან. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30*, გვ. 168-180.

Nestan Sulava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Samtskhe-Javakheti State University

**THE LIFE AND ACTIVITIES OF POET WOMEN FROM VANI MONASTERY BY
PERSPECTIVE OF GENDER
RESUME**

In the monastery of Vani, in which in XV-XVII centuries there was female monastery, there is depicted rhymes in the walls, some of them are written by them, most of them are independent or folk materials. The writings are done by Gulqan, Ana Rcheulashvili, Tumian Gojishvili. Shagabani Sultan and Khvaramze. Being beautiful physically but worried because of personal life they had lovers, from them they were separated by for us unknown reasons. Being disappointed they trust to the walls of monastery, praying to ask from the god peace and confession. They are full of emotion, unhappy with their life poet young women, which are given their feelings to the words and trying to keep the secret hard feelings on the walls of monastery. These writings giving the sense of general inequality of XV-XVI centuries.

Keywords: Gender, Monastery of Vani, Poet young women, Depicted rhymes in the walls.

ზურაბ ჩხიკვაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენების ფიქსირება და მათი ლინგვისტური თავისებურებები

საკვანძო სიტყვები: ფიქსირება, კრეოლები, სუბსტრატი და სუპერსტრატი ენები, ხელოვნური ენები, ფიქსირება.

სიტყვა-ტერმინის ეტიმოლოგიური დახასიათება

„ფიქსირება“ (pidginization, pidginize) სიტყვა ფიქსირებიდან (pidgin) ნაწარმოები ტერმინია, რომელიც ენებთან დაკავშირებულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად გვხვდება 1869 წელს (ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით), ხოლო კემბრიჯის ლექსიკონში ინგლისურ ენაში მისი პირველად გამოყენების თარიღად მითითებულია 1850 წელი.

ტერმინი „ფიქსირება“ ეტიმოლოგიური ლექსიკონში განმარტებულია როგორც ჩინური წარმოშობის სიტყვა, რომელიც ინგლისურად ბიზნესს, საქმის წარმოებას, აქტივობას ნიშნავდა (1807 წ.).

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუს ნავსადგურებსა და სატვირთო პორტებში ინგლისურენოვან პარტნიორებთან ადგილობრივ ვაჭართა და საქმოსანთა კომერციული ურთიერთობის აღმწერი სიტყვის pidgin-business-ის სემანტიკა ისე განვითარდა, რომ ამავე საუკუნის დასასრულისთვის იგი გადაიქცა ტერმინად pidgins, რომელიც ნიშნავს სხვადასხვა (არა მხოლოდ ინგლისურ და ჩინურ) მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა სოციალურ ჯგუფებს შორის განსაკუთრებული ტიპისა და მახასიათებლების მქონე ენობრივ საკომუნიკაციო საშუალებებს.

ონლაინ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ფიქსირება განმარტებულია შემდეგნაირად: 1876 „ახალი ჩინური, პორტუგალიური და მალაიური სიტყვებით დამახინჯებული ინგლისურის ხელოვნური ჟარგონი ჩინური იდიომების წყობით, გამოყენებული ჩინელებისა და უცხოელების მიერ ჩინეთის პორტებსა და შორეულ აღმოსავლეთში კომერციული საქმიანობის ენობრივი ბარერის გადავილება-დაძლევის მიზნით“.

ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში Pidgin-ის განმარტება: ენა, რომელიც შეიცავს ლექსიკურ და სხვა მახასიათებლებს ორი ან მეტი ენიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია გამარტივებული გრამატიკა და უფრო მცირე ლექსიკა, ვიდრე ის ენები, რომელთა ბაზაზეც არის შექმნილი და გამოიყენება იმ ხალხებს შორის, რომელსაც არ აქვთ საერთო ენა.

ვებსტერი ლექსიკონი: „გამარტივებული მეტყველება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შორის“.

ანუ, რადგან ფიჯინი სხვადასხვა მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ხალხების, ეთნიკური ჯგუფების, სოციალური ფენებს შორის გამარტივებული კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც აღმოცენდა გარკვეულ სოციალურ პირობებში ექსპრომტად, ინდივიდუალურ ან ადამიანთა ჯგუფებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

განვიხილოთ მისი შექმნის აუცილებლობის, გამოყენებისა და გავრცელების ისტორიული წინაპირობები.

„ტერმინის“ დამკვიდრების პირობები.

ენათა ფიჯინიზაცია და ზოგ შემთხვევაში მათი კრეოლუბად გადაქცევა გაცილებით ადრე (რამდენიმე საუკუნის წინ) დაიწყო, ვიდრე ამ პროცესს „ფიჯინიზაცია“ და ამ ტიპის ენობრივ საკონტაქტო საშუალებებს ტერმინი „ფიჯინები“ ეწოდებოდათ. ყველაფერი კი მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე ევროპელი ზესახელმწიფოების მიერ ახალი მიწების აღმოჩენას, მათზე კოლონიების დაარსებას, აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და მეტყველების მონათა დიდი ჯგუფების შესყიდვას და მათ, ე.წ. „ახალი ტერიტორიებზე“ უზარმაზარ პლანტაციებში (ძირითადად ამერიკის), გადასახლებას მოჰყვა. ამ პროცესებში მონაწილე ყველა მხარისათვის (მონათა გამყიდველები, მყიდველები, მეზღვაურები, კოლონიზატორები, ადგილობრივი მოსახლეობა...) აუცილებლობად იქცა გარკვეული ტიპის საკომუნიკაციო საშუალების გამოჩენა, რომელსაც გამოიყენებდნენ მონებით ვაჭრობისა და სხვა კომერციული საქმიანობის გარკვეულ ეტაპებზე. ამ ფონზე თანდათანობით გამოიკვეთა ზემოთ აღნიშნული ფიჯინი, რომელიც არის არა რომელიმე ერთი კონკრეტული ენის დასახელება (როგორცაა ინგლისური, ქართული, გერმანული, ფრანგული), არამედ გარკვეულ სოციალურ პირობებში ხელოვნურად შექმნილი საურთიერთობო „ენების“ ტიპი, რომლის პროვოცირებისათვის საჭირო იყო გარკვეული სოციალური ფონი:

1. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ერების ან ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი, რეგულარული თანაცხოვრება, საქმიანობა, კონტაქტი;

2. მათი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, კომუნიკაციის აუცილებლობა;

3. ხელოვნურად ან ურთიერთშეთანხმებით შერჩეული მესამე საურთიერთობო შუამავალი ენის არ არსებობა მაგალითად, რა ფუნქციაც ჰქონდა მინიჭებული რუსულს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ენებს შორის, ან დღესდღეობით ინგლისურს საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტებში.

ცნობილია, რომ მონებით ვაჭრობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დასავლეთ აფრიკის ქვეყნები: ნიგერია, განა, კამერუნი, ეკვატორული გვინეა და ა.შ. შესაბამისად, მათი ტერიტორიები ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ფიჯინური ენების წარმოჩენისათვის, განსაკუთრებით კი კონტინენტის ზღვისპირა ზოლი, სადაც მონებით ვაჭრობის ძირითადი ცენტრები და პორტები მდებარეობდა. ამგვარად ეს ენა იქცა წარმატებული კომერციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. ფიჯინების წარმოშობა-პროვოცირებაში მთავარი ადგილი ეკავათ დამპყრობელთა და კოლონიზატორთა ენებს ევროპიდან, როგორც იყო: პორტუგალიური, ესპანური, ფრანგული, ინგლისური, ნიდერლანდური და ა.შ. დასავლეთ აფრიკის ზემოთ ხსენებულ ოკეანისპირა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებით იმძლავრა ინგლისურმა ენამ, რომლის, მეზღვაურთა, ადამიანებით მოვაჭრეებსა და ადგილობრივ აფრიკელებს შორის გამოყენებულ დამახინჯებულ ვარიანტს სანაპიროს ჟარგონს - Coast Jargon, შემდგომში კი, სანაპიროს ინგლისურს „Coast English“ უწოდებდნენ. მოგვიანებით „სახეცვლილი ინგლისური“ „სავაჭრო ენის“ ჩარჩოებს გასცდა, ამ ქვეყნების სიღრმეებშიც შეაღწია და ადგილობრივი ხალხების საურთიერთობო ენად იქცა. ლინგვისტები ნაშრომებში ამ პერიოდის აფრიკულ ინგლისურს დასავლეთ აფრიკის ფიჯინ ინგლისურს - „West African Pigin English“ უწოდებენ.

დღესდღეობით დასავლეთ აფრიკის ქვეყნების უმეტესობა მრავალი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება, რომელთაც არა აქვთ ერთი საერთო lingua franca. ამ რეგიონებში ფიჯინმა დიდი პოპულარობა და გამოყენება პოვა. აკუს ენა გამბიაში, ნიგერიული ფიჯინ ინგლისური, სიერა ლიონეს კრიო, კამერუნულ ფიჯინ ინგლისური, განას ფიჯინ ინგლისური და სხვ. ყველა ამ ენის საფუძველი ადრეული დასავლეთ აფრიკული ფიჯინ ინგლისურია და დღესაც აქტიურად მეტყველებენ მათზე. მართალია ის გარემოება, რომ ინგლისური თითოეულ ქვეყანაში სხვადასხვა ენასთანაა შერეული, მაგრამ ძირითადად ყველასთვის ორმხრივად გასაგებია, რადგან „ფუძე ენა“ ერთი აქვთ. მაგალითად, ის, რომ ამერიკის კონტინენტზე სწორედ აფრიკის ამ რეგიონებიდან ხდებოდა მონათა დიდი ჯგუფების გადაყვანა, უდავოს ხდის იმ ფაქტს, რომ მათთან ერთად ხდებოდა დასავლეთ აფრიკული ფიჯინ ინგლისურის გადატანა იქ არსებულ კოლონიებში, რომელმაც ხელი შეუწყო ინგლისურ ენაზე დაფუძნებულ ადგილობრივ კრეოლურ ენების განვითარებას.

მწელია გამოთვალა თუ რამდენი ადამიანი ფლობს ფიჯინს, რადგან ის ოფიციალურ ენად არ ითვლება და არ ისწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ მას რეალურად მილიონობით ადამიანი იყენებს სხვადასხვა პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები. მაგალითად, ნიგერიაში სავარაუდოდ 5 მილიონამდე ადამიანი მიმართავს ფიჯინს როგორც ძირითად ენას, ხოლო ნიგერია, კამერუნი, განა და ეკვატორული გვინეის დაახლოებით 75 მილიონი ადამიანი იყენებს როგორც მეორე ენას. ამ ქვეყნების უმრავლეს სკოლის სასწავლო პროცესში მისი გამოყენება დასჯადია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ადგილობრივი რადიოსადგური და ტელევიზია მაუწყებლობს ფიჯინების ენაზე.

„ტერმინის“ განვითარება

ისტორიულად ფიჯინი არ არის არცერთი ერისა თუ ეთნიკური ჯგუფის მშობლიური ენა. მას სწავლობენ და იყენებენ როგორც მეორე ენას ძირითადად ზეპირი კომუნიკაციისას, ხოლო როცა მისი კრეოლიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მაშინ წერითი სისტემების სრულყოფაც დგება დღის წესრიგში.

ტერმინი Creole ლათინური სიტყვიდან creare - წარმოქმნა, შექმნა - მომდინარეობს. თავდაპირველად კრეოლებს უწოდებდნენ ევროპელების მიერ აფრიკის, აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე არსებულ კოლონიებში დაბადებულ ევროპელთა შთამომავლებს. კრეოლი ეწოდა ასევე მათ სამეტყველო ენასაც, რომელიც ადგილობრივი ენების ზემოქმედებისა და შერევის შედეგად დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ენათა უმეტესობა ახლო კავშირშია ამოსავალ ძირ-ენასთან.

მეორე მნიშვნელობით კრეოლი ეწოდება ფიჯინურ ენას, რომელმაც განვითარების უმაღლეს ეტაპს მიაღწია, რაც შემდეგში მდგომარეობს: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიჯინები ხელოვნურად შეიქმნა რამდენიმე მშობლიური ენიდან აღებული კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ძალიან მცირე „დამახინჯებული“ ლექსიკური ერთეულებითა და მაქსიმალურად გამარტივებული გრამატიკული სტრუქტურებით. მისი მომხმარებელი ფლობს თავის საკუთარ მშობლიურ ენასაც, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგიერთ ხალხებში მან მიაღწია ენობრივი განვითარების სრულყოფილ დონეს სათანადო გრამატიკული სტრუქტურებით, სრულყოფილი ლექსიკითა და დამწერლობით. რაც მთავარია, იგი „გამშობლიურდა“ ფიჯინების ენაზე მოლაპარაკე ოჯახების შთამომავლებისათვის და იქცა მშობლიური ენად. შედეგად, ზოგიერთ ქვეყანაში იგი სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

ფიჯინური ენების ლინგვისტური დახასიათება

ფიჯინებში ლექსიკის თვალსაზრისით დიდი ზეგავლენაა მის შექმნაში მონაწილე ენებს შორის დომინანტი ენისა, რომელსაც სუპერსტრატ ენას (superstrate language) უწოდებენ. დომინანტი ენები ძირითადად ის ევროპული ენებია, რომლის „დამახინჯებული“, ჟარგონად ქცეული ლექსიკის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფიჯინების ვოკაბულარი. (ინგლისური, ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, ჰოლანდიური.)

დასავლეთ აფრიკის ფიჯინურ და კრეოლურ ენების უმრავლესობისათვის სუპერსტრატია ენა ინგლისურია, ხოლო დანარჩენ არადომინანტ ენებს სუბსტრატია (substrate languages) ენები ეწოდებათ.

ფიჯინური ენების გრამატიკა ადგილობრივი აფრიკული და აზიური სუბსტრატი ენების გრამატიკას წააგავს. სინტაქსი არასტაბილური, არათანმიმდევრული, ხშირად ცვალებადია, მაგრამ მორფოლოგიურად ნაკლებად რთული, ვიდრე სხვა ენებია. ფიჯინებისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლებია:

1. გრამატიკული დროის არარსებობა ზმნების ფორმებში. დროის აღსანიშნავად შესაბამისი სიტყვების გამოყენება, რომელიც წინ უსწრებს ზმნას. მაგ., **ზმნის ერთი და იგივე ფორმას წინ უძღვის დროის ზმნიზედები;**

2. გრამატიკული რიცხვისა და სქესის არ არსებობა. მრავლობითის ან აღმატებითი ხარისხის წარმოსაჩენად ხშირად გამოყენებულია რედუბლიკაცია (გამეორებები) მაგ. „**wiki-wiki**“ ჰავაის ფიჯინზე „**ძალიან სწრაფს**“ ნიშნავს.

რედუბლიკაციის გზით ხდება სიტყვათწარმოების ის აქტი მორფოლოგიაში, რასაც ინგლისურში - er- სუფიქსი ასრულებს. მაგ. **ფიჯინ -tok ნიშნავს talk, ხოლო toktok = chatter.**

კუთვნილებითი ფორმის გადმოსაცემად გამოყენებულია უფრო გრძელი ფორმა, ვიდრე ინგლისურში. მაგ. **papa bilong mi- ნიშნავს - my father. აქ bilong კუთვნილებითი ფორმა of-ია;**

მრავლობით რიცხვი არ გამოიხატება მრავლობითის მიმანიშნებელ აფიქსით. მაგ., **Wanpela - სახლი, tupela house – ორი სახლი;**

3. არ არსებობს ან ძალიან ცოტაა მორფოლოგიური ფლექსიები და შესაბამისად არ არსებობს არსებითი სახელის ბრუნვის ნიშნები და არც ზმნის უღლების ფორმები.

მაგ., ახალი გვინის ტოქ ფიჯინის ენაზე *mi kam* შეიძლება ნიშნავდეს *I come, I am coming, I came;*

4. არ არსებობს მკვეთრად გამიჯნული მეტყველების ნაწილები;

5. ფონეტიკის მიმართულებით არ არსებობს ტონები და ტონალობები;

6. სინტაქსში გამოიყენება მარტივი და არართული წინადადებები. წინადადების წყობა ძირითადად ასეთია: ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება;

7. თავისთავად ენა მოგვაგონებს იზოლირებულ ენებს;

8. სიტყვებში მარცვლების შემცირება ან ამოგდება ფართოდაა მიღებული;

9. ხშირია სიტყვაში თანხმოვანთა ასოთშეთანხმებებისა და ჯგუფების შემცირება ან სხვა ბგერით ჩანაცვლება. მაგალითად,

ინგლისური „friend“ = ფიჯინ. „fren“

ინგლისური „cold“ = ფიჯინ. „Col“

ინგლისური „salt“ = ფიჯინ. „sol“;

10. ხმოვნების მონოფტონგიზაცია. გამოიყენება მხოლოდ ძირითადი მონოფტონგები {a, e, I, o, u};

11. ლექსიკური შემადგენლობის ოდენობის სიმცირის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიჯინები მოიცავენ ძალიან მცირე სამეტყველო ერთეულებს. მაგალითად, ჩინურ-ინგლისური ფიჯინი მოიცავს მხოლოდ 700 სიტყვას. სამაგიეროდ ამ ტიპის ენებში სიტყვები მნიშვნელობათა და ფუნქციათა ფართო სპექტრით ხასიათდება. მაგალითად თოქ ფიჯინში ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება როგორც არსებითის, ისე ზედსართავის ფუნქციით წინადადებებში. ხოლო, ჩინუკურ ჟარგონში (ინგლისურთან და ფრანგულთან შერეული ინდიელთა ენები) სიტყვა klahawayა ნიშნავდა „კარგი დღე“, „როგორ ხარ“, ან „ნახვამდის“;

12. ამ ენებში წინდებულების ძალიან მცირე ოდენობაა, რომელიც ყველანაირ სინტაქსურ კონსტრუქციებში გამოიყენება. სხვა ენებში იგივე დატვირთვა გაცილებით მეტ წინდებულებზე მოდის;

13. ფიჯინურ ენებში „გამონაკლისები“ ძალიან ცოტაა, რაც მათ შესწავლას მნიშვნელოვნად აადვილებს მსურველთათვის.

დასკვნა

ფიჯინი სხვადასხვა მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ხალხებს, ეთნიკური ჯგუფებსა და სოციალურ ფენებს შორის გამარტივებული კომუნიკაციის საშუალებაა, რომლის პროვოცირებაც მოხდა გარკვეულ სოციალურ პირობებში ექსპრომტად, ინდივიდუალურ ან ადამიანთა ჯგუფებს შორის შეთანხმების საფუძველზე. თავდაპირველად მას მხოლოდ ვიწრო კომერციული მიზნებისათვის იყენებდნენ. ზოგჯერ ამა თუ იმ რეგიონში უცხოელებთან სავაჭრო ურთიერთობის შესუსტებისა და შეწყვეტის შემთხვევაში სპონტანურად „შემუშავებული“ საკომუნიკაციო საშუალებებიც სუსტდებოდა და ქრებოდა. ამ მიზეზით, საუკუნეების განმავლობაში ბიზნესთან დაკავშირებული ასობით ფიჯინური ენა გაქრა. მაგრამ ბევრიც გადარჩა და განვითარდა. ეს ის ენებია, რომელთა გამოყენებამ გაარღვია მხოლოდ „სავაჭრო ენის“ ფუნქცია და ადგილობრივი ხალხების საურთიერთობო ენად იქცა. ფიჯინების გრამატიკა სიმარტივეთ ადგილობრივი აფრიკული და აზიური სუბსტრატი ენების გრამატიკის მსგავსია. სინტაქსი არასტაბილური, არათანმიმდევრული, ხშირად ცვალებადია, მაგრამ მორფოლოგიურად ნაკლებად რთული, ვიდრე სხვა ენები. ლინგვისტური თვალსაზრისით ზოგიერთმა ფიჯინურმა ენამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია თავისი ლექსიკა, გრამატიკა, დამწერლობით და ზოგიერთი ხალხების შთამომავლების მშობლიურ ენებად იქცნენ. ზოგიერთმა ქვეყანამ კი სახელმწიფო ენადაც გამოაცხადა.

ბიბლიოგრაფია:

ხვედელიძე, მ. (2009). ფიჯინი და კრეოლი. „მეტეხი“: ინტერდისციპლინარული სამეცნიერო შრომების კრებული, II, 209-219.

ჯაფარიძე, თ. (2005). *სოციოლინგვისტიკის შესავალი: მიზნები, მეთოდები, პრობლემები (ინგლისური ენის მასალაზე)*. თბილისი: მერიდიანი.

Andersen, R. (Ed.). (1983). *Pidginization and Creolization as language Acquisition*. Rowley, MA: Newbury House Publishers.

BBC News. (2016, November 16). *Pidgin - West African lingua franca*. Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-africa-38000387>

Holm, J. (2000). *An Introduction to Pidgins and Creoles*. Cambridge University Press.

Hymes, D. (1971). *Pidginization and Creolization of languages*. Cambridge University press.

John, V. S. (1990). *Pidgin and creole tense-Mood-Aspect systems*. Amsterdam: John Benjamins.

Merriam-Webster. (n.d.). *pidgin*. Retrieved from merriam-webster.com/dictionary/pidgin

Mufwene, S. S. (2015). Pidgin and Creole Languages. *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences*, 18, 133–145.

Online Etymology Dictionary. (n.d.). Retrieved from <https://www.etymonline.com/>

Oxford Learner's Dictionaries. (n.d.). Retrieved from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

Zurab Chkhikvadze

Gori State University

PIDGINIZATION OF LANGUAGES AND THEIR LINGUISTIC FEATURES

RESUME

From the beginning of the 19th century, the meaning of the word *pidgin-business* used to describe the commercial relations of local merchants and businessmen with their English-speaking partners in the port cities of southern China changed to the end of the same century. Now, it already meant a special type of linguistic communicative means between social groups of people speaking different mother tongues.

The paper discusses the need for the creation, development and spread of new means of communication *Pidgin*, historical and sociolinguistic preconditions based on the use and interaction of the dominant European languages and the African-Asian substratum languages in the different continents of the world. Also, the linguistic features and lexical-grammatical features of these languages are found and discussed.

Keywords: Pidgins, Creoles, Substrate and Superstrate languages, Constructed languages, Pidginization.